Г 749
1978

სკოლა

1978 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი **შოთა ნიშნიანიძე**

სარედაქციო კოლეგია: **მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ნანა დარჩია** *(პასუხისმგებელი მდივანი)*, **მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, კარლო კალაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომან მიმინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეფი

საქართველოს მწერალთა კავშირი

შინაარსი

პროზა

ვასილ გელოვი. დურგლების ნაამბობი. მოთხრობა.
რუსულიდან თარგმნა გიორგი ბაქანიძემ 5

ალბერ კამიუ. დაცემა. რომანი. ფრანგულიდან
თარგმნა ნესტან იორდანიშვილმა 73

ანტონ ჭანსენ ტამსაარე. ფოსტალიონი № 17. მოთხრობა.
ესტონურიდან თარგმნა ამირან კალაძემ 138

ჰერბერტ გეიტსი. ველური ალუგლის ხე. მოთხრობა.
ინგლისურიდან თარგმნა ზურლან გემაზაშვილმა 146

პოეზია

ევგენი ვინოკუროვი. ლექსები. რუსულიდან თარგმნა
ოთარ ჭელიძემ 130

ჩენ ჩხოლი. თეთრთმეტი სიჯიუ. თარგმნა ჯარჯი ფხოველმა 142

ავეტიკ ისააკიანი. ვოლაციუსი. ფედერიკო გარსია
ლორკა. უილფ უიტნელი. ალექსანდრ გლოკი.
ანა ახვერდოვა. ლექსები. თარგმნა თამაზ ჩხენკელმა 160

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

(22)

იანვარი
თებერვალი

მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

1978

ბ 44ბ

შინაარსი

ლიტერატურული მემკვიდრეობა

ჟან-ჟაკ რუსო. ჟიული ანუ ახალი ელოიზა. გაგრძელება.
თარგმნა ნიკა აგიაშვილმა 198

ძმები გონკურები. დღიური (ფრაგმენტები). ფრანგულიდან
თარგმნეს ედიშერ გიორგაძემ და გიორგი ლოლაძემ 216

დოკუმენტური პროზა

ლეონარდ მოსლი. გზა პრალიისაკენ. ინგლისურიდან
თარგმნა ალექსანდრე ჩიკვაიძემ 165

კრიტიკა

ჯემალ აჯიაშვილი. გიგლა სარიშვილი.
თამაზ ჩხენკელი 156

რეზო ყარალაშვილი. ჭერმან ჭესეს მოგზაურობა
ხატებისა და ამგების მიღმა 231

გარეკანზე: პაულ კლეე. წითელი ვილები

ვასილ ბელოვი

დუგლოგეგის ნაამგოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა გიორგი ბაქანიძემ

I

ახლი ას წელზე მეტია დგას ამ მიწაზე და სულმთლად დაულრეცია დრო-ჟამს. ღამით, როცა მარტოობით ვტკბები, მესმის ნაძვის მორებით შეკრული ჯარგვლის ხანმოთეულ გვერდებს როგორ უტლაშუნებს ფრთებს მარტის ნესტიანი ჭალიკონი. მეზობლის ღამეულა ხვადი კატა საიდუმლოდ დაიძურწება სხვენის სიბნელეში და დასტურ არ ვიცი, იქ რა ესაქმება. მთელი შენობა თითქოს წყნარად ფშუტუნებს კატის ნაბიჯთაგან. დროდადრო ხმიერად, ყავარ-ყავარ სკდება ჭერის გახიკინებული, ჩაკაჟებული კოჭები, ჭრიალებს გადაღლილი კავები, სახურავიდან ჩამოცურებულ თოვლის ნამზვლევებსაც მძიმედ გააქვს თქაფანი და მრავალტონიანი სიმძიმით დაძაბულ ნივნივებში ყოველი ბელტის ჩამოცურებაზე ჩნდება შვება ტვირთის ახსნისა.

მე თითქოს ტანით ვგრძნობ ამ შემსუბუქებას. სწორედ ასევე, როგორც ეს თოვლი ძველი სახურავიდან, ჩემი სულიდანაც ცვივა წარსულის მრავალკეცი ბელტები... დადის და დადის სხვენზე უძილარი კატა, ჭრიალებს კედლის საათი. მეხსიერება არიალებს მთელს ჩემს წარსულს, აი, პრეფერანსში პარტნიორი რომ არევს ხოლმე, ბანქოს დასტას. რაღაც ნამეტანი გრძელი თალია გამოდის... გრძელი და დახვანჯული. სულაც არა ჰგავს კადრების საღრიცხვო ბარათს, — ქაღალდზე გაცილებით მარტივადაა ყველაფერი...

ამ ოცდათოთხმეტი წლის განმავლობაში, რაც ამ ქვეყნად მიცხოვრია, ბარე ოცდაათჯერ დამჭირდა ავტობიოგრაფიის დაწერა და რატომ ზეპირად არ ვიცოდი. მახსოვს, პირველ ხანებში რარიგ მიხაროდა ამ ავტობიოგრაფიების წერა: ვფიქრობდი, ჩემი ცხოვრების ამბებით აჭრელებული ფურცელი ვიღაცას აუცილებლად სჭირდება და უკუნისამდე ჰეინახება-მეთქი ცეცხლგამძლე სეიფში.

პირველად თოთხმეტი წლისამ დავწერე ავტობიოგრაფია. ტექნიკუმში ვეპირებოდი და დაბადების მოწმობა უნდა ამეღო რაიონულ ცენტრში. ომი სწორედ ახალდამთავრებული იყო. იმ დროს გამუდმებით მშიოდა, ძილშიაც ჭამა მაბოდებდა, მაგრამ მაინც მეხალისებოდა ცხოვრება. მომავალი ხომ მთლად უცხოფერი და ტკბილი მეჩვენებოდა.

აი, ასე ატაცებულმა გადავიარე სამაისოდ შემშრალი, სამოცდაათ კილომეტრიანი თემშარა. თითქმის სულ ახალი, ჩატოლაღებული წაღები, ძველი პიჯაკი და ბრეზენტის შარვალი მეცვა, საფანტით გახვრეტილი ქუდი მეხურა. საგზლად დედაჩემმა სამიოდ საწყალი კვერი და ერთი თავი ხახვი ჩამიდო აბგაში, ჯიბეშიც ათი მანეთი მედო. ბედნიერი ვიყავი და მთელი დღე-ღამე ისე ვიდოდი რაიონულ ცენტრამდე, გზად სულ ბრწყინვალე მომავალზე ვოცნებობდი. ამ სიხარულს, ვითარცა წიწაკა — თევზის წვნიანს, ჰკაზმავდა შეგრძნება გულოვნებისა: ჯიბეში მამაცურად ვბლუჯავდი ჯაყვას. იმხანად ხშირად ხმა გავარდებოდა ხოლმე, პატიმრები გაიქცნენო ბანაკიდან. მეც ყოველ მოსახვევში საფრთხე მელანდებოდა და ხელისგულიც ისე გამიოფლიანდა, ჯაყვა სულ დამისველდა. მაგრამ მთელი ვზა ისე გავიარე, ერთი ლტოლვილიც არ გამოსულა ტყიდან, არავის უცდია კვერების წართმევა.

დილის ოთხი საათი იქნებოდა, ჩავედი დაბაში, ვნახე მილიცია და მმაჩი, მივწექი პარმაღზე და დავიძინე. ცხრა საათზე მოვიდა გამგე, ერთი უცხვირპირო დედაკაცი იყო, მსუქან ლოყაზე მეჭეჭი აჯდა. გამბედაობა მოვიკრიბე და ვუთხარი, რაც მინდოდა. საკვირველი იყო: არც კი შემომხედა, ყურიდან ყურში გაუშვა ჩემი თხოვნა. კრძალვითა და შიშით გასუსული ვიდექი სარკმელთან და მის მეჭეჭზე ამოშუშებულ შავ ბეწვებს ვითვლიდი. ლამის სული გამეპარა...

ახლაც, ხომ ამდენი წელია გასული, ისევ ვწითლდები, იმ დამცირებას რომ გავიხსენებ; მახსოვს, რა მძულვარედ წაიტუტუნა გამგემ, თან შემოხედვაც არ მაღირსა:

— დაწერე ავტობიოგრაფია.

რაც მართალია, ქაღალდი კი მომცა. და აი, ჩემს დღეში პირველად დავწერე:

„მე, კონსტანტინ პლატონის-ძე ზორინი, დავიბადე 1932 წელს ამა და ამ ოლქის ამა და ამ სოფელში. მამაჩემი, პლატონ მიხაილის-ძე ზორინი, 1905 წელს დაიბადა, დედა — ანა ივანის ასული ზორინა დაიბადა 1907 წელს. რევოლუციამდე ჩემი მშობლები საშუალო შეძლების გლეხები იყვნენ და სოფლის მეურნეობას მისდევდნენ. რევოლუციის შემდეგ შევიდნენ კოლმეურნეობაში. მამაჩემი ომში დაიღუპა, დედა კოლწევრია. დავამთავრე ოთხი კლასი და შევედი ამა და ამ სოფლის შვიდწლიან სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1946 წელს“.

მეტი რა უნდა დამეწერა, მაშინ ამით ამოიწურებოდა მთელი ჩემი ცხოვრება. საშინლად დაფეთებულმა გადავაწოდე ფურცელი სარკმელში. გამგემ კარგა ხანს არ მიხედა ჩემს ნაწერს, მერმე თითქოს შემთხვევით დაჰკრა თვალი და დამიბრუნა:

— შენ რა, ავტობიოგრაფიის წერა არ იცი?

...სამჯერ რომ გადავწერე ავტობიოგრაფია, გამგემ ერთხანს მეჭეჭი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იფხანა, მერმე ადგა და საღლაც წავიდა. ამასობაში საღილობის დრომ მოაწია. საღილის შემდგომ გამგემ მაინც წაიკითხა ჩემი ნაცოდვილარი და მკაცრად მკითხა:

— სამეურნეო წიგნიდან ამოწერის ცნობა გაქვს?

გულმა კვლავ რეჩხი მიყო: ამოწერის ქაღალდი არა მქონდა...

და აი, კვლავ მივაბიჯებ სამოცდაათ კილომეტრიან გზაზე, მივდივარ უკანვე, რათა ამოწერის საბუთი გამოვართვა სოფსაბჭოს. ერთი დღე-ღამე და ცოტა მეტი დამჭირდა გზის დასაძლევად, მივდიოდი და უკვე აღარ მეშინოდა ლტოლვილებისა. მინდვრის ყვავილთა ბუტკოებს და მჟაუნას მწვანე ლორთქებს ვჭამდი გზაში. სახლამდე შვიდიოდე კილომეტრი რომ მიკლდა, გონი დავკარგე, ვეება ლოდზე დავწექი გზისპირას და აღარ მახსოვს, რამდენ ხანს ვიწექი ასე, ხელახლა ვიკრებდი ძალას და რაღაც უაზრო ჩვენებებს ვებრძოდი.

სოფელში მთელი კვირა ვთრაქე ნაკელი, მერმე დავეთხოვე ბრიგადირს და კვლავ გავეშურე რაიონული ცენტრისაკენ.

ამჯერად გამგე კიდეც გაბრაზდა ჩემს დანახვაზე. მთელი საათნახევარი, სანამ ქაღალდებს გამომართმევდა, სარკმელთან ვყურყუტობდი. დიდხანს, ნება-ნება იქექებოდა საბუთებში და მერმე მომახალა, საოლქო არქივს უნდა დავეკითხო, რაიონულ სამოქალაქო აქტებში არ წერია შენი დაბადებაო.

კვლავ ტყუილად ვხვეტე ეს ამოდენა გზა, თითქმის ასორმოცდაათი კილომეტრი.

მესამედ, შემოდგომაზე, თიბვა რომ მოთავდა, ერთ დღეში ჩავედი დაბაში: უკვე მუხლებიც მომიმაგრდა და საჭმელიც უკეთესი გვქონდა, ახალი კარტოფილი იყო შემოსული.

გამგეს, ეტყობა, უკვე ვძულდი, არც მეტი, არც ნაკლები.

— მე არ შემიძლია შენ მოწმობა მოგცე! — დამიყვირა, თითქოს ყრუ ვიყავი, — არსად არ წერიხარ, გაიგე?

გამოვედი დერეფანში, მივიკუნჭე ლუმელთან და... ამომიჯდა გული. ვიჯექი ყარტლიან იატაკზე და ვტიროდი. უილაჯობა, წყენა, შიმშილი, მარტოობა და კიდევ სხვა რაღაც მიწყლავდა გულს.

ახლა, იმ წელს რომ ვიხსენებ, იმ ნახევრად ბალღურ ცრემლებს, კი მრცხვენია, მაგრამ მაინც ყელში მაწვება იგი ტირილი. ყმაწვილობის დროინდელი წყენა არყის ხის ნაჭდევსა ჰგავს: დრო გავა და ამოშენდება, მაგრამ აღარასოდეს წაიშლება-კი.

მესმის საათის ტაკატუკი და ვმშვიდდები ნელნელა. მაინც კარგი ვქენი, შინ რომ ჩამოვედი. ხვალ აბანოს შეკეთებას დავიწყებ... დავაგებ ცულზე ტარს და სულაც არ ვინაღვლი, რომ ზამთარში მომცეს შვებულება.

II

დილით სახლში დავიარები და ვეება ჩალანგრევებში აგრიალებულ ქარს ვუსმენ. მამაპაპეული სახლი თითქოს სიბერეს უჩივის და შეკეთებას ითხოვს. მაგრამ ვიცი, შეკეთება ხელს მოუთავებს: არ ეგების ბებერი, ჩაკი-

რული ძვლების შეწუხება. აქ ყველაფერი ერთ მთლიანობად ძეზრდილა და შედუღებულა, უმჯობესია, ხელი არ დააკარო ამ შეთვისებულ მორებს, ან შეამოწმო ისედაც დროით შემოწმებული მათი ურთიერთერთგულება. ასეთი ამბავი როცაა, არცთუ იშვიათად რომ ხდება ხოლმე, სჯობს ძველ სახლს ახალი ამოუყენო გვერდში, რასაც დასაბამითვე კიდეც იქმოდნენ ჩემი წინაპრები. არც არავის მოუვიდოდა თავში შლეგური აზრი, — ბალავერიანად დაენგრიათ ძველი სახლი მანამ, სანამ ახალს არ ააშენებდნენ.

ოდესღაც ეს სახლი სეფე-შენობა იყო ნაგებობათა მთელი ოჯახისა. ზედვე იდგა მკვიდრად შეკრული ბეღელი, დიდი კარაპანიანი კალო, ორი ერთფერდა საბძელი, კარტოფილის საორდაფი, აბანო; იქვე იყო სანერგე და ცივ, ყინტორა წყალზე ამოყვანილი ჭა. ის ჭა რახანია დაყრუვდა, იგი ნაგებობანიც იავარქმნილან და სახლს ერთადერთი თვისტომილა შერჩენია— სულმთლად გაჭვარტლული, ნახევარსაუკუნოვანი აბანო.

დიდი-დიდი, ერთი დღის შემდეგ უნდა გავახურო ეგ აბანო. აწ შინა ვარ, ჩემს სამშობლოში ვარ და უკვე მგონია, მხოლოდ აქაა ასე კრიალა მდინარეები, ასე ჭვირვალი ტბები. არსად არ იცის ასე აკიაფებული, ნაირფერი აისი. ესოდენ მშვიდი და ზამთარ-ზაფხულ ფიქრიანი ტყეებიც არაა სხვაგან, როგორ აწყნარებს კაცის თვალს. რარიგ უცნაური და სასიხარულოა, ამ ძველი აბანოს მფლობელი რომ ვარ, ეს ახალი ყინულჭრილი რომ მაქვს კრიალა, დათოვლილ მდინარეზე...

არადა, ოდესღაც მძულდა ყოველივე აქაური. დავიფიცე, აღარასოდეს ჩამოვდგამ-მეთქი აქ ფეხს.

მეორედ, როგორც იქნა, დავწერე ავტობიოგრაფია და საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში შევედი დურგლობის შესასწავლად. ცხოვრებამ და რაიონული მმაჩის გამგემ, იმ სქელუა დედაკაცმა, გეგმები შემაცვლევინა და ტექნიკუმს ამაცდინა. სწორედ იმ გამგემ, თუმცა პირგამეხებით, გამგზავნა სამედიცინო კომისიაზე, რათა დაედგინათ საეჭვო ფაქტი და ჟამი ჩემი ამ ქვეყნად მოვლინებისა. საერაონო პოლიკლინიკაში კეთილმა ცხვირწითელა ექიმმა მარტო ეს მკითხა — რომელ წელს გქონდა პატივი დაბადებისათ და ეგრევე გამომიწერა ქაღალდი. არც კი მინახავს ჩემი დაბადების მოწმობა: "ბრომითი რეზერვების წარმომადგენლებმა წაიღეს. ექვსთვიანი პასპორტიც იმათ გააკეთეს უჩემოდ.

ვფიქრობდი, სამუდამოდ მოვშორდი-მეთქი ამ ახრჩოლებულ აბანოებს და სიხარულით აღარ ვიყავი.

მაშ, ახლა რატომაა, ასე კარგად რომ ვარ აქ, ამ ჩემს მამულში, ამ ჩემს ღურღუტ სოფელში? რატომაა, გული რომ არ მითმენს და მეორე დღესვე ვახურებ აბანოს?

უცნაურია, დასტურ უცნაური და მოულოდნელია ეს ყველაფერი...

თანაც, აბანო სულმთლად ძველია. ერთი კუთხე კარგა ძესამედზე ჩამჯდარა მიწაში. ღუმელი რომ ავანთე, კვამლი ზევით კი არ წავიდა ხის საკვამურში, ქვედა წყების დამპალ ძელებში ამობოლდა, თითქოს მიწიდან ამოდისო. ეს ქვედა წყება მთლად დამპალა, შუათანაც შემპალია, მაგრამ მთელი დანარჩენი ძელური კვლავ მტკიცეა და შეუვალი. ათასჯერ განახურები აბანოს სიმხურვალეში გამოწრთობილს, ათეული წლების მწარე ნატისუსალი შეუნახავს...

გადავწყვიტე აბანოს შეკეთება. ძელურის ორი ქვედა წყება უნდა შეცვალო, უნდა მოვფუშო და განვაახლო ტახტები, ღუმელსაც ამოვშლი და ახალს დავდგამ. ზამთარში უაზრო ჩანდა ეგ წამოწყება, მაგრამ რაღაც ბედნიერი ვიყავ, წინდაუხედავადაც ვირჯებოდი. თანაც, აბანო ხომ სახლი არაა, შეგიძლია დაუშლელად გამოჰკიდო ჰაერში და ისე გამოუცვალო კედლები, სახურავი. კვლავ მომეახლა ოდესღაც საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში შენათვისები მარიფათი ხელოსნისა და ავცეტდი. ღამით, მატყლის საბანში გახვეულს, სულ აბანოს შეკეთება მესახებოდა და ყოველივე საკუთარი უბრალო, ხელმისაწვდომი ჩანდა. მაგრამ დილით სხვა პირი გამოუჩნდა საქმეს. ცხადი გახდა, თუკი ვინმეს, თუნდაც რომელიმე ბერიკაცს არ დავიხმარდი, მარტო მე ერთი, შეკეთებას თავს ვერ გავართმევდი. ყველა-ყველა და, რიგიანი ცულიც კი არა მქონდა. ყველაფერი რომ ავწონ-დავწონე, მეზობელს მივაკითხე დახმარების სათხოვნელად, ოლეშა სმოლინს.

სმოლინის სახლის წინ, ლატანზე, გარეცხილი ქვედა საცვალი ეკიდა. ფართოდ მოღებული ჭიშკრისკენ გაჭრილი ბილიკი მოგვილი იყო. იქვე ეგდო გვერდზე გადაბრუნებული მარხილი. ავედი პწკალაზე, კარს წავეტანე და ძაღლის მჭახე ყავყავიც მომესმა. თავი გამოიდო და მეცა. დედაბერი გამოჩნდა, ნასტასია, ოლეშას ცოლი; ძაღლი კარ' მოაცილა:

— გაჰქრი აქედან! უყურე ერთი ამ ხულიგანს, არ ეცა ადამიანს?!

სალამი მოვახსენე და ვკითხე:

— კაცი არის შინ?

— გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო.

ეტყობა, მთლად ყრუ იყო. შემიპატიჟა შინ, თავსაფრით მერხი გადამიფერთხა.

— კაცი თუა-მეთქი შინ, სადმე ხომ არ წავიდა? — ვკითხე ხელახლა.

— აბა რა წამსვლელი ეგაა, ჯანდაგი. აგერ, ღუმელზე აბოხორიკდა, სურდო შემეყარაო, ჩივის.

— შენ თვითონა ხარ სურდო, — მოისმა ოლეშას ხმა, — და არც დღეს შემყრიხარ, კაიხანია მჭირხარ.

ცოტა რომ წაიკინკლავეს, ოლეშა ძირს ჩამოვიდა და თექურები ჩაიცვა.

— სამოვარი არ დაადგი? არაფერი შენ არ გეყურება... კონსტენკინ პლატონოვიჩ, კაი გამარჯობა შენი!

ოლეშამ, ამ ხეხელა, გამოუცნობი ხნოვანების კოლმეურნემ, მაშინათვე მიცნო. ბერიკაცი შუა საუკუნეების მეკობრეს ჰგავდა, საყმაწვილო წიგნის ნახატიდან გადმოსულს. ჯერ კიდევ ბავშვობაში გვაშინებდა და თავზარს გვცემდა მისი ეს კეხიანი ცხვირი. იქნებ ამიტომ იყო, ფეხი რომ ავიდგით და გარეთ დავიწყეთ სირბილი, ოლეშა სმოლინი სულ დანაშაულის გამოსყიდვას ცდილობდა და დიდი ხალისით გვიკეთებდა ტირიფის სასტვენებს, ფორანზედაც ხშირად გვსხამდა ხოლმე. შევყურებდი ცხვირზე და ვგრძნობდი, როგორ მიბრუნდებოდა ადრეული ბავშვობის ბევრი, რახანია გადავიწყებული შეგრძნება...

ცხვირი ოლეშას სწორად კი არ ადგა, მარჯვნივ ჰქონდა გადაბრეცილი და ყოველგვარი სიმეტრიის გარეშე მიჯნავდა აპრილის ცვარივით ლურჯ ორ თვალს. შავი, შეჭაღარავებული ჯაგარი ნიკაპს უფარავდა. იტყოდი, ნე-

ტა ერთი ამის ბიბილოებზე მძიმე საყურეები მანახა და თავზეც ყაჩაღის შლაპა ეხუროს, ანდა ბაღდადი ეხვიოს მეკობრეების ყაიდაზე.

სმოლინმა ჯერ გამომკითხა, როდის ჩამოვედი, სად ვცხოვრობ და რამდენი წელია, რაც იქ ვცხოვრობ. მერმე ცნობისწადილით მკითხა, რა ხელფასი გაქვს და შვებულებას რამდენს იძლევიანო. ოცდაოთხი დღე მაქვსმეთქი, ვუთხარი.

არ ვიცოდი, ოლეშას თვალსაზრისით ბევრი იყო ეს თუ ცოტა, არადა, სმოლინსაც ამის გაგება ეწადა, ოღონდ ჩემი თვალსაზრისით. ამიტომ, საუბრის თემა რომ შემეცვალა, აბანოზე ჩამოვუგდე სიტყვა. ოლეშას მისხალიც არ გაჰკვირვებია, თითქოს სწამდა, რომ აბანოს შესაკვთებლად სწორედ ზამთარი იყო მისწრება:

— აბანოს ამბობ? აბანო, კონსტენკინ პლატონოვიჩ, მართლაც დიდი საჭირო რამეა. აგერ, ჩემი დედაკაცი აიღე: სულმთლად გამოყრუებულია, როგორც კუნძს ვერ შეასმენ რამეს, ისე მაგასაც, არადა, აბანო უყვარს, ყოველდღე რომ არ გამოშუშდეს, არ იქნება.

ალარ ჩავეძიე რა კავშირი იყო სიყრუესა და აბანოს სიყვარულს შორის, სად ერთი და სად მეორე, და კვლავ მოხმარებაზე ჩამოვუგდე სიტყვა, მეტად საოფიანი პირობები აღვუთქვი. მაგრამ სმოლინი არ ჩქარობდა მკლავების დაკარწახებას. ძალით დამსვა სუფრასთან. ღუმელზე შემომდგარი სამოვარიც უკვე რაკრაკებდა გალობის იმტაზე მოსულ როჭოსავით.

— ვაიმე, კარი! გაიქე, კარი ჩაკეტე! — აწრიალდა ანაზდად ოლეშა. — რაც შეიძლება მაგრად ჩარაზე!

ვერ მივხვდი რა ამბავი იყო და უნებურად გავიწრე კარისაკენ.

— თორემ გაიქცევა. — შემაგულიანა ოლეშამ.

— ვინა?

— სამოვარი, აგე...

უნდა შევჩვეოდი სოფლურ ხუმრობას: გავწითლდი ცოტათი. აჩუჩხებული, „გასაქცევად" მომართული სამოვარი საცაა იმხეფებდა, მაგრამ მაშინვე ჩაცხრა: ნასტასიამ მილაკი მოაძრო და წევა შეუჩერა. ამასობაში ოლეშამ თითქოს ისე, შემთხვევით, გამოიღო თახჩიდან არყიანი ბოთლი, ერთ მესამედზე შენაკლულებული. რაღას ვიზამდი, ცოტა კი ვიყოყმანე და როგორღაც თავიდან ამომივარდა პირველი მცნება ჩემი საშვებულებო წესებისა. გავიხადე ჯუბა და კართან ჩამოვკიდე, ლურსმანზე. დავლიეთ ჩაიში გარეული არაყი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — ცხელი პუნში, ხამ კაცს რომ ნეტარების ოფლს გამოადენს და მერმე, შეუმჩნევლად, სულ სხვა, საოცრად ნათელი და იმედიანი მხრიდან შემოუტრიალებს ხოლმე მთელს სამყაროს. ნახევარი საათიც არ გასულა, რომ ოლეშა არცთუ ისე გულით ცდილობდა ჩემს დაყოლიებასა და დაკავებას, მე კი არ ვუჯერებდი და მალე კიდეც გავეშურე სოფლის დუქნისაკენ, თან ისეთ სიცქაფეს ვგრძნობდი მუხლებში, ბავშვობაში რომ გამომიცდია ხოლმე.

ირგვლივ ახალნაბარდნივით სუფთა თოვლით გადაქათქათებულიყო ყველაფერი. სოფლებში სადღეო ღუმელები ენთო. ოქროვანი სვეტები კვამლისა ჰაერს კი არ ექსვოდა, განცალკევებით იდგა და ნელიად, უკვალოდ ქრებოდა. გუშინ მოსული თოვლით გაბზინებული ტყეები ახლოს მომდგარიყო და მკაფიოდ ჩანდა. ზრქელ, ნათელ სიჩუმეში ჩაყურსულიყო შემოგარენი.

სანამ დუქანში წავიდოდი და მოვიდოდი, ნასტასია მეზობლებში გადასულიყო საჭირაოდ, ხოლო ოლეშას ალუმინის ლანგრით ციცქნა, მოლურჯო ნიყვი სოკოები შემოემატებინა სუფრისათვის. გავეთავაზეთ ერთმანეთს, დავლიეთ თითოც, მაშინვე გონება გადაგვისხვაფერდა და სწორედ ისე, ალ, ზაფხულის ცხელი დღის შემდეგ მორევში რომ ჩაყვინთავს კაცი, ნელნელა ჩავეშვი ოლეშას საუბრების უფსკრულში.

III

— ... შენ, კონსტენკინ პლატონოვიჩ, სჯობია ჩემს ცხოვრებაზე ნუ მკითხავ ნურაფერს. მთელი ჩემი ცხოვრება აბნეული ბიბლიაა სწორედ: ვისაც საით უნდა, იქით გადაჰყავს თავის ტაბიკონზე. ვისთვისაც რა მაქვს გამოსადეგი, ყველა იმას ექაჩება თავ-თავისკენ. ერთს ეს უნდა, მეორეს ის დასჭირდა, მესამეს კიდე — არც ერთი უნდა და არც მეორე, ორივე გვერდზე გადადო. თავისი არშინით ზომავს. ასეა. ახლა, არ იკითხავ, მე რასა ვშვრები? რას და, არაფერს. მე თვითონაც მთვრალ დედაკაცივითა ვარ, აი, რომ დაწვება და ალარც იცის, კურტუმი საითკენ აქვს. ჩემი დღე და მოსწრება ჩემსავ კალთებში ვიბლანდები და ველარ გამოვმძვრალვარ. სწორედ ალარ ვიცი, კალთებია გრძელი თუ ფეხები მაქვს დახლიფართებული. ანდა, იქნებ ხალხმა ამბლანდა ასე?

არადა, მართალი რომ ვთქვა, მუდამ ხომ არ ვიყავი ასე თავგზააბნეული. მახსოვს, დედაჩემმა რომ გამაჩინა, პირველად სიხარულით ალარ ვიყავი, სულ ვცმუკავდი და მთელს ქვეყანას სალამს ვეუბნებოდი. ღმერთმანი, მახსოვს ჩემი დაბადება. ბევრს ვეუბნები, მაგრამ არა სჯერათ ამ სულელებს. გეუბნები, კარგად მახსოვს. ესე იგი, არაფერი მახსოვს, მარტო თბილ ნისლსა ვხედავ ირგვლივ, ვითომც ძილში ვარ, არადა, მაინც მახსოვს. თითქოს კაზემატიდან გამოვედი. მე ვიყავი თუ მე არ ვიყავი, ამას ზუსტად ვერ გეტყვი, იქნება მე არც ვყოფილვარ, ოღონდ მანამდე იყო საგულისხმო... საგულისხმოსაც ვერ იტყვი, აი, კეთილშობილური უფრო ითქმის...

ჰოდა, იმას ვამბობდი, მეც ქრისტესავით დამემართა: ხბოს ბაგაზე დავიბადე და შობა დღეც მოუწია სწორედ. თავიდან მართლა კარგად მიდიოდა ჩემი საქმეები, მერე და მერე დავიწყე ბლანდვა. მივაყოლე და მივაყოლე...

დიდი ოჯახი გვქონდა. რაღა თქმა უნდა. ქესატად ვიყავით ნამეტანი. დედა და მამა ამ ყარტაყურტა ბალღებს მაინცდამაინც თავზე არ გვისვამდა ხელს. ზამთრობით სულ ღუმელზე ვეყარენით და აბანოს ჭიებს ულვაშებით ვაპორწიალებდით. ზოგს კიდეც შევხანხლავდით ხოლმე. სამაგიეროდ, ზაფხულში ჩვენი იყო მთელი ქვეყანა, დავშლიგინობდით ბალახში და ჭინჭრებში... ერთი კი ნაღდია: ძაან ბლომად იხოცებოდა ბალღები, სათვალავი არ იყო. ოღონდ, უფრო მეტი იბადებოდა და ამიტომ ველარც ამჩნევდნენ ამათ სიკვდილს. ხანდახან მეც ჩამცხებდა ხოლმე ბებიაჩემი გოგრაში, ან ფერდში წამიქიმუნჯებდა: ოლეშკა, შენ მაინც მიგიბარებდეს ადრე და მალე მამაზეციერი, რომ ეგეთმა ბოთემ ტყუილად არ ილაყუნო ამ დუნიაზეო. სხვა დედაბრებიც, ყველა უეჭველ სიკვდილს მიქადდა. კინკრიხოს გამისინ-

ჯავდნენ და აეგრე ამბობდნენ: აბა, დია, ამას არ უჩანს სასიცოცხლო პირიო. თუ გაგიგონია, შუალედი აქვს ზოგ ბავშვს თავზე, აბაზე იტყვიან, ჩვილობაშივე მოკვდება, ვერ გაატანსო. მე კიდე, ხვიშტი ვუჩვენე ყველაკას. ვიცოცხლე მაგათ ჯინაზე. აბაც მინანია, თუმცა მაინცდამაინც აბაც სიხარულით გადავრეულვარ...

მახსოვს, პირველად წამიყვანეს მღვდელთან აღსარებაზე. დიდმარხვას. იმხელა ვიყავი, ნიფხავი მეცვა უკვე. ოჰ, პლატონოვიჩ, ამ რელიგიის ამბავს ნუღა მეტყვი! ჯერ კიდევ იქიდან დამიწყო მაგან ნერვების მოშლა. აბადა, მას მერეც რამდენჯერ მომშალა, ვინ მოთვლის! რაღა ბევრი გავაგრძელო, წამიყვანეს მღვდელთან. დედაჩემმა დამარიგა: ოლეშკა, რაც არ უნდა გითხრან, ყველაფერი კარგად შეისმინე და ყველაფერზე „ცოდვილი ვარ, მამაო“ — აეგრე უპასუხეო. კარგი მღვდელი გვყავდა მრევლში, ლამაზი კაცი იყო, რაც მართალია. ჰოდა, წარვდექი მღვდლის წინაშე ეს უმანკო ბალღი. ყრმაო, რა გქვიაო, მკითხა. ოლეშკა-მეთქი. მონაო ღვთისა, ვინ გასწავლა ასე უმართებულო ლაპარაკიო? ოლეშკა კი არა, ეს ეშმაკისეული სახელი. აბამედ ალექსეი უნდა თქვაო. მეც ვთქვი, ალექსეი მქვია-მეთქი. „ახლა მარქვი, ყრმაო ალექსეი, რა ლოცვები იცი?“ რაღაც „ცათა შინა“ მოვროტე. ვხედავ, ბრიყვი ხარ, ვითარცა ჯიკი; კარგია, თუ მარტო ასაკის ბრალიაო. მე, რად უნდა ორი სიტყვა, ხმა არ გამიღია, მარტო ცხვირში ვიცრინტებოდი და ეგ იყო. „მარქვი, შვილო ჩემო, ცოდვილი ხარ წინაშე უფლისა? სხვის ბოსტანში სტაფილო არ ამოგითხრია? მუხუდო არ მოგიპარავს?“ „აბა, მამაო, არ მომიპარავს“. „აბცა მფრინველთა ზეცისათა ესროდი ქვებსა?“ „აბა, მამაო, არ ვესროდი“.

მაშ რა მეთქვა, თუკი მართლა აბც ბეღურებისთვის მისვრია ქვა და აბც სხვის ბოსტნებში წოწიალი მქონდა ჩვევად.

შენც არ მომიკვდე, მტაცა ყურში ხელი, მომიჭირა როგორც მარწუხი, მქაჩავს და მქაჩავს. თან აეგრე ტკბილად, წყნარად მეჭუკჭუკება: „ნუ ტყუი, შვილო, უფლისა წინაშე, რამეთუ არ მოგიტევებს უფალი ტყუილს. ნუ ტყუი, ნუ ტყუი, ნუ ტყუი...“

ტირილ-ტირილით გამოვვარდი ეკლესიიდან. ყური მეწვოდა, მაგრამ უფრო ისა მწყინდა, ასე ტყუილ-უბრალოდ რომ დავისაჯე. აქეთ დედაჩემმაც დამისართა: დაავლო ხელი ტირიფის წკნელს, ჩამაძრო ნიფხავი და მომცხო და მომცხო, პირდაპირ იმ ყინვაში გამწკეპლა. მირტყამდა და თან დამძახოდა: აკი გაგაფრთხილეს, ცოდვილი ვარ — თქვიო, აკი გაგაფრთხილესო...

ახლაც ზუსტად მახსოვს ის გაწკეპლვა. ჰოდა, კარგი. ჯანდაბას, მარტო ის ერთი ყოფილიყო, ამდენს არ ვიყატყატებდი. მეორედ რომ მივედი აღსარებაზე, მეორედაც ეს ამბავი მომიწია. სულ სიმართლეები ვუთხარი მღვდელს, მაგრამ ერთი სიტყვა მაინც დამიჯერა?! ის კი არა, მამაჩემსაც უთხრა, იმან სულმთლად ჯანდრში გამატარა. ამის შემდეგ ვიფიქრე ამ ჩემი მოკლე ჭკუით: ღმერთო, რა წყალში ჩავვარდე! მართალს ვამბობ — არ მიჯერებენ, ტყუილი ვთქვა, — ცოდვას ვერ ვიქმ, ამისიც მეშინია. აქეთ კიდევ, ისევ აღსარებაზე მიწევს წასვლა, ისევ ყურების აგლეჯა მაქვს გამოწერილი... რაღა ვქნა? აბა-მეთქი, ვიფიქრე, აწი აღარ ჩაგივარდებით ხელში-მეთქი. აი, რა მოვიფიქრე: განგებ ვიქმ ცოდვას, სხვა გზა არ არის! ჰოდა,

პლატონოვიჩ, მამაჩემს თუთუნი ავწაპნე თაროდან, ასე მეოთხედი კვერცხი გამოვიდოდა, ჩავიყარე მუჭში, ასანთი ღუმელის თავზე მოვიძიე და, მოგეცალხენა, შევძვერით მე და ვინკა კოზონკოვი იმათ კარაპანში, დავჯექით და ვსწავლობთ თუთუნის წევას. კაი სწავლა კი იყო, მე და ჩემმა ღმერთმა, სულ ავახრჩოლეთ იქაურობა. დამეწყო თავის ბრუალი, გულიც მერეოდა, მაგრამ მაინც ვეწეოდი... მთელი ქვეყანა აეგრე თვალწინ დამიტრიალდა. ვინკამ მითხრა, მე რახანია ვეწევი, შენაო?.. მე ჩემი ვუთხარი: ცოდვას ჩავდივარ, რაც შეიძლება ბევრი ცოდვა უნდა ვქნა, თორემ აღსარებაზე ისევ გატყეპა მომიწევს-მეთქი.

გამოვძვერით კარაპანიდან, სულმთლად დავბრუვდი, აქეთ-იქით ვბანცალებდი. პირველად დავთვერი ჩემს სიცოცხლეში. აღსარებაზე კიდე, ავდექი და ყველაფერი მოვინანიე. მღვდელმა ერთი სიტყვაც არ უთხრა მამაჩემს, კმაყოფილი იყო ნამეტანი: აი, ჭკუაში ჩავაგდეო, ეგონა...

მას აქეთ იყო, მივყევი და ცოდვას ცოდვაზე ჩავდიოდი. დამანებეს თავი, ხელს არ მაწენწებდა კაციშვილი. დამიდგა კაი ცხოვრება. მე, ძმაო, აი რასა ვფიქრობ: მართალია, მას აქეთ ვითომ კი გამიადვილდა ცხოვრება, მაგრამ სწორედ იქიდან დამეწყო ათასნაირი დომხალი. შენ რას იტყვი, სწორი არ არი?..

IV

მეორე დღეს ჩახჩახა მზემ გამომაღვიძა. შიგ თვალებში მიჭყიტინებდა. გამოვძვერი საბნიდან და გამიკვირდა: კვალი არ დამრჩენოდა წუხანდელი სმეულობისა, ოდნავ დამნისლოდა გონება და ცოტათი მწყუროდა, სულ ეგ იყო.

ძირს ჩავედი და ვარჯიშის ნაცვლად კაი ნახევარი დუქიხი ნაძვის მაგარი მორი დავაპე. ორი დარტყმით სკდებოდა, თუკი ცულს პირდაპირ შუაში მოვახვედრებდი. გაყინულ ნაპობებს ისე გაჰქონდა წკრიალი, როგორც ეზოს გადაღმა გალიპულ თოვლს და დილის ცინცხალ, მოჭერილ ყინვას. ჩავასობდი ცულს შუაგულ მორში, ერთიანად ავიტაცებდი ძალლა, მთელი ძალით მოვიქნევდი და ხვნეშით ვცემდი ყუას შსხვილ კუნძზე. მორი თავისივე სიმძიმით სკდებოდა შუაზე და ნაფოტები ზრიალა წამოკვნესებით მიჰქროდა აქეთ-იქით. მსიამოვნებდა ეგ გარჯა.

ათიოდე ღერი შეშა შინ შევიტანე, გავაღე ღუმელის საკეტი, ავაძვრე ხუფები, სახური გავხსენი. დავხეჩე კვარი და შეშის ერთი ნაპობი სახაბაზო ნიჩბით განივად შევდე ღუმელის პირში. ავანთე კვარი და ნიჩბითვე დავადე შეშას. მერმე სხვა შეშაც შევახოხოლავე ალზე. დატრიალდა ცეცხლის წმინდა, მკვეთრი სუნი. კვამლის თეთრმა ჭავლმა გაუხვია აგურის საცეცხლეში და საკვამურს აუყვა. დიდხანს ვუმზერდი კვამლის დინებას. ფანჯრებში იღვრებოდა თუმც ზამთრის, მაგრამ მაინც დიდად სხივოსანი მზე. ღუმელი აგუზგუზებულიყო. ავიღე ორი ვედრო, წავიტანე გათრაშული საწყლე და მდინარეზე წავედი. ფეხქვეშ ფაიფურივით წკარუნობდა მომაღლოდ გატკეპნილი ბილიკი. მზვარეში თოვლი ისე კამკაშა და ბრჭყვიალა იყო, უნებლიედ თვალებს მაჭუტვინებდა. ხოლო სახლთა ჩრდილებში

მკვეთრად შეიგრძნობოდა თოვლის სილრმისეული სიცისფერე. მდინარეზე, ფლატის ძირას, კარგა ხანს ვუურტყამდი ყინულს. ლამის განმავლობაში ყინულჭრილის პირი გამჭვირვალე სქელ ყინულს მოეფინა. ოლეშას ყინულჭრილზე გადავედი მეზობლად, წამოვიღე ყინვისაგან დაჭირხლული მისი ცული, მოვედი და ყინულჭრილს კიდეები შემოვუკოდე. შემეცოდა ყინულის ჭვირვალი წრე, მინდოდა ამომეღო, მაგრამ დინებამ დაითრია. მესმოდა, როგორ მიხრიგინებდა ყინულქვეშ. აქ კი, ფსკერზე, ჩანდა ქვიშის ნათელი, ცივქნა, წყლით გადიდებული მარცვლები.

თორთქოლებდა ვედროებში მძიმე წყალი და ამის გამო უფრო მყარად, მტკიცედ მივაბიჯებდი ალმართში, ეს სიმძიმე მაკრავდა ბილიკზე. ვედროების ქანაობა რომ ჩამეცხრო, ზოგჯერ ნაბიჯთა სიგრძეს ვცვლიდი, მსუბუქად, ბარაქიანად ვსუნთქავდი, არც ჩემი გულისცემა მესმოდა.

შინ რომ მივედი, წყალი სამოვარში ჩავასხი, რკინის აქანდაზით ავკრიფე ალისფერი, გამოხურვებული ნახშირი და სამოვარში ჩავყარე. სამოვარი თითქმის მაშინვე ახმიანდა. სადგარზე რომ შემოვდგი, ავლის მცხუნვარე სუნი ასდიოდა, სპილენძის მუცელში მშვიდობიანად თუხთუხებდა წყალი, ზედ ჯილასავით აღგა ხუფიდან ამოფრქვეული ორთქლი.

გავხსენი დაკონსერვებული საქონლის ხორცისა და შედედებული რძის ქილები, ჩაი დავაყენე და პური დავჭერი. ვასხამდი ჭიქაში ძაგარ, ქარვასავით მოკიანთე ჩაის, თან უცნაურად ვგრძნობდი ხორცისა და პურის პირველქმნილ, ყველასა და ყველაფრისაგან დამოუკიდებელ ძირძველობას. ის მადა მქონდა, კბილები და ღრძილებიც რომ გრძნობენ ხოლმე საჭმლის გემოს. ვნაყრდებოდი და განუწყვეტლივ ვგრძნობდი მხრებში მოძალებულ ღონეს, მეუფლებოდა მოძრაობის, რაიმე მძიმე საქმის კეთების ჟინი. მზე კი კვლავ მოსდგომოდა ფანჯრებს, შინ და გარეთაც საოცარი სიმშვიდე, სიჩუმე სუფევდა და ეს წყნარი მოვანება სამოვრის კეთილი, დამამშვიდებელი ჩლიფინით იყო შეფერილი.

თ-თლაახ! არც ვაცივ, არც ვაცხელე, ავიჭერ სუფრიდან, სიხარულს გზა მივეცი, ჩავქუქდი, ავხტი, ვცადე ჭერზე ხელისგულების მირტყმა. გამეცინა, რადგან უცებ ჩავხვდი „ხბოსავით აკუნტრუშდაო“ — ამ გამოთქმის მნიშვნელობას. ხელახლა შევხტი, კარადაში წკრიალი ავუყენე ჭურჭლეულობას. სწორედ ამ ყოფაში შემომისწრო ოლეშამ.

— უყურეთ ერთი, რა მეოჯახე ყოფილა! — თქვა ბერიკაცმა. — დაგინახე, ღუმელი რომ აანთე და წყალზე გავარდი. არა, ცოლი უნდა შეირთო, ძმაო.

— კი, ბატონო, ოლონდ პირველს თუ არ გავცილდები.

— არა უშავს ქალია. — ოლეშამ აიღო მაგიდაზე მდგარი პორტრეტი და პატივისცემით შეათვალიერა.

— ვარგა? — ვკითხე.

— ვარგა. კაი თვალციმციმა ქალია. რა, უშენოდ ვითომ დროსტარებას არ დაიწყებს იმ ქალაქში, ჰა?

— ვინ იცის...

— გაიგო ხალხმა ცხოვრების გემო. — თქვა ოლეშამ და თამბაქო გაახვია. — ვინ იცის, იქნებ ასედაც სჯობდეს.

... ავიღეთ ცულები, ნიჩაბი, ხელის პატარა ხერხი. სახლის კარი არ

დაგვიკეტია, დავიძარით აბანოს შესაკეთებლად. სანამ მე აბანოს ირგვლივ თოვლს ავწმენდდი, ოლეშამ ღუმელი დაშალა და წინა ოთახში ფაქიზად დააწყო აგურები, გაჭვარტლული რიყის ქვები. მოვფუშეთ დაირეკილი ტახტები, ავყარეთ ფუტურო იატაკი. სულმთლად დამპალ ქვემოთა ძელს ფეხი ვკარი, გავანგრიე და აბანოც განათდა. ოლეშამ ცულის ყუით დაუწყო კაკუნი სხვა ძელებს. მესამე წყების ზემოთ ძელურს წკრიალი გაუდიოდა, მაშასადამე, მყარი იყო კედელი.

ბერიკაცი ზემოთ აძვრა ჭერ-სახურავის შესამოწმებლად.

— ემანდ, არ ჩამოვარდე, — ვურჩიე, მაგრამ ის ხვნეშით განაგრძობდა რაკარუკს.

— ჩამოვვარდები და, ზევით ხომ არ წავალ, მიწას ხომ არ ავცდები. არაა დიდი ხათაბალა.

უკვე ცხადი იყო, რომ სახურავსა და ნივნივებს გამოცვლა არ სჭირდებოდა. დასვენება ვთქვით და ზღურბლზე ჩამოვსხედით. ანაზდად ოლეშამ ხელი წამკრა ფერდში:

— ის ნახე...

— ვინა?

— აგე, კოზონკოვი მოჩლახუნობს კეტით.

ავენირ კოზონკოვი, ჩემი მეორე მეზობელი, არყის ხელჯოხს იბიჯებდა, თოვლში იფლობოდა, მოემართებოდა აქეთკენ. გამოჰყვა ჩვენს ნაკვალევს, გამოალწია.

— კაი ჯანი მოგცეთ!

— ავენირ პავლოვიჩს, ამხანაგ კოზონკოვს, ჩვენი მდაბალი სალამი! — მოახსენა ოლეშამ.

კოზონკოვი ხმელ-ხელი, მკვირცხლთვალება ბერიკაცი გახლდათ. თმაც როგორღაც ყოჩაღად გამოსჩროდა ქუდიდან და ქუდიც ყინჩი ეხურა. თეთრი და წვრილი ხელები ჰქონდა, სულ არ უგავდა გლეხის ხელებს.

— რა ქნა შენმა ძროხამ, ხბო არ მოიგო? — ჰკითხა ოლეშამ.

კოზონკოვმა უარის ნიშნად გააპარტყუნა თავისი ყინჩი ქუდის ყურები და განმარტა, ყველიერის კვირა რომ ჩათავდება, მერე მოიგებსო ხბოს ჩემი ძროხა.

— ბერწია ეგ ძროხა, — თქვა ოლეშამ და თვალები მოწკურა, — ღმერთმანი, ბერწია.

— ბერწი რას მიქვია, თუკი მუცელი ატყვია. ჩემმა დედაბერმა თქვა, კუდის ძირი გაუდიდდაო.

— კაი ერთი, დედაბერი რას არ იტყვის. — არ ცხრებოდა ოლეშა. — იქნება არც შეუხედავს ხეირიანად?

— მაკეა-მეთქი ჩემი ძროხა.

— რანაირი მაკეა, ნოემბრის წინეებზე არ გყავდა ბულასთან? აბა, არ დაიზარო და გამოთვალე, რამდენი თვე გავიდა. არა, ყმაწვილო, ბერწია და კიდეც დარჩენილხარ ურძეოდ.

ვატყობდი, ოლეშა სმოლინი აცუცურაკებდა ავენირს, არც მეტი, არც ნაკლები. ავენირი კი ბრაზობდა და თავგადაკლული უმტკიცებდა, ძროხა დანაგრილებია და კოზონკოვი თავის დღეში არ დარჩებაო ურძეოდ. ოლეშა არ ეშვებოდა და განგებისად, უფრო და უფრო უჩხიკინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მაკე! როდის გყავდა ბუღასთან?

— მყავდა.

— ვიცი, რომ გყავდა. როდის გყავდა, შენ ის მითხარი. ჭლდა, კარგი, ახლა მოდი, გამოვთვალოთ...

— არაფერი მჭირს გამოსათვლელი, ყველაფერი გამოთვლილი მაქვს ისედაც!

კოზონკოვი ახლა კი დასტურ გამოვიდა მოთმინებიდან და ოლეშას წამოსძახა, გირჩევნია შენს ძროხას მიხედო. მერმე რაღაც მოპარული თივა უხსენა მოიარებით. ოლეშამ განაცხადა, თივა ჩემს დღეში არ მომიპარავს და არც მოვიპარავ, შენ კი მართლაც ურძეოდ დარჩები, რადგან ბერწი ძროხა გყავს და ბერწი რომც არ იყოს, მაინც ხბოს ვერ მოიგებსო.

მე გატრუნული ვიჯექი, ვცდილობდი არ გამღიმებოდა და არ გამენაწყენებინა ავენირი, იგი კი სულმთლად გაწიწმატდა და ოლეშას დაემუქრა: სულ ერთია, ყველაფერს მივწერ, საცა საჭიროა და თივას წავართმევინებ, რადგან მუქთად გაქვს ნაშოვნი, უნებართვოდ მოთიბეო.

— შენ, კოზონკოვ, გირჩევნია მაგ თივით გული ნუ გააწყალე, — ეუბნებოდა ოლეშა, — ნუ გააწყალე, მე შენ გეუბნები! შენ თვითონ, აგე, მთელი სასაფლაო გათიბე; რაო, სოფსაბჭომ მოგცა უფლება, საფლავები მოაშანდაკეო? კი მაგრამ, სანიტარული წესით რომ მასეთი კანონი არსად წერია? აბა, ეგ რა გამოვიდა? შენ ხომ ყველაფერი ფეხებზე გკიდია, მისდგომიხარ და მიცვალებულებს ძარცვავ.

— მე გეუბნები: დავწერ-მეთქი!

— გინდაც მოსკოვში დაწერე, მეტი რაა შენი ხელობა! ისედაც მთელი ქალალდი გააწყვე, წერ და წერ წერილებს გაზეთში. მერე ყოველ წერილში რომ ხონორარს გაძლევენ არყის ფულად, აბა ერთი თუ მაინც იფიქრე, მოდი, შეზობელი კაცია, დავპატიჟო, არაყი დავალევინოო? ერთხელაც არ დამპატიჟე, სულ მარტო სვამ.

— დიახაც, ვსვამ! — მოუჭრა ავენირმა. — კიდევაც დავლევ. მე რაიონი მაფასებს, შენსავით კი არა ვარ.

ახლა კი ოლეშასაც დაეტყო სიბრაზე.

— იცი, რა გითხრა, კოზონკოვ, — თქვა მან, — წადი, იმ შენს ძროხას შეუძვერი კუდისძირში.

კოზონკოვი მართლაც ადგა და ლანძღვა-ლანძღვით წავიდა. მერმე მოიხედა და ოლეშას კეტი მოუღერა:

— პიროვნების შეურაცხყოფისათვის!.. ბრძანებულებაა, წვრილმან ხულიგნობაზე!

— იფ, კანონის კაცი... — ოლეშამ ცულს მიჰყო ხელი. — მაგისთანას მდოგვი უნდა მოსცხო ენაზე.

მეც წავეტანე ხერხს, ვკითხე:

— რა მოგივიდათ...

— რა იყო? — მომიბრუნდა ოლეშა.

— არაფერი, ისე ვთქვი...

— არაფერი არის არაფერი. — ოლეშამ გახეშეშებულ ხელისგულებზე დაიფურთხა. — სულ ლაპარაკი გვაქვს მე და მაგას, არადა, უერთმანეთო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც ვერა ვძლებთ. დღე არ გავა, არ მომინახულოს, პატარა რამე და — კეტს მიღერებს. ბალღობიდანვე ასე ვართ. მახსოვს, გაზაფხული იყო...

ოლეშამ აუჩქარებლად გადმოაბრუნა დამპალი მორი.

უკვე ველარ დავიხევდით უკან, აბანოს პირი მოვუღლიეთ და აწ ძალაუნებურად კიდეც უნდა შეგვეკეთებინა. სმოლინის დინჯ ლაპარაკს რომ ვუსმენდი, გამოვიანგარიშე, რამდენი დღის ჯახირი დასჭირდებოდა აბანოს და მეყოფოდა თუ არა ფული, რომ დურგალს გავსწორებოდი.

ოლეშა ლაპარაკობდა ნება-ნება, წვლილად, აღარც კვერის დაკვრა უნდოდა, აღარც თავის დაქნევა. ის კი არა, შეგეძლო არც გესმინა, მაინც არ განაწყენდებოდა და ამის გამო კიდევ უფრო სასიამოვნო იყო მისი ყურის გდება. მეც ვუსმენდი, ვცდილობდი სიტყვა არ გამეწყვეტინებინა, თან მიხაროდა, როცა რაიმე საგულისხმო, მაგრამ დავიწყებულ სიტყვას ანდა გამოთქმას იხმარდა.

V

— გაზაფხული იდგა-მეთქი, გიყვებოდი... მე და კოზონკოვი ერთი კბილა ვართ, ზუსტად ტოლები, ერთად მოვაჯახირებთ ამ ცხოვრებას. აი, კოლოს გუნდი რომ გინახავს, აეგრე ვიყავით სოფელში ეს წვრილფეხობა. კოზონკოვი და იმისი ძმაც ამ ჩვენს ჯამაათში ტრიალებდა. მახსოვს, მოჭირებული ლურჯი ფერის ნიფხვები ეცვა ორივეს, პერანგები კიდე, ისე, შეუღებავი. ფეხზე, რაღა თქმა უნდა, არც იმას ეცვა რამე და არც იმას. იყვნენ გაშონგილები, ზანგებივით. ორივეს წვინტლიანებს ეძახდა სუყველა. უფროს ძმას, პეტკას, ხანდახან ზედ ქვემო ლაშზე ჩამოუვიდოდა წვინტლი, განა მოიწმენდდა, არა, ეზარებოდა, მოილოკავდა და ეგ იყო, ვითომ არც ჰქონია. ერთხელაც, მგონი აღდგომის მესამე დღე იყო, ფედულიონოკის გორაზე ავიხირხლეთ მთელი ურდო. აეგრე ვთამაშობდით: გამოვჭრიდით ტირიფის წნელებს, წვერზე ტალახის ჩიტებს წამოვაცმევდით და მოვიქნევდით, ვინ უფრო შორს გადააგდებდა. მართლაც შორს მიდიოდა, ზოგი მდინარის გალმაც დავარდებოდა ხოლმე. რაც უფრო პატარა ჩიტი იყო, ძარჯვედაც ისროდი და გაფრენითაც უფრო შორს მიფრინავდა. ამ ვინიას კიდე, სულ სხვაზე წინ დგომა უყვარდა; მოასორსოლა კაი ნახევარი გირვანქა ტალახი, დასვა წნელზე, მოიქნია და ზედ ფედულიონოკის ფანჯარას არ დღლიზა? ეგრევე შელეწა მინები. კაი დაგემართოს, დავიზაფრეთ ყველაკა. მალევე მოვეგეთ გონს და, ჰარიქა, ვინ წინ და ვინ უკან, გავკურცხლეთ შენი მოწონებული.

გავიხედოთ, გამოვარდა ფედულიონოკი, ისე იყო გაშეთებული, აგერ-აგერ კაცს მოკლავდა. ჩვენ კიდე, გავიფანტეთ მინდორში, ფეხშიშველები მივტოპავთ ტლაპოებში. მეც აეგრე, გავრბივარ და გავრბივარ. ერთი მოვიხედე, მოგვდევს ფედულიონოკი, პერანგი აცვია, ჩექმებს მოაბრახუნებს... ვიცი, ჰა, და ჰა, დამიდგება ალსასრული, გამანიორწყალებს სადაცაა. მომყივის: დადექ, შე არამზადა, სულერთია, მაინც ვერსად წამიხვალო. მართლაც დამეწია და ვაი იმ დაწევას, დათვივით დამცხო ტორები, დაძჯეგა და დამბუბნა. არაფერი მახსოვს, მარტო ეს ვიცი, აი, ღორს რომ დანას გამოუსვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენ და ხელს ვერ მოუთავებენ, ისე ვჭყვიროდი. ნაღდად სულს გამაცხებინებდა, მამაჩემი რომ არ მოვარდნილიყო და არ გადავერჩინე. ეტყობა, გაიგონა ჩემი ბღოჭინი, კავი კვალში მიატოვა და სწორედ სულზე მომისწრო.

კარგი, მომეშვა ფედულიონოკი, მაგრამ რა გგონია, საშველი დამადგა? იმაზე მეტი მამაჩემმა მითაქა. ეს ოხერი, მე რომ ჩამემსხვრია ფანჯარა, ჯანდაბას, არ მეწყინებოდა, მაგრამ აკი როგორ იყო ყველაფერი? ახლა ალარ იტყვი, ვინკა რანაირად გადარჩა? წვინტლიანი უძახე შენ, არადა, რომ გაუჭირდა, კი გამოაჩნდა ჭკუა და მოხერხება. მერე აქეთ გვეტრაბახებოდა: ფედულიონოკი რომ გარეთ გამოვარდა, მე ფეხიც არ მოძიცვლია, იქავე ვიდექიო. აი, აგერ გარბიან, მინდორშიო, უთქვამს. მეტი რაღა უნდოდა, გამოიქცა ეს ამხელა ოყლაყი და რა დიდი დასაჭერი მე ვიყავი.

ვინია კიდე, — ნეტამც რამე დამართოდა! — გადარჩა, ბეწვიც არ შერხევია თავზე. ორივე მუქთახორები იყვნენ ეგა და პეტკა. მარტო შეშის დაჩეხვა იცოდნენ, ხერხს გასწევდნენ და ეგ იყო. ალარც მამა აძალებდა მაინცდამაინც საქმეს, თავადაც ერთი ხელგაუძრავი კაცი იყო, საქმეს თავს არ მიაკლავდა. უფრო სჯა-ბაასი უყვარდა და სულ ღუმელზე გორაობდა ზამთრობით, ზაფხულში კიდე, იმდენს თივას არ თიბდა, რამდენსაც სათევზაოდ დაიარებოდა. ისა და მამაჩემი ერთ დღეს დაბრუნდნენ იაპონიის ფრონტიდან. მამაჩემი კოჭლი ჩამოლანღალდა, კაი ცხავივით იყო სულმთლად დაცხრილული, კოზონკოვს — თითიც არ გაკაწვრია, საღსალამათი ჩამოვიდა. მეზობლები ვიყავით, გვერდი-გვერდში გვედგა ქოხები, მიწაც ერთნაირად გვქონდა იმათ და ჩვენ, რაღაც ორ-ორი მტკაველი. მახსოვს, მამაჩემი გულისხმაში აგდებდა: მოდი, ტყე გამოვკაფოთ საზიაროდო. რა შავ ქვად მინდა ეგ ტყეო? — თქვა თურმე კოზონკოვმა. — სანამ ცოცხალი ვარ, რაცა მაქვს. ისიც მეყოფაო: ეს ბიჭები თუ დაიზრდებიან, თავად გაანძრიონ ტვინი, მაგათი ღლაპი ხომ არა ვარ, რომ მაგათ საქმეზე თავი ავიტკივოო. ვერ დაითანხმა მამაჩემმა და მარტოკამ გამოკაფა ის ახო. საწყალს მთელი ღამეობით არ ეძინა, ებრძოდა ამ ღადაღუდა ტყეს, ორი ზაფხული სულ ხეებსა წვავდა და კუნძებსა ძირკვავდა. სელი დათესა იმ ახოზე. მახსოვს, სელი რომ შემოვიდა და პირი გაიხსნა. ხატობაზედაც არ გაგვიშვა ბალღები, დაგვსხა და ის სელი გვახვეწინა. მერე კაი მაგარი ცხენი იყიდა იმ სელით, კარიუხას ვეძახდით. მახსოვს, როგორც კაი პატარძალს, აეგრე დაჰკანკალებდა იმ ცხენს, არაფერიც რომ არ სდებოდა მარხილზე, ალმართში მაინც ძირს ჩამოვიდოდა და ფეხით მისდევდა, მარტო თავდალმართში თუ დაუჯდებოდა. ჩვენც სულ ამას ჩაგვჩიჩინებდა. აბა, ბიჭი იყავი და ოთხით გაინავარდებდი მინდორში!

ახლა, კოზონკოვებს არ იკითხავ, ძმებს? როგორც ძაღლს. აეგრე ქეტით აბღეზებდნენ თავიანთ რიჟუხას. ისიც მაგარი ცხენი იყო, მაგრამ რა გინდა, იმდენი უქნეს, ნახედნზე დაარწყუულეს ყინულჭრილში და კიდეც დაიწყო ხორცის დაყრა. ცოდვით დაიწვოდი: იდგა საწყალი, საათობით იდგა და ტიროდა. მერე მაგათმა მამამ აიღო და ვიღაც ბოშებს გაუცვალა. თან ფუთიანი ბურვაკებიც გამოუთანიერეს. არადა, ისეთ მთხლეში გაცვალა, მიწის ხვნა კი არა, ნაკელსაც ვერ აზიდვინებდი. ცოტა ხანში კიდევ მოკვდა ეს ბოშების ბედაური, თავისი დღით, სიბერით. კოზონკოვმა რაღა ჰქნა? რა და, სულ ფეხებზე ეკიდა, უფშტვენდა არხეინად. ზოგჯერ კიდე, ისეთი დღე

დაუდგებოდათ ხოლმე, აღარაფერი ებადათ, სულ გამოხინკული ჰქონდათ სახლი. წავიდოდა მამა-კოზონკოვი ფულის სასესხებლად, ერთს გამოართმევდა, მეორეს გამოართმევდა, მეოთხის ნასესხებს მესამეს ჩააესესხებდა და აეგრე გაჰქონდათ თავი. ერთხელაც, ისეთი დრო დაუდგა, ყველასი ვალი ემართა და აღარსად ჰქონდა მისასვლელი პირი, მარტო ფედულიონოკთან არ იყო ნამყოფი. მივიდა ფედულიონოკთანაც. დამსხდარან სახლში, პატარა ლუმელთან, თუთუნი გაუხვევიათ. კოზონკოვმა სთხოვა ფული, თან ჯიბიდან ასანთი ამოიღო და იმით მოუკიდა თუთუნს. არაო, კოზონკოვ, მე შენ ფულს ვერ მოგცემო, უთქვამს მაშინ ფედულიონოკს. კი მაგრამ, რატომაო, ჩაჰკითხვია კოზონკოვი, თითქოს შენიანი ვარ, ერთ სოფელში ვცხოვრობთ, რომელი ცხრა მთას იქით გამქცევი მე მნახეო. ფედულიონოკმა კი უთხრა: თავადაც ვიცი, ცხრა მთას იქით გამქცევი არა ხარ, მაგრამ ფულს მაინც ვერ გასესხებო. მერე თურმე ცხელი ნაკვერჩხალი გამოჩხრიკა ლუმელში, დაიდო ზედ შიშველ ხელისგულზე და პირდაპირ იმით მოუკიდა. აი, კოზონკოვ, ასე ადამიანურად როცა ისწავლი მოკიდებას, მაშინ მომაკითხე და, ჯანდაბას, სიტყვას არ ვიტყვი, უკანასკნელ კაპიკსაც შენ გამოგიღებ და მოგცემო.

ხომ ასე წელმაგარი გლეხი იყო, ზოგ წელიწადს სამ ძროხასაც კი ყოლიობდა, არადა ერთი ღერი ასანთი რა არი, იგიც კი გამოიზოგა, ცეცხლზე მოუკიდა. არ მისცა ფული, გააწბილა. ადგა მაშინ ეს შენი კოზონკოვი და ვითომც არაფერი, წავიდა. მე, რა კაცი ხარ, ის მინდოდა, თორემ შენი ფული რად მინდაო, უთხრა. იმდენი მამა უცხონდა, არ უნდოდა!..

მახსოვს, მე და ვინკა თორმეტი წლისანი გავხდით, საბრევლო სკოლა დავამთავრეთ. ვინკამ რაც კი თავის კალოზე ჭიშკრები ჰქონდა, სულ დედის გინებებით ააჭრელა. ბავშვობიდანვე ისე კარგი წერა იცოდა, შემიოცხვენია ერობის უფროსი. მე კი მამაჩემმა მარტო ანეულის ხვნა მასწავლა. შემიკაზმა ერთ დღეს კარიუხა და მიმაყენა სახნისს: აი, ოლეშა, აგერ ეს მიწა, აგერ ეს გუთანი, თუ საღილობამდე ეს ნაპირი არ გამოგიხვნია, მოვალ და ორივე ყურს ავახლეჩო. თვითონ სოფელში წავიდა, ახლა რომ აგერ სახლი გვიდგა, ამას აშენებდა მაშინ. განა რამხელა ვიყავი, დიდი-დიდი, ჰა, მაჭს ვწვდებოდი. აჩუ, შენი ჭირიმე, მივყვეთ-მეთქი, ვუთხარი კარიუხას და მივყევით. ჭკვიანი ცხენი იყო, თვითონ მასწავლიდა, საცა გეზად მიმყავდა კვალი, მისწორებდა. მივყვებოდი და სულ შიშის კანკალი მქონდა, ემანდ სახნისი ქვას არ მომიხვდეს და კვალიდან არ ამომივარდეს-მეთქი. სანამ კვალს მივდევდი, კიდევ რა მიშავდა, მაგრამ საქცევზე როცა გავიდოდი, საცა უნდა მოვბრუნებულიყავ და სახნისიც მომებრუნებინა, გული შიშით მიცივდებოდა. რა დიდი ჯანი მე მქონდა, ისე გამიჭირდა, ლაბის სიქა გამძვრა. ამ კოლოებმაც სულ დამკბინეს, ხნულში ველარა ვდგებოდი, განგან მივქანჯალებდი. ჩავბღაოდი ამ ჩემს მშობლიურ მიწას, ჩავბღაოდი და თვალებში სინათლე მელეოდა. კარიუხა კიდე, იდგა და მომჩერებოდა: ეტყობა იმასაც ვეცოდებოდი ეს ძუძუმწოვარა ლლაპი. კი გავიტანე ის ნაპირი, მაგრამ ვატყობდი, ამ ქვეყნისა აღარ ვიყავი. ხელ-ფეხი მიბღანკალებდა, ენა სასაზე მიმახმა. ცხენი თვითონ გაჩერდა, მე კი დავჯექი პირდაპირ მიწაზე და აი, დასახრჩობ კაცს რომ წყლიდან ამოიყვანენ, აეგრე ვქასქასებდი, მთელი ყარყანტოთი ვხაპავდი ჰაერს, ცრემლი ლაპალუპით მდიოდა. ვიჯექი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვტიროდი. ველარც გავიგე, ისე მოსულა მამაჩემი, გვერდში მომჯდომია და ატირებულა თავადაც. ხელები თავზე ჰქონდა შემოჭდობილი და მარტო აეგრე ამბობდა: ეჰ, ოლეშკა, ოლეშკაო...

შენ თვითონ განსაჯე, კოსტია, ეს რვასულიანი ოჯახი, მარჩენალი კი მარტო ერთი ღინკილა კაცი, იგიც იაპონური ხიშტით გაფატრული. იმუშავე, შვილო, მითხრა, რამდენსაც შეიძლებ, იმდენი მოხანიო. მეც მეტი რა გზა მქონდა, უნდა მეხნა. წავიდა მამაჩემი და მეორე ნაპირის ხვნა დავიწყე...

კოზონკოვებს, ხომ გითხარი, ჩვენს გვერდით ჰქონდათ ყანა. მამა-კოზონკოვიც გუთანს ეკიდა, ხნავდა, ვინია კიდე, უკან მიჰყვებოდა და ნაკელს აპნევდა ხნულში. გავხედე, მამამისი ბუჩქებში შევიდა რაღაც პატარა საქმეზე და მომაშურა ვინიამ: ოლეშკა, მომბეზრდა ეს ნაკელის პნევა, კრაზანებმა დამკბინეს, ნეტა მდინარეზე წავიდოდეთო. ეჰა-მეთქი, ვუთხარი, შენ იმდენი რა საქმე გაქვს, ნაკელის პნევა რა არის, შენს ალაგას მქნა, სულაც არ ვიწუწუნებდი-მეთქი. თუ გინდა, ახლავე გავითავისუფლებ თავსო. წავიდა, სანამ მამამისი ბუჩქებში იყო, აიღო ხნულში ქვა და რაღაც ნაჩქინტელა შეაკვეხა სახნისში. მოვიდა მამამისი, სახნისი კი არა და არ მიდის, უყარე კაკალი! რამდენსაც გაიწევს, იმდენი კვალიდან ამოვარდება ხოლმე. არადა, არც სახნისის გამართვა იცოდა. წავიდა, ფედულიონოკს ვთხოვ, მიშველისო. სანამ აქეთური, იქეთური, გავიხედოთ — სადილის დროც მოვიდა, ცხენებს უნდა ვაჭამოთ. ვინიასაც ეს უნდა, სიხარულით აღარ არი. ისე გაიწაფა ამეებში, ცოტა რომ შეფერხდებოდა სადმე მამამისი, ეს იმწამსვე პალოს შეუჩხირავდა სახნისს და გახეშავდა. იდგა სახნისი და ვინკაც თავისუფალი იყო. თიბვაზეც ასე, სულ მზეზე იყო მიჩერებული, ტყისკენ როდის გადავაო. ანდა: დედამისი რომ ტყეში წაიყვანდა შეშის საჭრელად, მუშაობა დაეზარებოდა და ცულს დაუმალავდა ხოლმე დედამისს.

ოლეშა დადუმდა, რათა სული მოეთქვა. მორიგ წოლს თლიდა აბანოს გასათარაზოებლად. მე კი იმას ვფიქრობდი, ლაპარაკი თურმე ყოველთვის როდი აბრკოლებს-მეთქი მუშაობას. ჩვენს მაგალითზე პირიქითაც კი იყო, იფიქრებდი ლაპარაკი ეხმარებაო დურგლის ხელებს. თავის მხრივ, მუშაობაც აცხოველებდა ლაპარაკს, ახალი და ახალი მაგალითებით კაზმავდა. აი, თუნდაც: ჩარჩო რომ გამოვიღეთ და მინა გაგვიტყდა, ოლეშას მაშინვე გაახსენდა, რა შავი დღეც დააწია ვინკას განატეხმა ფანჯარამ: გაუყვა ამ ამბავს. მოგონებას მოგონება მიაყოლა და ასე თანდათან შევიდა ეშხში... რაღაცნაირი ჯაჭვური რეაქცია გამოვიდა. შეუჩერებლივ განაგრძობდა თხრობას და მივხვდი: უკვე უზრდელობა იქნებოდა, არ მესმინა ძველი დურგლის ნაამბობი.

VI

— ჰოდა, სულ ამ ფანჯრის ამბავი მედო გულში, ვერა და ვერ დავუვიწყე. სულ ამას ვაყვედრიდი. მერე ის იყო, პირველად ვქენით ჩხუბი. გცემ-მეთქი, ვუთხარი. მიდიო. მართლა გცემ-მეთქი. ჰოდა, რაღას უყურებო. დავეტაკენით ერთმანეთს იმათ კალოზე. შემიტყვეს შინ და ისევ გატყე-

პა მომიწია: რათა ჩხუბობო. სულ ამ წვინტლიანის გამოისობით მცემდნენ ხოლმე. ერთხელაც, დედაჩემის და მამაჩემის ლაპარაკს წავკარი ყური, კოზონკოვს გაწკეპლვას უპირებენო. გამიხარდა, აგრეც მოუხდება-მაგ ვინიას, აბა სულ მე ხომ არ უნდა გამჯოხონ-მეთქი. მაგრამ, დახეთ, თურმე ვინია კი არა,მამამისი უნდა გაროზგონ. გადასახადი ვერ გადაუხდია და ამაზე მიუსჯიათ. კი შემეცოდა, რაც მართალია. პატარებს რომ როზგავენ, არაფერი, ისედაც გვეკუთვნის წესით, მაგრამ დიდი კაცი წამოაქციონ და შიშველ ტანზე როზგი ურტყან, გაგონილა?

თემის თავი გვყავდა ერთი, კირილო კუზმიჩი. ერთცუცხა კაცი იყო. თავისდღეში გამგეობაში იჯდა უცვლელად. ხელის მოწერაც კი არ იცოდა, მარტო ჯვარს დასვამდა ხოლმე ქაღალდზე, მაგრამ რა გინდა: სამკუთხა ქუდი და ხიფთანი ჰქონდა მეფისაგან ნაბოძები, რაკი დიდხანს ემსახურნა. ეს კირილო კუზმიჩი, ერთი მწერალი და ერთიც ჩაფარი — მთელი უფროსობა ეს სამი კაცი იყო. მთელს თემზე სამი კაცი. ხუთასი კომლი კი ვიყავით თემში.

ეს კირილო კუზმიჩი მუდამ ხელს აფარებდა ხოლმე კოზონკოვს. ბევრჯერ გამოიხსნა, მაგრამ ახლა კაზაკების რაზმი იყო მაზრიდან შემოწმებაზე. ზოგს ძროხა წაართვეს გადასახადში, ზოგს ხბო, ამ კოზონკოვს კიდე, რა ებადა, ადგნენ და ისევ გაროზგვა დაუნიშნეს. მამაჩემმა არ გამიშვა საყურებლად, რა სანახავი ეგაა, თავის მოჭრა და მოჯაყვაა, მეტი არაფერიო. ვინკა რაღას დადგებოდა, გავარდა სასეიროდ. ხომ უნდა ეტრაბახა მერე ჩვენთან, ვნახე, მამაჩემს როგორ როზგავდნენ, აეგრე იყო მორებზე დაფსკვნილი და აეგრე იჭინთებოდაო... ეეხ, დედაო რუსეთო! ჰოდა, გაროზგეს ეს შენი კოზონკოვი. ახლა, აღარ იტყვი, რა ჰქნა? იქვე, თათარიახნად ფუღი ესესხა მწერალს და ცელი იყიდა. მოდიოდა შინ და სულ ჩასკვნილ-ჩამარყუჟებულ სიმღერებს მოიმღეროდა. ბუნტყული აღარ შეარჩინეს კაცს თავზე და მაინც ქუჩურ სიმღერებს უჭახუნებდა... მაშ!

მახსოვს, დადგა ჩვენი დროც და მე და ვინკამაც დავუწყეთ გოგოებს თვალების პრაწვა. ცამეტ-ცამეტი წლისანი ვართ ორივე. ერთი რაღაც ადგილი უკვე კეტივითა გვაქვს გაბრიქებული. ერთხელაც, მახსოვს, შემოდგომა იყო, საცაა დაფარნა მოაწევდა. ბნელი ღამეები იდგა, გეგონება კუპრში ჩაუშვიათ მთელი სოფელიო. შეშას ვაწყობ კალოსთან. გავიხედოთ, ეს ვინკა მოვიდა. აგერ მოდექ, რაღაც გითხრაო. რა-მეთქი? აი, წამო და ნახავო. ჩავკეტე კლიტით კალო და წავყევი. შაბათ-დღე იყო, ბინდი იწყებოდა. ჰაერი სულ ორთქლით იყო დაბურული და კვამლის სუნი დიოდა. ეტყობა, ეს-ესაა აბანოები გაეხურებინათ. წამომყეო, კიდევ მეჩურჩულება. სადა-მეთქი? ახლავე ნახავ, სადაცო.

გავყევი. გადავიარეთ ბოსტანი. ისე ბნელა, თითს ვერ მიიტან თვალთან. ერთი სხვა ბოსტანიც გავიარეთ. უცებ რაღაც ლატანი გამიტყდა ფეხქვეშ, ტკაცანი გაიღო. ვინიამ ჩამჩურჩინა: ჩუმად, შე ბოთე, არავინ გაიგოს, ისე გამოიარეო. მივიპარე ჭურდივით. ვხედავ, რაღაც ნაშენია, ბგონი ფედულიონოკის აბანო უნდა იყოს. შიგნით კვარი უნთიათ, შუქი ჩანს პატარა სარკმელში. ღუმელის ქვებზე წყალი შიშინებს და ლაპარაკიც გვეყურება. თურმე, ფედულიონოკის გოგოები ბანაობენ. დაიკუზა ეს ვინკა, ხვად კატასავით გამოძვრა მოფარებულიდან და მიადგა ამ სარკმელს. აბანოში იჭყი-

ტება, ქუდი აეგრე აქვს ჩამოფხატული. მე კიდე, ვდგავარ გაშეშებული, სრულ ჭკუაზე არა ვარ. გაიწია ვინკა, აწი შენ უყურეო. ოლონდ დიდხანს ნუ, მეც მინდა კიდევო. გეგონება, მაგნიტი მეწეოდა, გადამავიწყდა ყველაფერი, ტანში კიდე, მთლად კანკალი მქონდა შემდგარი. გადახედვით კი გადავიხედე, მაგრამ ისე გავხდი, თითქოს მდუღარე დამასხეს ტანზე. კი ვიცოდი, ცუდს ვშვრებოდი, მაგრამ საკმლიდან მოცილება არ გინდა? ვის ჰქონდა ამის ძალა. ფედულიონოკის გოგოები იყვნენ, კვარი ენთოთ და აეგრე სინათლეში ხვანჩალობდნენ. ერთი რაისკა ვიცანი, მეორე — ტანკა, იმის უმცროსი დაი, ჩვენი ტოლა. ორივენი თეთრყირმიზები, ვარდისფერები. გავხედე, რაისკამ ახალ კვარს მოუკიდა, დგას შუქში, გათანთალებული აქვს ბაყვები. ტანკას კიდე, აი, თეთრი თალგამი როა, ისეთი ფეხები... ვუყურებდი და ტანიან-ფეხიანად ვკანკალებდი. აქეთ ეს ვინკაც მექაჩებოდა, აწი მეო. არადა, საკმელი ძლივა დგას, მინაც ფომფლოდაა ჩარჩოში და თუმე მთელი ეს ჩვენი უნამუსო ფხაკური ისმის... ჩაჯდნენ უცებ ორივენი და ჰოი, რა იმწვიტინეს! წმიდაო ღვთიშობელო, გადმოვხტი საკმლიდან, დავაწყდი ამ ვინიას, გადავაფრინდი თავზე და გაყინულ კვალში ვკარი ცხვირი. წამოვხტი და მოვყურცხლეთ, გეგონება ნიშადური ამოუცხიათო. შევშლიგინდით კომბოსტოებში, ღობეს გადავევლეთ და გავვარდით ამ ჩალუსკუმებულ ღარდალურდაში. ერთ ვერსზე მოვუარეთ სოფელს, შინ ისე მოვედით.

დილაზე ვხედავ, მამაჩემი მაღვიძებს: ოლეშკა, კალოს გასაღები რა უყავიო. რას ვუზამდი, პიჯაკში მიდევს-მეთქი. არაა პიჯაკშიო. მაშინათვე თავში დამცეცხლა, გამოვფხიზლდი. ვეძებეთ, ვეძებეთ, მაგრამ რას ვიპოვიდით, ალარსადაა. ალბათ, სადმე დავკარგე-მეთქი, ვთქვი.

სხვანაირად არ ეწყობოდა, ისევ საკლიტური მოაძრო მამაჩემმა ჭიშკარს და ისე გააღო. საღამოს, გავიხედოთ, ფედულიონოკი გვესტუმრა. მამაჩემი არ იყო, სელი ჰქონდა გასაშრობი და ღამე იქ უნდა გაეთია. მარტო მე და დედაჩემი ვიყავით. აიღე, ოლეშა, ეს შენი გასაღები და მეტი არ დაგეკარგოსო, — მითხრა ფედულიონოკმა, — გუშინ აბანოში ხომ არ იბანავეო? დედაჩემმა: გუშინ სულ არ გაგვიხურებია აბანო, ღუმელია შესაკეთებელიო. მეც ვიცი, რომ არ გაგიხურებიათო, თქვა ფედულიონოკმა და ჩაიქირქილა. თითქოს ლურსმნებზე ვიჯექი, ყურებზეც ცეცხლი მეკიდა, მერჩივნა, მიწა გამსკდომოდა და თან ჩავეტანე. ფედულიონოკმა გააქან-გამოაქანა თავი და მეტი არაფერი უთქვამს, ისე წავიდა. არც გამთქვა სადმე, კაციშვილისთვის არ მოუყოლია. თავისდღეში ამას არ დავუვიწყებ. ზოგჯერ კი შემხვდებოდა ხოლმე და ჩაიცინებდა: რაო, აბანო არ გაგიხურებიაო? მერე და მერე სულ ჩამომეხსნა, ალარ გაუხსენებია ის ჩემი სიგლახე. აი, ძმაო, კოსტია, ამისთანა აბანო მომიწია...

ოლეშამ ჭაბუკურად მოიქნია და დაასო ცული. სიმშვიდე და სიბრძნე ედგა ბებრულ, ლურჯ თვალებში, მაგრამ, იმავდროულად, აშკარა სიანცე ეცხო სახეზე.

— ჯეელობაში ჩვენ მარტო ქამარზეით ვართ ადამიანები.

თამბაქო გააბოლა. გვიან ჩავხვდი ნათქვამს და ვკითხე:

— მერე რა ჰქენი, მოინანიე?

— მღვდელთან, განა?

— ჰო.

— არა, ძმაო, რა მეალსარებოდა, მაშინ უკვე აღარ დავდიოდი მღვდელთან. თუ მონანიებაა, მარტო საკუთარ თავთან უნდა მოინანიოს კაცმა. ადამიანს რომ საკუთარი სინდისი შეაწუხებს, იქ მღვდელი სად მოვა.

— მაგრამ, ვთქვათ ყველას არა აქვს ეს სინდისი?

— ეგეც მართალია, ყველას როდი აქვს სინდისი. მაგრამ არც უსინდისოდ ცხოვრებას ჰქვია ცხოვრება. დავჭამდით ადამიანები ერთმანეთს. აი, ცხონებული მამაჩემი, ვითომ არც მკაცრი კაცი იყო, მაგრამ არ უყვარდა აქა-იქა ხალხი. კაცი სერიოზული უნდა იყოსო. არც ბალღებს დააფარებდა კალთას, სულერთია, თავისი იყო თუ სხვისი. სიტყვამიაც არ იცოდა განსხვავება, რასაც დიდთან იტყოდა, იმას პატარასაც არ დაუმალავდა. ანდა, რა ჰქონდა დასამალავი? მთელი მისი ცხოვრება ხელისგულივით იყო, ყველა ხედავდა, რა დიდი ლარი და ხაზი უნდა. სიკვდილის დღემდე სულმუდამ ჯაფაში იყო კაცი. ვინც მშრომელია, იმას რა აქვს დასამალავი.

მახსოვს, ყველიერში დედაჩემმა მვრიის ბლინები დააცხო. ჯერ მამა დანაყრდა, მერე მე დავჯექი. ეგეთი უფროს-უმცროსობა ვიცოდით ოჯახში. ვიჯექი და ვჭამდი, მამაჩემი კიდე, ცალულს ბლანდავდა და მე მიყურებდა. გავძეხი ერბოიანი ბლინებით, ნიყვი სოკო მივაყოლე და ადგომასაც ვაპირებდი, მაგრამ მამამ: გაჩე, ოლეშკა, რამდენი ცალი შეჭამეო? ხუთმეტიმეთქი. აბა, დაჯექი და კიდევ დაურტყიო. არ მინდა, მამი-მეთქი. არა, ჭამეო! მივდექი ისევ, იქით დედაჩემი ისევ აცხობდა, შიშხინი გაუდიოდა ტაფას. რამდენი შეჭამეო?—ისევ მკითხა. ოცდახუთი მქონდა შეჭმული. აბა, კიდევ ჭამეო. ვზივარ და ვქანქლავ. რამდენიაო? ოცდაათი მოვასრულეთქი. კიდევ ჭამეო! რას ვიზამდი, გავაგრძელე ჭამა. ბოლოს ცალული გვერდზე გადადო და: რა ჰქენი, ოლეშკა, ორმოცდაათს ვერ გასცდი ჯერაო? ორნახევარი და ორმოცს მოვასრულებ-მეთქი, მოვახსენე. ვზივართ ასე. მოასრულეო? კი, მამი-მეთქი, ვამბობ და ძლივას ვსუნთქავ. აბა, რახან მოასრულე, მიდი, ქალო, მოუმზადე ამას თოფრა, პიტერში უნდა გავაყოლო კაცებსო! დედაჩემი აფლიქვინდა: რა დროს ამის დურგლობაა, ვერა ხედავ, ღლაპია, ცამეტი წლისა ძლივს მოიყარაო. მაგრამ მამა წამოდგა და თქვა: „აბა, დედილო, ნული წიწინებ და ფლიქვინებ, მოუტა ბიჭს ახალი ჩექმები!“ მაშინ კი, მოგეცა ლხენა, დასრულდა ჩემი დროსტარება და გულის ჯერება, მარტო ის ერთი ღამე გავათიე შინ.

თორმეტი დღე ვიარეთ პიტერამდე. ღამითაც გზას ვედექით. ვაჭმევდით ცხენებს და გავუტევდით ოსევე. მივყვებოდი ამ აცვენილ ჯამაათს და ჩემს თავს ვლანძღავდი, რა შავ ქვად მინდოდა იმ ორნახევარი ბლინის ჩახეთქვა-მეთქი. გაგიხარია, ვიქნებოდი ახლა ტკბილ ჭუკჭუკში, მივუჯდებოდი გოგოებს ჯარაზე და გავუწევდი ფარტენას. ტანკა როგორც კი გამახსენდებოდა, გული სულ ტლინკებს მაყრიდა ქურქქვეშ. აქეთ მარხილის კაცებს ვაუდიოდა ჭრიალი, იქით ცხენები ფრუტუნებდნენ, გარშემო კიდე, ტყე იყო ჩაწყვარამებული. კაი ქადასავით მიგორავდა ხეებზე წითელი მთვარე, ძუ მგელი თავის ლეგა სატრფოს გაჰყურყულებდა. ბარემ მებრალებოდა ჩემი ბეჩავი თავი, მაგრამ ტირილს ხომ არ დავიწყებდი: თუმც ჯერ ძვალი არ გამმაგრებოდა, იმხელა მაინც კი ვიყავი, ლხავილი არ დამეწყო.

ჩავედით პიტერში, მივდექ-მოვდექით. ორ მამასახლისს გავუსინჯეთ კბილი, მესამეზე გავჩერდით. ის პირველი წელი ვერაფერ ხეირს ვნახულობდი, მარტო ჭამა-სმაზე ვმუშაობდი. თავისდღეში არ დამავიწყდება ის პირველი წელიწადი, რაღაც ხოხორიკას ვაშენებდით, ექვსკუთხიან შენობას, საბრეკლო გეგონებოდა, ვიღაც ვაჭარს აეხირებინა. სულ ესენი ვართ: იარიკა, ჩვენსოფლელი კოლია სამოხინი, აქეთ—მიშა ონდრუშიონოკი, სულ ცხრა კაცი და მეათე მე, ისე, სართად, თორემ რა ანგარიშში ჩასაგდები მე ვიყავი. ცული მქონდა ჩემი და ეგ იყო. მახსოვს, მოვპირეთ ცულები და ონდრუშიონოკმა დამიძახა: ოლეშკა, აბა მიადექი მორს, ჯერ ლარი დაარტყი და მერე კოჟიჟები ჩამოათალეო. მეც ავიღე ცული და მივადექი, განგანზე გავდგი ფეხები. დავკარი ერთი და ორი. მაგრამ სულ გვერდულად ვურტყამ, განა ხაზს მივყვები, ირიბად ვუჩაჩუნებ, დედაკაცივით. რაღა ბევრი გავაგრძელო, ვჯახიროობ ასე და არაფერი გამომდის. გავხედე, კოლია სამოხინს უკვე მეორე მორი დაუწყია, მე კი ეს ერთიც ვერ მივიყვანე შუამდე. გავიხვითქე ოფლში. გავიხედოთ, დაასო ცული ონდრუშიონოკმა, მოვიდა. გაიქე, ოლეშკა, ეგერ იარიკას სამართი ლარტყა გამოართვი, თორემ რაღაც ძაან უსწორმასწოროდ თლი, ყმაწვილო. მეც გავვარდი, მივედი იარიკასთან: ივანე ძია, ონდრუშიონოკმა გამომგზავნა, ცოტა ხნით სამართი ლარტყა მათხოვე-მეთქი. კი ბატონო, ამწუთას მოგცემ, პატარა ხანს აგერ დაჯექ, დამიცადეო. ვხედავ, აიღო ერთი ჩამონაჭერი, აეგრე სწორი, კაი ერთი საქენი იქნება. ერთხანს ხელში ატრიალა, მერე ათისთავს ეკითხება: რა გგონია, მიკოლაი ევგრაფოვიჩ, ეს წავა სამართადო? არა, ივან კაპიტონოვიჩ, წვრილია. ვიდექი და ვიცდიდი. აიღო იარიკამ მეორე ჩამონაჭერი, უფრო მომსხვილო. ახლოს მოდექ, ოლეშკაო. მივედი და არ დამიწყო იმ სამართით გვერდებში ჟაჟუნი? ცალი ხელი ქეჩოში ჰქონდა მოვლებული, მეორეთი იმ სამართს ამუშავებდა. ვიკლაკნებოდი, ვსხმარტალებდი, სამართი კიდე, გადი-გამოდიოდა ამ ჩემს ტანზე.... გამასწორეს რაღა. ეს იყო და ეს, მას აქეთ უკვე აღარა ვთლი მორებს გვერდელად, პირდაპირ ლარს მივყვები. გამოთვალე, ორმოცდაათი წელია ვდურგლობ.

...ოლეშამ გუნებიერად ამოახველა.

— რას იტყვი, არ გვეყოფა ამ პირველ ჯერზე? მოდი, ძმაო, პლატონოვიჩ, შაბაში ვქნათ.

გულწრფელად გამახარა ამ წინადადებამ და მალე კიდეც წავედით ჩვენ-ჩვენს სახლებში. მრავალი წლის განმავლობაში ახლა პირველად დამეძინა მკვდარივით და ძილში, ფონების მიღმა, მთელი ღამე ტკბილი დაღლილობით მიყუოდა განახლებული კუნთები.

VII

ოლეშასთან რაც მაგარი შეტაკება მოუხდა, ავენირი აბანოსთან აღარ გამოჩენილა. ერთ დღეს ოლეშამ მითხრა, ქალიშვილი ჩამოუვიდა, ანფეა, ბავშვიანადო. ოლეშა, თურმე, აღარ დაპატიჟეს ჩაიზე... აბანოს შეკეთება ტაატით მიიწევდა წინ და გადავწყვიტე, მოდი, ავენირსაც ძოვიწვევ სამუშაოდ-მეთქი. სტუმრობაც გამომივიდოდა და თან იქნებ ოლეშასთანაც შემერიგებინა, ჩამეცხრო ბერიკაცების ყინული.

ერთხელაც, დილით გულმოდგინედ მოვიპარსე პირი და ატაცებულმა, ვითომ ერთი კაი მომრიგებელი მოსამართლე ვყოფილიყავი, ჩავიცვი თექუ-რები, — ისე მიდუღდა გულში სიქველის წყურვილი, რომ მხნედ, მტკიცე გადაწყვეტილებით გავემართე ავენირის ეზოსაკენ. ოღონდ, ეს სიმხნე მალე დაბნეულობად მექცა, რადგან ავენირის სახლისაკენ გაკვალულ ბილიკზე ვეებერთელა ნაგაზი დაყუნცულიყო. ძილმორეულივით ნაბავდა თვალებს, დუმდა. ყოველი შემთხვევისათვის ჯიბეებში ჩავიყავი ხელები, ღმერთმა უწყის, ამ ქოფაკს რა უძევს-მეთქი გუნებაში. სწორედ ეს არ უნდა მექნა: ჩემი ჯიბეებში ხელების ჩაყოფა ქოფაკს თავდასხმისათვის მზადება ეგონა და წამოიყალყა, საზარლად დაიღრინა. მაშინ კი ვიკადრე ხელების ამოღება და, თავს რომ დამცირებულად ვგრძნობდი, ხელის მტევნები ჰაერში გავაქანავსა-ვე; ვარწმუნებდი, არაფერი ისეთი არ მიჭირავს, კეთილი სულის არსება გახ-ლავართ-მეთქი...

ავენირის სახლში ახალდაბადებული ბატკნების სუნი იდგა. თვითონ ავე-ნირ პავლოვიჩ კოზონკოვი თავქუდიანი იჯდა მაგიდის კუთხეში და მესამე კლასის „დედაენას“ კითხულობდა. ღუმელზე ავენირის ბადიში, სლავკო იჯდა, არაბუნებრივი ხმით, გულგრილად და ჯიუტად ღნაოდა, თან ცდილობ-და, არ შეეწყვიტა ეს ღნავილი. აქაური ბადიში ყოფილა და არა ჩამოსული, როგორც მოგვიანებით გაიგებ.

— ავენირ პავლოვიჩ, სალამი! — ვთქვი და მაშინვე მივხვდი, ნამეტანი ხალისიანი ხმა მქონდა; გავწითლდი ცოტათი.

ავენირმა ჯერ მედიდურად გამომიწოდა ხელი და თითები მომიჭირა. რა მექნა, მეც მსუბუქად მოვუჭირე თითები. მაგრამ კოზონკოვმა ერთხელაც მოიჭირა და, რაკი ამას არ ველოდი, ისე ჩამოვჯექი მერხზე, თითქოს რაიმე ვალი მემართა მისი.

გავჩუმდით. სლავკო დაჟინებით ღნაოდა ღუმელზე, თუმცა მისი ხმის კილოში იგრძნობოდა, გულისხმაში ჩაიგდო ჩემმა სტუმრობაც.

— ქარბუქია. — ვთქვი და გავიფიქრე, საეჭვოა აქ თამბაქოს გაბოლება შევძლო-მეთქი.

— ქარბუქია. — თქვა კოზონკოვმაც.

— ქარბუქია. ხომ არ ცივა ქოხში?

— ჩემს სახლში სითბოა. — კოზონკოვმა წიგნი გადადო.

— აი, შემოვიარე... — უკვე ვგრძნობდი, დაბნეულობა მეძალებოდა.

— კარგი საქმე გიქნია.

— ცოტას ჩამოვჯდები-მეთქი...

— არ გიქნია ცუდი საქმე.

სლავკო ღნაოდა. ღუმილი ისე მჭენჯნავი და ხანიერი იყო, რომ ორი დე-დაბრის სახუმარო დიალოგი გამახსენდა, საოლქო ცენტრში რომ ერთმანეთს შეხვედრიან სეფე-მოედანზე. ერთს გაუჩერებია მეორე და გახარებულს უკითხავს: ეს შენა ხარ, მატრიონაო? ჰო, მატრიონა ვარ, შენ კი ვინა ხარო? ევგენია ვარ, გრიდინელიო. კი მაგრამ, მეც ხომ გრიდინელი ვარ, ვერ მიცა-ნიო? ვერა, ჩემო კარგო, ვერ გიცანიო, უთქვამს ევგენიას და წასულა თა-ვის გზაზე.

შევეცადე საუბარი გამება.

— ტბაზე არ ყოფილხართ, ავენირ პავლოვიჩ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ძმაო, არ ვყოფილვარ, დრო უნდა ყველაფერს.
— ჰო, ყველაფერს დრო უნდა, თავისთავად იგულისხმება.
— დრო უნდა და დროება. — ავენირმა ჩაახველა.
— რაღა თქმა უნდა...
— საქმეც ეგაა.
— მაშ-მაშ...

მწუხარედ შევათვალიერე სახლი. სლავკო ჯიუტად და გეგმაზომიერად განაგრძობდა ღნავილს, თითქოს ხელწერილი დაედო — გაზაფხულამდე უნდა ვილხავლოთ. ვოლუნტარიზმის დროინდელი გაზეთებით გაწებილი ჭერიდან საგანგებო შრიფტით აწყობილი საერთო სათაურები იმზირებოდა, იატაკი დაუგველი იყო. კედელზე გესლიანად წიწინებდა საათი — იძდენად ნაძვის გირჩისებრი საწონებით არ მოძრაობდა, რამდენადაც ზედ ჩამობმული საბელლე ბოქლომით. საათის გვერდით კედელზე ეკიდა ფიროფიცარზე სახელდახელოდ მიწერილი შეგონება: „ნუ მოსწევთ, ნუ დაანაგვიანებთ!“ — თანაც „ნუ“ ნაწილაკი ორივე ზმნას საერთო ჰქონდა და თავში ედგა.

მეტისმეტად ბრიყვულ ყოფაში ვიყავი ჩავარდნილი. ანაზდად ევდოკიამ მიხსნა, ავენირის მეზობელმა. დედაბერი საგანგებოდ, ხოლო მისი სიტყვებით რომ ვთქვათ — სხვათაშორის მოვიდა, რათა შვებულებით ჩამოსული ავენირის ქალიშვილი და მისი ბავშვი ენახა. არადა, გამოიძიკვა, იგი ბავშვიანად სტუმრად წასულა მეზობელ სოფელში, ნათესავებთან. ასე რომ, ევდოკიას ტყუილად მოუწია გარჯა. ამაზე ევდოკია კაიხანს ოხრავდა, მერმე თქვა: კიდევ შემოვივლით. სანამ გავიდოდა, ლუმელს მიეახლა, საცა ავენირის ბადიში იჯდა, აღნავლებული. ნუ იტყვით, თურმე გუშინს აქეთია ტიროდა, რაკი ისიც არ გაიყოლეს სტუმრობაში.

— სლავკო, რაა სულ რომ ტირი? — ევდოკიამ ტაში შემოჰკრა. — დილით ვიყავი, ტიროდი, ახლა მოვედი და ახლაც ტირი, კარგია განა? დაისვენე, ბატონო.

ლუმელზე სიჩუმე ჩამოვარდა. სლავკოს თითქოს კიდეც გაეხარდა, რომ გააჩერეს. ყოყმანით ამოიფშლუკუნა:

— დავისვენებ, ბებილო, კარგი?
— კი, ბატონო, დაისვენე. — მოუგურგურა ევდოკიამ.
— მერე კიდევ ვიტირებ.
— კიდევ იტირე, ოღონდ ახლა დაისვენე. — ევდოკია წასასვლელად მოემზადა.
— ევდოკია, დუქანში ხომ არ მიდიხარ? — ჰკითხა კოზონკოვმა. — იქნება არაყი მიყიდო, ჩაის მივაყოლებდი.
— რატომაც არ გიყიდი, კი, გიყიდი. დიდი დრო არ უხდა მაგას.

ავენირ პავლოვიჩმა განჯინა გამოაღო და საშაქრეში მანეთიანი და ხურდა ფული გამოჩხრიკა. მივხვდი, მოდგა ჟამი ჩემი მოქმედებისა: უკანა ჯიბეში ორი თითი ვიტუცე და ფიცხლად დავაძვრე სამმანეთიანი...

გატყდა ყინული. ევდოკია გავიდა, მე და ავენირმა კი „ძიპკა“ გავაბოლეთ. უკვე როგორღაც შვებით ვსუნთქავდი, თუმცა ლუმელზე მჯდომი სლავკო ამასობაში კვლავ აზლუქუნდა.

კოზონკოვმა მკითხა, სად ცხოვრობ და რამდენი დღის შვებულება მოგცესო. ოცდათხი დღე, კვირეები არ ეთვლება-მეთქი, მივუგე. ავენირმა

თამბაქოს ბოლი გამოუშვა პირიდან და თქვა: უწინ, მენარდეს რომ დურგლად ვედექით, შვებულებას ვინ მოგვაშავებდაო. მერე სიგარეტი შემოქონ.

— თამბაქოს მიტოვებას არ ფიქრობთ, ავენირ პავლოვიჩ?

— აბა, რად უნდა მივატოვო? — ავენირს ხველება აუტყდა. — იმიტომ კი არ მივეჩვიე, მერე რომ თავი მიმენებებინა. აი, წინათ, თუ კაცი მწევალი არ იყო და დურგლად გასვლა მოუწევდა, პირდაპირ ხათაბალაში ვარდებოდა: დასხდებოდნენ კაცები მოსაწევად, შენ კი უნდა გემუშავნა, ვერ დაჯდებოდი. აგერ, ჩემმა გოგომ მითხრა, ხომ მოგკლავს მაგდენი წევაო. მე კიდე, ვუთხარი: მოვკვდები და გზაც იქით მქონია-მეთქი. როგორი ამბავია: არაც გიყვარს, იმას თავი გაანებო კაცმა. მახსოვს, ქირაზე წავედით სამი კაცი. მე და სტიოპა ვართ; ხარებიდან კუზმაობამდე ოთხმოცდაათ-ოთხმოცდაათ მანეთად გავურიგდით მენარდეს (თავიდან ვერ მივხვდი, ის მესამე კაცი თუ ოლეშა სმოლინი გახლდათ). მენარდე ჩვენებური იყო, ადგილობრივი, ნამდვილი ძაღლი. მზის ჩასვლის მერეც გვამუშავებდა. ერთხელ ისე გავმწარდი, მივაგდე ცული, დავჯექი და გამოვაცხადე: არა, ბაბაია, მზის ჩასვლის მერე მე ლოგინში გამიგია მუშაობა-მეთქი. გავირჭე ქამარში ჩემი ცული და წამოვედი, საცა ბინაზე ვიდექით. დავიბანე ხელები, — აღარ ჩანს ეს შენი სტიოპა. არადა, ცულების კაკუნი მეყურება. კარგი, დამაცა, გასწავლი ჭკუას-მეთქი, ვიფიქრე. დამიხედეთ ამ მუშაკაცს, როგორ ეთითლიბაზება უფროსს-მეთქი. ერთი იქაური ძმაკაცი მყავდა, კაი მარდი ვიღაც, მახსოვს, სულ ქათმების პარვაში იყო. მიეპარებოდა ასე, შეღამებულზე და ისე დააცხრებოდა, ზოგ ქათამს კვერცხს მოაგდებინებდა ხოლმე. დღესასწაული შემოდიოდა, ლუდის ხდა. გავიდე უნდა, გავისეირნო. არადა, საჭმლის საქმე გვქონდა ჭაკად, დიასახლისი შეგვხვდა ვიღაც წუწურაქი, სულ მაგიდის ქვეშ ჩრიდა დანას, ემანდ ზედმეტი პური არ მოიჭრანო. ერთხელ, დღესასწაული ჯერ არ მოსულიყო, ფარდულშია ეს ჩვენი დიასახლისი. ვიცოდი, გაიგონებდა და ვთქვი: თითი რომ გავატოკო, ისე ვიზამ, ამ ეზოში ერთი საყოლიც არ გაიჭაჭანებს-მეთქი. კი გაიგონა, მაგრამ მაინც არ შეუშვა ყურში, ისევ ცულად გვაჭმევდა. კარგი-მეთქი. ერთი გოჭი ჰყავდა. წავიდა სამუშაოზე და მითხრა, ამ გოჭს მიჭმიეო. ავდექი და სალაფავი მიწაზე დავლვარე, საღორეში კი კაი მაგარი კეტით შეველი. ისეთი დღე დავაწიე ამ შენს გოჭს, სულ კედლებზე გადიოდა. მოვიდა დიასახლისი: რა ჰქენი, ავენირ, გოჭს მიჭმიეო? ძაან კარგად ჭამა-მეთქი. შევიდა საღამოს საღორეში და აღარ ეკარება გოჭი, კედლებზე გადის. ეტყობა ცოფიანია, უნდა დაიკლას-მეთქი, მოვახსენე. რა გზა ჰქონდა, ივიშვიშა, მაგრამ დაკლა მაინც. სათოხლავი გვქონდა — ნული ეტყვი...

მალე ევდოკიაც მოვიდა ხელდამშვენებული. ავენირმა გამოფინა სუფრაზე „სათოხლავი“, ბარემ ველარ ჰგავდა იმ დიასახლისის სუფრას. ევდოკიამ დაიმორცხვა და აღარ დაქცა, წავიდა, ხოლო ავენირმა სლავკოს დაუძახა სადილზე. სლავკო ჩამოსვლით კი ჩამოვიდა, მაგრამ ღნავილი არ შეუწყვეტია. მაშინ ავენირმა არაყი დაუსხა ჭიქაში და მისცა. სლავკომ მაშინვე თავი ანება ტირილს და მოსაჭახუნებლად გამოიწოდა ჭიქიანი პაწია ხელი. მეორეში — კამფეტი ჰქონდა ჩამუჭული...

კოზონკოვმა დაუტატანა:

— უცებ არ დალიო სულ!

შეპასუხება ვცადე: ბიჭუკელა ექვსი ან შვიდი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ კოზონკოვმა ყურიც არ გააპარტყუნა, ხუმრობად თუ მიიღო ჩემი ნათქვამი. ორივეს მივუჭახუნე ჭიქა... სლავკომ გადაჰკრა, მოიზლარბა, სახე დაუმახინჯდა, მაგრამ სასმელი მაინც ვაიჩერა შიგანში და, ბედნიერმა, შიშით შეხედა ჯერ ბაბუამისს, მერე მე. ლაპალუპით ჩამოსდიოდა ცრემლი, მაგრამ მაინც იღიმებოდა გამარჯვებით გახარებული. ისევ ვუსმენდი ავენირს და ხეირიანად ვერც ვიგებდი, თუ რას ამბობდა...

VIII

ჰოდა, იმას გიყვებოდი, მოვიდა ლუდის ხდა. ჩავხეთქეთ ის ჩემი მონაგარი საჭმელი, ავდექი და სალესი ჩავიდე ჯიბეში. წავედით მე და სტიოპა ჯარობაზე, ოლეხა დარჩა, აღარ წამოვიდა. გავიარეთ, გავედით მინდორში. ამოვიღე ეს ჩემი სალესი, ვთხლიშე ქვეშაში ამ შენს სტიოპას, წაიქცა მაშინათვე. მივდექი და ვჟეჟე და ვჟეჟე შენი მოწონებული. ძლივს დამშპა ხელიდან ის უდღეური, გაიქცა. მეორე დღეს მივედი სამუშაოზე, მენარდე მეუბნება: წადი, საცა გინდა, მე აქ მაჩხუბარი ხალხი არ მჭირდებაო. სად წავიდე?

კარგი. გავურიგდით მე და სმოლინი ერთ ვაჭარს, ეკლესია ჰქონდა ასაშენებელი... ვიყავით კვირანახევარი, მორებსა ვთლიდით. ერთხელ, ავდექით და გოგოებში წავედით დროის გასატარებლად. ერთი ათშაურიანის მეტი კაპიკი ფული არა გვაქვს. ოლეხას ვეუბნები, მომე ეგ ათშაურიანი, კამფეტებს მაინც ვიყიდი, შენ წინ იარე და ახლავე დაგეწევი-ძეთქი. შეველი დუქანში. ბნელა, ის ხანია. ლამპა კი ანთია, ისე კაცი შვილი არ ჩანს დუქანში. ახლა, აღარ იტყვი მე ახირებული რასა ვშვრები? რას და ვდგავარ ერთხანს, მერე ვიღებ დახლიდან ერთ თოფ ჩითს და ეგრევე ვიჩურთავ უბეში. ეს რომ ვქენი, ავიღე საწონი და დახლზე ავაბრაგუნე, არავინა ხართ აქ-მეთქი? მოირბინა პატრონმა, სიხარულით აღარ არი. ჰოი, რა მადლობელი ვარ შენიო; ეს ნოქარი სტუმრად წასულა, დუქანი ღიად დაუგდია, შენ რომ არ ყოფილიყავ, ხომ გამოხიკავდნენ ყველაფერსო. ახლა მითხარ, ვაჟკაცო, რა გინდა, რითი გადაგიხადო ეგ შენი სიკეთეო. ვუთხარი, კარგი იქნება ერთ ბოთლ არაყს, ცოტა პაპიროსს და კამფეტს თუ მომცემ ამ საზეიმოდ-მეთქი. რატო ორი ბოთლი არ მომცა, თან სამი კოლოფი პაპიროსი, კაი ნახევარი გირვანქა კამფეტიც გამიხვია. მადლობასაც მიხდის აქეთ: ხომ გამფცქვნიდნენ, შენ რომ არ მოსულიყავიო.

...კოზონკოვი ჭიქების შევსებასაც ასწრებდა და სიგარეტსაც განუწყვეტლივ აბოლებდა. ამასობაში ელსადგურმა დენი ჩართო და შუქი მოვიდა.

—„ილიჩის ნათურა“ არ დადგი? — მკითხა კოზონკოვმა. — ჩვენ აგერ, ექვსი ცალი გვაქვს გაბრდღვიალებული. ფარდულშიაც კი გვინთია.

დასცალა ჭიქა და განაგრძო:

— გამოვედი დუქნიდან და მოვცოცხე, დავეწიე ოლეხას. ნახე, რა ნობათი მოვიტანე-მეთქი. თვალებს არ დაუჯერა. დავჯექით თხრილში. ვეპატიჟები არაყზე, არა სვამს. უკანვე მიეცი ეგ ყველაფერიო. მამა გიცხონდა,

განა იმიტომ მომცეს, უკანვე გავაბრუნო? რალა ბევრი ვილაპარაკოთ, დალია იმანაც. ამასობაში ჩითსაც ამოვაყოფინე უბიდან ყური. ამაზე მთლად დაიზაფრა, მაგრამ ისევე დავუსხი. ახლოს ტელეგრაფის ხაზი იყო და ვფიქრე, მოდი ამ ჩითსაც გავზომავ, ბოძიდან ბოძამდე თუ გაწვდება-მეთქი. დავიწყეთ ზომვა, გავშალეთ, თან ოლეხას ვეუბნები, სოფელში რომ მივალთ, მე თავს მოვიმთვრალებ, შენ კიდე, მლანძღე — ამ სულელმა მთელი ფული ჩაყარა და დახეთ, ეს რა იყიდა-თქო. სანამ ჩვენ ამ ზომვაში ვართ, თურმე ვილაცას ჩამოუვლია ეტლით და ვერკი შეგვიმჩნევია. მეორე დღეს, გავიხედოთ, პოლიციელი არ მოგვადგა? ატყდა ძიება. მიათრევენ ამ ჩემს ოლეხას, მე კიდე, სათივეში ვარ შემძვრალი, იქ ვათევ. არადა, მოეკრიბა მაგ შტერს თავისი სახელვანოები და გაპარულიყო თვითონაც, არა, ვერ მოისაზრა მაგდენი. მე კიდე, ვერ მოგართვით, ჩემო კარგებო-მეთქი, ვფიქრობ. ვიყავი ამ სათივეში, მაგრამ კაპიკი ფული არ მქონდა, რალა მექნა? არადა, იმ ეკლესიას სწორედ ახალჩაყრილი ჰქონდა ბალავერი. მივედი ღამით. გავუყარე კეტი, გამოვაჩოჩე მორები და რაც კი ფული იყო კუთხეებში ჩატნეული, სუყველა გამოვხიკე. მანეთიანებიც, ათშაურიანებიც. დავთვალე, შვიდი მანეთი და რალაც გამოვიდა. მატარებლის ბილეთს კიდე, ექვსი მანეთი უნდოდა. მეორე დღეს, გავიხედოთ, ჩამოვიდა ის ვაჭარი, გასინჯეს ბალავერის კუთხეები, რა ხვიშტს იპოვნიდნენ. ჩაატნიეს ფული ისევ. კარგი და პატიოსანი, ამას საჭმელზე მოვიხმარ-მეთქი, ვიფიქრე. შებინდდა და ეკლესიასთან ვარ გაჩითული. ის იყო, კეტი ავიღე, მორები უნდა გამოვაჩოჩო, ისე მწყვიტეს წელში, სულ ნაპერწკალი დამცვივდა თვალებიდან. თურმე, ყარაული ეყენათ. ძლივს მოვასწარი, გამოვმჯი, თხრილს გადავევლე და კალოს უკან გავკურცხლე, კაცი ვერ მოლანდავდა ჩემს გზა-კვალს. ატყდა ერთი სტვენა და ყიჟინა, მაგრამ ისეთი ყუმი ღამეები იცოდა, ველარ დამინახეს. სულ სირბილით მივედი სადგურზე და გავუტიე შინისკენ. ცული, შულდაკი, ყველაფერი ბინაზე დამრჩა.

...კოზონკოვმა თამბაქოს ნამწვი იატაკზე მოისროლა და კვლავ დაასხა არაყი. ისე ღირსეულად დალია, თითქოს იმღამინდელი ილბლიანი გაქცევის ჯილდოდ რგებოდა.

— მართალი გითხრა, ზურგი კი მტკიოდა კაიხანს, ეტყობა ალრყის ხის რალაც იყო, რომ მდღლიზეს.

— არყის ხისა?

— კავი იქნებოდა, ან რაიმე ეგეთი. მივედი შინ, კაპიკი არ მომიტანია, გზაში გამქურდეს-მეთქი, დედაჩემს ვუთხარი.

...შევხედე ბერიკაცს: უკვე აზრი არა ჰქონდა ოლეშასთან შერიგებაზე ლაპარაკს. კოზონკოვს სიმთვრალე მორეოდა, ლაპარაკის იმტაზე მოსულიყო, თავის სიჭაბუკეს იხსენებდა. მდუმარედ ვუსმენდი და ძაოცებდა მისი მეხსიერება, იმან კი კვლავ დალია არაყი და ანაზდად ხლიჩინა, ბერიკაცული ნალვლიანი ხმით ცვალა სიმღერა. სევდიანად მღეროდა ბიშაზე, თუ რა აგურ-აგურ გაზიდეს მთელი ქარხანა, თითოეული ხრახნი როგორ დაიპარეს, როგორ ხვდებოდა ამხანაგი სეიმონი თავის საცოლეს იქ, „სად აგური მყუდრო ტალანს ქმნიდა“; შემდეგ ისევ როგორ აგურ-აგურ ხელახლა აწყვეს მთელი ქარხანა. სწორედ ამ დროს კიდეც დაბრუნდნენ სტუმრობიდან ავენირის ბებრუხანა ცოლი და მისი ქალიშვილი, ბავშვიანად. კოზონ-

კოვმა ყურიც არ შეიბერტყა იშათ მოსვლაზე, ჭალარა ხმელ თავს უფრო და უფრო დაბლა ხრიდა და მღეროდა: „ამხანაგი სემიონ გახდა დირექ-ტორი“...

— შენ თვითონა ხარ სემიონი... დახე, ისევ გაბოიბრუჟა და ენას ველარ აბრუნებს პირში. — თქვა მიხმა ბებრუხანა ცოლმა.

— ვინაა ამ სახლში უფროსი, მე თუ ქათმები? — კოზონკოვმა მაგიდაზე მუშტის დარტყმა სცადა, მაგრამ ველარა ჰქნა.

...ანფეა ცოტათი იყო ჩემზე უფროსი. მახსოვს, სატყეოდან რომ ჩამოვიდოდა, ისა და ოლეშას ქალიშვილი, გუსტია, სულ ერთად დაიარებოდნენ ხოლმე ჯარობებზე. ახლა ტყლარჭვით მომესალმა და ტიხარს იქით გავიდა. მის ვაჟს არც კი გაუხდია, შემოსვლისთანავე რაღაც ბორბალს დაუწყო გულისყურიანად კაკვიტი. ზედაც არ შეუხედავს არავისთვის. მივიდა მაგიდასთან, უკითხავად აიღო ორი კამფეტი. ანფეაც გამოვიდა ტიხარიდან; თექურები გაეხადა, კაპრონის წინდები და ტუფლები ჩაეცვა. ბიჭუცელა უბოდიშოდ წაეტანა ხელზე და ბოხი ხმითა ჰკითხა:

— დედი, ბალლინჯოებს ფრენა შეუძლიათ?

— აბა, დამეხსენ! — იმოიცილა ანფეამ შვილი, მაგრამ ბიჭს უკვე თავადაც დაავიწყდა, რას ეკითხებოდა. ვხედავდი, რა ძალიან ცდილობდა ანფეა მოსკოვურ კილოზე ლაპარაკს, „ა“-ს ამბობდა „ო“-ს ნაცვლად, მაგრამ მშობლიური სტიქიონი ზოგჯერ მაინც ძალობდა მის გამოთქმაში. ერთხელ „სტაქანი“ უნდა ეთქვა და „სტოქანი“ კი გამოუვიდა.

გვიანი ჟამი იყო, მაგიდაზე თავწაქინდრული კოზონკოვიც თვლემდა. ჩამქრალი ნამწვი გამოსჩროდა გლეხისათვის უჩვეულოდ თეთრ, წვრილ თითებში. გამოვეთხოვე მასპინძლებს და შინისკენ წამოვედი.

IX

მეორე დილით ოლეშა ადრე მოვიდა სამუშაოზე.

„ერთი ამ ბებერ ჯადოქარს დამიხედეთ! ეწყინა, ავენირს რომ ვეწვიე. ევდოკია, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ გუშინ გაისარჯა და მთელს სოფელს მოსდო ჩემი და ავენირის შეხვედრის ამბავი. ალბათ, ოლეშას ყველაფერი ჩაუკაკლეს. ასე ვთქვათ, სოფლური პრინციპულობა...“

გავხალისდი რატომღაც.

ახლა, მარტოხელა კაცის ამ ჩემს სავანეში ერთკვირიანი გამოკეტვის შემდეგ, უკვე კარგად ვიცოდი, რომ ჭურჭელი უმჯობესია ჭამისთანავე დაირეცხოს, ხოლო ქოხის გამოგვა მაშინაა უფრო უპრიანი, რუსული ღუმელი როცა ანთია და მტვერს ისრუტავს ხოლმე. თუმცაღა, ისიც სათქმელია, ღუმელს რომ ანთებ, სწორედ მაშინ გროვდება ბინაში მეტი ნაგავი, გარეთ ეკვრის ფეხებს და შიგნით აუცილებლად სცილდება. ჭურჭლის დარეცხვა კი მაინც მაშინვე სჯობს... ამიტომაც, განხეთქილება რომ არ გაჭიანურებულიყო, ჩვენი ამბავი ახლავე რომ გამერკვია, ავდექი და ოლეშასთან წავედი.

სმოლინი ისე მომესალმა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. იჯდა და ხმამაღლა კითხულობდა გუშინდელ გაზეთს. მაშინვე მიანება კითხვას თავი და სათვალე ადამისაკაშინდელ კოლოფში შეინახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთო დიდებულო, შეჰყვები ზოგჯერ ფიქრს და სულ შეგეგუბება კაცს...

— ?...

— რამდენი სხვადასხვა თანამდებობაა ამ ქვეყანაზე. ეს უფროსებია, ეს მოანგარიშეებია; მოადგილეები, გამგეები. დურგლები. საიდან მოაქვს სახელმწიფოს ამდენი ფული?

— რაც გოგრაში არ შეგდის, შეეშვა უნდა, შენი საქმე უნდა ნახო. — გუნებისად თქვა ნასტასიამ: საკმაოდ ახლოს იჯდა და არაყანს დღვებდა სათქვეფელათი. — ხალხი აგე ხუთმეტ-ხუთმეტ წელიწადს სწავლობს, გადაკითხული აქვთ ყველაფერი. შენ გგონია, ტვინს ეიოლება?

— შენც კითხვით გისკდება თავი, შენმა მზემ. — ზურგი შეაქცია ოლეშამ. — მე განა ეგა ვთქვი?

— მაშ, რა თქვი?

მაგრამ ოლეშამ პასუხის ლირსად არ ჩააგდო და მე მომიბრუნდა, თითქოს ნანობდა, რად ჩავყეო დედაკაცს ფუჭ ლაყაფში:

— აი, რა, ჩემო ძმაო, ამის მეტი აღარა ვარ ამბანოზე მომსვლელი.

— რატომ?

— რატომ და, ბრძანება მომივიდა კანტორიდან, ნეკერი უნდა ვკაფო ტყეში, საქონლის საკვები. ბრიგადირმა გამომიარა დღეს, გეყოფა, ბაბულია, მუქთა ფულის კეთება, ტყეში უნდა გახვიდეო. თან სიცილით კვდებოდა. რა იყო, უკვე ამბავი მოგვივიდათ-მეთქი? ჰო, მოგვივიდაო. აი, ამოტოლა დეპეშა შემოვიდაო. კვდებოდა სიცილით.

— რა დეპეშა? — ვერა და ვერ ჩავვარდი გულისხმაში.

— რა დეპეშა და, დეპეშა. ღერბიან ქაღალდზე ნაწერი. ნუ გეშინია, კი არიან მჯლაბნელები ჩვენს სოფელში...

— კოზონკოვი, არა?

ახლალა მოვედი აზრზე, ოლეშა კი იჯდა მერხზე და ისე ძიგძიგებდა, ვერ გაიგებდი, ახველებდა თუ იცინოდა.

— ყველაფერი მუხლებადაა ჩამოწიკწიკებული, ჩემო ძმაო.

არ ვიცოდი რა მეღონა და თვალებსღა ვახამხამებდი.

— ბრიგადირი სადაა?

— აი, ამწუთას წავიდა თავლაში. გაიქე, მიუსწრებ. მეც ერთი-ორი საათით გავალ ტყეში, ნამუადღევს გამოგივლი. წავიმუშავოთ.

თქვა და ხვნეშა-ოხვრით შეუდგა ფეხსაცმელების ჩაცმას, მე კი ბრიგადირის საძებნელად გავვარდი.

მე და ბრიგადირი მესამე კლასამდე ერთად ვსწავლობდით. ერთად დაგვიფუშია ჭკების ბუდეები, ჩილიკა გვითამაშნია, შემოდგომობითაც ერთად შეგვიწვია კოცონზე კარტოფილი; სულ გამომწვარი გვქონდა ხოლმე შარვლის ტოტები. მერმე მან სწავლას თავი მიანება, მე კი შვიდწლედი დავამთავრე და სოფლიდან წავედი. ასე გაიყარა ჩვენი გზები.

— აჩუ, როგორც გეუბნებიან, ისე დადექი! — მომესმა ბრიგადირის ხმა.

მას ოლეშას ფარითა ხვეწი წამოეღო და ცხენს ფლოქვებს ახვევდა. ცხენი ფრთხვინავდა, შეშინებული აელმებდა დიდ, იმსფრად მოციმციმე თვალს, კარგ ფოტოობიექტივს რომ მიუგავდა. ბრიგადირი ისე მომესალმა, თითქოს

გუშინ იყო, კოცონთან რომ ვისხედით და კარტოფილსა ვწვავდით. თუმცა ასეთმა შეხვედრამ ცოტათი კი შემაცბუნა, არცმე დავიწყე დიდი ტყლარჭვა.

— მოდი, გიშველო.

— არა, კაცო! უკვე მოვრჩი. ნახე, კალოშებივით არ გაზრდია ე ფლოქვები? რაო, კრისკო, უკეთესადა ხარ?

— ეგ რა, კრისკოა?

— მაშ!

კრისკომ ძალიანაც დამამახსოვრა თავი: ერთხელ კაი თითლიბაზური განი მიქნა, ზურგიდან ოლად მოიცილა იმ დროისთვის სავსებით უმნიშვნელო ჩემი სიმძიმე და თავის გზას გაუყვა, მე კი რიყის ქვებზე ვგორავდი და სიმწრით ვიღვლარჭნებოდი. გამელიმა, რადგან ახლა გულში წამით გამიფაჩუნდა ის გადაუხდელი წყენა. ამოკუზულ ცხვირზე დავადე ხელი. მადლიერი ნდობით ამოიხვიხვინა ლრმად და მშვიდად, მხარზე მომაყრდნო გრძელი, ფართო ჩიჩვირი.

— რას შვრები, როგორ მიგდის საქმეები? — ბრიგადირმა სიგარეტი ამოიღო. — ჩაჯექი წვრილშვილში?

მის ხმაში იგივე კილო იგრძნობოდა, რაც ცხენისადმი მიმართვაში — როცა ჰკითხავდა, ხომ უკეთა ხარ, ფლოქვები რომ დაგაჭერით?

— აბა, რა გითხრა... გოგო მყავს ერთი.

— წუნისმკეთებელი ყოფილხარ. აქეთ დიდხანს რჩები?

— ოცდაოთხი დღე. უქმეები არ ეთვლება.

პატივისცემით, ალალი ცნობისწადილით მისმენდა და მეამა, ლაპარაკის საღერღელი ამეშალა ანაზდად. ვერც კი შევნიშნე, ისე გადმოვულაგე მთელი ჩემი ცხოვრება. შთამომავალთა რაოდენობა და ხასიათი ხომ მკითხა, შერმე გამოიძია, სად და რა თანამდებობაზე ვმუშაობდი, როგორი ბინა მქონდა, მყავდა თუ არა სიდედრი, თუ იყიდებოდა ქალაქში რეზინის ჩუსტები და ომი თუ იქნებოდა უახლოეს ხანში. ბოლო კითხვაზე რაღას ვეტყოდი, დანარჩენი კი ყველაფერი ჩავუკაკლე. იგიც არ დამრჩენია ვალში, დღეს ბრიგადის კრება მაქვსო, მითხრა; ძალით დამაყენესო ბრიგადირად; კაციშვილი არაა, რომ კოლმეურნეობაში იმუშაოს, სუყველა სადღაც-სადღაც გაიკრიფა და მარტო ბებრები დარჩენენო სოფელში. ისიც თქვა, შემოდგომაზე სათევზაოდ ვიყავი და ფილტვების ორმხრივი ანთება ავიკიდეო. სიტყვა „ორმხრივი“ რატომღაც საგანგებო ქმაყოფილებით წარმოთქვა რამდენჯერმე.

კრისკო მოთმინებით თვლემდა, უცდიდა საუბრის მოთავებას, როცა რაიმეს ქმნა მოუწევდა. ბოლოს აბანოს რემონტი ვუხსენე ბრიგადირს და ვკითხე, ეს რა დეპეშა მოგსვლიათ ოლეშას თაობაზე-მეთქი. ბრიგადირმა გაიცინა და, კოზონკოვს რომ გულისხმობდა, ხელი ჩაიქნია:

— დაიკარგოს, ერთი, აქედან! ეგ მალაზიაზედაც ყოველ კვირა წერს საჩივრებს. ბავშვობიდანვე დაეჩვია ამ ჩხრეკას. მე კი აგე, სხვა დარდი მაქვს: ერთი შეჯინიბე ვერ მიშოვია. მოდი, შენ დამხიდექი.

— აკი ევდოკია გყავთ მეჯინიბედ.

— იმას თიაქარი სჭირს.

— მაშ, ბერიკაცები... ოლეშა არ ივარგებს, ანდა კოზონკოვი?

— ბერიკაცებს ახლა ვერსაიდან მიუდგები, ყველა პენსიაზეა გასული.

თორმეტ-თორმეტ მანეთს ბოჭავენ ყოველთვიურად. არა, კოზონკოვი არ იზამს, ოლეშა კი დარაჯადაა ფერმაზე.

— აბა ეს რა გამოვიდა, შენ თვითონ გიწევს მეჯინიბეობა?

— ეგრე გამოდის. — ბრიგადირმა კრისკო ახორში შეიყვანა.— იცი რა, მოდი ეს შატუნი გავხედნოთ, ჰა? ერთხელ შევაბი უკვე.

ცხენების ხედნა სულაც არ მქონდა გეგმაში. არადა, ბრიგადირის სიტყვამ რატომღაც მაინც გამახარა.

შატუნი კაი სამწლიანი, ვეება ურა ცხენი გამოდგა. სულ ბოლო ახორში ბინადრობდა. ჩანს, მაშინვე იაზრა ცუდი ამბავი, მეტისმეტად აუთრთოლდა ნესტოები. ლობის მილმიდან უძრავად ჩანდა მისი თვალების თეთრი კაკლები.

ბრიგადირმა კრისკო თავის ბაგაზე დააყენა, მერმე აღკაზმულობა გამზადა, ლაგამს სადავე გაუყარა, ახალი მარხილი მოათრია საჯინიბოსთან, ხელნა კედლისკენ უქნა, შეიხსნა ქამარი და ნაძვის ხის პატარა ჯოხი მოამზადა, ჩაიდო ჯიბეში.

— ეს რაღად გინდა?

— ჩიჩვირს ამოვუტრიალებ.

გულში სუსხმა გამკენწლა, მაგრამ გვიანღა იყო, უკან ველარ დავიხევდი. ბრიგადირი უკვე ფრთხილად აღებდა კარს. გაამზადა ქამანდი, იწყო ულაყთან მიახლოვება, თან შემპარავად, წყნარად იჩვევდა:

— შატუნ, აბა რასა შვრები, შატუნ, შატუნჩიკ... უჰ შე ბ..., შატუნ-მეთქი!

შატუნმა გავა მოუბრუნა და ბრიგადირიც დედის გინებით გამოხტა ახორიდან. შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყო და იმგვარადვე დასრულდა. ბრიგადირმა მესამედ იწყო მიპარვა. ამჯერად ულაყმა ვერ მოასწრო ვიწრო ახორში მობრუნება და ბრიგადირმაც სტყორცნა ქამანდი, ელვისუმალ გადააცვა კისერზე. ცხენი ათრთოლდა, ზე ააღირა ძალოვანი, ფაფარა თავი, მაგრამ რაღა დროს: უკვე რკინა ულრჭიალებდა კბილებში. ბრიგადირმა ტალანში გამოიყვანა. კუნთები უცახცახებდა ულაყს, დაფეთებული ხვიხვინებდა, ყურებს სწურავდა, მზად იყო ერთ წამში დაელეწა მთელი ქვეყნიერება. ბრიგადირი ალერსიანად, ვითარცა ბავშვს, შეაგონებდა, ქედზე ხელს უთათუნებდა, ვიდრე არ მოაშლევინა ჩასისხლიანებულ თვალთა ბრიალი.

— აწი ჩვენია!

მაგრამ „ჩვენი“ არ ჩქარობდა ხელნაში ნებაყოფლობით შესვლას. ვხტოდით, ხან აქედან ვუვლიდით და ხან იქიდან, ბოლოს დიდის ჯაფით ჩამოვაცვით თავზე ცალული. კუდქვეშ რომ პალდუმს ვუჭერდი, ვიგრძენი, შიშისაგან ოფლი რომ გამომასხდა შუბლზე. გამიკვირდა, რომ ულაყმა ერთხელაც არ ჰყარა ტლინკები, არც ძალოვანი გავა გამკრა და ძუაც კი არ გამცხო სახეში. დავადგით კეხი, მოსართავი მოვუჭირეთ. მთელი ტანი უძიგძიგებდა, მაგრამ ვერაფრით დავიჯერებდი, რომ სახელდობრ ჩვენი ეშინოდა, ჩემი და ბრიგადირისა. ბოლოს ხელნაში შევაყენეთ. მკერდით მიადგა კედელს და ახლალა გავიგე ბრიგადირის ილეთი: ცხენს, არც მეტი, არც ნაკლები, გასაქანი არა ჰქონდა; უკან თუ დაიწევდა, მარხილიც უნდა გაეყოლებინა. მაგრამ აი, ცალულის კილოებს რომ თასმებით ვუჭერდით, ანაზდად უკან დაიწია, იფრთხვინა და ისე აიქნია თავი, რომ ბრიგადირი წამით ჰაერში

დაეკიდა. ბრიგადირმა ჩუმად შეიგინა, ბაგე მოიკვნიტა და უეცრად ის სევდიანი, ველური გამომეტყველება შევნიშნე მის თვალებში, რაც ცხენსა ჰქონდა. მაგრამ ამაზე ფიქრის დრო სადღა იყო, ბრიგადირი მიუხტა ცხენს, ალვირში ხელი შესტაცა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავი ძირს დააზიდვინა. მერმე კვლავ მოემზადა ცალუღის ჩამოსაცმელად, დრო შეურჩია და ოდრიკალის ბოლოებზე ხელახლა ჩამოაცვა ჭაპანი. ხელახლა ძალოვნად გაიძაგრა შატუნი, ძნებივით გაგვიქნია აქეთ-იქით. მაინც არ გამიშვია სადავე, კვლავ შევაყენეთ ხელნაში.

— უყურე შენ ამ ძუკნას! — ხრინწიანი ხმით თქვა ბრიგადირმა და თავისი ქამარი ამოიღო ჯიბიდან. — მაგრად დაიჭი!

მთელი ძალით ჩავეჭიდე ალვირს. ბრიგადირმა ქამარი გასკვნა, ყულფი გააკეთა, ჩიჩვირზე მოარგო ცხენს, ამოიღო ჯიბიდან ის პატარა ჯოხიც, ყულფს გაუყარა და შიგმოყოლილ ჩიჩვირიანად დაუწყო ტრიალი. ულაყი სულერთიანად აძიგძიგდა და დადგა, უმალ შეწყვიტა ქშენა, უკუღმა ამოუტრიალდა თვალები. თითქოს მეც შევიგრძენი ეს საშინელი ტკივილი, ქრუანტელმა დამიარა კბილებსა და თმის ძირებში. რალაც ერთი წამით გულში ბრიგადირისადმი სიძულვილი წამომენთო: სახე დაპრანჭოდა და ნელა, უკვე მეორედ ატრიალებდა ამ წნეხს.

— მოუჭირე! — ჩამსისინა და ჯოხი ხელში შემატოვა. — მოუჭი, რალას უდგეხარ, ბოთევ!

მეოთხედი ბრუნი გავაკეთე... ცხენი თანდათან ჯდებოდა უკანა ფეხებზე, ვარდისფერ, სისხლიან ქაფსა ჰყრიდა. მეოთხედი ბრუნიც გავაკეთე. თან ვგრძნობდი პირუტყვის უშველებელ ტკივილს, სასოწარკვეთილებას, საოდავ ბღანკალს. ბრიგადირმა სწრაფად ჩამოაცვა ცალუღი, ელვისუმალ მიაბა ლაგამს სადავეები და მიღრიალა: ჩქარა, მარხილზე ახტი. მეც მაშინვე ავხტი, ხელნა გატკაცუნდა, ულაყი მარჯვნივ მიაწყდა და მსწრაფლ გაჭენდა, სადავეებს ჩაჭიდებული ბრიგადირი თოვლზე წააპორწიალა, მერმე წამით გაშეშდა, თითქოს საგონებელში ჩააგდო ყველა ამ ფათერაკმა, რაც თავს გარდახდა... ეს ერთი წამიც ეყო ბრიგადირს, რომ წამომხტარიყო და მარხილს შემოხტომოდა. პირდაპირ ზედ დამეყლვარტა. გავქანდით, მივამტვრევდით ღობეებს, თავს არ ვუჭერდით შიშითა და ტკივილით შეფუცხუნებულ ენერგიას ბეჩავი, ძალოვანი პირუტყვისა. ახლა უგუნურების, თავდაჯერებულობის უცნაური, პირველქმნილი გრძნობა მიდუღდა გულში, ახლახან განცდილი სიმკაცრის ნაძალი. მხოლოდ შემდეგ მეწვია გაცბუნება, რალაცნაირი განხიბვლა, აი ისეთი, ბნელ ციბეზე ასვლისას რომ განიცდის კაცი, როცა მომდევნო საფეხურს უნდა აადგას ფეხი, საფეხური კი ალარაა და ფეხიც წამით შეშდება გამოუზომავ სივრცეში...

ნახევარი საათის შემდეგ უკვე სულმთლად ქანცგაწყვეტილმა შატუნმა სისხლიანი ჩიჩვირი წარგო მარტის მკვრივ თოვლში. ბოლქვა-ბოლქვად ასდიოდა ორთქლი, საბონის მსგავსი ქაფით ჰქონდა მძლავრი მკერდი მოსლიპული. ღრმა თოვლში იწვა უძრავად.

— აბა, აწი კი გავიდეთ დედა გზაზე, — ხალისიანად თქვა ბრიგადირმა და ქამარი გაუყარა თავის ზოლებიან შარვალს. — ავლის, შენი მოწონებული. კანტორაში არ წამოხვალ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არ წამოვალ.

დედო გზაზე გასვლას აღარ ვუცადე, გავუყევი წელამდე ბოსტან-ბოსტან გავეშურე სოფლისაკენ.

X

ოლეშამ პირი არ შემიშალა, სადილობის შემდეგ მოვიდა მართლაც სამუშაოზე. აუჩქარებლად ვარაკუნებდით ცულებს. ნაშუადღევს ამინდი უფრო გამოკეთდა, დათბა. ვეება მზეს ჩახჩახი გაჰქონდა. თოვლი ბრჭყვინავდა შემოგარენში.

— რომ არ იყოს სოლი, ცული, გასძვრებოდა დურგალს სული.— წაიწყო ოლეშამ, თან სოლსა თლიდა.

მისი გამოხვეწილი ახალი ძელებით უკვე ერთი პირი კედელი შევკარით. ანაზდად, საქმეში რომ ვიყავით, ოლეშამ მკითხა, ავენიოს ცოლის შერთვის ამბავი ხომ არ მოუყოლიაო.

ცოლის შერთვაზე კოზონკოვს არაფერი ჰქონდა ჩემთვის ნათქვამი.

— რა იყო?

— არაფერი, ერთად ვიყავით მისი საცოლის დასანიშნად. მე ვუთხარი, ჩემი მარხილით წავიდეთ-მეთქი, მაგრამ არა ჰქნა, გაჯიქდა, თავისი გამოიყვანა. მივედით, დავდგით ერთი ბოთლი არაყი, წესი როგორცაა. ხუმრობა ხომ არ იყო, ათ ვერსზე ვართ წამოსულები. ჩვენს მისვლაზე საპატარძლო ტიხარში მიიმალა, მამამისი კიდე, ადგა და: დაიცათ, ბიჭებო, თქვენს ცხენებს შვრიას დავუყრი, მერმე ვქნათ თათბირი და გამორჩევაო. მეც გარეთ გავედი, ცხენის დახედვა მინდოდა. ვინია შიგნით დარჩა. გავიხედოთ, მოიტანა საპატარძლოს მამამ ერთი ხოკერი შვრია, ცხენს დაუყარა და მივიდა, ჭაპანს დაუწყო თვალიერება. ორივე ჭაპანს დახედა. მკითხა: ვისია, ყმაწვილო ეგ მარხილი, შენია თუ სასიძოსიო? ჩავვარდი საფიქრალში. ჩემიაო, რომ მეთქვა, იფიქრებდა, სასიძო ნათხოვარი მარხილით მოსულაო, თან ვატყობდი,— ტყუილიც არ ივარგებდა. სასიძოსია-მეთქი. მოვბრუნდით სახლში. აეგრე ეუბნება კოზონკოვს: არა, ჭაბუკო, ვერ მოვრიგდებით მე და შენ, ვერ გაგატან გოგოსო. რა არი, რად არ გამატანო?— ჰკითხა კოზონკოვმა. რა და, ჯვრის დასაწერად როცა წახვალთ, პირველივე აღმართში ჭაპანი გაგიწყდებაო. თოკისა გქონია, ჩემი გოგო კიდე, მძიმეა ნამეტანიო...

—ეგრე წამოხვედით?

— ეგრე წამოვედით. ისე შემრცხვა, ჩემო ძმაო, პირდაპირ დავიწვი კაცი.

გავბედე და ვკითხე, შენ თვითონ როგორ დაქორწინდი და თუ გყვარებია ვინმე-მეთქი. ოლეშა მორს აბრუნებდა, გამეპასუხა:

— სიყვარულიო?

— ჰო.

— ეაშ, როგორ. კიდეც მყვარებია და მარხილიც არ მქონდა ურიგო.

დავნავარდობდი გემოზე. ოლონდ ეგაა, ბეჩორას გალმა წაგრიალდა ის ჩემი სიყვარული.

— რა, თვითონ წავიდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, როგორ გითხრა... მთლად ეგრეც არ ყოფილა. თქვა და უცებ გახალისდა, დაარჭო ცული:

— იარიკა თუ გახსოვს? მაგარი კაცი იყო, მთელს ამ ჩვენს ტყეებში მეორე არ დადიოდა მაგისთანა. მეტყოდა ხოლმე: შენ, ოლეშკა, მთავარია გოგოებს არ უნდა შეგეშინდესო. თუ შეგეშინდა, საბოლოო არაფერი გამოგივა. ეგრევე უნდა მიეტევო. კი იწივლებს და იმწვიტინებს, მაგრამ ჯანი გავარდეს, ყურიდან ყურში გაუშვიო. შეგეცოდება და, შშვიდობით, უკვე ალარ არი შენიო. ოღონდ ეგაა: ნუ მოატყუილებ, ეგ არ არის კარგი საქმე, რა გოგოც არ უნდა იყოს, ყველას პატივისცემა ეკუთვნისო. არც სახვალიოდ გადასდო ხოლმე დღეს გასაკეთებელიო. ასე იცოდა თქმა. მახსოვს, ვუსმენდი და სულ სირცხვილის ალმური ამდიოდა. არადა, მოსმენაც მსიამოვნებდა. მაგრამ მოსმენა ერთია, საქმე — მეორე. საქმე არ გამომდიოდა არასდიდებით... მახსოვს, ქირაზე გავედით, ცხრა კვირა ვიმუშავე და წამოველ, საზამთროდ ალარ დავდექი. ჩამოვუტანე მამას ფული, ჩემთვისაც კაი საახალოხე შილაია წამოვიღე. მოვდიოდი და გული სულ სკვინჩასავით მიფრთქიალებდა, მალე სოფელში გამოვალ-მეთქი ჯარობაზე. ახლა, ალარ იტყვი, ტანკა როგორი იყო, ფედულიონოკის გოგო? გეტყვი, აგერ... მახსოვს, პატარები ვართ, კენკრაზე წავედით მე და ვინკა. ტახკაც წამოვიდა. მე და ვინკამ ჩიტის ბუდე ვიპოვეთ და თითო კეტი გამოვჭერით ჩვენ-ჩვენთვის, სელშავი ალარ გვიკრეფია. ტანკამ კიდე, ამასობაში მთელი კალათა გააციმციმა — ვითომც არაფერი. წამოვედით. გზაში ვინკა მაქეზებს: მოდი, ეგ კენკრა წავართვათ და შევუჭამოთ, ჩვენ თუკი ხელცარიელები მოვდივართ, ეგ ვინ არი, რალაზედ აგვიკლოს მერე ტრაბახითო. მორთო ტანკამ ლრიალი, ვინკა კი ხორხოცებს ჭოტივით, სულ წაღლიტა მთელი მონაგარი. კი შემეცოდა, მაგრამ მაინც მივეხმარე ძარცვაში. სულმთლად შევუჭამეთ, თუმცა რა შეჭმა, უფრო მეტი ბალახში დავუპნიეთ... მართლა ძალიან შემეცოდა. აეგრე უკან-უკან მოგვდევდა და პაწია ხელით კურცხლებს იწმენდდა, სულ მოითხვარა სახე. არადა, ვინკა უარესად აბღეზებდა. ისე შემეცოდა. ჩემო ძმაო, ვიფიქრე: ვთხლიშავ, ერთს ყურისძირში აბ ვინკას-მეთქი, მაგრამ რა უნდა მეთხლიშა, მეც ხომ იმისი ამფსონი ვიყავი? აი, იმ დღიდან დამახსომდა ტანკა ყველაზე მეტად, იმ აბანოს ამბავი კიდე, ფანჯრიდან რომ ვუჭყიტინებდით, — მერმე იყო, სულ სხვა საქმეა.

ჰო, რაც ქირაზე სიარული დავიწყეთ, ტანკა ამასობაში თავადაც მარწყვივით გოგო გახდა. **სასწაული ამბავია: მარტო ერთ ზაფხულს აუშვა** ტანი, ისე დაქალდა. თმა — ხშირი, წელქვეით ურტყამს; ყურები — თეთრი, გაფითქინებული; თვალები და რა თვალები, მე შენ გეტყვი აგერ: თვალები კი არა, ორი პატარა მორევი, ხან ლურჯი, ხან შავი; **სადღაც შენს უკან** იყურება და ვეღარ გაიგებ რასა ფიქრობს, გეგონება, რაღაც დაავიწყდა და ეხლა ვერა და ვერ იხსენებსო. სიმალლით აეგრე, ცოტათი ჩემზე დაბალი. სიარულიც ისეთი იცოდა, უყურებდი კაცი და ვერ მიხვდებოდი, მოდიოდა თუ მორბოდა. გეგონება, ბალახსა თუ მოლს დიდ წყალობას უშვრება, ზედ რომ ფეხს აკარებსო. არც უკან მოიხედავდა ხოლმე როდისმე. თავისთავად ასდიოდა ხელზე სუყველაფერი: ან სიმღერა და ცეკვა-თამაში როდისღა ისწავლა, ან ქარგვა და მაქმანების ქსოვა... იფიქრებდი, დასტურ ზეციდანაა ჩამოფრენილიო. ანდა, სამუშაოზე რომ გავიდოდა, — გინდა სა-

თიბარში, გინდა სამკალში — იტყოდი: განა მიდის, არა, ჩიტივით მიფრინავსო. სულერთია, მინდორშიც წამსვლელი აეგრე იყო და აქეთობასაც, ნამუშევარი რომ მობრუნდებოდა ხოლმე. სიმღერებიც ითითქოთავისითგადმოსდიოდა ყელიდან, თითქოს მას არც ეკითხებოდა, თანაც თავ-თავის ალაგზე იყო ყველაფერი. ლაპარაკობდა და თან ძაფს ართავდა ხოლმე... ეს კიდევ... ეჰ, მოკლედ, ჩამოვედი სოფელში. ჯარობაზე აღარ გავდივარ, ვეღოდები, როდის შეკერავს დედა ახალოხს. მეორე დღეს ახალოხი უკვე დალამბულია, მესამე დღეს — მარტო ღილების დაკერება აკლია. ვუტრიალებ დედაჩემს, აი, მღვდელი რომ საწიგნეს დასტრიალებს ხოლმე... მახსოვს, მიძინება დღეა, ბიძას ვესტუმრე ოგარკოვოში. სოფლამდე აღარც ვიყავ მისული, გავჩერდი და დავაყურე. როგორც კი ქარი მოუბერავს, ეგრევე მომდის სოფლის ხმაური, ვატყობ: დიდი სეირნობა და დროსტარებაა გაჩაღებული, უკრავს გარმონი, გოგოები მისდევენ ქუჩა-ქუჩა, აქვთ ერთი ცეკვა-სიმღერა. ფედულიონოკიც იქ ჰყავდა ბიძაჩემს დაპატიჟებული, ვიცოდი — ტანკაც იქნებოდა, მეშინოდა მისვლა. უკნიდან შეველ სოფელში, მივადექი ბიძაჩემის სახლს. მთლად გაფიჩინებული მაქვს ხელ-ფეხი, გულიც აგერ-აგერ ამომიხტება და გამომინგრევს საგულეს. ისეთი ბრაგუნი გააქვს, მთელს ქვეყანას ედება.

აბა, მოვიკრიბე გამბედაობა, შევედი ქოხში. ცეკვაა გახურებული. ვხედავ, ტანკაც წრეშია. როგორც კი შევხედე... წმინდაო ღვთიშობელო, ლაშის მოვკვდე, ის წუთი რომ გამახსენდება! მხრებზე წითელი ლეჩაქი აფენია, სარაფანი აცვია — ვერ გაძღები ყურებით. ცეკვა-ცეკვით მოდის წრეში. წალებს მოაბაკუნებს. მე ვითომ ვეღარ მაჩნევს. დეიდაჩემი კიდე, უკვე გამორბის, მსვამს სუფრასთან, ქერის ლუდს მისხამს. სკასავით გუგუნებს სუფრა, გრიალებს გარმონი, ცეკვავენ დედაკაცები. სალამი ვთქვი, ჭიქა ავიღე. მოგილოცავთ დღევანდელ ზეიმს, სტუმარო და მასპინძელო-მეთქი. ვსვამ და თან ტანკას სიმღერა მესმის, აეგრე მღერის: „გიტარა მაქვს აწყობილი, ტარი — აჭრელებული, ჩემი ბიჭი არ უკრავს და კი ვარ გაჩერებული“. ეეხ!... არადა, მამამისი უკრავდა, ფედულიონოკი. ვერ უკრავდა კარგად. მეტი არ შეიძლება, ისე მომინდა გარმონის აღება და აწიწინება! არადა, როგორ ავდგებოდი, პატივი ხომ უნდა მეცა სტუმრისთვისაც და მასპინძლისთვისაც. დავლიე პირველი ჭიქა, ვიცდი — როდის შემოატარებენ მეორეს. იქით ქვლავ ცეკვავენ დედაკაცები, ბრუნავს ფერხული. ტანკა...

მთელი ის საღამო თითქოს ცეცხლში ვიყავი, თავი აღარ მახსოვდა. აღარც ვიცი, როგორ დავიარებოდით გარმონით ქუჩა-ქუჩა, რას ვცეკვავდით და როგორ ვცეკვავდით. შემომხედავდა ტანკა, აგერ-აგერ დამწვავდა თვალებით... აი, აქვე მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს, თუ იმ ერთი წამისთანა რამე კიდევ მქონდეს ჩემს ცხოვრებაში, ის ერთი იყო და მორჩა. შევხედავდი ტანკას და გეგონება დამფუფქესო, აეგრე ვხდებოდი. ფეხები თითქოს თავისით მიცეკვავდა, ყელიც თითქოს... ჰმ.

ოლეშა ანაზდად დადუმდა. სისვი წარბები ჩამოეყარა, ჩაუქრო ბერიკაცულ თვალთა სააპრილო სილურჯე. თვალჩაცეებით აფხლაკუნებდა ცულის პირზე ზუმფარას. ვითმენდი, საუბრის დასრულებას ველოდი, მაგრამ დუმდა ბებერი დურგალი, თითქოს რალაც დაავიწყდა და ვეღარ მოუგონებიაო. სახეც სავსებით უმეტყველო გაუხდა. ჩავახველე და ხლაწუნით ჩავიყავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანმბაქოს ამოსაღებად ჯიბეში ხელი. ოლეშა კი მაინც არას იტყოდა ფცებ, მკვირცხლად და ხალისით აიქნია ცული, მორში ჩააჭდო.

— შენ, აგერ, ნაკითხი ბიჭი ხარ.

მხრები ავიჩეჩე.

— ერთი ეს მითხარი...

— რა?

— რა უნდა ჰქნა? ზოგჯერ გგონია, კარგი ვქენი, კაცს სიკეთე ვუყავიო.

— მერე?

— მერე შენ თვითონ გამოდიხარ ბრალიანი. აბა, როგორ არ გაიხსენო კაცმა, ანდაზაც ხომ არი: ვისაც სიკეთე ვუყავი, ის გახდა ჩემი მტერიო.

არა მწამს ეგ ანდაზა-მეთქი, ვუთხარი, მაგრამ ოლეშა ალარ მისმენდა. სადღაც ჰორიზონტს მიღმა იცქირებოდა. ისევ ფრთხილად შევაპარე:

— მერე როგორღა იყო...

— რა?

— აი, იმ დღის ამბავი...

— აბა, ისა... ძველი ამბავია, რაღა... ჰო:.. ადამიგო დეიდაჩემმა თივახე ლოგინი, ვინკა კოზონკოვი კიდე, იქ იყო, თავი მოიმთვრალა. მოუტანეს იმასაც ქვეშაგები, გაიპრანჭა, სხვენში აძვრა, აქ მინდაო. გავხედე, დასძინებია. ვოგოები კიდე, ჩარდახში არიან, ხვინტრიცობენ. ვწევარ და ვფიქრობ, შევიდე იმათთან ჩარდახში თუ არ შევიდე. თან მეშინია, გაბედაობა არა მყოფნის. რა იქნება, ვოგოებო, თქვენთან მოვიდე-მეთქი? აგე, ჭნავის სახრე გვაქვს თუ გინდაო, გამომძახეს. სახრისა არ მეშინია, ოღონდ კი შემომიშვით-მეთქი. როგორც რა მომადგა ენაზე. გადავედი. ჩემი დეიდაშვილი მიხვედრილი ვოგო იყო, ვგრევე გარეთ დურთა თავი. სამოვრის დაკეტვა დამვიწყებია, აგე, ჭექა-ქუხილი იწყებაო, მოიმიზეზა, შეძვრა შინ და ალარ გამოდის. მთელს სახლს სძინავს: მასპინძლები, ცოლ-ქმარი, საზამთრო სახლში ათევენ, სტუმრები — ზოგი სად და ზოგი სად, ერთნი საზაფხულო სახლში, მეორენი — პირდაპირ მოლზე. ჩარდახში კიდე, მე და ტანკა ვართ მარტონი. ვინკაც აქაა, წევს თივაზე და ხვრინავს ბარაქიანად. მივუჩოჩდი ტანკას, ჩამოვუჯექი ლოგინზე, თან მუხლები მიცახცახებს შიშისაგან. ტანია, ტანია-მეთქი, ვეუბნები და საბანზე ხელს ვუთათუნებ. სიტყვას არ ამბობს. ვუთხარი: ხომ ხედავ, უშენოდ ჩემი ცხოვრება რაღა ცხოვრებაა, მოდი, ერთად ვიყოთ, სულ ხელის გულზე გატარებ-მეთქი. იდაყვზე წავეტანე, კვლავ არაფერს მეუბნება. თან სულ ვკანკალებ შიშისაგან, რის ომი და რა ომი, ომი სად იქნება იმისთანა. მოხვევნა დავუპირე. რასა შვრები, ოლეშკა, გაჩე, ხელს ნუ მახლებ, ხომ გესმისო. წადი, სირცხვილიაო. აი, კარმა გაიჭრიალა, წადიო... ოჰ, ლენჩი ვარ, დასტურ ლენჩი: ავდექი და გამოვედი, გარეთ ვიღაცა კიდევ აწიწინებდა კარმონს. დილამდე ვცეკვავდი. გამთენიამ როს მოატანა, ავედი ჩარდახში და რასა ვხედავ: მისდგომია ვინკა ამ ჩემს ტანკას და ყლლემს, არის ერთი პროშტაობა... გამოვვარდი, ქოხში შევედ, დავტაცე ხელი დოქს, ვხედავ — ცარიელია, არაფერი ასხია. ჩემი დეიდაშვილი კიდე, ძროხის მოწველას აპირებს. ჰოი, შე უნდილო, შენაო, ეს რა საქმე გაუშვი ხელიდანო. ერთი მაგრად გადაიტკაცალა, წამოუსვა საძეულს ხელი, ზღურბლიდან მომხედა და აეგრე მითხრა: თვითონ ტანკამ დამავალა და მაძებნინა შენი თავი, არადა, როგორ მომეძებნე. ისე გავარდი, თითქოს

თავისდღეში არ გიცეკვიაო. ახია შენზე, ეგრეც მოუხდება შენისთანა დოყლაპიასო. ენა გამომიყო და გამიჯახუნა კარი. ამასობაში სტუმრებმაც გამოიღვიძეს ნელ-ნელა. მე კიდე, ბეჩი, შინ გავიქეცი.

...მალე ერთი პირი კედელიც ამოვაშენეთ. მზე გადადიოდა ჰორიზონტზე, ღუოდა წყნარი, ნათელი დაფიონი. ქუდი მოვიხადე და წლეულს პირველად შევიგრძენი მზის უილაჯო, მაგრამ სანუგეშო სითბო.

— რაო, აცხუნებს ეგ მადლიანი? — გაიღიმა ოლეშამ.

იმანაც ქუდი მოიხადა და მზეზე აქათქათდა ჩვილივით უბრყვილო მისი სიმელოტე. სწორედ ამ დროს ავტომანქანის შორეული გუგუნიც მოიჭრა აბანომდე. პირი არ შეგვითქვია, ისე დავველოდეთ მანქანას; თხუთმეტიოდე მეტრზე გადიოდა გზა. ოლეშა ცნობისწადილით უმზერდა მოახლოებულ სატვირთოს, ცდილობდა გაეგო, ვინ იყო, სად მიდიოდა და რატომ მიდიოდა. მანქანამ დაამუხრუჭა და კაბინიდან ყაჩალივით გამოიხედა ცხვირპაჭუა სიფათმა, ყურებიანი ქუდით დაგვირგვინებულმა.

— ბაბუ, ჰა, ბაბუ! — დაიძახა შოფერმა.

— რაო, გენაცვა? — ხალისით გაეპასუხა ოლეშა.

— რა მიწა გიძლებს ამდენ ხანს! — გაიკრიჭა შოფერი და კაბინის კარიც მიჯახუნდა. მანქანამ მხეცივით დაიღმუვლა და გზას მიჰყვა. გავცოფდი, ეგ რა ხუმრობაა-მეთქი, წამოვავლე ხელი საღუმელე ქვას და შოფერს მივაყოლე, მაგრამ ვერ მისწვდა, შორს წასულიყო მანქანა. არადა, ბერიკაცს რომ შევხედე, უარესად შევჩქვიფდი — აღტაცებული გასცქეროდა მანქანას და პიროლიმილიანი ამბობდა:

— აფერუმ, ეგ ქოფაკი, ეგ დამთხვეული, ეგა! ხელათ'ში მიხვდები: აქაური არ არი!

არც კი გამოვეთხოვე, შინ წავედი. ჯანდაბამდისაც გზა გქონიათ სუყველას! ღმერთმა უწყის, რა ამბები ხდება! ალარ მინდა თქვენთან საქმის დაჭერა! მთელი ის საღამო გაბოროტებული დავდიოდი, როგორც სოფელში დატოვებული ვაცი, როცა მთელი არვე, ყველაზე დაჯანდაგებული ბებერი თხაც კი საძოვარზეა გასული და ერთმანეთის პირისპირ მარტო ეს ვაცი და უკაცრიელი, პაპანაქებით შეხუთული პატარა სოფელი დარჩენილა.

— მიმიფურთხებია! — დამარცვლით ვიმეორებდი ხმამაღლა და თავადაც არ ვიცოდი, ვისზე და რაზე ვბრაზობდი.

XI

მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად ახლა წამიხდა ნამდვილად გუნება. ალარც მისაუზმია, ღუმელზე ავძვერი და ბნელში მწოლარე ვაყურადებდი ჩემს ძველ სახლში დასადგურებულ ღუმირა სიჩუმეს. მალე გავარკვიე, თურმე ოლეშაზე ვბრაზობდი, იმიტომ, რომ იოტისოდენადაც არ გაუბრაზდა იმ ხეპრე შოფერს. ამას რომ მიეხვდი, უფრორე გავვანჩხლდი. ოღონდ არც კი ვიცოდი რა მაბრაზებდა და გულშიაც რაღაცნაირი უხერხული, უამური გრძნობა მედგა. და როცა ოლეშამ მომინახულა, უცებ ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ოდესღაც, დიდი ხნის წინათ უკვე

მქონდა ასეთივე განცდა უხერხულობისა და უსიამო გულისრევისა, — ჩემშივე თავის გამო და ყოველივე იმის გამო, რაც ირგვლივ ძერტყა.

ჰო, რაღა თქმა უნდა, ერთ დროს მართლაც განვიცადე რაღაც ამდაგვარი. დიდი ხნის ამბავია, ის-ის იყო სკოლაში შევედი. ახალგაყინულ მდინარეზე სრიალში ყინული ჩამიტყდა, წყალში ჩავვარდი და ბებიაჩემმა გამტყიპა. შინ წამომიყვანა ხელში ატატებული და ღუმელზე დამაბლერტა. ვტიროდი და უფრო შეურაცხყოფა მატირებდა, ვიდრე ტკივილი. უშარვლოდ ვეგდე ღუმელზე და ვზლუქუნებდი. მერე და მერე ჩავთბი, ტანი მომიდუნდა და თვლემა მომერია, მაგრამ არ მინდოდა წყენა დამვიწყებოდა და ძილს ვუძალიანდებოდი. გულში რომ სიბრაზე არ გამნელებოდა, სულ ბებიაჩემის მჯიღებს ვიხსენებდი და ასე ვაცხოველებდი მინავლულ ბრაზს.

საღამოს საუზმეზე დამიძახეს, მაგრამ არ ჩამოვედი ღუმელიდან, ჩემი ჭკუით შიმშილობა გამოვაცხადე. მაინცდამაინც დიდი პატიჟი რომ არ დამიწყეს, ამაზე უარესად დავიბოღმე, გადავემტერე მთელს ქვეყნიერებას. ვიწექი და ვფიქრობდი, კაციშვილს არ ვებრალები-მეთქი; წარმოვიდგინე, როგორ გავიქცეოდი შინიდან, დავიკარგებოდი სადმე ტყე-ღრეში, მთელი სოფელი დამიწყებდა ძებნას და სამ დღე-ღამეს ვერ მიპოვიდნენ. ბებიას კი, შებრალებას ვიღა ჩივის, სააშკარაოზე გამოჰქონდა ჩემი ხვაშიადი: დახეთ ამ ეშმაკისფეხს, წამოგორებულა და ფიქრობს, დამაცათ, მე თქვენ გასწავლით ჭკუას, არც ვჭამ და არცა ვსვამო. ვიწექი ასე, გულში კი მეწადა ერთხელაც დაეძახნათ, მაგრამ არავინ მეძახდა და ისე ვიწვოდი ჩემივე თავის ცოდვით, ისე ცხოვლად წარმოვიდგენდი ტყე-ტყე ჩემს ძებნას, რომ ცხარედ ვტიროდი. მახსოვს, სანამ დედაჩემი სამუშაოდან არ დაბრუნდა და არ მომეფათილა, ღუმელიდან ფეხი არ ჩამომიდგამს. დედა რომ მოვიდა, ჩამოვედი, ერთხელაც ავტირდი და გული ნელ-ნელა, კარგა ხნის შემდეგ ჩამიდგა საგულეში, მთელი ქვეყნიერება და ჩემი ახლობლებიც ხელახლა თავ-თავის ადგილას დადგნენ, ოღონდ ეგ იყო: სამარეში ისე ჩავიდა, ბებიას ვერა და ვერ მივუტევე იგი წყენა.

ახლა, ეს ყველაფერი რომ გავიხსენე, კვლავ გავხალისდი, მაშინვე თექურებში ჩავდგი ფეხები, წამოვხტი ღუმელიდან, ტანთ ჩავიცვი, გავუგდე კარს ურდული და რაღაი ბრიგადირს დღეს კრება ჰქონდა ნათქვამი, იქით გავეშურე.

კრება ბრიგადირს თავის სახლში მოეწვია. სახლი ფაფარლალავებული სოფლის მეორე თავში ედგა, აქედან ხუტორივით ჩანდა და საკვამურიდანაც ისე ამოშლოდა კვამლი, ნახატსა ჰგავდა. აუჩქარებლად გავიარე მთელი სოფელი, მივაბიჯებდი და მარცხენა ბეჭში რაღაც უჩვეულო სუსხსა ვგრძნობდი. სუფევდა სიჩუმე და სინათლე, ყინავდა ცოტათი. ბადრი მთვარე კაშკაშებდა ცაზე და ძირს ისე გაქათქათებულიყო შემოგარენი, თვალს ვერაფერი დაემალებოდა. სოფლის თავზეც დიდროვანი ვარსკვლავები ჩახჩახებდნენ, გალოკილ შაქარყინულებსა ჰგავდნენ. სიჩუმე იდგა უდიადესი.

ანაზდად ავენიძის ქოფაკი, გზაზე რომ დაყუნცულიყო, და თვალებს კუსავდა, შემეხმიანა მშვიდი და ძალოვანი ყეფით, მაგრამ სულ მალე ჩემი დარდი აღარა ჰქონდა, დასაყადლებულ შეშასთან მიირბინა, ნახევარი წამით შეყოვნდა, ფიქრიანად ასწია უკანა ფეხი და ისე წავიდა, თითქოსდა

ვალი რამ მოეხადოს ღირაეულად. ვიცოდი, მარტო ჩემმა გარეგნულმა გულგრილობამ ქნა, ასე მშვიდობიანად რომ გამეცალა: აბა, როგორმე რომ ავყოლოდი მის წამოყეფებას, კარგ დღეს არ დამაყრიდა. თუმცა, არც ასე დამყრია დიდი ხეირი: საკმაო იყო ქოფაკის ხლიჩინა, ამაზრზენი ღაღავი, რომ თითოეული სახლიდან თუ საჩეხიდან, წინკარიდან თუ ახორიდან სხვადასხვა ყალიბის უამრავი ხმა იგამოჭრილიყო. აღტყინებულხი მიყეფდნენ ყოველი მხრიდან, ზოგიერთი ხომ მართლაც ძალიან თავგამოდებული იყო. ერთი წილი სხვათა წაბაძვით ყავყავებდა, სხვებმა თავადაც არ იცოდნენ რა აყეფებდათ, ისე, მოსაწყენი ცხოვრებით გაბეზრებულებმა გამოიდეს ალბათ თავი. ჯერ ერთობ კოლორიტული ვინმე გამოჩნდა გზაზე, მეძებრისა და რომელიღაც დეკორატიული, მარტოოდენ გამოყენებითი მნიშვნელობის მქონე ჯიშის შეჯვარებით მიღებული. ეს სუტრაპიანი გახლდათ, ოლეშას ძაღლი. ერთი კი შემიყეფა და მაშინვე გაჩუმდა. სუტრაპიანი კი გაიქცა, მაგრამ ახლა პატარა, ფეხწვრილა ძაღლი გამოვიდა ასპარეზზე, ევდოკიას მინუტკა. ამას ახლორე არ ვიცნობდი და ისე გაბედულად მომეტევა, უნებურად უკან-უკან დავიხიე, იგი კი, ჩემი სისუსტე რა ნახა, თანდათან გაკადნიერდა და ბოლოს კბილიც გამკრა თექურაზე. ესევითარი სიმედგრე სრულიადაც არ შეესაბამებოდა მის დაგვალულ ტანს. ახლა ბრიგადირის ფეხუცა კაშტანი მომდგა, გონივრულად იცავდა უსაფრთხო მანძილს, მთლად გაწიწმატებულიყო და მალიმალ, მისგანვე დამოუკიდებლად ეცვლებოდა გრძნობები. კაშტანის კვალზე შეუწყვეტლივ წკავწკავებდა ვიღაცის ერთცუცნა, ლამის ჯიბეში ჩასასმელი ძაღლი, თანაც მისი წინა ტანი რომ ერთ გმობა-წყრომას აფრქვევდა, უკანა ნაწილი კუდის ქიცინით გამოხატავდა ერთგულებას და ლაქუცს. საოცარია, როგორ შეეძლო ერთი ძაღლის ერთ სხეულს ასე სრულიად საპირისპირო გრძნობების შეერთება: წინა ნაწილი ხომ ესოდენ გაოფთრებული გახლდათ, უკანა — პირმოთნედ ცმუკავდა, შენი გულისთვის მზად იყო ცეცხლსა და წყალში გადასავარდნად. „ერთი ამ არამზადას დამიხედეთ!“ — შეჩქვიფებული ვიდექი შუა გზაზე.

— რა დღეში ხართ, თქვე ალქაჯებო! რა დღეში ხართ, თქვე რქიანო ეშმაკებო! — მიხსნა ძაღლების ტყვეობიდან კრებაზე მიმავალმა ევდოკიამ, — დახე, როგორ გამრავლდით და აიხირხლეთ! მგლები მაინც დაგცემოდათ ერთხელ და გაეწყვიტა თქვენი სინსილა! ძაღლებივით ირჯებიან, ღმერთმანი, ძაღლებივით, ყაძახს გზაზე ვერ გაუვლია!

იქნებ იმიტომ, ასე უბრყვილო გულისა რომ იყო, ან იქნებ იმიტომაც, მუდამ ცხოველებთან რომ უხდებოდა ყოფნა და მისჩვეოდა მათ, ევდოკიას სულმთლად დაავიწყდა, მართლაც ძაღლებს რომ ელაპარაკებოდა და, რაკი ძაღლებს ძაღლები დაარქვა, ამით კიდეც საკვლებით გამოიაკეთა საერთო გაწყობილება... ასე დაძმურად რომ „ყაძახი“ თქვა ჩემზე, ამან როგორღაც სიმხნე შემმატა, კვლავ აქაურად ვიგრძენი თავი, აღელვებულმა დავიფერთხე თოვლიანი თექურები და ევდოკიას შევყევი ბრიგადირის ქოხში.

იქ თხუთმეტიოდე კოლმეურნე შეყრილიყო, ორასამ ჩვილს თუ არ ჩავთვლით, ყველაზე უმრწემეს ჩემს მეზობლებს. ისინი ხმამაღალი ჭყლობინით, ანდა ჰრანაკლებ ხმამაღალი ღნავილით დროდადრო თავს შეგვახსენებდნენ ხოლმე, რაც, სხვათა შორის, წამსვე აღიკვეთებოდა დედაკაცთა ერთობლივი მეცადინეობითა.

წინ აღარ გავედი, შესასვლელში ჩამოვჯექი, კარის ზღურბლზე. სახლის ამ ნაწილში ბალღები შეგროვილიყო, ყველა, ვისაც კი ფეხი ჰქონდა ადგმული, ჩემს გვერდით კი, ზღურბლზევე, მჭედელი პეტია იჯდა და თამბაქოს ბოლებდა. ერთიმეორის მიყოლებით შემოხროვდნენ ძაღლებიც, ოღონდ აქ უკვე ქუჩურად როდი ეჭირათ თავი. მინუტკა, მაგალითად, სახლში ერთობ ალერსიანი, უწყინარი არსება გამოდგა.

ვიფიქრე, აწ კი მოვუსმენ, რას ლაპარაკობენ-მეთქი, მაგრამ პეტია-მჭედელმა მკითხა, შვებულება რამდენი დღისა გაქვსო. პასუხი გავეცი და ახლა მე მკითხე, კრება რაზეა-მეთქი.

— ცარიელი ქაქანია! — ხელი ჩაიქნია პეტიამ და: თუ თევზაობო, მკითხა.

მე ხმამაღლა ვუჩურჩულე, არ ვთევზაობ-მეთქი, და იქაურობას დავუწყე თვალიერება.

შორიახლოს საქონლის სასმელი წყლით სავსე შავი სალუდე ქვაბი ჩანდა, უფრო იქით ნამჯის ლეიბი იყო აკეცილი, მარჯვნივ კი, საწოლზე, ბრიგადირის ბებია იჯდა, დროდადრო თეთრ პატარა თავზე ეფერებოდა თავის ბალიშის შვილს, პატარა გოგოცუნას, და ამბობდა:

— ჩემი ტანიუშა ოქრო გოგოა, არავინაა ქვეყანაზე ამის ფასი.

მერმე მოლაპარაკეებს დააყურადა, მაგრამ, ეტყობა, ველარაფერი გაიგო თავისი სიყრუის გამო და ისევ გოგონას დაუწყო ფერება, ისევ ამბობდა, ასეთი და ასეთი გოგო არისო ჩემი ტანიუშა.

ამასობაში წინ, საცა სინათლე ენთო, საქმე პრეზიდიუმის არჩევაზე მიმდგარიყო.

— აბა ვინ? — უკვე მესამედ ეკითხებოდა კრებულს ბრიგადირი.

არავინ არაფერი თქვა. მაშინ ანარზდად პეტია-მჭედელმა დაიძახა პირდაპირ ზღურბლიდან:

— კოზონკოვი იყოს მდივნად, თავმჯდომარე — შენ იყავი!

მინუტკამ წამოიღრინა ამ მჭახე დაძახილზე, გაისმა ქალიანი ხმები:

— ჰოდა, ძალიანაც კარგი!

— დრო რაღაზედ ვწელოთ?

— კარგია, მეტი რაღა გინდათ!

— ყველანი თანახმა ხართ? — იკითხა ბრიგადირმა; თავის მაგიდასთან წამომდგარიყო, ჯერაც ედგა ზედ სამოვარი. — მიდი, ივენირ პავლოვიჩ, დაიკავე ტრიბუნა. აგერ შენ ფანქარი, სუყველა რეპლიკა ჩაიწერე. მაშ, ამხანაგებო, გვაქვს სამი საკითხი: პირველი — ჩემი, როგორც დეპუტატის ანგარიში, მეორე — მეჯინიბის არჩევნები, და სხვადასხვა საკითხები.

ოდნავ გავიხედე წირთხლს მიღმა. დედაკაცები შემოსხდომოდნენ დიასახლისს, ასევე რომ ჩვილი ეპყრა ხელთ, და რიგრიგობით აჰყავდათ ხან ერთი, ხან მეორე ბავშვი, თითოეულს საფუძვლიანად აქებდნენ, არწევდნენ, ბავშვები კი ფეხებს პარჭყავდნენ და მხიარულ ბუშტულებს უშვებდნენ ვარდისფერი ბაგეებით. ანფეაც აქ იყო, ბავშვიანად. ბიჭუკელა ისე მოეხიბლა ყლარ კატის, რომ თავი ზოოპარკში ეგონა და დედას ფუნთუშასა თხოვდა, კატას ვაჭმევო. ანფეა უყელო ფეხსაცმელებით და კაპრონის წინდებით წამოსულიყო კრებაზე. ახალი შავი ქვედაკაბა ამაოდ ლამობდა მისი სქელი მუხლის დაფარვას, ოლეშას მელოტ თავს რომ მოჰგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამხანაგებო, საანგარიშო პერიოდში...—დაიწყო ბრიგადირმა და ერთბიანეთს ნიპყვა ასეთი გამოთქმანი: „აუცილებლობის ძალით", „მოცემულ პერიოდში", „გრაფიკში ჩასატევად"...

ამის შემდეგ ბრიგადირი ციფრების კითხვას შეუდგა, მაგრამ ერთ-ერთმა ბავშვმა, უფრო სწორედ — ბრიგადირის მემკვიდრემ, ალტყინების ისე ომახიანი, გაუგებარი ყივილი ამოუშვა, რომ მამის ხმაც დაფარა, და ყველანი, პირღიმილიანები, უკან მოახედა. დამნაშავეს, კრების შემფერხებელს, ლიაფერი თვალები დაეჭყიტა, დედის მუხლებზე აბრაგუნებდა ნაოჭებიან ფეხებს და **გაბადრული** შესცინოდა ყველას.

— რა იყო, მიტენკა, უჰ შენა! — ტუჩები წამოზიდა და დაუბუხუნა მამამ ვაჟიშვილს, მაგრამ მაშინვე გაიმართა. — მოცემულ პერიოდში, ამხანაგებო, რძის პროდუქციის მხრივ გვაქვს ჩავარდნები, კერძოდ: ცუდი, დაბალი ცხიმიანობა...

— მანდ შეგაჩერებ, — გაისმა პეტია-მჭედლის ხმა, — შენ რა, კოლმეურნეობამ დაგავალა ეგ კრება თუ კოოპერატივმა?

— პარტკომიტეტმა, — განმარტა ივენირმა.

— აბა, ივენირ პავლოვიჩ, სოფსაბჭომ! — ხმამაღლა გაუსწორა ბრიგადირმა კოზონკოვს. ამასობაში ქალებმა ძსარგებლეს ამ ახალი შეფერხებით და რაღაც ჭვავის ფქვილის თაობაზე გააბეს ლაპარაკი.

საწოლზე მჯდარი დედაბერი დროდადრო ჩათვლემდა ხოლმე, მაგრამ თავისივე ხვრინვა მაშინვე აღვიძებდა და კვლავ თავზე ესათუთებოდა თავის წყნარ ბიჭიშვილს:

— აფერუმ, ჩემი ტანიუშკა! აფერუმ, ჩემი ოქრო გოგო...

ვედრო ჩამოვარდა კართან.

—ჯანდაბას თქვენი თავი! — ბრიგადირმა ხელი დაჰკრა თავის თეზისებს და დახურა, — არ მძსმენთ და, მიდით, თვითონვე ჩაატარეთ.

მაშინ ივენირ კოზონკოვმა მოკლე შეგონება წარმოთქვა დისციპლინის თაობაზე:

— რაკი მოსულხართ, ბარემ დაუგდეთ ყური, ნული არ ღვევთ პროცედურას! — და შემრიგებლურად დაუმატა: — ჩვენ თვითონ ვკარგავთ ჩვენს დროს.

პეტია-მჭედელმა გარეთ გააძევა ქოხში მოხროვილი ძაღლების ერთი ჯგუფი, თანაც თქვა: ეგენი ტყუილად მოსულან, აღარაფერი ესაქმებათ აქაო. ისევ წესრიგი დამყარდა, მხოლოდ ბრიგადირის ბავშვი, მიტია, მარტოდენ მისთვის გასაგებ ენაზე ლუღუნებდა რაღაცას.

— მიტრეი, ჰა, მიტრეი! — ხმადაბლა, საბოლოოდ, თითქოს შესვენებას წერტილი უნდა დაუსვასო, თქვა ევდოკიამ და ჭიპზე მოუღაჭნა ბიჭუნას. — დახე, არ გამოგვიფინა შანდალი? აბა, თქვი, მიტია: შანდალი, შანდალი — გოგოების ხანჯალი.

დაამთავრა და ისევ დადინჯდა.

— მეორე საკითხზე გადავდივართ, ამხანაგებო. — ბრიგადირმა ძველისძველი სავარცხლით გადაივარცხნა ნახევარ ბოქსზე შეკრეჭილი თმა.— ამასაც მე ვიტყვი, როგორც ბრიგადირი. თქვენ თვითონ იცით, ამხანაგებო, მეორე ბრიგადის წევრებო, რომ მოცემულ მომენტში ჩვენი ცხენები უმეჯინიბეოდ არიან დარჩენილნი. ჰოდა, თქვენ თავად გადაწყვიტეთ. იმიტომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ევდოკიას, ჩვენს მეჯინიბეს თიაქარი სჭირს და მედიცინამ მუშაობა აუკრძალა.

ბრიგადირი დაჯდა და სუყველა გაჩუმდა.

— კაციშვილი არაა, ვინ უნდა დავაყენოთ, — მძიმედ ამოიოხრა ვილაცამ.

ბრიგადირმა ჩემსკენ გამოწკურა თვალი და მოჩვენებითი მხნეობით წარმოთქვა:

— მე ასე ვფიქრობ: მოდით... აბა, მიტია, მიტენკა!.. მოდით, ავენირ პავლოვიჩსა ვთხოვოთ. გაგებული კაცია, არც ოჯახი აწევს კისერზე.

— არა, ავენირ პავლოვიჩის მუშაობა არ იქნება! — მტკიცედ თქვა კოზონკოვმა.

— რათა, კაცო?

— რათა და, ჯანმრთელობა არ მაძლევს მაგის ნებას. ნერვიული სისტემის ბაზაზე.

ევდოკიას თავი ჩაელუნა, წინსაფრის ფოჩსა წეწავდა, რცხვენოდა, რაკი თავისი ავადმყოფობით საქმე გაუჯანჯლა ყველას, ნამდვილად ქეჯნიდა ეს ამბავი.

— ჰოი, ავენირ პავლოვიჩ, — შეპარვით, გაუბედავად დაიწყო ერთ-ერთმა მწველავმა ქალმა. — დადექი მაგ თანამდებობაზე. აგე, ოლეშაც ვერაა ჯანზე, მაგრამ ფერმაში გამოდიოდა მთელ ზამთარს.

— შენ, კუზნეცოვა, ოლეშას ნუ მადრი მე! ნუ მადრი-მეთქი! ოლეშა ჩემზე ბევრად უფრო ჯანმრთელია! — ავენირი ისე აღელდა, ქალალდებს დაუწყო ფათური და ფანქარსაც ადგილი შეუნაცვლა მაგიდაზე.

კუზნეცოვას მეტი ენა არ გაუძრავს, მაგრამ ამ დროს ანაზდად გამოფხიზლდა ნასტასია, ქმარს გამოექომაგა, უჩვეულოდ ზარიანი ხმით დაიძახა:

— კი მაგრამ, საიდანაა ოლეშა უფრო ჯამრთელი? უყურე, შენ, ამანაც ჯამრთელი ნახა, რაღა! ფეხზე ძლივს დაჩუჩუნობს ბერიკაცი და, დახეთ ერთი, ჯამრთელიო!..

ატყდა ღრიანცელი, ყველა აყაყანდა, ყველა თავისას გაიძახოდა, სხვას არ უსმენდა. ბალღებმაც მორთეს ღნავილი. მინუტკამ ყეფა ასტეხა. ალტაცებულმა პეტია-მჭედელმა შიგ ყურში ჩამიჯლოყინა:

— აბა, აწი კი წავა დაკადაკა. დედაკაცები გამოვიდნენ საყადელზე, ალარ იქნება საშველ-სახიდებელი!

მართლაც ისეთი ხმაური ატყდა, კაცი ვერას გაიგებდა. ბრიგადირი გაიძახოდა, რომ „აცილების გარეშე“, ესე იგი ძალით გაამწესებდა კოზონკოვს მეჯინიბედ. კოზონკოვი კი კანტორის მუშაკებს ითხოვდა და გაჰყვიროდა, ბრიგადირს უფლება არა აქვს „აცილების გარეშე“ დამაყენოს მეჯინიბედო. აქეთ ნასტასიაც ერთთავად იმას გაიძახოდა, ჩემი ოლეშა დაჯანდაგებულია, ავენირს კი წინანდელზე მეტი ჯანი აქვს: აგე, შეშას ხერხავს და იმოტოლა კუნძებს ატრიალებს, რაღა დათვი და რაღა ეგაო. ევდოკიაც ლაპარაკობდა, ოღონდ რაღაც დაკარგულ კეხსა ჩიოდა. მწველავი კუზნეცოვა იძახდა, მეორე კვირაა, მე თვითონ ვეზიდები საქონლის საკვებს და აწი გინდაც ციხეში ჩამსვან, მეტი ალარ ვიკლი თივის სათრაქავად, ამას რუსული საბჭოთა ენით გეუბნებითო. ბრიგადირის ცოლი კოოპერატივში

მოტანილ რაღაც ზალეულზედაც ასწრებდა ლაპარაკს და ბალღსაც უგურგურებდა. რადიომაც რატომღაც ახლა წამოიწყო ანაზდად სიმღერა. ვილაც დიაცი უჩვეულოდ ბოხი ხმით იმღერდა: „სარკმლის მიღმა ხან დარია, ხან ავდარი, ახლა ძილის დრო-ა-ა!“ მინუტკა ყეფდა და თავადაც არ უწყოდა, ვის უყეფდა. ყველაზე შეუსაბამო, რა თქმა უნდა, მაინც ეს რადიოდან მოდენილი ბოხი ხმა იყო, ქალწულის სიმღერას რომ აცოდვილებდა ეს ვილაც დედაკაცი. ამ ჰანგის მსმენელს არ შეეძლო არ ეფიქრა: „შენ ალბათ ულვაშებიცა გაქვს, ლამაზო!“

XII

გარეთ გამოვედი. მთვარე კიდევ უფრო გადიდებულიყო და გაბადრულიყო, ვარსკვლავები ახლა ოდნავ მოცისფროდ კიაფობდნენ, ყველგან თოვლი ციმციმებდა. ჩემს ირგვლივ არაამქვეყნიურ სამეფოს ჰგავდა მიდამო. გაბუცებული ვიყავ, ვერ გამეგო, რა მემართებოდა, თავშიაც ისეთი დომხალი მედგა, აი, ქალის ზარდახშას რომ შეაყანყალებენ და ყველაფერი აირევა: ჩვრები, ცვილის ნატეხები, სათითეები, ცარცის ნაგვეხები, ხურდა ფული, ნემსები, საფოსტო მარკები, მაკრატლები, ქვითრები, ვაზელინის ნაირნაირი ქილები...

კარგა ხანს ვიდექი შუა ქუჩაში და მშობლიურ სახლთა იდუმალ ლანდებს ვავლებდი თვალს. ფიქრი ნაბიჯთა ჭრაჭაჭრუჭმა გამიწყვიტა, მოვიხედე და ანფეა დავინახე.

— ბუნების ცქერით ტკბებით, არა? — მკითხა და ისე ჩაიცინა, ეტყობა, მიწონებდა ამ საქმეს.

— ისე, სუფთა ჰაერზე... — არ ვიცოდი, რას ამბობენ ხოლმე ასეთ დროს.

ანფეამ ბიჭი შინ გაგზავნა.

— გაიქე, აგე, სახლს ხომ ხედავ? ღიაა ჭიშკარი. ბებიაშენი გაგხდის, კისელს დაგალევინებს.

ბიჭი სკუპ-სკუპით გაიქცა. ანფეა მომიბრუნდა და ისევ ჩაიკისკისა:

— კოსტია, ძრაგეშინია, სახლში რომ მარტო ათევ?

— არა, არ მეშინია.

— აბა, მე ვერასდიდებით ვერ გავათევდი მარტო. მარტოკას რა გამათევინებს ამხელა სახლში.

ჩავახველე, იმის ნიშნად, გავიგე-მეთქი ნათქვამი.

— ვინმე დიასახლისი მაინც მოგენახა, — მითხრა თითქოსდა ხუმრობით. — თუნდაც დროებითი...

— რაღა დროსია... დავბერდი.

— იჰ, რა ბებერი ამბობს! — იგი ოდნავ შეყოყმანდა. — აბა, დროებით, ნახვამდის... შემოგვიარე ხოლმე.

წავიდა, მალალქუსლიან ფეხსაცმელებს მიაჭრაჭუნებდა თოვლზე. ცალ ხელში ხელთათმანი ჩაებღუჯა და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ლაღად აქ-

ნევდა ამ ხელთაბანიან ჯელს. მე კი ჩემს სახლში შევედი და ურდული გავუგდე ჭიშკარს. დასაძინებლად რომ ვწვებოდი, გავიფიქრე, ყველა გენიალური აზრი თავის დროზე კი არა, ცოტა მოგვიანებით მოსდის-მეთქი კაცს თავში: „რა ჯანდაბად არ მოვიწვიე, ბარემ აქა ხარ და იდიასახლისე-მეთქი. დავბერდიო, მარტოკას არ მეშინიაო! მეც ერთი...“ დაძინებას ვცდილობდი, ვტრიალებდი, ვხვნეშოდი და ვკრუხუნებდი, მთვარე ზედ თავზე გადმომცქეროდა... ფანტაზია სულ უფრო სწრაფად ატრიალებდა თავის დოლაბებს. „დალახვროს ღმერთმა! სიბილწეა მაინც. შენ კი, ძმაო, კაი თახსირი ვიღაცა ხარ. თანაც უბრალო კი არა, ნალდი, წყალი რომ არ გაუვა. თუმცა შენ რასა კარგავ, თუკი თვითონ ქალი...“ და უცებ, შეშინებულმა ჩემი ცოლი დავაყენე ამ ქალის ადგილას. „აბა, განა ჩემი ტონკაც ეგეთივე არაა? ესენი ყველა ერთნაირია, შენ მხოლოდ დრო და ადგილი მიეცი შესაფერისი“. — გავიძახოდი ჩემს გულში, ვბრაზობდი და უკვე მძულდა, მეზიზღებოდა ცოლი.

— ევას ნაგრამები! ქარაფშუტები! — ვილანძღებოდი ხმამაღლა და ცხოვრების სიწყარესა და უაზრობაზე ვფიქრობდი.

მეხვეოდა ძილის არტახები, მაგრამ ამ ჯავრს ვერ აყუჩებდა. ძილში უფრო მწვავე იყო ეჭვი და ტკივილი. კვლავ გამელვიძებოდა, ვეებერთელა ყვითელი მთვარე მომეფეთებოდა ზედ თვალებზე.

„არა, ცხოვრებაში ისე არ ხდება რაიმე, როგორც შენ გგონია, პირიქითაა ყოველივე...“ მეჩვენებოდა, თითქოს ჩემს ძველ სახლსაც არ ეძინა ახლა, ერკინებოდა ამ გრძელ, მთვარიან ღამეს, იხსენებდა საუკუნოვან გარდასულ ამბებს და მთელი თავისი მცენარეული არსით თანამიგრძნობდა.

სასაცილოა და უაზრო... ეტყობა, ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ რაც უფრო ბრიყვია კაცი, მით უფრო ნაკლებ იტანჯება. რაც უფრო მეტად გინდა სიცხადე და გარკვეულობა, მით უფრო მეტად გიცრუვდება იმედი. იქნებ, სჯობს, აღარაფერი ეძიო? იცხოვრო და ნეტარი ბრიყვი იყო? კი მაგრამ, ვითვალთმაქცო განა? ისე დავიჭირო თავი, თითქოს აღარაფერი ვიცი?

გამახსენდა, ჩემს პატარა ბიჭობაში ლავგარდანზე მომუშაკე მერცხლების ცქერით რომ ვტკბებოდი, — ისე მარჯვედ და ხალისიანად ამენებდნენ საკმელთა ზემოთ თავიანთ ციცქნა სახლებს. თაფლის ხვეზებივით ეწებებოდნენ ერთმანეთს ბუდეები. რამდენიმე დღე სულ იმაზე ვიტეხდი თავს, ნეტავ რისგან კეთდება-მეთქი ეს პაწაწინა სახლები. მინდოდა ხელით გამესინჯა, გამეგო, რა იყო ამისთანა. დაბლიდან ერთობ იდუმალი და საგულისხმო ჩანდა ყოველივე. ბებიას ვკითხე, რისგან აშენებენ ეგ მერცხლები ბუდეს-მეთქი. ტალახისგანო. ისე უხეში და არაპოეტური იყო ეგ ამბავი, რომ განაწყენებული დავდიოდი, არა მჯეროდა და საღამომდე სულ ბებიაჩემს დავდევდი კუდში, ბუდე ჩამომიღე-მეთქი. ბოლოს გრძელი ჭოლოკი ავიღეთ სვიის ბოსტანში და ბებიამ ლანძღვა-ლანძღვით მოჩქლიტა ერთი განაპირა ბუდე, ჩამომიღო. იმწუთას ვეცი, ავიღე მერცხლის ნაჭუჭაკევი და... ლაჩის თავზე დავთხლიშე ბებიას. ბუდე მართლაც ტალახით იყო შეგოზილი, ნამჯის წკირებითა და ჩიტის სკინტლით მეთითხნილი. გული დამიბჯიბდა, ყველაფერი ბებიაჩემის ბრალი მეგონა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIII

სახლში ჯერაც თბილა, დილითაც კი არ იგრძნობა სუსხი, თუმცა ფანჯრის გარეთა ჩარჩოზე, ალაგ-ალაგ, ხორკლიანი ნაყშები მიუხატავს ყინვას. ნელ-ნელა ვიქარვებ წუხანდელ სიმძიმილს. ნება-ნება ვხეჩავ კვარს, მერმე ღუმელზე ვხტები საკეტის გამოსაღებად. ვთლი კარტოფილს, ვსტვენ დათან ვფიქრობ, პირდაპირ მოვხარშო ეგ კარტოფილი თუ საქონლის კონსერვით ჩავაბუჟუჟო. სასიამოვნოა, რომ ამის გადაწყვეტა შემიძლია აი, ახლა, როცა კარტოფილსა ვთლი. ისიც მიხარია, საუზმის შემდეგ აბანოს შესაკეთებლად რომ წავალ, ანდა იქნებ სულაც არ წავიდე აბანოში, ტყისაკენ გავუყვე ვიწრო საზამთრო ბილიკს და ფიჭვის ტოტები დავტეხო საცოცხედ, ანდა არაფერიც არა ვქნა და მარტო კურდღლის ნაკვალევი ვნახო, წიწკანების ჟღურტულს დავუგდო ყური, ლიპი თოვლის ცივი ნატეხები ვწუწნო...

გავაჩაღე ღუმელი, კონსერვიანი კარტოფილი ნელ ცეცხლზე შემოვდგი, თამბაქო გავაბოლე.

ნეტარ მჭვრეტელობაში რომ ვიყავ დანთქმული, ანაზდად კარის ჯახანი მომესმა. ვიღაც მოდიოდა, ხელჯოხს მოაკაკუნებდა. მივხვდი, ავენირ კოზონკოვი მესტუმრა.

ბერიკაცი გაუფრთხილებლად შემოვიდა, ისე, როგორც სოფელში აქვთ ხოლმე წესად. მომესალმა და გახუნებული ქუდი არც მოუხდია, ჩამოჯდა, თუთუნი გაახვია. ჩაიზე დავპატიჟე, არ იუარა და პირდაპირ თერმოსიდან ჩამოვუსხი.

— ელექტრონი ათბობს? — კოზონკოვმა თითი მოუკაკუნა თერმოსს.

— არა, ისე.

ეს კი ელექტრონითაა, არა? — ჩართულ ტრანზისტორს მიჰხედა.

— ეს კი.

— სანამდე ბევიდა მეცნიერება.

დაატრიალა ღილაკი, „მაიაკის“ სიგნალები გაისმა. გავჩუმდით და ყური დავუგდეთ. ნატისუსალის სუნი იდგა ცოტათი და საკვამურის გამოსაღებად ავედი.

— აგერ მე, მაგალითად, მხუთრი ვერას მაკლებს, — თქვა ავენირმა, — ბავშვობიდანვე ასე ვარ. ზოგი კიდე, უყნოსავს და მაშინვე იხუთება. არა მწამს ეგ მხუთრი, მაგარი თავი მაბია.

— მაგარი?

— დასტურ, მაგარი თავი მაბია. არ მაქვს ცუდი თავი, ტყუილს ვერ ვიტყვი, ვერ დავიბრალებ. ზოგჯერ, აი, ტაბაკოვი მეტყოდა ხოლმე...

— ვინ ტაბაკოვი?

— ფინგანის რწმუნებული, რაიალმასკომში მუშაობდა. ცხრაას თვრამეტი წლიდან სუყველაფერში ერთსულოვნად ვმოქმედებდით, მარჯვენა ხელიო, რომ იტყვიან, აი, ისე ვყავდი. როგორც კი ჩამოვიდოდა სოფელში, მაშინათვე მე მომიკითხავდა ხოლმე. ვთქვათ, რელიგიის წინააღმდეგ შეტევას ვაწარმოებთ — ვინ ჩამოაგდებს ზარებს სამრეკლოდან? მე! მახსოვს, ვერავინ გაბედა, ბოლოს მე ავედი. ავძვერი სამრეკლოზე, თანაც ზედ კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეზე გადმოვდექი და ერთი პატარა გასაჭირიც მოვიცილე, პირდაპირ ექიდან გადმოვათქიმინე, რაღა.

— არა, მართლა?

— მაშ! ანდა, მახსოვს, კრებაა ყოფილ სასეფისკვეროში, წამოდგა ტაბაკოვი. ასე და ასეო, მოქალაქენო, ჩვენ გვსურს ღარიბ-ღატაკთა ჯგუფი შევქმნათ თქვენს სოფელში. ხუმრობა საქმე ხომ არ არი. არადა, ვინ შეგიყვანოთ ჯგუფში? შემოგთავაზებთ, მოქალაქენო, ამხანაგ კოზონკოვსაო. კიდევ ვინა? ვდგები და ვკითხულობ სიას: სენკა პიჩუგინი, ერთი კუზი აქვს ზურგზე და სულ ეგაა მისი ქონება. კატიუშა ბლიახინა, ქალთა საბჭოში გამოგვადგება. ენაც კარგად უჭრის, თანაც მთელი თავისი დღე და მოსწრება გადიაობდა. კოლიაც ამოვირჩიეთ, ისეთი იყო, ენას ვერ აბრუნებდა პირში, თანაც სუყველაზე გაჭირვებული ეთქმოდა. ამ დღის მერე სულ ამხანაგ ტაბაკოვის მეგობარი და შემწე ვიყავი. რაც არ უნდა შემმთხვეოდა, სულმუდამ დამიხსნიდა ხოლმე, ბოლოს ოლქში გადაიყვანეს. ახლა ვილაცამ მითხრა, პერსონალურ პენსიაზეაო.

კოზონკოვი დადუმდა.

— რა გგონია, მეც რომ გამეგზავნა საბუთები? არ მომცემენ ვითომ პერსონალურს? აგერ, ყველა საბუთები მეგროვილი მაქვს.

არ ვიცი, საბუთები უნდა ვნახო-მეთქი, ვუთხარი. კოზონკოვმა გამოიღო უბიდან რაღაც რვეული თუ ბლოკნოტი, დაკეცილი და კანაფით შეკრული. რვეული ოდესღაც ქალიშვილის ალბომად იყო გამზადებული და ზედ მართლაც „ალბომი“ ეწერა. ქვეშ მიხატული ჰქონდა რომელიღაც არამიწიერი, ნაირფრად ფურცლებგაფერადებული ყვავილი და ერთმანეთზე ნისკარტებმიდებული ორი ჩიტი, ჯვრებს რომ მიუგავდათ ფეხები. პირველ გვერდზეც ყვავილი ეხატა, მეორეზე ლექსი იყო, საცა ასეთი სიტყვები მოხვდებოდა კაცს თვალში: „უხვად წაიღე ცხოვრებისაგან, რაც შეგიძლია“. მესამე გვერდზე კი „სიმღერა“ ეწერა და ამას მოსდევდა ლექსი ვიღაც ლამაზ ანდრეიზე, ჯერ რატომღაც ცხვრის ფარას რომ ედგა მწყემსად, შემდგომ კი მხეცების მომთვინიერებელი გამოდგა:

...და შეუყვარდა მხეცთა მწყურთნელი,
ის ანდრიუშა, ბიჭი შავთვალა.

ხუთი თუ ექვსი „სიმღერა“ დავითვალე ანფეას ალბომში. შემდეგ მოდიოდა შაირები, დასტურ გულითადი და ცინცხალი შაირები, და ბოლოს კოზონკოვის ჩანაწერებიც გამოჩნდა: „მოისმინეს კოლმეურნეობის მარხილის მითვისების საკითხი, აგრეთვე ცნობა საფასურის გადახდაზე კოლმეურნეობის ბუღის, მეტსახელად მიქსტურას მიერ ერთპიროვნული ძროხების დამაკების გამო“ („რაღა მაინცდამაინც მიქსტურა?“ — გავიფიქრე, მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო): „რიგი შეუგნებელი პირებისა...“, „ნაკელის საზიდად დასაქმებულია...“

ჩანაწერები ზედიზედ კრთოდნენ: „დაადგინეს, იშუამდგომლონ ზემდგომი ორგანოების წინაშე, რათა დაადონ დამატებითი სანქციები ტყის ფრონტის დეზერტირებს, დაეგაზლოს ბრიგადირებს, დააჯარიმონ ისინი ხუ-

თას-ხუთასი მანეთით ავანსად და ჩამოერთვათ კოლმეურნეობისაგან მიღებული ტყავის ჩექმები. გაიგზავნონ ხე-ტყის დაცურებაზე განმეორებით".

ამოვიღე ალბომიდან დაობებული, სხვადასხვა ქაღალდზე ნაწერი საბუთების დასტა. ერთ ქაღალდს ნაბეჭდი ასოებით ეწერა: „სასამსახურო ჩანაწერები", ფანქრით კი სახელდახელოდ შოუწოდებდნენ „აქტივისტ ამხ. კოზონკოვს, დაუყოვნებლივ გამოევლინებინა ტყავის არჩამბარებლები, აგრეთვე სასწრაფოდ გამოეგზავნა ბობოლების დამატებითი სია". ბოლოში ჩანდა ლამაზი, ხვეული ხელმოწერა.

ამ ჩანაწერზე ძაფით მიემაგრებინათ მილიციის ხელშემწყობი ბრიგადის წევრობის მოწმობა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან და კულტგადასახადიდან განთავისუფლების ცნობა, ცხრაას ოცდათორმეტი წლით დათარიღებული, აგრეთვე შეტყობინება სამხედრო შეკრებაზე გამოძახებისა. აქვე იყო რაიონული ამბულატორიის შტამპიანი ფურცელი, სადაც ნათქვამი იყო, რომ „მოქ. კოზონკოვი ა. პ. 1895 წელს დაბადებული, ნამდვილად გავლილია ამბულატორიულ გამოკვლევაზე და საჭიროებს მძიმე სამუშაოებისაგან განთავისუფლებას ფეხის ლრძობასთან დაკავშირებით".

გულისყურიანად გადავიკითხე ყველა საბუთი, კოზონკოვმა კი ცალკე შეკრებილი საგაზეთო ამონაჭრები ამოიღო ჯიბიდან. ძალიან ბევრი გამოდგა. ზოგი მათგანი ჯერ კიდევ ცხრაას ოცდათექვსმეტი წლით იყო დათარიღებული. ქვეშ ან „სოფლკორი" ეწერა, ან ფსევდონიმი „სერგეი ზორკი", ან პირდაპირ „ა. კოზონკოვი".

— არა, ივენირ პავლოვიჩ, ამ საბუთებით არა მგონია პერსონალური მოგცენ.

— რათა, კაცო? გამოითვალე, ცხრაას თვრამეტიდან ხელმძღვანელ სამუშაოებზე ვარ, ღარიბთა ჯგუფშიაც ვყოფილვარ, სოფსაბჭოს მდივნადაც მიმუშავნია. რამდენჯერ ბრიგადირად ქმირჩიეს, ორი წელი მეტეეფის გამგე ვიყავი. მერე მთელი ომის განმავლობაში კოოპერატივში ვიმუშავე. არც სესხს ვავრცელებდი სხვებზე ნაკლებად.

— აბა რა გითხრა... რაიონში გაგზავნე, განცხადება.

— აკი გავგზავნე რახანია.

— მერე რაო?

— დაკარგეს სადღაც. სუყველგან თაღლითობა და გაიძვერობაა.

ისევ გავჩუმდით. ივენირ პავლოვიჩმა ფრთხილად წაიკრიფა თავისი ქაღალდები, ალბომში ჩაალაგა, კანაფით შეკრა ისევე.

— სუყველგან ბიუროკრატებია სავსე, — განაგრძობდა იგი. — არადა, სიმართლით რომ განვსაჯოთ, განა თორმეტი მანეთი უნდა მეძლეოდეს? ზოგჯერ, იყო ხოლმე, სიცოცხლესაც კი ვაგდებდი საფრთხეში, როცა ხელმძღვანელობის საკითხი იყო, არაფერს არ ვუწევდი ანგარიშს. ჰკითხე ვისაც გინდა, ვინც ხნიერია, ყველა გეტყვის.

— შენ რა, ივენირ პავლოვიჩ, ნაგანიც გქონდა? — კვლავ დავასხი ჩაი და თექურები ჩავიცვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XIV

— კი, მქონდა ნაგანი. შვიდტყვიანი, ცეცხლმსროლელი. „ინგლისური ბულდოგი“. პირადად ტაბაკოვმა ჩამაბარა ხელწერილით. მითხრა, ფხიზელი თუ ხარ და სადღე ტყეში მიდიხარ, გატენილი გქონდეს, ხოლო ჯარობაზე თუ ხარ წასასვლელი, ვაზნები გამოიღე და შინ დატოვეო. თორემ რა გამოდის, ძმაო? დალევა მოგიწევს ზოგჯერ, დათვრები და თავის კონტროლს დაკარგავ. მე როცა სადმე სტუმრად წავიდოდი, ვიღებდი ვაზნებს და დედაჩემის სახატეს უკან ვმალავდი.

ერთ ზამთარს, ნიკოლოზობას, ლუდის ხდა იყო მთელს თემში... ერთი აკიმი იყო, ოგარკოვოელი, იმას ვესტუნრე. რახი ჰქონდა, ორი ოთხბოთლიანი, ლუდიც გამოხადა კაი ექვსიოდე ვედრო. ჩვენი ფედულიონოკი კიდე, სამ ოჯახში სტუმრობდა ოგარკოვოში და აკიმთანაც იყო. სუფრას მივუჯექი, პირველს მე მისხამს აკიმი ჭიქას. ამაზე ფედულიონოკი ამბობს: „ეს რა არის, აკიმ ოსტაფეევიჩ, მგონი კოზონკოვზე უფროსებიც არიან ამ სუფრაზე, რა იყო, ბცირეწლოვანებიდან იწყებ რიგს? ადრე ასე არ აკეთებდი. თუკი შენს ოჯახში მე სასურველი სტუმარი არა ვარ, კი, ბატონო, ავდგები და გაგითავისუფლებ ქოხს“. გაჩუმდა აკიმი, არაფერი თქვა, მაგრამ მეორე ჭიქაზე რომ მიდგა საქმე, ვხედავ, ფედულიონოკს უსხამს პირველად. ეგრევე ავხტი, ძმაო, მერხიდან რაღა. აბა, აკიმ, არცა ვარ შენი სტუმარი და არც აწი ვიქნები-ბეთქი. ავდექი, მივდივარ. წამოხტა აკიმი, მაკავებს, ხელახლა სუფრაზე მაჯენს, ფედულიონოკი კი აგრე ამბობს: — ამას რასა შვრები, აკიმ ოსტაფეევიჩ, რაო, ფეხქვეშ უნდა გაეგო? იქნება, ფული გმართებს მაგისი და დროზე ვერ მიეცი? წავიდეს, თუკი არ ეჯდომილება.“ ეგ კი, რაღა თქმა უნდა ვერ ბოვითმინე, უკვე ისედაც წკიპზე ვიყავი, მანამდე ორ ოჯახში ვიყავ ნასვამი და გახურებული მქონდა თავი. ვეცი ამ შენს ფედულიონოკს, ჟილეტში ჩავაფრინდი მაგიდის აქედან, მოვქაჩე, სულ დასწყდა ღილები. ასტეხეს წიოკობა დედაკაცებმა, არის ერთი აურზაური, გამოვათრიე ფედულიონოკი, მოვაცილე მაგიდას. გაბრაზდა მაშინ აკიმი, მომაცილა, ჟილეტზე ხელი გამაშვებინა და ასე მითხრა: „აი, რა გითხრა, ვინკა, თუკი ჩემი სტუმარი ხარ, ისე იყავი, როგორც სტუმარს შეეფერება, ნუ ააწიოკე აქაურობა, ჩემს სახლში კაციშვილს არ აუტეხია ჯერ ჩხუბი. თუ კინკლაობა გინდა, აგერ შენ და აგერ კარები, მიბრძანდი!“ ფედულიონოკის ნათესაობაც წამოიშალა, მომდგა ყველაკა. ვხედავ, გლახადაა ჩემი საქმე. მაშინ კი, გაგიხარია, გავაძვრე ჩემი ნაგანი. აბა, მოდით, ვისაც თავი არ მოგძულებიათ, ისე მიგაჭედებთ ტყვიას, ადგილიდან ფეხს არ ბოვიცვლი-მეთქი! ეს დავიძახე და სენკამაც, ფედულიონოკის ძმისშვილმა, ფეხი ამიკრა ნაგანზე, გამაგდებინა. ვფიქრობ, კარგი და პატიოსანი, ახლა გავიქცევი დროებით, მაგრამ მერე გავსწორდებით მე და თქვენ-მეთქი.

აივნიდან გადმომიგდეს ნაგანი, ჩამიკეტეს კარი. წამოვდექი ფეხზე. ჩემს გულში ვთქვი: აბა, აწი კი გიჩვენებთ სეირს-მეთქი, სისხლის ცრემლებით იტირებთ ორივენი, ფედულიონოკიც და სენკაც-მეთქი! აკიმსაც დავუმახსოვრებ ამას, სად დამემალება! შენ გგონია, ძმაო, ვერ გადავუხადე? ყველა ფეხებში ამიგორდა მერე, სუყველა, ერთიც არ დამრჩენია. „ივენირ პავლოვიჩ, მაპატიე, შენი ჭირიმე!“ „ივენირ პავლოვიჩ, შედი ჩვენს მდგომარეობაში!“

ერიჰა, აქ ავენირ პავლოვიჩი გავხდი, იქ კიდე, ვინკა ვიყავი და, აგერ შენ და აგერ კარები, ნიბრძანდიო!.. ვუთხარი ფედულიონოკს: ჯერ უნდა დავფიქრდეთ, ისე ვერ მიგიღებთ კოლმეურნეობაში-მეთქი. წავედით ეკრებაზე. მოვახსენე ტაბაკოვს, ამ კაცის მიღება არ შეიძლება, ორი ძროხა ჰყავს, ორი სამოვარი უდგას, სახლიც ორი აქვს, საზაფხულო და საზამთრო-მეთქი. დარჩა ფედულიონოკი ერთპიროვნული გლეხი და დაადეს ბეგარა. მარტო ტყე უნდა გამოეტანა ას ოცი კუბმეტრი, ხორბალიც იმდენი ჩაებარებინა, აქეთ კიდევ ფული, რძე, თივა. მაშინ კი აჭრიეჭინდა შენი მოწონებული.

კოზონკოვმა უარი მითხრა „შიპკაზე“ და თავისი წეკო გაახვია.

— ოლქში რომ დავწეროთ?

— რა? — ფიქრებში ვიყავი და კარგა ხანს ვერ მივხვდი, რა მითხრა.

— პენსიის შესახებ, კაცო.

— კი, ოლქშიაც შეიძლება.

— სულ მინდა, თავად წავიდე და ვიჩალიჩო, ოღონდ ვერ დავადექი, ერთი, გზას. აქეთ ეს მუხლიც ალარ მივარგა, დამისუსტდა, ალარ შემიძლია ამდენი წანწალი. არადა, წავალ მაინც. შენ მანდ რომელ ქუჩაზე ხარ? ვაგზალთან ხომ არა? მოგეცა მისამართი. იქნება ჩამოვიდე და შენსას გავათევ.

— სიამოვნებით, როცა გინდოდეთ.

გამოვართვი „ალბომი“ და ქალაქის მისამართი ჩავუწერე სწორედ იმ ადგილის ახლოს, სადაც ალნიშნული იყო, რომ „მოისმინეს საფასური კოლმეურნეობის ბუღის მიერ ერთპიროვნული ბროხების დამაკებაზე და დაადგინეს გადახდეს ყოველ დაგრილებაზე ექვსი მანათი ფულად ანდა ათი შრომადღე შრომადღეების მიხედვით“.

კოზონკოვმა ხელახლა ფაქიზად შეკრა „ალბომი“ და წავიდა. მისი ხელჯოხის კაკუნი თანდათან მიწყდა, გაიჭრიალა ჭიშკარმაც. მე კი კიდევ დიდხანს ვიჯექი ფანჯარასთან და ვუმზერდი წყნარ, თოვლიან ქუჩას, აქა-იქ მდგარ მშვიდ სახლებს.

შემოდიოდა ბინდი.

ფედულიონოკის სახლი, სადაც ოდესღაც კოლმეურნეობის კანტორა იყო მოთავსებული, უჩარჩოო, გამოცარიელებული სარკმლებით შემომცქეროდა. ჯერაც ეკიდა ცალ ანჯამაზე სარდაფის კარი, დაეცხრილათ საფანტით, აგურის ტუზივით აჩნდა საკლიტურის ხვრელი. გაბურძგნილი ყვავი იჯდა და ითოშებოდა სახურავზე, ეტყობა არ იცოდა, რა გაეკეთებინა და საით გაფრენილიყო. ყველაფრით ჩანდა, რომ არც არაფერი ეწადა.

XV

დღეებს ჯერაც არ დასტყობოდა გრძელყამიერობა, თუმცა უკვე იწურებოდა იასამნისფერი მარტი. მაგრამ მზე უკვე ალხობდა ოქროსფერ ნალვენთს, საამოდან მოკიდებული მთელი ღამის განმავლობაში წვეთწვეთად რომ რჩილავდა სახეხის სახურავზე ყინვის ლოლუებს. ქარი ვერ ასწრებდა წყლის წვეთის მოწყვეტას, იყინებოდა წვეთი, ახლა სხვა წვეთები მოგორავდნენ და ისინიც ჩამოვარდნამდე იყინებოდნენ და თავისთავად, უკვე თავისივე სიცივისაგან, იზრდებოდნენ ლოლუები.

აბანო ჯერაც არ იყო მზად. ოლეშა ნამუსიანად მუშაობდა, ამიტომ ნელა მისდიოდა საქმე. სადღაც, გონების შორეულ კუნჭულში უკვე ეპარებოდა მარტოხელა კაცის სევდა. ერთხელაც, ჩაი რომ მოვითავე — და ტახტზე თათრულად ფეხმორთხმული ვიჯექი, ისე გავზანტდი, რომ ვერა და ვერ გადავწყვიტე ჭურჭლის დარეცხვა. ვიჯექი და ვუცქეროდი, ფანჯრის მიღმა როგორ იზრდებოდა ყინულის ლოლუა.

უცნაურია, რაც უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ჭურჭლის დარეცხვა სულ-ერთია მაინც მომიწევდა და რაც უფრო მალე ვიზამდი ამ საქმეს, მით უკეთესი იქნებოდა ჩემთვის, მაინც არ მინდოდა წამოდგომა და რეცხვა. არადა, რაღაც უნდა მელონა. ავდექი, ჩავიცვი და ოლეშასთან წასასვლელად მოვემზადე. ეს რომ გადავწყვიტე, როგორღაც მაშინვე გამიხალვათდა გული...

ზედ ოლეშას ჭიშკართან საკუთრივ მისი, ხელნებგამოჩრილი მარხილი იდგა. პარმალთან ცხიარულად დახტოდა ორი ბელურა. ეტყობა გრძნობდნენ, ზამთარი რომ თითქმის დაძლიეს და თანდათან მატულობდა სითბო. უკმაყოფილოდ დაიყივლეს, გადაფრინდნენ ლობეზე და მოჰყვნენ არც თუ ისე სალუქი ბოლოების ქანქალს: აქაო და, ჩვენი ადგილიდან გაგვაძევა და აღარც მიდისო. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ახლავე გაგვეცლებიო. ასე გავიფიქრე, ბელურები რომ წყალში ცხოვრობდნენ, ჩიქვები იქნებოდნენ და პირიქით — ჩიქვები, ამ ბოლო დროს მეთევზეები რაღაც ჩინურ სახელს რომ არქმევენ, იგივე ბელურები არიან, ოღონდ წყალში ცხოვრობენ, თევზები ჰქვიათ, სხვა არაფრით განსხვავდებიან ბელურებისაგან-მეთქი.

რაღას არ იფიქრებ უსაქმო კაცი!

დოყლაპია ვარ-მეთქი, ვთქვი ჩემს გულში და ოლეშას წინკარში შევდგი ფეხი.

— გამარჯობათ!

— შემოდით, დაბრძანდით, — ნასტასიამ შინნაქსოვი წინსაფარი გადაუქნია სკამს.

სუტრაპიანს ეტყობა დაავიწყდა ჩვენი უწინდელი მეგობრობა, ერთობ უცხვირპიროდ შემხვდა. ნასტასიან იმავე წინსაფრით შეაგდო ძაღლი ტახტქვეშ.

— იჯექი მანდ და ნუ ჩხავი! დახეთ, რა ყავყავაა, მთლად კოზონკოვებისაკენ არ არი?

ამან საგონებელში ჩამაგდო; ვკითხე, კოზონკოვები რა შუაშია-მეთქი.

პატარა ღუმელს რომ აჩაღებდა, ნასტასიამ თან წვრილად ამიხსნა სუტრაპიანის წარმოშობა. თურმე, თავის მინუტკას ევდოკია კამფეტებსაც აჭმევდა, სკივრში კეტავდა საჯინიბოში წასასვლელი, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მიადევნა თვალყური, იმ ფეხწვრილა გაიძვერამ მაინც თავისი ქნა და აჰა, ორი ლეკვი ოგარკოვოში წაიყვანეს, მესამეზე კი პეტია-მჭედელმა თქვა, მე წავიყვანო. მაგრამ პეტიამ თურმე გასინჯა ლეკვი და ბოლოს უარი გაუცხადა მის წაყვანაზე. ასე უთქვამს, რად ნინდა ეგ თქვენი აყროლებული ლეკვი, მაგას არათუ წავიყვან, აქეთ მოგცემთ სართს, ოღონდ კი არ გამატანოთო. რაღას იზამდა ევდოკია, ნასტასიას შესთავაზა ლეკვი. ნასტასიასაც შეეცოდა და შინ წამოიყვანა, ოღონდ ეგაა, როგორც კი კოზონკოვის ქოფაკს დაინახავს, სულ იფურთხება და სულ არამზადად ნათლავს ხოლმე.

— ჰოდა, სულ ტყუილად, — თქვა ოლეშამ; გაფისულ ძაფსა ძახავდა.

— რა ტყუილად? — მიუბრუნდა მას ცოლი.

— იმ ტყუილად, რომ ავენირის ხვადაგი ყვავი-ჩხიკვის მამიდაა, ეგ სულ არაა დამნაშავე. შენ შეცდომაში ნუ შეგყავს კაცი. მართალი თუ გინდა, მინუტკა ბრიგადირის ძაღლთან დაყიალებდა, ავენირის ქოფაკი კიდე, ისე ეტორღიალებოდა. სწორედ ამისთანა მფრთხალთან დაიჭერდა საქმეს!

— ნუ ტყუი, ქრისტე ღმერთს გაფიცებ, ნუ ტყუი! ბრიგადირის ძაღლი ისედაც სუყველას ჰყავს ყბაში, მაგას ჩაგრავს სუყველა.

დაიწყო კამათი. ოლეშა თავისას ამტკიცებდა, ნასტასიაც თავისაზე იდგა და რაკი ცოტას წაიყრუებდა, ძალიან ხმამაღლა განოსდიოდა ლაპარაკი. კამათის ნამდვილი დამნაშავე მხოლოდ ერთგულად ფახავდა თვალებს და ხან ერთს მიაჩერდებოდა, ხან მეორეს. ეტყობა, ოლეშას მალე მოსწყინდა ეს პაექრობა, ან იქნებ ნასტასიას საბუთები გამოდგა უფრო საფუძვლიანი, მან დაზავება ირჩია, ხელი ჩაიქნია:

— შენც ერთი! ეშმაკი ვერ გაარჩევს მაგათ ამბავს! ნაგენი მთელი ესკადრილია დასდევდა იმ ძაღლს.

— რა-რა?

— კარგი, არაფერი. ჩაიარა. — ჩაიბურტყუნა ოლეშამ და ხმამაღლა დაუმატა: — თევზი მოხარშე!

— თევზი ეგაა, რაც დარჩა.

— სულმთლად მოხარშე.

ნასტასია კოჭლობით გავიდა სამზარეულოში, ჩამოხსნა ლურსმნიდან ერთი აცმა გამხმარი თევზი. ვკითხე, ფეხზე რა დაგემართა-მეთქი.

— ოჰ, მე შტერი! — გაიცინა დედაბერმა. — სარდაფში ჩავდიოდი, ჩემო კარგო, კარტოფილი უნდა ამომეტანა და კიდეც მოვადინე ბრაგვანი. ეს მეორე დღეა, კოჭლი დავიარები. პატარაობას რამდენჯერ ღუმელიდან გადმოვმხტარვარ და ვითომც არაფერი! ახლა კი, დახე, გამომიფუტფროვდა ძვლებში, მომიფამფალდა.

— ჰაი, ბებერო, — გულკეთილად უთხრა ოლეშამ, სადგისი ზუბანაში შეარჭო და ღუმელის უკან დადგმულ პირსაბანისაკენ გაემართა.

თუჯიაში უკვე დუღდა სოკოს წვნიანი. მე ვათვალიერებდი ხის ჩარჩოებში ჩასმულ უანრავ ფოტოსურათს, ჩაის შესაფუთავი კილიტით რომ იყვნენ შემკული.

თითქმის ყველა სურათი ასე თუ ისე გუსტიას უკავშირდებოდა, ოლეშასა და ნასტასიას ერთადერთ ქალიშვილს. მე იგი კარგად მახსოვდა, მახსოვდა მას აქეთ, რაც ჯარობებზე დავიარებოდი ჯერაც ღლაპი. გუსტია საბუყეოდან ჩამოდიოდა ხოლმე და სულ ანფეა კოზონკოვასთან ცეკვავდა. ძალზე წყობისად და შეხმატკბილებულად მღეროდნენ ხოლმე, რა შაირები არ იცოდნენ. ომი დამთავრდა და ნეგობრების გზაც გაიყარა: ანფეა არხანგელსკში გაემგზავრა, გუსტიაც სადღაც გადაიკარგა.

ანფეას შედარებით ახალი ფოტოსურათი გამოვარჩიე, მინისქვეშ შედოთ ჩარჩოში. საყურეები ეკეთა, ლბილი კულულები ისე დაეხუჭუჭებინა, თითქოს კრაველიაო. მარცხენა, საათშებნეულ ხელში თაიგული ეჭირა. სურათი გადმოვაბრუნე და წავიკითხე ანფეას ნაწერი: „დახედე სახის მკვდარ ნაკვთებს და მით მოიგონე ცოცხალი. გუსტიას ნელისაგან. სურათი გადაღებულია 30-თი წლის ასაკში“.

ერთი ამას დამიხედეთ! თურმე რისი ანფეა, რახანია ნელი რქნევია! მე სულელმა კი რამდენჯერ ანფეა ვუწოდე. თუმცა, მისდა სასახელოდ, არ წყენია და არ გაუსწორებია, იქნებ აქ, სოფელში, მისთვისაც უფრო ბუნებრივად ჟღერდა თავისი ძველი სახელი.

მომდევნო ჩარჩოში თავს იწონებდა ბაიკალის ხედითა და არც ისე ცნობილი კინომსახიობი ქალით დაწმვენებული ღია ბარათები, მათ შორის კი, გაყვითლებულ ფოტოსურათზე, ახალგაზრდა წყვილი, ნეფე-დედოფალი, იყო გამოსახული. ჭაბუკს ქრომის ჩექმები ეცვა, გვერდზე საყელოშესაბნევ ხალათზე ქამარი შემოერტყა, კარტუზი ეხურა, გაეწკიპა ლამაზი შავი ულვაშები და დინჯად, ალერსიანად, მორცხვად, ნაღვლიანად მომზირალს ქალის მხარზე დაედო ხელი, ქალი კი, ლამაზი და მკერდბარაქიანი, ქიშმირის ლეჩაქიანი, იჯდა ამპირის სკაინზე, ემოსა გრძელი, ბაფთებიანი კაბა, ეცვა უამრავი ღილით დახირხლული მაღალი წაღები, ცხვირსახოცი ეჭირა და სათნოდ გამოიცქირებოდა, თუმცა უწყინარი სიმკაცრეც ედგა თვალებში.

ჭეშმარიტად ძნელი გამოსაცნობი იყო ამ ბედნიერ წყვილში ოლეშა და ნასტასია. იქვე, იმავე ჩარჩოში იდო გუსტიას და ვიღაც წარბა, ნაღდად კავკასიელი ჭაბუკის ფოტოსურათი: ღირსეული ბიჭი კი იყო, მაგრამ ისე გაყინჩული იჯდა ორივე, კაცს ღმეჭა მოგინდებოდა. ეტყობა, ვიდრე ახალგაზრდებს გადაიღებდა, ფოტოგრაფმა ძალათი, უბოდიშოდ გადაუღუნა მათ ერთმანეთისაკენ თავები, „აბა, არ გაინძრეთო“, თქვა და მერე გააწკაპუნა თავისი აპარატი. კარგი „არ გაინძრეთ“ არის, ღმერთმანი! ისხდნენ თავმიჯრილნი, კისრებმოქცეულნი, აქეთ კიდევ — გალიმებაც ჰქონდათ ნაბრძანები. მეორე სურათში იგივე ჭაბუკი ცალკე იყო და გაცილებით სანდომიანი ჩანდა — ჯარისკაცული პილოტურა ეხურა, მაისურისამარა იყო და მაისურიდან, ფოტოსურათშიაც კი უხვად იმზირებოდა ხუჭუჭა, კუპრისფერი ფლორა (თუ ფაუნა? მუდამ მეშლება ხოლმე ეს ორი ცნება). შემდეგ, რაც არ ვათვალიერე, ვერსად ვნახე ეს კავკასიელი ჭაბუკი, სამაგიეროდ სხვა ჯარისკაცი, უფრო სწორად — ზემდეგი შემხვდა, ჯერ მუნდირით, მერმე უმუნდიროდ, გუსტიასთანაც და ცალკეც.

— ეგ მეორე ვილაა?

— ეგეც ვარიაგია, — ქუშად თქვა ოლეშამ, — მურჩანსკელი.

მე ამოვიოხრე, მაგრამ ცოტათი ის ამბავიც მართობდა, რომ ოლეშა თავის სასიძოებს იმდენად ეროვნების მიხედვით კი არ ჰყოფდა „თავისიანად“ და „ვარიაგად“, რამდენადაც იმის მიხედვით, ახლოს ცხოვრობდნენ თუ შორს.

ამასობაში წვნიანიც გამზადდა და ნასტასიამ სუფრა დააფინა მაგიდას. ოლეშამაც დაჭრა დუქნიდან მოტანილი პური. თავპატიჟი არ დამიდია, არ ვუცადე მეორე შეპატიჟებას, მაგიდას მივუჯექი. ძალიან გემრიელი სუნი ჰქონდა სოკოს გაროს და სწორედ დროც იყო სადილობისა. ამას გარდა, მშრალ საჭმელზე ნაჩვევ ჩემს სხეულს რახანია სწყურიოდა ასეთი წვნიანი შეჭამანდი.

— მარილი თუ გინდოდეთ, თქვენვე ჩაიყარეთ, — თქვა ნასტასიამ, პირჯვარი გადაიწერა და კოვზი აიღო.

ანაზდად სტრაპინი ყეფით გამოვარდა ტახტიდან: ჭიშკარმა გაიჭრიალა. ევდოკია იყო, მარცხენა ხელით თვალს ისრესდა, მარჯვენაში ბარათი ეჭირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აგე, ფოსტალიონმა გოგომ მომცა, გადაეცით.

— კი მაგრამ, თვალზე რა მოგივიდა?

— ჰოი, არ მკითხო, ბზეს ვანიავებდი და რაღაც ფუსუნსელა შემიგდო თვალში ქარმა. ამონიღე, აგრემც ღმერთი გიშველის, აღარ ვიცი, რა ვქნა!

ნასტასია მთლად ჯადოქრად არა, მაგრამ ოსტატად კი ითვლებოდა სოფელში. აჩერებდა სისხლისდენას, კბილის ტკივილის შელოცვა იცოდა და ხშირად მართლაც აყუჩებდა ხოლმე, იცოდა მუცლის ავადობათა წამლობა, ძირმაგარასაც საიდან გინდა არ ამოიყვანდა. უსასყიდლოდ იქმოდა ყოველ-ვეს, მადლობის მეტი არა უნდოდა რა. ეგაა, რომ თიაქარს ვერა წაენლობდა. გარდა ამისა, თვალში თუ ვინმეს რაიმე ჩაუვარდებოდა, იმის ამოღების ოსტატიც გახლდათ: ქერის ფხასაც კი, თვალის ყველაზე საშიშ მტერს, არ ძალუძდა მის აქიმობასთან ჭიდილი.

— აბა, დაჯე!

ნასტასიამ დასვა ევდოკია იატაკზე, თავად გვერდით მიუჯდა, ლამის ზურგი-ზურგზე, თავი დაუჭირა და, თვალმოწკურული, შეუდგა ოპერაციას.

ოლეშა შეუჩერებლივ ხვრეპდა წვნიანს. სუტრაპიანი, ისევე როგორც, სხვათაშორის, ბეც, ცნობისმოყვარეობითა და თანაგრძნობით მისჩერებოდა დედაბრებს.

— შენ ნუ ქვანქრუშობ, წყნარა იჯექი, ეგრე რას მოვძებნი! — თქვა ნასტასიამ, ვიღრე მეორე ცდას შეუდგებოდა.

— აბა, როგორ ვიჯდე წყნარად, დია, მაგოდენა ენა დამიტრიალე თვალში! — იცინოდა ევდოკია.

ოლეშამ უკმაყოფილოდ, ცერად გახედა დედაბერს.

— გამიხსნეს აქ პოლიკლინიკა. ხეირიანად საჭმელს არ გაჭმევენ.

მესამე ცდაზე ნასტასიამ ალმოაჩინა ნამცეცი, ხოლო მეოთხეზე კიდეც გამოიღო ენისწვერით. ევდოკიამ ნოითქვა სული, ჩამოჯდა მერხზე, უპარპალებდა თვალი. ნასტასიამ კოვზი აიღო.

წვნიანის შემდეგ ფეტვის ფაფა გამოჩნდა სუფრაზე, ფაფას მაწონი მოჰყვა.

— აბა, აწი მაგრად ვარ საღამომდე, — თქვა ოლეშამ და ბარათი გახსნა. — აბა, ერთი, წაიკითხე, შენ უკეთ იცი.

გამოვართვი და ხმამაღლა დავიწყე კითხვა, თან ჩემს ნებაზე ვალაგებდი ფიქრში სასვენ ნიშნებს:

„სალამი და გამარჯობა, მამილო და დედილო. სალამს გიძღვნით პირადად ჩემგან და ჩემი ქმრის ნიკოლაისგან, ასევე სალამს გითვლიან ბადიშები, ტოლიკი და შურიკი. როგორც გატყობინებთ, შურიკი ჯამრთელი დაგვებადა, უკვე ტაშის დაკვრაც იცის, შეხედულად უფრო მამამისს ჰგავს, ოღონდ ბებიამისის ცხვირი აქვს. მამილო, რატომ არ აგზავნით ბარათს, მეორე თვეა ველით. ამანათი გამოგიგზავნეთ, ნოიწერეთ მიიღეთ თუ არა ამანათი. მამილო, ჩვენ ძალიან კარგად ვართ, ნიკოლაი ისევ იმ თანამდებობაზე მუშაობს, მე კი თავი დავანებე მუშაობას. შურიკს ვერავის ვუტოვებ და იმიტომ. გთხოვთ ძალიან, იქნება ჩაბოხვიდე, დედა, თუ გინდ ცოტა ხანს, თორემ მუშაობის თავის დანებება არ მინდა და შურიკსაც ვერავის ვუტოვებ. კარგი ოთახი მოგვცეს, პატარა ფარდული აქვს და ბოსტანი, გაზაფხულზე დავთესავთ. ასე რომ, იქნება დედა ჩამოსულიყო, წავიდოდი და ვიმუ-

შავებდი ჩემს ძველ ადგილზე, სასადილოში. სხვაფრივ ყველანი კარგად და ჯამრთელად ვართ. გადაეცით მოკითხვა მთელს ჩვენს სოფელს, პირადად კი კოზონკოვებს, ევდოკიას, ბრიგადირ ივანს, პეტია-მჭედელს და ყველას, ყველას. წუხელ სიზმარში ვნახე, ვითომც თივას ვთიბდი პრონინოს ნინდორზე. მეტი რა მოგწეროთ, ველი პასუხს მოუთმენლად, ამ წერილის მიღებისთანავე დაწერეთ და გამოაგზავნეთ. გწერთ თქვენი ქალიშვილი გუსტია თავისი ოჯახიანად".

ოლეშას მუხლებზე დაეყრდნო იდაყვები, იატაკს დასჩერებოდა, ნასტასიასაც მუხლებზე დაეწყო ხმელი ხელები, ევდოკია კი თვალებს იწმენდდა თავსაფრის ყურით.

— წასასვლელად შორია ძალიან, — თანაგრძნობით თქვა ევდოკიამ და ანოიოხრა, წამოდგა.

მეც ევდოკიას გავყევი, ვაცალე მოხუცებს თავად გადაეწყვიტათ ბედი პატარა შურიკისა, რომელმაც თურმე უკვე ტაშის დაკვრა იცის და მამასა ჰგავს დედაზე უფრო.

XVI

ჭიშკარს რომ გამოვცდით, ევდოკიამ იდაყვზე გამავლო ხელი: — დაიცა, რალაც უნდა გითხრა...

და იმ ადამიანის სახით, ვინც ისეთი რამ იცის, რაც არავინ უნდა იცოდეს ჩვენ ორს გარდა, დაუბატა:

— რადიოს გაკეთება მინდა, ბატონო, სულ დამიყრუვდა შინ რადიო. გამომივლიდი საღამოთი.

მე არ ვიყავ რადიოტექნიკის ოსტატი, მაგრამ ვიცოდი, რომ ევდოკიას ჭკუით ინჟინერი ინჟინერია და ყველაფრის გაკეთება უნდა შეეძლოს. მოვალმეთქი, აღვუთქვი და ევდოკიაც კმაყოფილი წავიდა თავის საჯინიბოში, ოღონდ სახეზე კვლავ ეცხო იგივე იდუმალი იერი. რა მაინცდამაინც საღამოთი დამიბარა-მეთქი, გამიელვა თავში, დღისით ხომ უფრო ადვილია რადიოს მოწყობილობაში კირკიტი.

არ ვიცოდი, საღამომდე რა ნექნა და ისევ ჩემს აბანოს მივაკითხე. დროა აწ, მართლა და მართლა! თითქმის მომთავრებული იყო უკვე. კედლის ორი ქვემოთა წყება გამოვცვალეთ, ახალი იატაკი დავაგეთ, ფანჯარაც ჩავსვით. ოლეშა ყოველდღე აქ ჯახირობდა და ნელნელა მიდიოდა წინ საქმე. ყველაფერი ნამუსიანად იყო გაკეთებული, ამწოვი მილის საკეტიც კი ახალი ფიცრისა შევკერეთ. მარტო ღუნელი დარჩენილიყო.

გადავწყვიტე, ახლავე ამეწყო ღუმელი. დავახარისხე აგური და ქვა, ბვარტლი გავაცილე აგურის ჯერაც ვარგის ქვედს, გავასწორე ლახუსტაკი, რაზედაც ღუმელის კამარა იდგა. მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა ოლეშა და ისე, რომ არ გავენაწყენებინე, დამიწუნა ნამუშევარი:

— ახალი გამირები გვინდა, ქვედიც ხელახლაა დასაწყობი.

წინდახედული კაცი იყო და შინიდან ახალი გამირებისათვის საჭირო ლახუსტაკი და ერთი ვედრო თიხაც წამოელო. ასე უცებ საქმეზე თავგადაკლული რომ მნახა, აღარ უთქვამს, აქამდე სად იყავიო. დავიწყეთ მუშაობა.

ძველი ქვედი დავშალეთ და ახალი დავდგით სამ პირ აგურზე, თამბაქოს მოსაწევადაც არ დავმსხდარვართ, ისე ამოვაშენეთ ღუმელის კედლები. ახლალა ვკითხე, რა გადაწყვიტეთ, თუ მიდის ნასტასია ქალაქში-მეთქი.

— აბა, ჩვენ რისი გადამწყვეტი ვართ, უჩვენოდ გადაწყვეტილა ყველაფერი. — ოლეშამ დააცხინკა. — მოგვიწევს წასვლა. ცოტა ხნით მაინც.

— მერელა, მარტო როგორლა იქნები? ძროხას ვინ მოუვლის, სახლკარს ვილა მიხედავს?

— მერე რა? არაა დიდი მეურნეობა. ნე არაფერი, დედაკაცი მეცოდება, აბა, საქმეა, ადგეს ამ სიბერეში და ასე იწოწიალოს? სადღაც დასაკარგავში? ფეხი არ გაუდგამს ამ სოფლის იქით.

— ჰოდა, წავიდეს, ნახოს ქვეყანა.

ბერიკაცმა თითქოს ვერ გაიგონა ეს „ნახოს". ყველაზე კარგი აგური შეარჩია და თვალები მოწკურა:

— უცხო მხარე უცხო მხარეა. მახსოვს, ერთხელ ჭაპანზიდვაზე, ბეგარაზე გამგზავნეს...

— ეს რალაა?

— ისევ იგივე ამბავი, გზების შეკეთება. არადა, ყველაფერზე კოლმეურნეს უწევდა ჯახირი. ხე-ტყის დამზადება იყო — კოლმეურნე აწზადებდა, ახლა დაცურებაზე მიდგებოდა საქმე — იქაც კოლმეურნე, ხანძარი გაჩნდებოდა სატყეო სახფონდში — კვლავ კოლმეურნე აქრობდა. ეს ახლაა, ყველგან რომ კადრის მუშაკები ჩადგა, თორემ უწინ სულ კოლმეურნის ზურგზე იყო ყველაფერი. გაიხედავდი, სატყეოს ბარაკებზე პლაკატები ეკიდა: „ამხანაგო კოლმეურნეებო, დავამზადოთ მეტი ხე-ტყე, უზრუნველვყოთ მრეწველობა!" თანაც, ნახევარი კოლმეურნეობა ხელჯაგების კერვაზე იყო გადასული. მე, რად უნდა ორი სიტყვა, კარგად ვიცი, უტყეობაც არ ვარგა. ფული სჭირდება სახელმწიფოს, თანაც უცხოეთი თითო ძირ ნაძვში ოქროებს იძლევა. მაგრამ ტყე თუ ტყეა, მიწაც ხომ მიწაა. ან ერთი იყოს, ან მეორე. კი, ბატონო, კიდეც მოვჭრით და კიდეც დავაცურებთ, ჯანდაბას ჩვენი თავი! მაგრამ ისე გამოვიდეს, რომ ჩვენც გვერგოს რალაც კაპიკი, თუნდაც იგივე ხელჯაგების საღირალი. არადა, ხე-ტყეს რომ დავაცურებთ, კოლმეურნეობაშიაც ხომ უნდა ვიმუშაოთ მერე, პური ხომ უნდა დავთესოთ, მაშ რალაზედ გვქვია კოლმეურნეები. არადა, დაცურებას რომ მოვრჩებით, ჰა და ჰა, ვადაზე ოთხი კვირით გვიან ვიწყებთ თესვას. რა ხეირია? დავთესავთ უხეიროდ, გავლეწავთ უფრო უარესად, აქეთ კიდე, საანგარიშო წელიც კარზეა მომდგარი. პირველი მცნება — სახელმწიფოს ჩააბარე, მეორე — სათესლე შეინახე, მესამე — უზრუნველყავი სხვა ფონდები. აბა, კოლმეურნეს რალა დარჩება? მახსოვს, პირველად რომ დაიწყო ხალხმა კოლმეურნეობაში შესვლა. ქათმები რომ ქათმებია, ისინიც ერთ ალაგას შეკრიბეს, ცხვრებიც გააერთიანეს, შინ მარტო კატები შეგვრჩა. უცებ, გავიხედოთ, ბრძანება გამოვიდა, დაიშალა კოლმეურნეობა. ჰოდა, კალო რომ გააღეს, საცა ეს ცხვრები ჰყავდათ შეგროვილი, სუყველა ცხვარი აქეთ-იქით გაიფანტა, თავ-თავის სახლებს მიაშურეს. გამოვიდა მაშინ ფედულიონოკი და აეგრე თქვა: „თავბრუ დაეხვათ და იმიტომ აირევნენო". მივიდა ის დალოცვილი სოფსაბჭოში და ალარ დაუწყეს ბევრი ჯანჯალი, აიღეს და ინდივიდუალური ბარათი ნიაჩეჩეს ხელში. უთხრეს, კულაკურ აგიტაციას ეწევიო. ბიჭებო, თქვენი ჭირიმე, მაპა-

ტიეთ ღმერთმანი, თვითონაც არ ვიცი, როგორ წამომცდა, განგებ არ მი-თქვამსო, — ბევრს იძახდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე! ამ ბარათს კიდე, ერთი წელი რა არი, ექვს წელიწადში ვერ გადაიხდი. სად არ მისწერია და სად არ იჩივლა... მახსოვს, ნიადგნენ სახლკარის ასაწერად, მე მოწმედ დამნიშნა ტაბაკოვმა. ვინკა კოზონკოვი ყველაფერს ამოწმებდა, ემანდ რამე არ გადამალონო, ანდა მეზობლებში არ გაიტანონო. დადიოდა ამპარ-ტავნულად. ცოდვა-ბრალი იდგა მთელს სახლში, მოთქმით ტიროდნენ ქალე-ბი და გოგოები. მარტო ტანკა არ ტიროდა, იდგა კარადასთან, ქალალდი რა არი, იმაზე უფრო იყო გათეთრებული, იდგა ის ჩენი სანატრელი, მე კი სულ ნისლი მქონდა თვალებში. გამახსენდა, მე და ვინკამ რომ კენკრა წა-ვართვით. ვიჯექი ერთხანს და მერე დამაწყებინა კანკალი. აღარ მოგიწერთ-მეთქი აქტზე ხელს, ვთქვი. ავდექი და შინ წამოვედი... მერე ეს ამბა-ვიც გამიხსენეს ტაბაკოვმა და კოზონკოვნა. მეორე დღეს წავიდა ფედული-ონოკი, წაიყვანა თავისი ჯალაბი. ველარაფერი წაიყოლეს, რაც ზედ ჰქონდათ, იმით წავიდნენ. ვხედავ, ხალხს ემშვიდობება ფედულიონოკი, ერთი ქალიც არ დარჩენილა, სუყველა ტიროდა. მოუტანეს — ზოგმა ღვე-ზელი, ზოგმა პურის ყუა, ზოგმა ხუთიოდ კვერცხი. მილიციონერი ჩქარობ-და, არ დაანება ხალხს გამომშვიდობება. მაშინ მოვიდა ჩემთან ტანკა, მთელი ინოდენა ხალხის თვალწინ მოვიდა და ატირდა საწყალობლად. ტანკა, რაღა... მას აქეთ არც კარგი ისმის იმათი და არც ავი.

— წერილი მაინც არ მოსულა?

— ორჯერ თუ სამჯერ კი მოიწერა პირველხნობას. ფედულიონოკი თა-კისი სახლის ამბავს ეკითხებოდა მანაჩემს, ხალხიც მოიკითხა, სად და სად არიანო. ეს იყო და ეს. მეც უკვე სად მეცალა ფედულიონოკისათვის: მამა გარდამეცვალა, ცოლის შერთვა მომიწია... სულ ხე-ტყის დამზადებაზე ვიყავი, თავს ვერა ვყოფდი ტყიდან. მახსოვს, დედაჩენი სულ ჩვენი ძრო-ხის სიცოდვით იწვოდა, წავიდოდა ხოლმე ბაკში, მივიდოდა, მიეფერებოდა ჩვენს პესტრუხას და ტიროდა ცხელი კურცხლებით. ბევრჯერ დავუშალე, მაგრამ ტყუილად. როგორც კი რაიმე დღესასწაული დადგებოდა, სულ ძრო-ხის სანახავად გარბოდა. ჰოდა, შეასწრო ერთხელაც კოზონკოვმა თვალი და უბრძანა, ეხლავე შეწყვიტე ტირილი. მაშინ კი ველარ მოვითმინე ამდენი და პირში მივახალე: შენ, ვინკა, კვირაში შვიდ დღეს ფხიზელს ვერა გნახავს კაცი, სულ გალეშილი ხარ, არც მზრალად ხვნა დაგიწყია ჯერ, მთელი ბრიგადა დაქცევის პირზე მიიყვანე-მეთქი. ხახვის მენდალი უნდა ჩამოგკიდონ გულზე-მეთქი. ჰოდა, დაიწყო კიდეც იმ დღიდან ჩემი წამება, ორმაგი გა-დასახადი დამადეს. რაღა არ მომიგონეს: კუდიანი ცოლი გყავსო, შემო-რაგვულ სახლში ცხოვრობო. დამიბარა ტაბაკოვმა კანტორაში, ნითხრა: „აი, მოქალაქე სმოლინ, წახვალ ტყეში, გამოიტან ას ორმოცდაათ კუბმეტრ შეშას და მოგიხსნით კულტგადასახადს, გაძლიერებულ დავალებასაც აგხსნით, გაძლევთ შესაძლებლობას, გამოსწორდე პროლეტარული სახელმწიფოს წი-ნაშე." ეჰ, ბიჭებო-მეთქი, ვუთხარი, საცა სამართალია, მე არაფერი მჭირს გამოსასწორებელი, სულაც არა ვარ თქვენს წინაშე დანაშავე-მეთქი. სხვებზე ნაკლებად არ ვმუშაობ, აგე, თქვენ თვითონ მომეცით საგაზაფხულო თეს-ვაზე ეს პიჯაკი, ახლაც აგერ, ტანზე მაცვია-მეთქი. კოზონკოვზე კიდე, რაცა ვთქვი, მართალი ვთქვი; ხოლო ჩემი ცოლი თუ ხალხს მუწუკებს ურჩენს, რა

ჩემი ბრალია-მეთქი. რა მექნა? გავახმე ორცხობილა და წავედი ხეების სათრაქავად. მომცეს ერთი მაკე ჭაკი. ერთხელაც, თვალი ველარ მივადევნე და ჯირკს წამოსდებია მარხილი. დავიძაგრეთ მე და ეს ჩემი ჭაკი, მივაწექით და დავძარით მარხილი: მე კი გავსკდი ჭიპზე, ჭაკს კი იმავ დღეს წაუხდა მუცელი. ამაზე ორმოცდაათი შრომადღით დამაჯარიმეს: განგებ ჰქენი, კოლმეურნეობის ზიანი გინდოდაო. შრომადღეებს ვინ ჩივის, ამ დაბრალებაზე მეტკინა გული.

ღმერთმა უშველოს, სატყეოს უფროსი გამომექომაგა, — გეგმას კარგად ვასრულებდი და იმიტომ. არადა, ვინ გიფასებს! ნიველი შინ. არ მომცეს საშველი, ახლა გზის გაყვანაზე გამგზავნეს, ნადირივით დავიარებიდი, გავგარეულდი სულმთლად კაცი. ისე მქონდა წელი მოწყვეტილი, ყოველ ქვაზე ვჯდებოდი გლახა დედაკაცივით. ვფიქრობდი, ნეტა ერთი კვირა მაინც მამყოფა შინ, დააცხრე, უფალო, უფროსების გული-მეთქი. მივედი ერთხელ, მარტო ერთი ღამე გავათიე, გავხედე დილაზე და ისევ ეს შენი კოზონკოვი მომდგომია ჭიშკარში. „აბა?“ სულ აბა და აბა, ველარ მოვითქვი ადამიანურად სული. ისევ გზის გაყვანაზე წავედი, ვიმუშავე მთელი სეზონი, სულ მე მქონდა გარდამავალი წითელი ქისა. ვინც ყველაზე კარგად მუშაობდა, იმას ეძლეოდა ეს ქისა თავისი თუთუნიანად. ავდექი და ვიფიქრე, წარმოებაში კაცის ფასი მაინც იციან, ხედავენ, რას აკეთებ და გიფასებენ: რა მინდა სოფელში, წარმოებაში წავალ-მეთქი. მივედი სოფსაბჭოში პირადობის მოწმობის ასაღებად: დურგლობაზე შემიპირეს ერთ ადგილას, ხელშეკრულებაც დამიდეს. ასეა და ასეა ჩემი საქმე, წარმოებაში მივდივარ, აგერ, ხელშეკრულებაც მაქვს-მეთქი. რაღაზე გინდა მოწმობაო, მითხრა ტაბაკოვმა, საც უნდა წახვიდეო, კარგი ცხოვრება იქაა, საცა ჩვენ არა ვართ ხოლმეო. დასტურ, ვფიქრობ ჩემს გულში, მეც სწორედ იქ მინდა, საცა თქვენ არა ხართ-მეთქი...

— მოგცეს მოწმობა?

ოლეშამ არ გამცა პასუხი, დაღუმდა. გადააწყო ქვები, საჭირო ქვას ეძებდა, მაგრამ ვერ შეარჩია.

— აი, ყმაწვილო, ეს ქვა არ ვარგა საღუმელედ. ეს ლურჯი ქვაა. ერთს დადებ და მთელ საქმეს გააფუჭებ. ლურჯმა ქვამ მხუთრი იცის, არ ვარგა ღუმელში.

არ ვიცი, რა ნიშნებით გამოიცნო ეს გამჭვარტლული ქვა, გადააგდო. კითხვა გავუმეორე და არც ახლა მიპასუხა.

— რა ჭკუა აქვს, რასაც უბირი ხალხი მოროშავს ხოლმე, არ უნდა შეუშვა ყურში, — თქვა მან. — არ დაიმახსოვრო, რაც აქ ვიბეჭუტურე.

— ხომ არ გეშინია?

— შიშით მაინცდამაინც არ ნეშინია, მაგრამ ხომ გაგიგონია ანდაზა: ვინ დამღუპა და საკუთარმა ენამო.

— ახლა სხვა დროა.

— სხვა სხვაა...

და უცებ, ეშმაკურად რომ მოპრუწა ბაგეები, ხმიერად გაამწყლაკუნა ენა:

— შენ პარტიული ხარ?

დავიბენი:

— როგორ გითხრა... საერთოდ, კი ვარ.

— მაშ, მითხარი, განა სწორია გალავანი სამრეკლოზე მაღალი იყოს?

— ვერ გავიგე... რა გალავანს ამბობ?

— გალავანს. მე მახსოვს, სუყველა კი არ იყო მართალი იმ ჩვენი ტაბაკოვისთანა, იმნაირი დევგმირი... დევგმირი კი არა, ხვიშტი!.. მაგრამ კრებებზე ხელების ქნევა და მაგიდის ბრახუნი იმდენი არაფერი, უარესები ხდებოდა. ერთხელ, მახსოვს, გემთსაშენზე წავედი, აგერ პეტკას მამამ ჩამწერა. ხელშეკრულებით ვიყავით, ბარაკები უნდა აგვეშენებინა მუშებისათვის. ჩავჯექი ვაგონში და მაშინათვე ძილი მომერია, ღამე იყო. მგზავრებსაც ეძინა სუყველას. გავხედე, ვიღაც კაცი შემოდის ვაგონში. ნათელი ღამეა, კარგად ჩანს სუყველაფერი. ქორივით იყურება აქეთ-იქით, ისეთი თვალები აქვს, რძეს რომ ჩახედოს, აიჭრება მაშინათვე. პირდაპირ მე არ ნომდგა? საიდან მოდიხარო, სად მიდიხარო. ვაძლევ საბუთებს, არა სჯერა. ჯერ ფეხდგომელა დამკითხავდა, მერე ერთი ამბავი დააწია: „გამცილებელო! არავინ გაუშვათ ვაგონიდან! მოცილდით, ამხანაგებო, გზას ნუ კეტავთ!“ გაიღვიძა ხალხმა. „თქვენც, მოქალაქე ქალბატონო, გასწით ეგ თქვენი ფეხები!“ ვზივარ და ვუცდი, კიდევ რას იზამს. არადა, რაც არ უნდა ქნას, ჩემთვის ყველა ხათაბალაა. „ეს ასე. მომეცით, მოქალაქევ, ეგ თქვენი ჩანთა!“ ამას მე მეუბნება. მივეცი. ერთი ხელი საცვალი მაქვს შიგ და ორი ქერის კვერი, შავ-შავი, თუჯისა გეგონება. ცერცვი იყო შენარევი, დაფქვული, თანაც კაი ხნის ფქვილი, დანესტიანებული. გატეხა, ეს რა არისო. ხომ ჩანს, რაც არის-მეთქი. პურიაო? არა, ღვეზელია-მეთქი. არა სჯერა: შენაო, იქნებ ვინმეს დავალებით პროპაგანდას ავრცელებ, აბა, ასეთი ღვეზელი არ არსებობსო. როგორ არა, არსებობს-მეთქი. თან ჩემს გულში ვფიქრობ, იგენს უნდა იჭერდე, ვინც ხალხს ჯიბეებს უცარიელებს, ჩემისთანა საწყალი კაცი რა დასაჭერია-მეთქი. ვარ აეგრე გაჩუმებული. აბა, რა უნდა თქვა. მიყურა, მიყურა და ჩამომეხსნა, წავიდა სხვების საძებრად. მაგრამ ამის შემდეგ ისე ჩავედი ისაკოგორსკამდე, მთელს ამოდენა ვაგონში კაციშვილი არ დამლაპარაკებია. ყველას ქვეყნის დაწყევი ვეგონე. სიოცხვილით ვიწვოდი კაცი. ვფიქრობდი, აი, რა მიქნა ამ მამაძაღლმა-მეთქი.

ლაპარაკობდა ოლეშა და ერთობ მარჯვედ ასახიერებდა ხან თავისთავს, ხან ვაგონის შემმოწმებელს.

— ერთსაც გეტყვი, ჩემო ძმაო, კონსტენკინ: ჩემს დღეში ისე არ მიქნია. ცხენზე გაბრაზებულს უნაგირის ტეხა დაენწყო. — ბერიკაცი კვლავ დადინჯდა. — ღმერთმა უშველოსთ. იყო ბრალი, დავუხუჭეთ თვალი...

ამასობაში აბანოც მოგვეთავებინა. უკვე შეიძლებოდა გახურება და ბანაობა.

XVII

სახვალიოდ ქალაქს უნდა გავმგზავრებულიყავი. წასვლის წინ უნდა მებანავა. მე და ოლეშა შევუდექით აბანოს გახურებას. იმან ნაძვის შეშა და ერთი შეკვრა არყის კვარი მოზიდა მარხილით, მეც ვედრო გამოვართვი და წყალი ამოვიტანე ნდინარიდან, გავავსე გოვზაკები.

— გაახურებ? — ოლეშამ თვალები მოწკურა.

— ისე გავახურებ, შენი მოწონებული.

— აბა, მიდი, მე წავალ, ძროხას უნდა დავხედო.

ჯერ კარგად დავასველე ცოცხი და აბანო გამოვგავე. გავხსენი საკვამური, შევაწყე ღუმელში შეშა, შევუნთე კვარი. კვარი ხალისიანად, ჭრუმრად აპრიალდა, შეშაც ხმელი იყო და ერთობლივ მოეკიდა ცეცხლი. შეშა ბლომად ნოეტანა ოლეშას. აბანოში უკვე ტრიალებდა ოდნავ მწარე ალხი, ღუმელიც ძლიერ მხურვალებას გამოსცემდა, ზედ დადგმულ რკინის აბაზანაში წყალმა დაიწყო დუღილი. ოქროსფრად ბრწყინავდნენ ნაკვერჩხლები, გამოხურდნენ და ჩაწითლდნენ, ფანჯრის ჩარჩოს სდიოდა გამდნარი ფიხური. რაც მახსოვს, ოცი წლის წინათაც კი, ჩარჩო მუდამ ასე იწყებდა აცრემლებას, როცა აბანოში იატაკამდე დავიდოდა ალხი.

ნელ-ნელა ინავლებოდა ნაკვერჩხლები. დავკეტე კარი, სახლში წავედი და ტრანზისტორი წამოვიღე, კალათაში დამალული. დილით გადაცემათა პროგრამა მქონდა მონასმენი და ვიცოდი, დაახლოებით ამ დროს შუბერტის სიმღერები იქნებოდა, „მშვენიერი მეწისქვილე ქალის" ციკლი. მინდოდა, სანამ გამოვეთხოვებოდი, მოულოდნელად გამეხარებინა ოლეშა. ნიმღები კუთხეში, ტახტქვეშ დავდგი და ცოცხი მივაფარე. დავკეტე საკვამური. თეთრი ფერფლით მოფარული ნაღვერდალი ცოტათი კვლავ ლივლივებდა, მაგრამ მხუთრი გამქრალიყო. შეიძლებოდა ბანობა. კვლავ შინ წავედი, ამოვიღე ჩემოდნიდან ახალთახალი, სურნელოვანი თეთრეული და პირსახოცი, მერმე ოლეშას მოსაყვანად გავეშურე. გზად ვფიქრობდი, ძველად ჩემი წინაპრები ალბათ ასევე სანეტარო, ამაღლებული და მშვიდი სიდიადით მიდიოდნენ-მეთქი საღდგომო ცისკრის ლოცვაზე. გული სიხარულით მიძგერდა და თან ნაღველიც მქონდა. უსამანო იყო ლურჯი, გაფართოებული ზეცა, დღეს პირველად ჰგავდა საგაზაფხულოს. თოვლი შემლღვალიყო გზაზე. სახლთა სახურავებიდან სწორედ ისე ცვიოდა თოვლის ნაჟური, როგორც გაზაფხულზე იცის ხოლმე. არყის ხეებსა და შოთხვის ბუჩქებში განახლების წინათგრძნობა მიმალულიყო, ზამთრის ლბილი, საბოლოო სიმშვიდე და უკანასკნელი სიზმარი. გარშემო მოჯარული ტყეები თითქოს უფრო წამოწეულიყო სოფლისაკენ. საჯინიბოში თავშეკავებით ხვიხვინებდა ულაყი.

ოლეშა აუჩქარებლად ავიდა სხვენზე. ცოცხი ჩამოიღო.

ალბათ ამქვეყნად არაფერი სჯობს აბანოსწინა გრილ ოთახს, გახურებული ფიჭვის ხისა და კედლისიქითა სიმხურვალის სუნით რომ არის გაჯერებული: არყის შტოების მწვანე ცოცხს, ჯერაც რომ არ დაორთქლილა, ხმელი რომ არის, მაგრამ მაინც შემოუნახავს ივნისის სურნელებანი: ღუმელის ქვეშ გამთბარ მიწას: უცნაური, მშობლიური სიძველის შეგრძნებას; ლანქრად წასული თოვლის სუსხს... შენივე ოფლის, შენივე კანის სუნს...

ასე. ჯერ ქურქი უნდა ჩამოვიდო. მერმე თამბაქოს გაბოლება, ფეხსაცმელების გახდა, ოდნავ შემცივნება...

ოლეშა კვლავ გარს უვლიდა აბანოს, ათვალიერებდა თავის ნახელავს. მე უკვე ტახტზე ვიჯექი, მშრალ, ლბილ და თანაბარ სიმხურვალეში, კანქვეშ მაინც მციოდა და მაკანკალებდა.

— კარგად, კარგად გაგიხურებია, ყნაწვილო, — ოლეშა ზღურბლზე ჩამოჯდა და ნელ-ნელა, დინჯად გაიხადა თექის ჩექმები, სატერფულებს დააჩერდა. — ღმერთო, დიდებულო, არადა, აგერ ახლა გამოვაკერე. იბანავებ?

ეს კითხვა მართლაც ზედმეტი იყო. ძირს ჩავხტი და სპილენძის ჩამჩით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასინჯად მივასხი წყალი ღუმელის გავარვარებულ ქვებს. მოკლე, მძლავრი შიშინით გამომეპასუხა ქვები.

— აბა, მიდი...

ღუმელი ახნაურდა, მშრალმა, აუტანელმა მხურვალებამ ალერსით ამილანძა კანი. ცოცხი დავმდულრე, დამთხვეულივით ავიჭერ ზემოთა ტახტზე და იმწამსვე კერპთაყვანისმცემლად ვიქეცი: სამყაროში თითქოს ყველაფერი თავუკულმა დადგა და ყველაფერმა სხვა, უფრო ფართო აზრი შეიძინა.

— აბა, აწი დავჯდეთ...

დაჯდომა კი შემომთავაზა, მაგრამ თვითონ, თითქოს ცოტა შეყოყმანდაო, კვლავ დაასხა ქვებს წყალი და სწრაფად ამოძვრა ზემოთ ხელახლა. ვიჯექი ტახტზე და აზრის ნატამალიც არ მიკრთოდა თავში. ანაზდად ტრანზისტორი გამახსენდა, შეუმჩნევლად გადავატრიალე ღილაკი და აბანოში, ამ ჩემს ძველ აბანოში მოხდა რალაც ახალი სასწაული. ღმერთმა უწყის, საიდან გაჩნდა ნომლერლის ხმა. ამ ბუნებრივ, საოცრად ნეტარ ბგერებში არაფერი იყო ზედმეტი და გაუგებარი, ისევე, როგორც პურში, ანდა წყალში: ჰანგები უბრალოდ, დაუძაბავად შეერწყო ამ საკვებით შეუფერებელ გარემოს, სულაც არ შეხვდათ რაიმე დაბრკოლება. ოლეშასაც არ გაჰკვირვებია, დაწყნარდა მაშინვე, გაყუჩდა და სულ უფრო და უფრო დაბლა ხრიდა მელოტ თავს, მერმე ანაზდად გამოფხიზლდა, რალაცის თქმა უნდოდა და ველარა თქვა.

— ახ, მაგისი დედა...

გახარებულმა დიდის ამბით გამოვიღე ტრანზისტორი და ძივართვი.

— აჰა, აიღე! აწ ამითი იბანავე ხოლმე.

— თუკი... თუკი არ გენანება...

— არა. დანანება რას მიქვია!

— ჰმ. მაშ, ასეა. მე კი მეგონა, ვიღაცა ჩემს გულში ზის და მღერისმეთქი. სულ შიგნით.

— ეგრეც არი.

— რა ცხოვრება დადგა! საინტერესო. სიკვდილი ალარ გინდა კაცს. — ოლეშამ ნეჭა გასაპნა. — პირდაპირ გეტყვი. კოსტია, მაინცდამაინც არა ნწამს ღმერთი. აბა, რალა ღმერთია, თუკი თვალითაც არ მინახავს, ტყუილს ხომ ვერ ვიტყვი. არადა, ზოგჯერ გაჰყვები ხოლმე კაცი ფიქრს. აი, მაგალითად, ცხოვრობს აგერ ადამიანი, უცებ, გაიხედავ და, წაიქცა, მოკვდა. საკითხავია, როგორლა გავიგოთ ეგა? არადა, თუ კარგად ჩაუკვირდები, რალაც ცუდი გამოდის: იყო ადამიანი და უცებ ალარ არი... სად გაქრა? კი, ბატონო, ვიცი, ეს სხეული მიწაში დალპება: მიწამ გააჩინა და მიწა მიიბარებს. სხეულის საქმე გარკვეულია. ოღონდ, სულს რა ნოსდის? ესე იგი, ეს ჩემი გონება, რაც მე თვითონა ვარ, ეს საღლა მიდის? ხომ მქონდა მე ეს გონებაა თუ რალაცაა, სული რალა, რაც მე თვითონა ვარ... სხეული კი არა, თვითონ მე. აი, აგერ რომ ვფიქრობ, აზრი რომ გამაჩნია. იყო და ალარ არი. როგორი საქმეა?

— არსადაც არ დაიკარგები. — ვუთხარი მე. — ამ ქვეყნად დარჩები. აი, ეს აბანო ხომ გამიკეთე... როცა მოკვდები, ჩამოვალ მე შვებულებით, მოვალ საბანაოდ. ასევე ვიფიქრებ, როგორც შენ ფიქრობ ახლა. გამახსენდები. გამოდის, ჩემს გულში მჯდარხარ თურმე, თუმცა უკვე რახანია ალარა ხარ ცოცხალი.

— მეეჭვება რაღაც...

— აბა, საეჭვო რა არი. — ახლა თავადაც მწამდა, რასაც ვეუბნებოდი. — ამ აბანოს სად წაიღებ? ანდა, მე და შენი ამდენი ნალაპარაკევი? აიღე აგერ შენი ნასტასია, მაქმანებს რომ გიქსოვს ხოლმე. აღარ იქნება ამ ქვეყანაზე, მაგრამ მისი ლამაზი ნახელავი ხომ იქნება მის შემდეგაც. განა ეს სული არ არი?

— სული...

— აბა შენ რა გეგონა. აი, მე და შენ ახლა სიმღერას ვუსმენდით. მაგრამ ეს ადამიანი ხომ იქნებ ორასი წელიცაა, აღარაა ცოცხალი, მისი სული კი მისსავე სიმღერაში დარჩა. ხომ გრძნობდი ამას წელან. ჰოდა, არსადაც არ დაკარგულა ეს ადამიანი. განა მართალს არ ვამბობ?

— ასეა ალბათ...

— ჰოდა, შენც ასე, აგერ აბანო გააკეთე, მთელი შენი ცხოვრება მოგიყევი. არც შენ გაქრები უკვალოდ, ამ შენს ნაქმნარში და ნათქვამში დარჩები.

— აბანო ხომ მე არა ვარ...

— როგორ თუ შენ არა ხარ? — წამოვხტი კიდეც. — როგორ თუ არა ხარ?

— მაგრამ, ვთქვათ, მოვკვდი, შენ კი ამ აბანოს დაშლი, ჩემი მონათხრობიც დაგავიწყდება. ჰოდა, ესეც მთელი ჩემი სული, აღარა ვარ, გავქრი. ანდა, იქნებ, შენ არც დაივიწყო, მაგრამ სხვა ხომ დაივიწყებს, ხალხი ხომ ყველა ერთი არაა.

— არც სხვა დაივიწყებს!

ოლეშამ არაფერი მიპასუხა.

XVIII

სანამ შინ წავიდოდი, შრომის საფასური შევთავაზე, მაგრამ ბერიკაცმა ან ვერ გაიგონა, ან გაიგონა და ისე მოიმაჩვენა თავი, თითქოს არაფერი სმენია. მხოლოდ მერმე მივხვდი, სამუშაოს დამთავრებისთანავე და ბანაობის შემდეგ არ უნდა მეხსენებინა ძველი დურგლისთვის ფული. მაგრამ როცა ვუთხარი, აბანო „დავასველოთ“, აღვნიშნოთ მუშაობის დამთავრება-ნეთქი, უარი არ მითხრა, ცოტათი მოლბა, თუმცა არც ისე აღფრთოვანებულა:

— ჩაის დალევა კი შეიძლება. გამოვიცვლი.

— ნასტასიაც წამოიყვანე.

— გმადლობ, კოსტია, ეგ კი ველარ წამოვა.

— აბა, ასე ორი საათის შემდეგ გელოდები.

გამოვიანგარიშე, რით შემეძლო სტუმრების დახვედრა, ახლავე მინდოდა სუფრის გაწყობა, მაგრამ გამახსენდა, ევდოკიას რომ რადიოს შეკეთება აღვუთქვი.

მინუტკამ ისე, ყასიდად შემიყარა, მხოლოდ წესისათვის წაიყავყავა და წინკარში დურთა თავი. შიგნით ელექტრონის შუქი ჩახჩახებდა. კარიც ღია იყო, მაგრამ მაინც ლამის კისერი მოვიტეხე ზღურბლზე. წინკარის ბაქანი ყველაფერს ჰგავდა, ოღონდ იატაკს არა: ორი ფიცარი აკლდა, გარდიგარდმო

რალაც მორები და ძელის ნაჭრები ამოჩხორილიყვნენ და კბილებსა კრეჭდნენ, როგორც დურგლები იტყვიან ხოლმე. ერთ ჭუჭრუტანაზე კი ამანათის ფირფიცარი იყო დაფარებული. ელნათურა ნათლად და კვინტად აშუქებდა საკუთრივ ევდოკიას სადურგლო ხელოვნების ყველა ამ ნიმუშს.

შიგნით შევედი და ცოტა კი შევჩქვიფდი: რადიო მთელი ხმით გაჰყვიროდა ერთობ დაწმენდილ ხმაზე. აფრიკის დამოუკიდებლობაზე გადმოსცემდნენ რალაცას. მაგიდას ანფეა უჯდა, დიასახლისთან მასლაათობდა, აქეთ სამოვარიც დიდ ჩუხჩუხში იყო, ერთ მესანედზე შენაკლულებულიყო წითელ ღვინიანი ბოთლი. ერთ თეფშზე ხმელი ხილი იდო, მეორეზე — ნიყვი სოკოები.

გამარჯობა ვთქვი.

— რა აქვს გაფუჭებული ამ თქვენს რადიოს? მე მგონი, კარგად ლაპარაკობს.

— ახლა კი ლაპარაკობს, — ევდოკია კარისკენ წავიდა. — დილით არ ილებდა ხმას. დაჯე, დაჯე სუფრასთან.

ანფეა, რეპროდუქტორის ხმიანობის დაძლევას რომ ცდილობდა, რალაცას რატრატებდა, თავის ტელევიზორს აქებდა, ასე და ასე ვიყიდეთ და ამას და ამას უჩვენებსო, ევდოკიამ კი ერთი ბოთლი „მოსკოვური" ჩამოდგა ჩენდა გასაოცრად.

— ჰოი, გაჩერდი, თუ ქალი ხარ, — თქვა სხაპასხუპით. — დაჯექი და შესვი. შეგათბობს ცოტას. დაჯექი, თუ გვიკადრებ. აბა ჰე, მე არა ვარ მაგისი გახსნის ოსტატი.

რა უნდა მექნა, ჩამოვჯექი. ევდოკიამ მაშინვე დამისხა ერთი ჩაის ჭიქა არაყი, თავისთვის და ანფეასათვის კი პატარა ჭიქებში დაასხა წითელი ღვინო. მინდოდა მეკითხა, რა ამბავზე გაქვთ ეგ ქეიფი-მეთქი, მაგრამ არ ვიცი რატომ, რალაცამ ენა დაბიბორკა.

— აბა, ნელი, დაიწყე. შეხვედრისა თქვი. — ჩაილაპარაკა ევდოკიამ და თავად უჩვენა ანფეას მაგალითი, ასწია ჭიქა.

ნელი ყასიდად გაიპრანჭა, წამღერებითა თქვა:

— აგერ, კონსტანტინი ჩამოგვრჩა.

გულში სინდისის ხმა გამიფაჩუნდა, მაგრამ არ დავაყურადე ამ ხმას, ორთავეს მივურტყი ჭიქა-ჭიქაზე და სანახევროდ დავცალე. მაგრამ ქალებმა ისე ერთხმად შემომძახეს, თითქოს ვინმემ უბრძანათო: „ოჰ, პლატონოვიჩ, დასცალე, მტერი დაგეცალოს!" ავწიე და დავლიე დანარჩენი ნახევარიც... ისე უამური იყო სასმელი, ქვასავით გამიჩერდა კუჭში და აბეზრად დამიწყო წიწკნა.

მარილიანი სოკო დავაყოლე და ძალისძალად ჩავახშე გულისრევა. ევდოკია კი ისევ მივსებდა ჭიქას...

ათი წუთიც არ გასულა, ნელ-ნელა მომეახლა თავდაჯერება და, რაც მთავარია, სიკეთე — ევდოკიასადმი, ნელისადმი, ამ ლამაზი სამოვრისადმი, ამ გაზეთებით გაწებილ ქოხისადმი, შიგ რომ ერთი საწოლი იდგა და ერთიც შეთეთრებული ლუმელი, ამ ხვადი კატისადმი და გადიდებული ფოტოსურათისადმი ევდოკიას ვაჟისა. ბოლო ომში რომ დაღუპულიყო „სულ ჩვიდმეტი წლისა". წუთი-წუთზე იზრდებოდა ეს ჩემი სიკეთე. მინდოდა რაიმე კარგი გამეკეთებინა ევდოკიასათვის, თუნდაც, ვთქვათ, შეშა დამეხერხა

ანდა რიგიანი იატაკი დამეგო წინკარში; ანფეასთვისაც, ანუ ნელისთვისაც გამომეკითხა თავისი ამბები, გული გამეკეთებინა.

რა სჭირდა გულის გასაკეთებელი? არაფერი ეტყობოდა საამქროში. ოკვე რახანია იმაზე კამათობდა, სოფელში სჯობს შვებულების გატარება თუ ქალაქში.

— ოჰ, არა! ათასჯერ არა, კოსტია, აგიტაციას ნუ მიწევ, გეთაყვა.

სოფელში ცხოვრებას განა ცხოვრება ჰქვია? ველარსად წასულხარ, ველარავის დალაპარაკებიხარ.

— აკი ჩამოდი...

— ჩამოვედი. რახანია აქ არ ვყოფილვარ და იმიტომაც ჩამოვედი. აჰ, არა და არა.

— მაინც იწევს გული, სამშობლოა...

— არაფერსაც არ იწევს, დალიე, ეგა სჯობს! არა, ეგ კი არა, აი ის ბოთლი, თეთრი...

— დაიცა, ევდოკია სადღაა?

ევდოკია ალარ იყო სუფრასთან, სამზარეულოშიაც არა ჩანდა და მხოლოდ ახლა, სიმთვრალის ბურუსში დანთქმულმა, ნელნელა გავისიგრძეგანე ყოველივე... საათს შევხედე, საღამოს რვა გამხდარიყო. ოლეშა, ჰა და ჰა, მესტუმრებოდა, მე კი ისე გამომივიდა, თავად სტუმარი ვიყავ სხვის სახლში.

ამ დროს ანფეა მოურიდებლად იბნევდა ჩამოვარდნილ წინდას.

— იჯექი, კონსტანტინ, რაღას ადექი. ევდოკია საჯინიბოშია წასული, ამაღამ იქ ათევს, თბილანაში.

— თბილანაში?

ანფეამ არ მიპასუხა, დადგა საოკის წინ. ერთბაშად გაქრა მთელი ჩემი სიკეთე.

ერთხანს შუა ქოხში ვითრევ ფეხი. მერმე მტკიცედ წარმოვთქვი: — აბა, მე უნდა წავიდე.

ალანძულ ქალს საბ[illegible] ლიბი არ მოუცია, თმას ასწორებდა.

— კარგად იყავი! — [illegible] მტკიცედ გაიცალა წინკარში.

მოვწიე ურდულს, [illegible] იყო [illegible]. გულზე ბოთი წამეკიდა, რაც ძალი და ღონე [illegible]. [illegible]. ვამჩნევდი [illegible] ორდულში გაკვეტებული [illegible]. [illegible] ნახელავმა მოწყობილობამ, [illegible] ჭებო!“

მივედი შინ, ავანთე ლამპა, დავხეხე [illegible] ... [illegible] სამოვარი. წვერგაპარსული და მოკაზმული ოლეშაც [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ანფეასთან კვლავ შეხვედრის საფრთხე ამარიდაო, ავენირი ქუჩაში შემომხვდა: თურმე ბრიგადირს უნდა სწვეოდა ბანქოს სათამაშოდ.

— ერთი საათით გვეწვიე, ავენირ პავლოვიჩ.

კოზონკოვი შეყოყმანდა, მაგრამ უჩვეულოდ მჭევრმეტყველი გავხდი. წინკარში რომ შემოვუძეხი, გზა ფარნით გავუნათე.

— გამარჯობათ! — ხმამაღლა თქვა კოზონკოვმა.

— ავენირ პავლოვიჩს ვახლავართ, ავენირ პავლოვიჩს! — დამცინავი გულკეთილობა გამოკრთა ოლეშას ხმაში.

...მოსვენებას არ მაძლევდა სახელდახელოდ შემონახული ერთი ბოთლი სომხური კონიაკი: ბერიკაცებს ალბათ თავისდღეში არ დაელიათ ასეთი სასმელი. სამოვარმაც მოგვისწრო. გავხსენი კონსერვის ქილები, პური დავჭერი და სანახევროდ დავასხი ჭიქებში კონიაკი.

— აბა, ავენირ პავლოვიჩ, ალექსეი დმიტრიევიჩ!

ბერიკაცები ოდგრიგოპით ათვალიერებდნენ კეკელა ეტიკეტს.

— მართალია, ამას ზოგჯერ ბალლინჯოებზე აყენებენო?

— ტყუიან!

— შეხედე, ხუთწლიანი ყოფილა.

— უყურე შენ...

— ნე მარტო ჩაიში გავურევ...

— ჩაიში არ ვარგა კონიაკი. — ამასობაში ჩაიც დავაყენე. — ამას ყლუპობით სვამენ ხოლმე.

რა სულელი ვარ, განა შეიძლება სტუმრებთან ასე ლაპარაკი? ყლუპობით... მაგრამ მოულოდნელად ოლეშამ მიხსნა:

— ძალიანაც კარგი, თუკი ყლუპობით სვამენ. აი, უწინ იყო სმა, თუ იყო. პატარა სირჩებით სვამდნენ. თითი რომ ჩაგეყო, მორჩა, დაკარიელდებოდა. ახლა კიდე, სულ ჩაის ჭიქებით ურტყამენ არაყს, ეს არი ჭკუა?

— ესე იგი, უკეთესი ცხოვრება აქვთ და იმიტომ, — შენიშნა ავენირმა.

— კი, უკეთესი აქვთ. ვერაფერს იტყვი. ღვინოსაც სულ ხარებივით სვამენ. დალევენ და აპირწიალებენ მერე ერთმანეთს. ახლა ქალებს არ იტყვი, რა დღეში არიან? ზოგიერთი... ზოგიერთი, აი, როგორც... — ოლეშას ხველა აუტყდა.

დამჭირდა სოფლური სტუმართმოყვარეობის გადავიწყებულ წესთა გახსენება.

ოლეშამ დაასლოკინა, აიღო კონსერვის ნაჭერი, ავენირმაც იგივე ქნა.

— რა ჰქენით. მოათავეთ აბანო? — იკითხა ავენირმა.

— აბანო, ავენირ პავლოვიჩ, აწი მაგარი ექნება ამ კაცს. კიდევ ერთ ოც წელიწადს არ გაქანდება, — თქვა ოლეშამ.

— აბანოზე ვერ იტყვი ცუდს. ზარიგითაა.

— მართლაც კარგი აბანოა. შენი აბანოც არაა, პავლოვიჩ, ურიგო. განა ცუდი აბანო გაქვს?

— ვერ ვიტყვი, ცუდია-მეთქი. ოღონდ ეგაა: ქვაბი მინდა შევლებო, თეთრად აჯობებს.

მშვიდობიანად ბაასობდნენ. ვისმენდი დურგლების თბილ ხმებს და მათი მონათხრობი მაგონდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალაც ეშმაკი შემიჯდა, ცბიერი და მოუსვენარი. არა და არ მინდა საშველი. და აჰა, ისევ შევავსე ჭიქები და მოვემზადე სიტყვის სათქმელად. მათ ცხოვრებაზე მინდოდა მეთქვა, ასე მეგონა, საჭიროა საბოლოოდ დაეკვანძა მეთქი წერტილი მათ კინკლაობას.

— აი, თქვენ ორთაგეს დიდი ცხოვრება გაგიგლიათ, სულ ერთად ყოფილხართ, არადა, აგერ ახლა მთელი კვირა უბრალდ იყავით, არ ესალმებოდით ერთმანეთს. გაგეკვიათ მაინც, ვინ ხართ მართალი და ვინ მტყუანი, დამჯდარიყავით ერთი და გელაპარაკათ ერთი-ერთში!

ეს ნამდვილი პროვოკაცია იყო. მაგრამ უკვე ლაპარაკის ეშხში ვიყავი შესული და აღარ შემეძლო შეჩერება. პროგრესისაკენ მოვუწოდებდი ორივეს, ვახვევებდი ისტორიულ მაგალითებს.

ავენირ კოზონკოვმა ჯიქურ გადგა განზე ჭიქა:

— აი, რას გეტყვი მე შენ, კონსტენკინ: ძაან გამამაძაღლდა ხალხი, დისციპლინა აღარაა, ნერვებს დაძაბულობა აღარა აქვთ. ბრძანებას აღარ უგდებენ ყურს, მარტო თეთრ-თეთრი დვეზელების ცხობაში არიან გართული.

— კარგი, ავენირ პავლოვიჩ, გაჩერდი. განა მაგაშია საქმე? — ოლეშამ პირალნა დადგა ჭიქა.

— არა, არ გავჩერდები! განა არ მახსოვს, გაგაგზავნიდი თუ არა შეტყობინებას, ტყვიასავით მოჰქროდნენ ხოლმე კრებაზე, ისეთი დისციპლინა როდი იყო, ახლა როგორიცაა. ყველა მორბოდა!

— კი ბატონო, ყველა მორბოდა. აბა ბიჭი იყავი და არ გაიქცეოდი. განა შენ არ იყავი, ბელლები რომ სულ უკანასკნელ მარცვლამდე ამოხაპე, მაშ ვინ იყო: კოლმეურნეობაც არის და კოლმეურნეობაც, კოზონკოვ, დიდი განსხვავებაა. ხომ გახსოვს, რაირნაირ მოგთოკა ნერე. კიდევ კარგი, მარტო შენ არ იყავი უჯრედში, კაი ხალხიც იყო.

— შენ კი რა კლასობრივი მტერიც იყავი, იგივე დარჩი, — ხმას აუწია კოზონკოვმა, — დღესავით ნათელია ეგ.

— არა, არაა ნათელი. ძალზე უთავბოლოდ გქონდათ შენ და ტაბაკოვს ყველაფერი. არ უნდა ლარი და ხაზი. ხარაზები რომ ხარაზებია, ეგენიც ამოიშავეთ, ფისის მხდელებიც. აქაოდა, კერძო ინიციატივა ხართო, საკუთარ საქმეს აკეთებთო.

— რაო, საკუთარს არ აკეთებდნენ?

— რალა თქმა უნდა, საკუთარს. აბა, ვისი უნდა იყოს? შენ საკუთარი საქმე უძახე და, მიშა ხარაზი რომ დაიჭირეთ, მთელი სოფელი უფეხსაცმლოდ ხომ დარბოდა მთელი შემოდგომა? ახლა, სხვა მხრიდან რომ შევხედოთ, კუზია პერიევი საიდან მოხვდა კულაკების სიაში? იმას ხომ ერთი ლინკილა ძროხაც კი არა ჰყავდა თავისი; აბანაოში რომ წავიდოდა, კაცს პერანგი არ ჰქონდა გამოსაცვლელი. იმიტომ დაიჭირეთ, რომ ტაბაკოვს დედა შეაგინა დღესასწაულზე და ესეც შენ, კულაკობა დაბრალდა. ანდა კოლიუხა სილანტიევი: კოლმეურნეობამდეც წესიერი კაცი იყო და კოლმეურნეობაშიაც ივარგა, დამკვრელთა სიაში იყო სულმუდამ.

— შენ, სმოლინ, მე ნუ მაბეჩებ, ნაცარს ნუ მაყრი თვალებში. აბა, ლიხორადოვი თქვი, აგარაკი ჰქონდა ტყეში, მთელს ამ ოლქში ეგ ვაჭრობდა.

— ვაჭრობა სხვა ამბავია, მოთოკეთ ლიხორადოვი და კარგიცა ჰქონ-ნით.

— ფედულიონოკი რით იყო უკეთესი? იგიც ხომ კერძო მესაკუთრე იყო.

— კი, მაგრამ, ფედულიონოკი ხომ თვითონ მუშაობდა, რასაც თავის მიწაზე მოიყვანდა, იმას თუ გაჰყიდდა. ასეთი ვაჭრობა თუ არ ექნა, კაცი ვერც ქალაქში იცხოვრობს და ვერც სოფელში. ლენინიც კი იცავდა ასეთ ვაჭრობას. ლიხორადოვი კი სხვისას ყიდულობდა და ყიდდა. არ არის განსხვავება?

— განსხვავებაა. იგივე სპლოატაციაა ეგეც, ბურჯუა იყო, ფედულიონოკი.

— კარგი ერთი! ფედულიონოკი რა სპლოატაცია ნახე, მარტო თავის ზურგს და კისერს ხედნიდა კაცი!

— ხალხს ქირაობდა ბკასა თუ თიბვაში.

— არაფერსაც არ ქირაობდა, იხმარიებდა ხალხს, ასე ხომ შენც და გორბუნოკიც იხმარიებდით.

— ფედულიონოკს სამოვარი ჰქონდა ორი თუ სამი.

— კი მაგრამ, შენ ვილა გიშლიდა, შენც გქონოდა მაგდენი. ის კაცი, აგე, დიდი დღესასწაულიც რომ ყოფილიყო, მაინც მამლის ყივილზე დგებოდა ფეხზე. შენ კიდე, თვითონ ღარიბად გამოაცხადე შენი თავი, არადა, სანამ კარგად ძილით არ გამოძღებოდი, თაფლაკვერითაც ვერ გამოგიტყუებდა კაცი შინიდან.

— ახა, როგორ, ორჯერ ხომ არ ვცხოვრობ ქვეყანაზე.

— მაშ, ფედულიონოკი ცხოვრობდა ორჯერ?

— ხარბი იყო.

— მშრომელი იყო. ცოტა კი, ძუნწიც იყო, რაც მართალია. მაგრამ რევოლუციის შემდეგ რომ თქვეს, მიწა სულადობაზე იყოსო, შენ შენი მიწა გაატყევე, [illegible] კი ორი ახო სხვაც გამოკაფა, წელში გაწყდა კაცი.

— [illegible] ძუნწი იყო და იმიტომ.

— შრომობდა ადამიანი, მიწას ეფერებოდა, შენ და ტაბაკოვს კიდე, სად გქონდათ [illegible] ხეხელების თავი.

— [illegible] ქენით. შენც იმაზე იყავი მიხაყოლებელი, კონტრა იყავი და კონტრა ხარ.

— შენ [illegible] ხარ [illegible], ხელისუფლება წაგიტრიალეთ შენ და ტაბაკოვმა. შენ თითიც კი არ [illegible] ამ ხელისუფლებისათვის. ფედულიონოკი კი კოლმეურნეობის [illegible] ხელისუფლება კოფილა?

— შენ [illegible]

— მაშ [illegible]?

— ვინ [illegible] ღარიბების.

— აი, ახლავე: მე ერთს ვაბრალებ, შენ სხვას გაიძახი. ღარიბების წინააღმდეგ სიტყვა დამცდენია? ვინც მუშაობდა, იმათზე? ისინი ხომ, ვინც მუშაობდა და ღარიბი იყო, თავისი გაჭირვების გამო მიემხრო ახალ ხელისუფლებას. შენ და ტაბაკოვი კიდე, სათქვენო საქმეს აკვარახჩინებდით.

— რაო, რა თქვი? რას ვაკვარახჩინებდი? — კოზონკოვი წამოდგა. — შენ რაო, ხალხში თავსა მჭრი? აი, ამწუთას გიჩვენებ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

XX

ჩარევა ველარ მოვასწარი: ავენირმა ორივე ხელი შესტაცა ოლეშას საყელოში, კუთხეში მიიქცია და მელოტ თავს არახუნებინებდა კედელზე. მაგიდა და სამოვარი შექანდა, ლამის გადაყირავდა, კონიაკი ძირს დაიღვარა იატაკზე. მიეძალა კოზონკოვი, ოლეშას თავს ბრაგვანი გაუდიოდა კედელზე, ძლივს გავაცილე მოჩხუბარნი. ოლეშას ჩითის ახალოხი გასკდა და გაიფხრიწა. მეგონა, ჩავაცხრე-მეთქი ჩხუბი, მაგრამ ოლეშა მამალივით გამოხტა მაგიდიდან და მეორე მხრიდან ეცა ავენირს. ისევ ჩააფრინდნენ ერთმანეთს, იატაკზე დავარდნენ და, დაქიჩნაჩებულები, ცდილობდნენ კბილებში ეთავაზებინათ ერთმანეთისათვის მუშტები.

მეც გავცოფდი, ძლივს დავიოკე თავი და კვლავ გაშველებას შევუდექი. მეც საშინლად მომინდა ჩხუბი, სულერთია ვისთან ვიჩხუბებდი და რის გამო. მაგრამ გამახსენდა, მასპინძელი რომ ვიყავი და კვლავ ვაშველებდი მოჩხუბართ. რა მექნა? ოლეშასთვის რომ განეკავებინა ხელი, ავენირი მაშინვე ისარგებლებდა ამ უპირატესობით და ცხვირში მისცხებდა მჯილს, ავენირი დამეჭირა — ოლეშაც იგივეს იზამდა. ოლეშას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ნიფხვის ლურსმნიდან საკიდზე გადატანა“ მომიხდებოდა. დავხტოდი ბერიკაცების გარშემო, ხან აქედან ბოვუვლიდი ხოლმე და ხან იქიდან, ლამის ჩემს წინააღმდეგ ამემხედრებინა ორივე. სწორედ ამ გახურებული ჩხუბის დროს მოდგა კარის ზღურბლზე ნასტასია! ოლეშას დასახედავად მოსულიყო და ამ დაკადაკას კი შეესწრო. მარტო თავის ქმარს დაუწყო თათხვა, ხან შტერი უწოდა, ხან დოყლაპია, მხოლოდ მას ერთს ადანაშაულებდა და ამით კიდეც ოპერატიულად ჩააცხრო ჩხუბი... ოლეშა შინ წაიჩანჩალა, მე კი ავენირს მივეშველე ადგომაში, დრო შევურჩიე, ხელი მკლავში გამოვდე და ისიც შინ წავიყვანე.

— მე! მე... — ავენირი ძლივს მიადგამდა ფეხებს. — კოლექტივის გულისთვის ღვიძლი ძმის თავსაც არ დავინანებ. ეგრევე გადავარდება განზე!

სახლთან რომ მივიყვანე, ცოტათი კი დაცხრა. მომეხვია და შინ შემიპატიჟა, კიდევ მაქვს ერთი ბოთლიო; ბრალია, საათი მქონდა ხელზე, თორემ ამ ოლეშას ვასწავლიდი ჭკუასო...

შინ დავბრუნდი, ფანჯარასთან დავჯექი და დიდხანს ავსცქეროდი მთვარეს. საათიც ნოშლილიყო ამ ჩხუბში, გაჩერებულიყო. ოლეშას ქუდი ეგდო იატაკზე, გადაეგდო ყურები. სამარისებური სიჩუმე იდგა მთელს სახლში. გულგრილად ავძვერი ღუმელზე, დარდი მეძალებოდა და არც ამ დარდს გავძალიანებივარ, დავწექი...

არ მახსოვს, ზედიზედ რამდენ საათს ვიწექი ასე, რახანია არ ავმდგარვარ, ღუმელი არ გამიხურებია. ვთვლემდი და ყელშიაც რაღაც მწიწკნიდა, უეჭველი გრიპის ნიშანი იყო, ავადობა მეწყებოდა. მთელი ტანი ნტეხდა, თავის ტკივილმა და პირის სიმშრალემ გამაბეზრა, ამივარდა სიცხე. მთლად გამოცივდა სახლი. თანდათან გრილდებოდა ღუმელი. ვიწექი ზედ და უაზროდ ავსცქეროდი ჭერს, მერმე თავდავიწყებაში ვიძირებოდი და კოშმარები მეხვეოდა. ხან მესიზმრებოდა, თითქოს სულმთლად გახდილი, ტიტველი ვიჯექი სადღაც,

გარშემო კი ხალხი იყო. ხანაც სულ სხვა, უცხო სამყაროში ვბორიალობდი. ყურები მიბჟუოდა, უხილავი ზარი რეკდა სიბნელეში. ვცდილობდი დამენახა ეს ზარი, მაგრამ მხოლოდ სამრეკლო აჩხორილიყო ბინდბუნდში და იქიდან ოტომლაც ავენირ კოზონკოვი აგურის ნატეხებს ისვროდა. სეტყვასავით მოდიოდა აგურის ნამტვრევები, გაქცევა მინდოდა, მაგრამ ფეხები აღარ ნემორჩილებოდა. უცებ სამრეკლო აბანოდ იქცა და პეტია-მჭედელი დადიოდა მის იბგელივ. ედუმალი სახე ჰქონდა, ათშაურიანებს ეძებდა კუთხეებქვეშ. მერმე აბანოცა და პეტია-მჭედელიც გაიქნა ბინდში და მესმოდა გაუხედნავი ულაყის ჭიხვინი, რატომლაც ოლეშას ქუდით აღრჩობდა ცხენს ბრიგადირი. უცებ ულაყი ავენირის ქოფაკად იქცა და შინაურულად დამიწყო სუნვა.

გარახუნდა კარი.

თავს ძალა დავატანე, აზრი ნოვიკრიბე, გავტოკდი. ანასტასია იყო, მოულოდნელად შემოვიდა და იატაკზე დაგდებული ქუდი აიღო:

— ოჰ, ეს ალქაჯი, ეგა! ისევ დათვრა და ქუდი დაკარგა! კონსტენკინ, შენს წასაყვანად მოვედი. თუ არ მოიყვან, შინ ფეხი არ მოდგაო, მითხრა.

— აღარ შემიძლია, ნასტასია, ძალიან ცუდადა ვარ.

— შეუძლოდა ხარ?

— ჰო.

— აბა წავალ და ხმელ ჟოლოს მოგიტან. იმწუთას მოგარჩენს.

წავიდა ნასტასია, კოშმარებს შეერია ისიც. ზარი კვლავ რეკდა საღლაც შორს და შორს, რეკდა ყამიდან ყამზე. ცისარტყელები ამიჭრიატდა თვალებში. ნაღველი მახრჩობდა, შენდეგ კი, აზრი რომ მომიბრუნდა, შემიბყრო ზიზღმა, მძაგდა ყველაფერი ამქვეყნიური და ჩემი თავიც მათ შორის. ყველაფერი ინგრეოდა, იშლებოდა.

თავი მისკდებოდა ტკივილისაგან, ტირილი მსურდა და ამ სურვილის გამოც დავცინოდი ჩემს თავს: „მე, მარტო მე ვარ ამ ჩხუბში ბრალეული, მე მოვისურვე სიცხადე შემეტანა მათ ურთიერთობაში, მე გამოვიხმე წარსულიდან მიწყნარებული სულები. მერმე თავად შევშინდი და ბერიკაცების შერიგება მოვინდომე. იმიტომ, რომ ეგოისტი ვარ და ყველაზე მეტად მე მჭირდება ჰარმონია, განსაზღვრულობა და სიცხადე, ნეტარი მსოფლწესრიგი. კი შერიგებაა, ღმერთმანი". ყურებში ისე ცხადად ჩამესმოდა ქედელზე მიბტყბული ოლეშას თავის ბრახაბრუხი, რომ გავწითლდი სირცხვილისა და ჯავრისაგან: „რა ეშმაკი მრჯიდა, რატომ ჩავერიე? ახლა იმათ ორივეს ვძულვარ. მტრები არიან ხელახლა ერთნანეთისა, მტრებს კი არც ის უყვართ, ვინც მათ ერთიმეორეზე ასისიანებს და არც ის, ვინც მათ შერიგებას ცდილობს. ამას წყალი არ გაუვა. მტრობა ხელს არ შეუშლით, ჩემს წინააღმდეგ შეკრან პირი. ჰოდა, ვეღარასოდეს გაეატარებ მშვიდად ამ ოცდათხუთ დღეს ჩემს მამულში. აი, რა გადარდებს თურმე! თავიდან ეგრე გეთქვა... აქაც მარტო საკუთარ თავზე ფიქრობ. ოცდათხი დღე კვირეების ჩაუთვლელად... არა, მარტო ეგ არ არის. მაშ, საინტერესოა, სხვა რაღაა კიდევ? ის, რომ... ის, რომ..."

რაღაც აზრი კოლოსავით მიტრიალებდა ყურთან, მაგრამ ვერა და ვერ დავიჭირე. ყველაფერი ამერია გონებაში: „უნდა ავდგე. უპირველეს ყოვლისა, უნდა ავდგე. კუბოში მენახოს ეს ბრიყვული გრიპი! ახლავე ავდგები, ნასტასიას მივაკითხავ, ჟოლოს მომიხარშავს. მახლას, სძულდეს ოლეშას კო-

ზონკოვი, დიახაც დაიმსახურა ეს სიძულვილი. ავენირსაც. დაე, სძულდეს ოლეშა, ეგეც კარგი ვინმეა. ეტყობა, ასეც უნდა იყოს ყველაფერი. ჰო! ჰო! ჰო!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარ მახსოვს, როგორ ჩავიცვი თექურები. ჩამოვედი ღუმელიდან, ჩავიცვი ბარბაც-ბარბაცით, გარეთ გამოვედი.

* * *

კარი დაკეტილი იყო. სისუსტისაგან აბარგანავებული ავედი კიბეზე, ურდულს მოვეჭიდე...

ღმერთო, ეს რალაა? თვალებს ვერ დავუჯერე. მაგიდას უსხდნენ და ტკბილად, ვითარცა ძველი ვეტერანები, ჭუკჭუკობდნენ ოლეშა და ავენირი. ალარც ყვირილი იყო, არც რაიმე ხმაური. ბოთლი მოჩანდა მწვანედ ჩაის ჭურჭლეულობაში, სამოვარი ცხრებოდა მაგიდაზე მდგარი.

— რახანია გიცდით, კონსტენკინ, აბა მოდი, აქ დაგვიჯექი. რაო, შეუძლოდ ხარ? — შენიხმიანა ოლეშა.

— არა, მგონი არაფერია.

— ამ წუთას მოგარჩენთ.

ნახევარი ჭიქა მუქი ჩაი დამისხა. ნასტასიამ ხელახლა მოხარშა სხვა ჩაი, უკვე ჟოლოთი. შაქარი გავადნე და ოლეშამაც არყით შემივსო ჭიქა. დაისხა, კოზონკოვსაც დაუსხა.

— რახანია გიცდით, ყმაწვილო, აგე, ნასტასიაც გამოვუშვით შენს მოსაყვანად, — თქვა ავენირმა და ასწია ჭიქა; ასი გრამი არაყი ესხა შიგ.

— ღმერთმა ქნას, უკანასკნელი არ იყოს, — წარმოთქვა ოლეშამ.

შემახურა პუნშმა. მხრებში ნელ-ნელა გამიდნა სიცივე, რალაც გაუგებარი გრძნობა მომეძალა, სითბოდ ჩანელვარა თვალებში. იქნებ ვბერდები და გულჩვილი ვხდები, იმისი ბრალია. ეჰ, დალახვროს ღმერთმა. მაინც კარგი რამ არის ცხოვრება!

— აბა, მივცხოთ!

მეცლებოდა ავადობის ბურუსი და ბუნდოვნად მესმოდა ავენირისა და ოლეშას ბაასი.

— არა, ავენირ პავლოვიჩ, შენ ჩემზე მეტს გაძლებ.

— რა იცი, ეგებ შენ მოგიწიოს ჩემი დამარხვა, ოლეშა.

— ორივე ერთ მიწაში ჩავალთ, ავენირ პავლოვიჩ. მე უკვე გამოთვლილი მაქვს, ორმოცდარვა ლუსმანი უნდა კუბოს. ოლონდ, თუ იქაურობა ჭკუაში არ დამიჯდა, დავკრავ ფეხს და გამოვიქცევი, კი ავიღებ მაგის სამვს. აი რა, ბიჭო, მოდი, პოჭოჭიკებით დამიჭედე კუბო, დამიჭედე კუბო პოჭოჭიკებით, თორემ რალა გამოვიდა! გარმონიც დაუკარით, ფეხს მაინც გავაქნევ საფლავში! — ოლეშამ ფეხი დასცხო იატაკს.

— პოჭოჭიკებით. პოჭოჭიკებით დაჭედილი კუბო, რალა თქმა უნდა, ის ალარაა, რაც ლუსმნებით, უფრო მაგარია... — კოზონკოვი პურსა ღეჭდა.

— ჰოდა, მოდი, პირობა ვთქვათ.

— იყოს, არა ვარ წინააღმდეგი, — თქვა კოზონკოვმა.

— მოწმეების თანდასწრებით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა!

— მომე ხელი, რომ პოჭოჭიკებით გააკეთებ!

— იქნება მე ვკვდები პირველი.

— მაშინ მეც ეგრე ვიზამ.

ბერიკაცებმა მაგრად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და ოლეშამ უცებ ნხიარულად, გულიანად წამოიძღერა:

ცეკვას ვსწავლობდით
ჯერაც ბიჭები,
მიწას ვწვდებოდით
ხელის თითებით!

ნასტასიამ სიცილით მოუღერა ხელი:

— ჰოი, ამას უყურეთ ერთი, რა დღეშია! სიმღერა არ დამიწყო?

— მაშ, მეტი რაღა დამრჩენია! აგე, ხვალ შენ კოსტიას გაჰყვები, მე კიდე, ავდგები და ვინმე ჯეელ დედაკაცს ვიშოვნი, ცოლად მოვიყვან. წავალ საავადმყოფოში და ჩავაბარებ სუყველა ანალიზებს. ოგარკოვოში გავუტევ სიძე-კაცი!

მერმე ნან და ავენირმა ძველებური, გაბმული სიმღერა წამოიწყეს წყნარად და ხმაშეწყობილად. მღეროდნენ და სულ უფრო და უფრო დაბლა ჰხრიდნენ სისვ თავებს.

ველარ ავყევი — სიტყვაც კი არ ვიცოდი ამ სიმღერისა.

□

ალბერ კამიუ

დაცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი

ფრანგულიდან თარგმნა **ნესტან იორდანიშვილმა**

●

ნება მიბოძეთ, ბატონო, დახმარება შემოგთავაზოთ. არ მინდა თქვენს თვალში აბეზარი გამოვჩნდე, მაგრამ, ვშიშობ უჩემოდ ვერაფერს შეასმენთ ამ პატივსაცემ გორილას, აქაურობის ბედს რომ განაგებს. ჰოლანდიურის მეტი არა იცის რა და, თუ თქვენს დამცველად არ ამიყვანთ, ვერც კი მიხვდება, რომ ჯინი გსურთ. მე კი, მგონია, მიმიხვდა უკვე. ეს თავის კანტურიც იმასა ნიშნავს, რომ ეთანხმება ჩემს საბუთებს. ხედავთ, აქეთკენ გამოემართა ბრძნულის სიმშვიდით. ბედი გქონიათ, არც კი ბუზღუნებს. როცა სამსახურზე უარს ამბობს, ერთს ჩაიბუზღუნებს და მორჩა, ველარაფრით დაიყოლიებ. მხოლოდ დიდ-დიდ ცხოველებს ძალუძთ ირჯებოდნენ ასე— თავიანთ ნებაზე. ახლა კი წავალ, ბატონო; მოხარული ვარ, რომ შემწეობა აღმოგიჩინეთ. მადლობას მოგახსენებთ და დაგთანხმდებოდით კიდეც, დარწმუნებული რომ ვიყო, თავს არ შეგაწყენთ. ერთობ კეთილი ბრძანდებით, ბატონო. მაშ, ჩემს ჭიქასაც თქვენსას მოვუდგამ გვერდში.

წელან სწორადა ბრძანეთ, მისი დუმილი კაცს მართლაც საგონებელში ჩააგდებს. ესაა უდაბურ ტყეთა პირთამდე სავსე მდუმარება. ხანდახან მიკვირს კიდეც, რად შემოსწყრომია ეს ჩვენი უსიტყვო მეგობარი ცივილიზებულ ენებს. მისი ხელობა ხომ ყველა ეროვნების მეზღვაურთა დახვედრა და გასტუმრებაა ამსტერდამის ამ ბარში, რომელსაც, კაცმა არ იცის რატომ და, „მეხიკო-სიტი“ უწოდა. როგორა ფიქრობთ, მისი ხელობის კაცს ეგ უვიცობა განა ხელს არ უნდა უშლიდეს? წარმოიდგინეთ პირველყოფილი ადამიანი ბაბილონის გოდოლზე. უცხოობა მაინც გასტანჯავდა. ეს მედუქნე კი სულაც არა გრძნობს უცხოობას, მიდის თავისი გზითა და ნიოს ვერაფერი შეაცვლევინებს. ხმას იშვიათად ამოიღებს და ერთადერთი წინადადება, რომელიც მისგან გავიგონე, იყო: ან უნდა გაიტანო, ან წააგო. რა უნდა გაეტანა? რა უნდა წა-

ეგო? ალბათ თავისი თაკი. გამოგიტყდებით და, ასეთი ძლიერი ბუნების ხალხი მიზიდავს ხოლმე. როცა თავადაც ესუფს და ხელობაც გაიცულებს ადამიანებზე ბევრი იფიქრო. უპირატესობას პრიმატებს აძლევ ხოლმე. ესეა-კველნი არიან და გულში არავითარი ბოროტი ზრახვა არ უდევთ. მთლად ასე არ ითქმის ჩვენს მასპინძელზე, მაგრამ მის ბოროტ ზრახვათ კაცი ვერ გაუგებს თავსა და ბოლოს. რაკი არ ესმის მისი თანდასწრებით რას ლაპარაკობენ, ცოტა უნდობლობა დასჩემდა. ამას უნდა მივაწეროთ მისი მფრთხალი სიდარბაისლეც. თითქოსდა გუმანი აქვს, რომ კაცთა შორის ყველაფერი ვერაა რიგზე. ეს გუნებაგანწყობილება მასთან გარეშე საქმეებზე მსჯელობას აძნელებს. ერთი შეხედეთ მის თავს ზემოთ კედელზე თეთრად დარჩენილ ოთკუთხედს. ეს ოთხკუთხედი იმასა მოწმობს, რომ ოდესღაც აქ სურათი ეკიდა. მართლაც სურათი ეკიდა და ძალიანაც საინტერესო. ნამდვილი შედევრი იყო. მე მომსწრე ვარ, როგორ შეიძინა მაგ კაცმა ეს სურათი და მერე როგორ დათმო. ოთივეჯერ საოცრად ფრთხილობდა, მთელ თვეს ფიქრობდა და ჭოჭმანობდა. ეტყობა, ამ მხრივ საზოგადოებამ ცოტათი გარყვნა მისი უმწიკვლო ბუნება.

მაგრამ მერწმუნეთ, სულაც არ ვადანაშაულებ. მისი უნდობლობა გამართლებულად მეჩვენება და გავიზიარებდი კიდეც, ჩემი გულღიაობა ხელს რომ არ მიშლიდეს. სამწუხაროდ, ყბედი ვარ და ადვილად ვუახლოვდები ადამიანებს. თავს ყველას ვუყადრებ-მეთქი, არ ითქმის, მაგრამ ნაცნობობის გაბმის არც ერთ შემთხვევას ხელიდან არ ვუშვებ. საფრანგეთში რომ ვცხოვრობდი, არ შემეძლო ჭკვიან კაცს შევხვედროდი და იმწამსვე არ მეწყო მასთან საუბრად. ო, ვხედავ, რომ იჭმუხნებით ამ „მეწყო საუბრადის“ გაგონებაზე. გამოგიტყდებით და, მიყვარს ამგვარი გამოთქმები და საერთოდ, ლამაზი საუბარი. რა ვქნა, მეც ვჩივი, მაგრამ სუფთა საცვლების სიყვარული აუცილებლად იმას კი არ მოწმობს, რომ ფეხები ბინძური გაქვთ. სტილი, როგორც თხელი ქსოვილი, ხშირად ეგზემას ფარავს ხოლმე. თავს იმით ვიუფლებ, რომ ისინი, ვისაც სიტყვის სიტყვაზე გადაბმა უჭირთ, ჩვენზე უცოდველნი როდი არიან. მაგრამ თქვენ სწორად ბრძანეთ, სჯობს ისევ ჯინს მივხედოთ.

ამსტერდამში დიდხანს დარჩებით? ლამაზი ქალაქია, არა? მომჯადოებელი? ეგ სიტყვა რა ხანია არა მსმენია, მას შემდეგ, რაც პარიზიდან წამოვედი. უკვე ბერამდენე წელია. მაგრამ გულსაც აქვს თავისი მახსოვრობა და მეც არ დამვიწყებია ჩვენი ლამაზი დედაქალაქი; სენის სანაპიროებიც სულ თვალწინ მიდგას ხოლმე. პარიზი ნამდვილი თვალსატყუარია, შესანიშნავი დეკორაციაა, სადაც ოთხი მილიონი აჩრდილი ცხოვრობს. უკანასკნელი აღწერის თანახმად თითქმის ხუთი მილიონი? ო, რანაირად გამრავლებულან. თუმცა რა გასაკვირია. მე მუდამ იმ აზრისა ვიყავ, რომ ჩვენს თანამოქალაქეებს ორი ზნე სჭირთ: აზროვნებენ და მრუშობენ, სადაც მოუწევთ. მაინც ნუ დავძრახავთ. მარტო ეგენი ხომ არ არიან, მთელი ევროპა ამ დღეშია. ხანდახან ვფიქრობ, რას იტყვიან-მეთქი ჩვენზე მომავლის ისტორიკოსები? დღევანდელი კაცის დასახასიათებლად ეს ერთი წინადადებაც ეყოფათ: მრუშობდა და გაზეთებს კითხულობდაო, დაწერენ, და ამრიგად საკითხიც, თუ შეიძლება ითქვას, ამოწურული იქნება.

ჰოლანდიელები? ო, არა. ეგენი უფრო ჩამორჩენილები არიან. მაგრამ მალე დაგვეწევიან: აბა, უცქირეთ! რასა შვრებიან? თითქმის ყველანი ქალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ხარჯზე ცხოვრობენ; თუმცა მამაკაცებიცა და ქალებიც ნამდვილი ბურჟუები არიან და აქ სიბრიყვესა და ლეგენდების სიყვარულს მოუყვანია. მეტი სიტყვით, ზედმეტი ფანტაზიის, ან ფანტაზიის უქონლობის გამო ზოგჯერ ეს ვაჟბატონები დანებსა და რევოლვერებსაც ატრიალებენ. ოღონდ არ იფიქროთ, რომ ეს ამბავი სიამოვნებთ; უბრალოდ როლი მოითხოვს და შიშით კვდებიან, როცა უკანასკნელ ვაზნას დაცლიან ხოლმე. მე მაინც ესენი უფრო სინდისიერ ხალხად მიმაჩნია, ვიდრე ისინი, ვინც მოყვასს „შინაურობაში" კლავს, ანდა შიმშილით ართმევს სულს. განა არ შეგინიშნავთ, რომ ჩვენს საზოგადოებას სწორედ ასეთი ბედი მოელის? ალბათ ყურმოკრული გექნებათ, რომ ბრაზილიის მდინარეებში ერთი პაწია თევზი ცხოვრობს. ასეთი თევზები წყალში გუნდ-გუნდად დათარეშობენ, თავს ესხმიან დაუდევარ მოცურავეს, ფლეთენ, პირწმინდად ხრავენ და რამდენიმე წამში ჩონჩხად აქცევენ. რა გაეწყობა, ასეთი ზნე სჭირთ. „გინდათ რიგიანი ცხოვრება გქონდეთ? იცხოვროთ ისე, როგორც ყველა ცხოვრობს?" ცხადია, თანხმობას იტყვით. ან კი უარი როგორ უნდა თქვათ? „კეთილი, ჯერ კარგად გაგწმენდთ: აპა, ხელობა, აპა, ოჯახი, ესეც ორგანიზებული დასვენება" და პაწაწინა კბილები ხორცს გაგლეჯენ, ძვლებამდე გხრავენ. თუმცა უსამართლობას ვიჩენ. ეს მარტო მათ როდი სჭირთ ზნედ. ჩვენც ასე გავუჩენივართ ბუნებას. საქმე ისაა, ვინ ვის დასწრებს...

როგორც იქნა, ჯინი მოგვალირსეს. თქვენი დღეგრძელობისა იყოს, ბატონო. დიახ, გორილამ ბაგე გახსნა და დოქტორი მიწოდა. ამ ქვეყანაში ყველა დოქტორი ან პროფესორია. უყვართ ხალხის პატივისცემა. სიკეთე ამოძრავებთ თუ უბრალოდ, მოკრძალებულები არიან, არ ვიცი, მაგრამ გეტყვით და შეგიძლიათ მერწმუნოთ, რომ ბუნებით უბოროტო ხალხია. ისე კი, მართლა დოქტორი არ გვგონოთ. თუ გსურთ იცოდეთ, აქ ჩამოსვლამდე ვექილი გახლდით. ახლა კი მონანიე მსაჯული ვარ.

ნება მიბოძეთ, ჩემი თავი წარმოგიდგინოთ: ჟან ბაპტისტ კლემანსი, თქვენი მონა-მოსამსახურე. მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა. თქვენ უთუოდ კომერსანტი ბრძანდებით. დაახლოებით? საუცხოო პასუხია! თანაც ბრძნული. ჩვენ მხოლოდ დაახლოებით თუ წარმოვადგენთ რასმე. ნება მიბოძეთ, გამომძიებლის როლი გავითამაშო. დაახლოებით ჩემი ხნისა იქნებით; ორმოც წელს მიტანებული, ბევრის მომსწრე მამაკაცის გამოხედვა გაქვთ, კაცისა, ყველაფერი რომ უნახავს და ყველაფერი გაუკეთებია: ჩაცმითაც არა გიჭირთ რა, რიგიანად გაცვიათ, ე. ი. ისე, როგორც საერთოდ აცვიათ ჩვენში. ხელებიც მოვლილი გაქვთ, მაშასადამე, ბურჟუა ბრძანდებით... დაახლოებით! ოღონდ მეტად დახვეწილი ბურჟუა. მეწყო საუბრად-მეოქი, რომ გითხარით, წარბი შეიჭმუხნეთ. ეს ორმაგად მოწმობს თქვენს განსწავლულობას: ერთი იმიტომ, ცნობთ ამ ფორმასა და მეორეც იმიტომ, რომ გალიზიანებთ. თან ჩემი საუბარიც გართობთ; პატივმოყვარეობა როდი ბალაბარაკებს, მაგრამ ესეც მოწმობს, რომ მეტად გონებაგახსნილი კაცი ბრძანდებით. დაახლოებით... მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ხელობა მე სექტებზე ნაკლებ მაინტერესებს. ნება მიბოძეთ, ორი რამ გკითხოთ და ნუ მიპასუხებთ, თუ ამ კითხვებს კადნიერებაში ჩამოთვლართმევთ. ქონება თუ გაქვთ? არც მთლად უმაგისობაა? კეთილი, ეგ ქონება გაუყავით თუ არა ღარიბებს? არა? მაშასადამე, იმათ რიცხვს ეკუთვნით, ვისაც მე საფუძველებს ვუწოდებ. საღვთო წერილის მცნებას არ

მისდევთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამით ბევრი არ მოგიგიათ. მოიგეთ? მაშ, საღვთო წერილსაც იცნობთ? ახლა კი ნამდვილად გულისხმაში ჩამაგდეთ.

მე კი... თუმცა თავადვე განსაჯეთ. სიმაღლით, მხარ-ბეჭითა და პირქუში სახით რეგბის მოთამაშესა ვგავარ, არა? მაგრამ თუ სიტყვა-პასუხის მიხედვითაც იმსჯელებთ, უნდა აღიაროთ, რომ სინატიფეც არ მაკლია. გაქუცული პალტო მაცვია... აქლემი, რომლის ბეწვისაგანაც ეს პალტოა შეკერილი, უთუოდ ქეციანი იყო. სამაგიეროდ ფრჩხილები მოვლილი მაქვს. მეც გამოცდილი კაცი ვარ და მაინც ნახვისთანავე მოგენდეთ მხოლოდ თქვენი სახის შემხედვარე. და ბოლოს, თუმც რიგიანი ქცევა მაქვს და კარგი საუბარიც მეხერხება, მეზღვაურთა ბარში შინაურ კაცადა მთვლიან... მეტს ნულარ მკითხავთ. ხელობაც ორგვარი მაქვს, როგორც ბუნება. მონანიე მსაჯული ვარ-მეთქი, ეგ უკვე მოგახსენეთ. ერთი რამ კი ცხადზე ცხადია: არაფერი მაბადია. ადრე კი მდიდარი ვიყავ. არა, ღარიბებისთვის არაფერი მიმიცია. ეს რას ამტკიცებს? იმას, რომ ადრე მეც სადუკეველი გახლდით. ოჰო! გესმით საყვირების ხმა? ამაღამ ნისლი იქნება ზეიდერზში.

უკვე მიდიხართ? მაპატიეთ, თუ შეგაყოვნეთ. დანახარჯს, თქვენის ნებართვით, მე გადავიხდი. „მეხიკო-სიტი" ჩემი სახლია. თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ მესტუმრეთ. ხვალაც უეჭველად აქ ვიქნები; ხვალაც, ზეგაც, მაზეგაც, და თქვენს მოპატიჟებას სიამოვნებით მივიღებ. გზა როგორ გაიგნოთ აქედან?.. ეგ სულ იოლი საქმეა და, თუ ნებას მომცემთ, ნავსადგურამდე მე მიგაცილებთ. ებრაელთა უბანს რომ გასცდებით, ლამაზ გამზირებზე გახვალთ, სადაც ყვავილებითა და მჭუხარე ორკესტრებით გაჭედილი ტრამვაები დაქრიან. თქვენი სასტუმრო იმ გამზირზეა, დამრაკს რომ ეძახიან. მხოლოდ თქვენს შემდეგ, ბატონო... მე ებრაელთა უბანში ვცხოვრობ, ანუ იმ ადგილას, სადაც უწინ ებრაელები სახლობდნენ, სანამ ჩვენმა ძმებმა, ჰიტლერელებმა იქაურობა არ გაწმინდეს. რა წმენდა იყო! სამოცდათხუთმეტი ათასი ებრაელი სულ ერთიანად გადაასახლეს და გაჟლიტეს. ერთი კაციც კი არ დატოვეს. მომწონს მათი გულმოდგინება, მეთოდურობა და მოთმინება. თუკი სიმტკიცე არ გაგაჩნია, მეთოდურობა მაინც უნდა გამოიმუშავო. აქ მეთოდურობამ უდავოდ სასწაულებრივი ნაყოფი გამოიღო და მეც იმ ადგილას ვცხოვრობ, სადაც ერთ-ერთი უდიდესი დანაშაული მოხდა კაცობრიობის ისტორიაში. იქნებ ესეც მიწყობს ხელს გავიგო გორილას გულისთქმა და მისი უნდობლობაც გავიზიარო. ასე შემიძლია გულში ჩავიკლა ბუნებრივი მიდრეკილება, ხალხთან სიახლოვეს რომ დაეძებს. როცა ახალ სახესა ვხედავ, რაღაც შინაგანი ხმა ყურში ჩამძახის, ფრთხილადო; მაშინაც კი, როცა ვინმე ძალიან მომეწონება, შინაგანად გადარაჯებული ვარ.

იცით თუ არა თქვენ, რომ ჩემს პატარა სოფელში, როცა ფაშისტები დათარეშობდნენ, ერთმა გერმანელმა ოფიცერმა თავაზიანად სთხოვა მოხუც ქალს, თქვენი ორი ვაჟიდან მძევლად რომელი დავხვიტოთ, თავადვე ამოირჩიეთო. ამოირჩიეთო, გესმით თუ არა? ესა? არა, ეს. მერე კი უნდა ეცქირა, როგორ წაიყვანდნენ. სიტყვას ნულარ გავაგრძელებთ ამაზე, მაგრამ ხომ ხედავთ. კაცი მართლაცდა რას არ მოესწრება ხოლმე. მე თავად ვიცნობდი ერთ წმინდა გულის კაცს, ვინც უარი თქვა უნდობლობაზე. თავისუფლების მოყვარე იყო, პაციფისტი, ერთნაირის სიყვარულით უყვარდა ადამიანებიცა და ცხოველებიც. კურთხეული რამა ყოფილა? ეგ შესანიშნავად

ბრძანეთ. და აი, ევროპაში უკანასკნელი რელიგიური ომების დროს სოფლად გაიხიზნა და თავისი სახლის ზღურბლს დააწერა: საიდანაც არ უნდა მოდიოდეთ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო. მერედა, თქვენის აზრით, ვინ გამოეხმაურა ამ საუცხოო მოპატიჟებას? პოლიცია. პოლიციელები შეიჭრნენ მის სახლში და მუცელი გამოფატრეს.

ო, მაპატიეთ, ქალბატონო! მაგრამ ეტყობა, არაფერი გაუგია. მაინც რამდენი ხალხი დადის ასე გვიან ქუჩაში, თუმც რამდენიმე დღეა, რაც გადაუღებლად წვიმს. ბედად ჯინი გვაქვს; ერთადერთ სხივად შემოგვრჩენია ამ წყვდიადში. გრძნობთ, რა სანეტარო ცეცხლი შემოგიგზნოთ? მიყვარს ქალაქში სეირნობა საღამოობით, როცა ჯინი თბილად მიგლის ძარღვებში. მთელ ღამეს ასე დავეხეტები, ვოცნებობ ხოლმე, ანდა ჩემს თავს ვესაუბრები, როგორც ამ საღამოს. ვშიშობ, რომ თავი შეგაწყინეთ. გმადლობთ მაგ კეთილი სიტყვისათვის. რა ვქნა, გულში ვერ დამიტევია სათქმელი. პირს გავაღებ თუ არა, სიტყვები ნიაღვარივით მოჰქუხს. ეს ქვეყანაც სალაპარაკოდ განმაწყობს, შთამაგონებს. მიყვარს ეს ხალხი, ქვაფენილებზე რომ ფუთფუთებს სახლებსა და წყალს შორის, ერთი ციდა მიწაზე გამომწყვდეული. თავს მუდამ ნისლი ადგათ, მიწა ცივია, ზღვას კი საოცარი ქვაბივით ოხშივარი ასდის. მიყვარს, რაკი თვითონაც გაორებულია: აქაცაა და არც არის აქ.

დიახ, ყური უგდეთ მათ მძიმე ნაბიჯებს, უცქირეთ, გაზინთულ ქვაფენილზე როგორ ზანტად დააბიჯებენ თავიანთ დუქნებს შორის, ოქრონაყარი ქაშაყითა და მჭკნარი ფოთლებისფერი სამკაულებით რომა აქვთ გატენილი... ეგება გგონიათ, რომ ამ საღამოს თავადაც აქ არიან? ამ კეთილ ხალხს თქვენც სინდიკალისტთა და ვაჭართა მოდგმად მიიჩნევთ, თავიანთ ფულსა და საუკუნო ცხოვრების შანსებს ერთად რომ ითვლიან? გგონიათ ლირიკოსებად მხოლოდ მაშინ იქცევიან, როცა ფართოფარფლებიან ქუდებს დაიხურავენ და ანატომიის გაკვეთილს უსმენენ? ძალიან ცდებით. მართალია, ამ წუთას თქვენს გვერდით დადიან, მაგრამ ხედავთ, თავები სადა აქვთ? ნეონის ნისლში, ჯინისა და პიტნის ნაყენის ნისლში, წითელ და მწვანე აბრებიდან რომ ეშვება. ბოლანდია სიზმარია, ბატონო, ოქროსა და ქვაბლის სიზმარი: ლელსით ქვაბლს სჭარბობს, ლამით ოქროსფერი და ლელსითაც და ლამითაც ამ სიზმარში ლოთანრინები მოსახლეობენ, ამ ჭაბუკებივით ოცნებაში გართულნი რომ დასეირნობენ თავიანთი შავი, მაღალი ველოსიპედებით და მგლოდიანი ყეფისა ბედიან შეუსვენებლივ რომ დაქრიან ზღვისა გარშემო, არხების გასწვრივ. ოცნებაში წრეს უვლიან და მოდარეულებივით ლოთლობენ ნისლის მოლეწილ ხეებს მეველში გახვეულები. უკვე აქ ალარ ეს არიან. სადღაც ათასობით კილომეტრის იქით გადახვეწილან, იავაზე — შორეულ კუნძულზე — ევიდებიან ინდონეზიის დამანჭულ ლმერთებს, ამ ყველა ვიტრინაში რომ ნახავთ გამოფენილნი. ეს ლმერთებია, გარს რომ გვახვევია, ჩვენს ირგვლივ დაძრწიან, ხან მაიმუნებივით ებღაუჭებიან აბრეშუმსა და კიბე-კიბედ გამართულ სახურავებს, რათა გახსენონ ამ მწუხარე კოლონისტებს, რომ ჰოლანდია მარტო ვაჭართა ევროპა როდია; იგი ზღვაცაა, რომელსაც სიბანგომდე და იმ კუნძულებამდე მიგყავართ, საცა ადამიანები შეშლილები და ბედნიერები იხოცებიან.

მაგრამ სიტყვა ერთობ გამიგრძელდა. პირდაპირ ქალაგად დავეცი. მაპატიეთ, ჩვეულება თავისას შვრება ხოლმე. თან მინდა უკეთ გაგაგებინოთ ამ ქალაქის ბუნება; მინდა საგანთა არსს ჩასწვდეთ. აკი ამ არსამდე მივედით კი-

დეც. არ შეგინიშნავთ, რომ ამსტერდამის ერთად თავმოყრილი ორხები ჯოჯ-ხეთის წრეებსა ჰგვანან? ბუჩქეაზიული ჯოჯოხეთია და ბუნებრივია, მიგ ავი სიზმრები მოსახლეობენ. როცა გარედან მოდიხარ და ერთიმეორის მიყოლებით გაივლი ამ წრეებს, ცხოვრება და მისი დანაშაულებანი თანდათანობით უფრო მძიმდება და უფრო ამაზრზენი ხდება. ჩვენ აქ უკანსკნელ წრეში ვართ. წრეში, სადაც... აა! თქვენ ესეც იცით? დალახვროს ეშმაკმა, თქვენი რა-იმე ჯგუფისათვის მიკუთვნება თანდათანობით უფრო მიჭირს. მაშასადამე, გეს-მით, რატომ ვამბობ, მოვლენათა ცენტრი სწორედ აქაა-მეთქი, თუმც კონტი-ნენტის დასალიერზე ვიმყოფებით. მგონია, კაცი შეიძლება გულისხმაში ჩავარდეს და გაიგოს ეს უცნაურობანი. ასეა თუ ისე, გაზეთების მკითხველებ-სა და მრუშებს ამაზე შორს წასვლა არ ძალუძთ. ისინი ევროპის ყველა კუთხი-დან მოდიან და ჩერდებიან აი, ამ ზღვის პირას, ფერდაკარგულ, ქვიშიან სანა-პიროზე, ყურს უგდებენ საყვირების ხმას, ნისლში ამაოდ დაეძებენ გემთა სი-ლუეტებს; შემდეგ ხელახლა გადაივლიან ორხებს, წვიმით გალუმპულნი უკან ბრუნდებიან და გათოშილები „მეხიკო-სიტიში" ყველა ენაზე ჯინს თხოულო-ბენ. იქ მათ მე ველოდები ხოლმე.

მაშ, ხვალამდე, ბატონო ჩემო და ძვირფასო თანამემამულევ. აწი გზას ადვილად გაიგნებთ. ამ ხიდთან დავცილდეთ ერთიმეორეს. ღამით ხიდზე არა-სოდეს გადავდივარ. აღთქმა მაქვს დადებული. ხომ შეიძლება ვიღაც წყალში გადავარდეს. მაშინ ორში ერთი: ან თან გადაყვებით, რომ გადაარჩინოთ და ამისთანა ცუდ ამინდში შეიძლება თავს რამე აუტეხოთ; ანდა წყალწაღებულს არ მიხედავთ და მისი უილაჯო ფართხალი დიდი ხნით დაგიკარგავთ სულის სიმშვიდეს. ღამე მშვიდობისა, ბატონო. რაო? ქალები იცქირებიან შუშაბან-დებიდან? ეგ ოცნებაა, ბატონო ჩემო, ნამდვილი ოცნება და ძვირიც არა ღირს. ინდოეთში მოგზაურობაა და ბევრი ფულიც არ სჭირდება. ეს დედაკაცები ნელსაცხებელს იცხებენ ტანზე. შეხვალთ, ფარდებს ჩამოუშვებთ და ნა-ოსნობაც დაიწყება. უფლის კურთხევა ევლინება შიშველ სხეულებსა და კუნ-ძულები წყალს მიჰყვებიან. ქარი უწეწავთ პალმების ამღილ ქოჩრებს. შედით და სცადეთ.

X X X

რა არის მონანიე მსაჯული? ო! როგორცა ჩანს, ამ ამბით კიდევაც დაგა-ინტერესეთ. არავითარი წინასწარი განზრახვა არ მქონია, დამერწმუნეთ. შე-მიძლია უფრო ნათლად აგიხსნათ ყველაფერი. ეს ჩემი მოვალეობაცაა. მაგრამ ჯერ ზოგი რამ უნდა გიამბოთ, რომ უკეთ გაიგოთ ჩემი ნათქვამი.

რამდენიმე წლის წინათ ვექილი გახლდით პარიზში და, ღმერთმანი, საკ-მაოდ ცნობილი ვექილიც. ცხადია, თქვენთვის ჩემი ნამდვილი სახელი არ მითქვამს. მე ჩემი არჩევანი მქონდა — ხელს მარტო კეთილშობილურ საქმე-ებს ვკიდებდი, ქვრივ-ობლებს ვიცავდი ხოლმე. არკი ვიცი რატომ და, ამას კე-თილშობილურ საქმეებს ეძახიან ადვოკატთა წრეში. თუმცა, კაცმა რომ თქვას, განა ცოტანი არიან ბოროტი ქვრივები და სისხლ-სმსმელი ობლები? საკმარი-სი იყო ბრალდებულს მსხვერპლისა სცხებოდა რამე და ჩემი მოსასხა-მის სახელოებიც ამოქმედდებოდნენ. აფრიალდებოდნენ და მერე როგორ!

ნამდვილ ქარიშხალს ამოვაგდებდი. ისეთის რიხით ვლაპარაკობდი, იფიქრებდით, მართლმსაჯულებას ყოველდამ ჩემთან ეძინა ხოლმე. დარწმუნებული ვარ, თქვენც მოგხიბლავდათ ჩემი დასაცავი სიტყვის კილო, გრძნობათა გულწრფელობა, დამაჯერებლობა და სითბო, სამართლიანი გულისწყრომა, ოსტატურად რომ ვიოკებდი. ბუნებამ უხვად დამაჯილდოვა გარეგნობითაც, კეთილშობილური იერიც უშრომლად მომივიდა. ამას გარდა ორი გულწრფელი გრძნობაც მხარს მიმაგრებდა: კმაყოფილების გრძნობა, რომ ქველ საქმეს ვედექ მსახურად და ინსტინქტური ზიზღი მსაჯულებისადმი. თუმცა ეს ზიზღი, კაცმა რომ თქვას, მთლად ინსტინქტურიც არ ყოფილა. ახლა ვხვდები, რომ ამ სიძულვილსაც თავისი მიზეზები ჰქონდა. მაგრამ გარეგნულად ვნებას მოვგავდა. იმას ვერ ვიტყვი, დღესდღეობით მსაჯულები საჭირონი არ არიან-მეთქი, და მაინც ვერ გამეგო, კაცს თავისი ნებით როგორ უნდა აერჩია ეს საოცარი ხელობა. მაგრამ მსაჯულებს ჩემი თვალით ვხედავდი და მათ არსებობასაც ისევე ვურიგდებოდი, როგორც კალიების არსებობას. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კუტკალიების შემოსევას ჩემთვის ერთი სანტიმის მოგებაც კი არ მოუტანია, მაშინ როდესაც ფულს იმ ხალხთან კამათში ვშოულობდი, აგრერიგად რომ მეზიზღებოდა.

მაგრამ შეგნება იმისა, რომ უკეთეს მხარეს ვიდექ, კმაროდა ჩემი სინდისის დასამშვიდებლად. რწმენა იმისა, რომ მართალი ვიყავ, საკუთარი თავისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა სიხარულით მავსებდა. ეს ყოველივე კი მძლავრი იარაღია, რომ ფეხზე დაგვაყენოს და წინ წაგვწიოს. თუ კაცს ამ გრძნობებს წაართმევთ, ცოფიან პირუტყვს დაემსგავსება. რამდენი დანაშაულსაც კი სჩადის იმის გამო, რომ მტყუანად ყოფნა ვერ აუტანია. ადრე ერთ მეწარმეს ვიცნობდი, საუცხოო ცოლი ჰყავდა, ყველა აღტაცებული იყო. ქმარი კი მაინც ღალატობდა. თან აქეთ ცოფდებოდა, ცოლთან დამნაშავე რომ იყო და ქვეყნად ვერავინ ვერ ეტყოდა, ის კი არადა, თვითონაც ვერ ეტყოდა საკუთარ თავს, ნამუსიანი კაცი ხარო. რაც უფრო მეტ კეთილ ზნეს იჩენდა მისი ცოლი, მით უფრო გიჟდებოდა. ბოლოს სინდისის ქენჯნას ველარ გაუძლო და იცით, რა მოიმოქმედა? თავი ანება ცოლის ღალატს? არა. მოკლა ქალი. მეც სწორედ მაშინ გავიცანი.

ჩემი მდგომარეობა უფრო საჭირბოროტო იყო. იმიტომ კი არა, რომ არ შემეძლო გამეზარდა ბოროტმოქმედთა ბანაკი (კერძოდ, ვერაფრით ვერ მოვკლავდი ცოლს, რადგან უცოლო ვიყავ), არამედ იმიტომ, რომ მათ დაცვასაც ვკისრულობდი; ოღონდ ერთის პირობით: კეთილი მკვლელები უნდა ყოფილიყვნენ, ისევე, როგორც კეთილი ველურები გვხვდებიან ხოლმე. დაცვას ისე წარვმართავდი, რომ თავადაც სიამოვნებას მგვრიდა. ჩემი ხელობის მქონე კაცის კვალობაზე უზადოდ მეჭირა თავი. ქრთამი რომ ჩემს დღეში არ ამიღია, ეს უთქმელადაც ცხადია, არც რაიმე უკადრისი საქმის ჩადენით შემიბღალავს საკეთილო ხელი და რაც უფრო იშვიათია, არასოდეს ვცდილვარ რომელიმე ჟურნალისტის გული მომეგო, რომ ჩემზე ორიოდ კეთილი სიტყვა დაეწერათ გაზეთებში. არც რომელიმე დიდ მოხელეს მიგთალისმებივარ. თუმცა ვიცოდი, რომ მათი მეგობრობა ოდესმე დიახაც გამომადგებოდა. ერთი-ორჯერ საპატიო ლეგიონის ორდენიც კი შემომთავაზეს, მე მოკრძალებით, ლირსეულად ვთქვი უარი და ჭეშმარიტ ჯილდოსაც ამაში ვპოვებდი. დაბოლოს, ლარიბებისათვის არასდროს გამომირთმევია გასამრჯელო და არც არასდროს მომიწონებია ამით თავი.

არ იფიქროთ, რომ ამეებით ვტრაბახობდე, ბატონო. ეს ჩემი დამსახურება როდი იყო: სიხარბე, ჩვენს საზოგადოებაში პატივმოყვარეობის ადგილი რომ დაიჭირა, მუდამ სასაცილოდ მიმაჩნდა ხოლმე. მე უფრო მაღლა ვუმიზნებდი. როცა ყველაფერს შეიტყობთ, თავადვე დარწმუნდებით, რომ ეს გამოთქმა ზედგამოჭრილია ჩემთვის.

წარმოიდგინეთ ჩემი კმაყოფილება. ვტკბებოდი საკუთარი ბუნებითა და მოგეხსენებათ, კაცის ბედნიერებაც ეს გახლავთ, თუმცა ერთიმეორე რომ დავამშვიდოთ, თავი ისე მოგვაქვს, ვითომცდა ვკიცხავთ ამგვარ გრძნობებსა და ეგოიზმის სახელით ვნათლავთ. სხვა თუ არაფერი, ჩემი გულზიარობა მაინც მატკბობდა, მიხაროდა, რომ თანავუგრძნობდი ქვრივ-ობლებს. ბევრი ვეცადე და ამ გრძნობამ ბოლოს და ბოლოს მთავარი ადგილი დაიჭირა ჩემს ცხოვრებაში. მაგალითად, ქვეყანას მერჩია ბრმების ქუჩიდან ქუჩაზე გადაყვანა. შორიდანვე მოვკრავდი თუ არა თვალს, რომ ვინმე ჯოხს აფათურებდა ტროტუარის კიდეში, მაშინვე მასთან გავჩნდებოდი და თუმცა ვხედავდი, რომ უკვე სხვა უწვდიდა დახმარების ხელს, ამ სხვას დავასწრებდი და ბრმის შემწეობას არავის ვაცლიდი. ნაზად, მაგრამ მტკიცედ ჩავავლებდი ხელს მკლავში, გადასასვლელზე ათას ხიფათს გავატარებდი, და მანამ არ მოვეშვებოდი, სანამ ტროტუარის მშვიდ ნავსაყუდელამდე არ მივაღწევდით. აქ კი ერთმანეთს ვცილდებოდით ერთმანეთის მადლიერნი და აღელვებულნი. ქუჩაში ვინმესთვის გზის სწავლებაც მიყვარდა, ცეცხლის მიწოდებაც, დატვირთული ურიკებისთვის ხელის შეშველებაც. თუ მანქანა გაიხირებოდა სადმე, ხელს მასაც წავკრავდი ხოლმე. მოხუცი ქალისაგან ყვავილების ყიდვაც მიყვარდა, თუმცა ვიცოდი, რომ ეს ყვავილები მონპარნასის სასაფლაოზე ჰქონდა დაკრეფილი. მოწყალების გაცემაც გულით მიყვარდა, მაგრამ ამეებზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, მიჭირს. ერთი ჩემი მეგობარი, დიდად ქველმოქმედი ქრისტიანი აღიარებდა, პირველი გრძნობა, რასაც მათხოვრის შემხედვარე განიცდი, უსიამოა. უსიამო კი არა და, მათხოვრის დანახვაზე სიხარულით ცას ვეწეოდი ხოლმე. მაგრამ თავი ვანებოთ ამას.

სჯობს, ჩემს თავგზიანობაზე ვისაუბროთ. მე მეტად ზრდილი კაცის სახელი მქონდა გავარდნილი. თავგზიანი მოუყრობა მართლაც დიდ სიხარულს მანიჭებდა. თუ შესაძლებლობა მომეცემოდა დილით დაამეთმო ტაქსი მათთვის, ვინც ჩვენზე უფრო ეჩქარებოდა, ოპერაში ან მეტროში ჩემს ადგილს დავუთმობ, ვინც ფეხზე დგომა ეზარება, ბებერი რაზე ნიადაგ, მოხუცი ქალი რომ დუგეირდა და ლამობდა მანქანა გადასასვლელი. ეს გაფრთხილებული მქონდა. ისიც ვიხარებდი, როცა ტრანსპორტის მუშაკები გაიფიცებოდნენ და შესაძლებლობა მეძლეოდა ჩემს მანქანაში ჩავსვა ჩემი უბედური ქალაქელები. ოპერაციის გაკეთებაზე რომ შეკრებილიყვნენ და შინ წასვლა მინ მოეხერხებინათ. თეატრშიც სიამოვნებით ვდგებოდი სავირძლიდან, რომ შეყვარებული ერთად დაჯდომის საშუალება მისცემოდათ. მატარებელშიც ქალიშვილს სიამოვნებით ვუდებდი ჩემოდანს ბადეში, რომელსაც თვითონ ვერ სწვდებოდა. ამგვარ გმირობას სხვებზე ხშირად ჩავდიოდი, რაღაგან სულ გადარაჯებული ვიყავ, შეცთხვევას არ ვტოვებდი და ყოველივე ეს ჭეშმარიტად დიდ სიამოვნებას შვრიდა.

ვულუხვ კაცად მთვლიდნენ და გახლდით კიდეც. ბევრი გამიცია საჯაროდაც და მარტო მყოფსაც. როცა რაიმე ნიკოს, ან თანხას უნდა გამოვთხოვე-

ბოდი, სულაც არ მწყინდა. ის კი არა და, მიხაროდა კიდეც. სიხარულს მიოტ-
ტეცებდა გულს შემოპარული რწმენა იმისა, რომ ჩემი მოწყალება დიდ ადამი-
ვის წაადგებოდა და მას შესაძლოა, უმადურობაც მოჰყოლოდა. გაცემა იმდე-
ნად მიყვარდა, რომ ვერ ვიტანდი, როცა საბოწყალოს ძალით მართმევდნენ.
ხელმოსაწერ ფურცლებზე რომ ზუსტი თანხა იყო აღნიშნული, ეს მაღიზიანებ-
და და ფულს უგუნებოდ ვაძლევდი ხოლმე. მე ისეთი ბუნების კაცი ვიყავ,
ქველმოქმედებაც ჩემს ნებაზე მსურდა გამეწია.

ყოველივე ეს წვრილმანია, მაგრამ მიგახვედრებთ, რა გამუდმებულ ნეტა-
რებაში მამყოფებდა ჩემი ცხოვრებაცა და ხელობაც. მაგალითად, რა სჯობია
იმას, რომ სასამართლოს დერეფანში გაგაჩეროს ბრალდებულის ცოლმა, სა-
მართლიანობის გულისთვის, ანდა უბრალოდ სიბრალულის გამო, ერთი სიტყ-
ვით, საბადლოდ რომ დაიცავი და ჩურჩულით გითხრას: ვერაფრით, ვერაფ-
რით გამიგია, რაც ჩვენი გულისთვის ჩაიდინეთო, შენც უპასუხო, ეგ ბუნებ-
რივი იყო, ჩემს ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა-თქო და დასძინო, ახლა მძიმე
დღეები გელით, ხელზეც ეამბორო და ცოტაოდენი ფულიც შესთავაზო. მერწ-
მუნეთ, ბატონო ჩემო, რომ ამით მიაღწევთ მაღალ მწვერვალებს, რომელთაც
უბრალო მოკვდავნი თავის დღეში ვერ შესწვდებიან, მწვერვალებს, საიდა-
სათნოება მარტოოდენ თავისი თავით იკვებება.

მოდით, ჩვენც ამ მწვერვალებზე შევჩერდეთ. ახლა ხომ გესმით, რა მქონ-
და მხედველობაში, როცა გითხარით, უფრო მაღლა ვუმიზნებდი-მეთქი. სწო-
რედ ამ კულმინაციურ წერტილებსა ვგულისხმობდი, რადგან მარტო ამ სიმაღ-
ლეზე შემეძლო ცხოვრება, დიახ, არასოდეს არსად არ მიგრძვნია თავი ისე
თავისუფლად, როგორც ამაღლებულ ვითარებაში. თვით წვრილმანებშიაც
კი მსურდა სხვაზე მაღლა ვყოფილიყავ. ავტობუსი მერჩია მეტროს, თავახდი-
ლი ეტლი — ტაქსს. აივნები — ანტრესოლს. სპორტული თვითმფრინაველებიც
მიყვარდა, რადგან შიგ რომ ყდები, თავი ცაში გაქვს: ზღვაშიაც ბევრ გემბანს
ვარჩევდი ხოლმე. მთაშიაც გადაურბოდი ხეობებს, გული ფოლადსახილებისაკენ
მიმიწევდა. ბედს რომ ჩემთვის [illegible] ან მხურავის ბედი, [illegible]
და თავბრუს ხვევას არ შევეშინებოდი. [illegible]
გამოქვაბულები, უფსკრულები [illegible]
მძულდა სპელეოლოგები [illegible]
ხოლმე. მათი [illegible]
ზიზღსაც მგვრ[illegible]
რულში ჩასვლა. [illegible]
ქლდის ნაპრალში [illegible]
გეჩხიროს? ასეთი [illegible]
ბედუკულმართი [illegible]
თს-ექვსასი [illegible]
ნაც მზის სხივებში [illegible]
ყავ, ადამის ძეთა [illegible] მეცინოდა რად ქადა-
გებდნენ, რად [illegible] სასწაულები რად ხდე-
ბოდა მწვერვალებზე. ჩემს ასხით ვერაფერ [illegible] ნო

ეკიდება. კარგად მესმოდა იმისა, ვინც ბერად შედგა და მერე მონასტრიდან გამოიქცა, რაკი მისი სენაკი ველ-მინდვრების ნაცვლად ყრუ კედელს გადასცქეროდა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მე ობს არ ვეკიდებოდი. ყოველ ცისმარე დღეს, ყოველ წუთას, მარტო თუ სხვების თანდასწრებით, მწვერვალებზე ავდიოდი, იქ ბრიალა კოცონს ვაჩაღებდი და ყურს ვაპყრობდი, რა სიხარულით მესალმებოდნენ ქვევიდან. ასე ვტკბებოდი ცხოვრებითა და საკუთარი სრულყოფილებით.

ბედად ამ მწვერვალების სიყვარულში ჩემი ხელობაც ხელს მიწყობდა. მოყვასის მიმართ ხინჯად არაფერს მიტოვებდა გულში, მოყვასისა, აგრეთვე დავალებული რომ მყავდა, თავად კი მისი არაფერი მემართა. ჩემი ხელობის წყალობა იყო, მსაჯულზე მაღლა რომ მაყენებდნენ. მსაჯულს კი მე იმ ბრალდებულზე მაღლა ვაყენებდი, მომადლიერებული რომ მყავდა. კარგად აწონ-დაწონეთ ყოველივე ეს, ბატონო ჩემო: მე დაუსჯელად ვცხოვრობდი. ვერავითარი მსჯავრი ვერ მიმწვდებოდა. სასამართლოს სცენაზედაც კი არა ვჩანდი. მე სცენის ზემოთ, ცხაურაზე ვიჯექ, როგორც ის ღმერთები, დროდადრო რომ ჩამოეშვებიან რაღაც ბანქანებით, რათა მოქმედებას სახე უცვალონ და აზრი შთაბეროონ. ესეც არ იყოს, უმრავლესობა მხოლოდ მაშინ შემოგცქერის და თაყვანსა გცემს, თუ მაღლა მოექცევი.

ჩემს კეთილ დამნაშავეთაგან ზოგმა სწორედ ამ მიზეზთა გამო ჩაიდინა მკვლელობა. თქმა არ უნდა, რომ გაზეთების კითხვამ, საკუთარმა უმნიშვნელო როლმა ცხოვრებაში და თავის თავზე დიდმა წარმოდგენამ აღამართვინათ მოყვასზე ხელი. ბევრისა არ იყოს, მათაც არ შესწევდათ უნარი შერიგებოდნენ იმ აზრს, რომ ცნობილნი არ იყვნენ და კაცის კვლამდეც სწორედ სახელის მოხვეჭის წყურვილმა მიიყვანა. სახელი რომ გაგივარდეს, ამისათვის ხომ კონსიერჟი ქალის მოკვლაც კმარა. ქვეყნად იმდენი კონსიერჟი ქალია, ვინც დანის ჩაცემას იმსახურებს და მართლაც დანის წერა ხდება. დანაშაული მუდამ წინა პლანზეა, თვით დამნაშავე კი მხოლოდ წუთით ჩნდება სცენაზე და მყისვე ქრება. თან ეს ხანმოკლე აღზევებაც მეტისმეტად ძვირი ჯდება. ჩვენ კი, ვექილებს, დიდების წყურვილით ანთებულ ამ უბედურ პატივმოყვარეთ რომ ვიცავთ, ნამდვილად შეგვიძლია სახელის მოხვეჭა. თანაც ამას უფრო იოლი გზით ვაღწევთ. და ამიტომაც სულ იმის ცდაში ვიყავ, რომ ამ უბედურ დღეზე გაჩენილებსაც, თავიანთი დანაშაულისათვის სამაგიეროს რომ ზღავდნენ, რაც შეიძლება ნაკლები გადახდოდათ, რაკი ერთგვარად ჩემი სახელისთვისაც იღწვოდნენ. ჩემს ნიჭს, აღშფოთებას, გულისწყრომასა და იმ მღელვარებას, მათი დასაცავი სიტყვის წარმოთქმისას რომ განვიცდიდი, მათი ვალიდან ამოვყავდი. მოსამართლენი სჯიდნენ მათ, რაკი დამნაშავემ თავისი დანაშაული უნდა გამოისყიდოს. მე კი, მე არავითარი ვალი არ მაწვა კისერზე, არც სამართალი მგმუქრებოდა, არც სასჯელი და ვმეფობდი ჩემთვის, სამოთხის შუქით გაჟღენთილი.

ან კი სამოთხე როგორ არ დავარქვა იმ უზრუნველ, ნეტარ არსებობას, ჩემო ძვირფასო? მე ვნეტარებდი; ჩემს დღეში არ დამჭირვებია ცხოვრება მესწავლა. ეს ნიჭი დედის მუცლიდან დამყვა. ზოგი მთელ ძალ-ღონეს იმას ახმარს, რომ კაცთ განერიდოს, ზოგი კი მასთან მორიგებას ცდილობს. მე არავისთან მორიგება არ მჭირდებოდა. თუ საჭირო იყო, თავი უბრალოდ მეჭირა, თუ საჭირო იყო, დუმილს ვარჩევდი. ხან ლაღი და მხიარული ვიყავ, ხან მკაცრი და, რა გასაკვირია, რომ ხალხს ვუყვარდი. საზოგადოებაში წარ-

მატებისათვის იმდენჯერ მიმიღწევია, რომ სათვალავიც მქონდა აღებული, თვალტანადობით არ დავიწუნებოდი, დაუცხრომელ მოცეკვავედა და ნაკითხ კაცად ვითვლებოდი. მიყვარდა ქალები და მათთან ერთად მართლმსაჯულებასაც ვეტრფიალებოდი, თუმც ამ ორი ვნების მორიგება არცთუ ისე იოლი საქმეა; გატაცებული ვიყავი სპორტით: ხელოვნებასა და ლიტერატურაშიც კარგად ვერკვეოდი. მეტს არას გეტყვით, თორემ საკუთარ თავში შეყვარებულ კაცად ჩამთვლით. მაგრამ წარმოიდგინეთ საღ-სამალათი, არცთუ მთლად ჭაბუკი, მაგრამ არც ხანდაზმული მამაკაცი, ბუნებას უხვად რომ დაუჯილდოებია, ფიზიკურ და გონებრივ ვარჯიშობაშიაც ერთნაირად რომაა გაწაფული, არც ლარიბია და არც მდიდარი, არც უძილობა აწუხებს, სავსებით კმაყოფილია საკუთარი თავისა (ამ გრძნობას მხოლოდ ყველასათვის სასიამოვნო გულზიარობაში ამჟღავნებს) და დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, ბედს ვიყავ-მეთქი ნაწევი.

დიახ, ცოტა ვინმეს თუ უცხოვრია ჩემსავით ბუნებრივად. ცხოვრებას იმ-თავითვე კარგად შევიწყვე, მას ისეთნაირად ვღებულობდი, როგორიც იყო, თავიდან ბოლომდე, მთელი სიგრძე სიგანით, მთელი მისი უკუღმართობით, სიდიადითა და მონობით. ხორცი, მატერია — ერთი სტყვით, ყოველივე ხორციელი, რაც კი გუნებას უფუჭებს, ან თავგზას უბნევს ადამიანს სიყვარულსა თუ მარტოობაში, როდი მთრგუნავდა; ის კი არა და, მუდამ სიხარული მოჰქონდა ჩემთვის. ჭეშმარიტად ხორციელი სხეულისათვის ვიყავ შობილი. ამის წყალობა გახლდათ სულიერი ჰარმონია და თავდაჭერილობა, რომელსაც ხალხი ამჩნევდა ჩემში. ხშირად იმასაც მეუბნებოდნენ, ეგ შენი ნიჭი ცხოვრებაში ჩვენცა გვშველისო. ამიტომაც იყო, რომ სულ ჩემს სიახლოვეს ყოფნასა ცდილობდნენ. ზოგჯერ ახლადგაცნობილ ადამიანებსაც ეჩვენებოდათ, რომ წინათაც ხშირად შემხვედროდნენ. ცხოვრება უხვად მასაჩუქრებდა. ადამიანებიც ყველა სურვილს მისრულებდნენ. ყველა ამ სიკეთეს გულმოწყალე სიამაყით ვიფერებდი. ისე სისხლსავსედ ვცხოვრობდი, ისე უბრალოდ და ისეთი ძალით ვგრძნობდი ჩემს კაცურ ბუნებას, რომ თავი თითქმის ზეკაცად მყავდა წარმოდგენილი.

პატიოსანი, მაგრამ უბრალო ოჯახის შვილი ვიყავ (მამა ოფიცერი მყავდა), მაგრამ ზოგჯერ, დილით, გულწრფელად ვალიარებ, თავი უფლისწული ან ალმოდებული მაყვლოვანი მეგონა ხოლმე. ოღონდ მერწმუნეთ, თავი მარტო უჭკვიანეს კაცად კი არ მიმაჩნდა, ეს სულ სხვა გრძნობა იყო. თანაც ასეთ რწმენას არავითარი აზრი არა აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ ათასობით ბრიყვი ქვეყნად ამ რწმენით სულდგმულობს. რაკი ცხორება ასე მანებივრებდა, მრცხვენია კიდეც ამის გამხელა, თავი რჩეული მეგონა. ვფიქრობდი, ყველასგან გამორჩეული კაცი ვარ, ბედი თავის დღეში არ მიმუხთლებს და წუთისოფელს სულ სიამტკბილობაში გავლევ-მეთქი. ამ აზრს ჩემი მოკრძალება შთამაგონებდა: ჩემს უზომო წარმატებას მარტო საკუთარ ღირსებას როდი მივაწერდი, არც იმის დაჯერება შემეძლო, რომ ერთ არსებაში ამდენი კეთილი თვისების შეზავება შემთხვევითი იყო. სწორედ ამიტომ მთელი ჩემი ბედნიერი ცხოვრების მანძილზე ვგრძნობდი, რომ ეს ბედნიერება რაღაც უზენაესი ძალით მქონდა მომადლებული. რომ გითხრათ, სრულიად ურწმუნო კაცი ვარ-მეთქი, კიდევ უფრო კარგად იგრძნობთ, რა უჩვეულო იყო ასეთი რწმენა. თუმცა, ჩვეულებრივი გახლდათ თუ არაჩვეულებრივი, ეს გრძნობა დიდხანს მამაღლებდა ყოველდღიურობაზე; მისი წყალობით იყო, წლების განმავლობაში

მაღლა ეთერში რომ დავცურავდი; იმ წლებს რომ ვიხსენებ, ახლაც სინანულით მევსება გული... ასე დავცურავდი, სანამ ერთ საღამოს... მაგრამ ეს სულ სხვა ამბავია და სჯობს, დავიწყებას მივცეთ. თუმცა შეიძლება ვაჭარბებ კიდეც. მართალია, ბედი მწყალობდა, მაგრამ ვერაფრით გამძღარიყო ჩემი სული და გული. ყოველი სიამე ახლის განცდის წყურვილს აღმიძრავდა. ლხინს ლხინი მოსდევდა. ხშირად გათენებამდე მიცეკვია: ცხოვრებასა და ადამიანებსაც სულ უფრო და უფრო ვუმიჯნურდებოდი. ხანდახან, გვიან ღამით, როცა ცეკვა, ღვინო, ჩემი სიშმაგე და თანამეინახეთა თავაწყვეტილობა ფრთებს მასხამდა, დაღლილ-დაქანცულს წამით ისიც კი მეჩვენებოდა, სამყაროსა და ადამიანთა საიდუმლოს ჩავწვდი-მეთქი. მაგრამ დილით დაღლილობა გადამივლიდა, მავიწყდებოდა ეს საიდუმლოცა და ისევ სიტკბოებას დავეძებდი. სიამეს ბევრს ვპოულობდი, მაგრამ არაფერი მაკმაყოფილებდა; ვერ ვძღებოდი, არ ვიცოდი სად და როდის შევჩერდებოდი და ასე გრძელდებოდა იმ დღემდე, ან უკეთ იმ საღამომდე, როცა მუსიკა უეცრად შეწყდა და ჩაქრა შუქი. ზეიმი, სადაც ასე ბედნიერი ვიყავ... მაგრამ ნება მიბოძეთ, ისევ ჩვენს მეგობარ პრიმატს ვუხმო. თავი დაუქნიეთ მადლობის ნიშნად და, რაც მთავარია, ჩემთან ერთად შესვით; მე თქვენი კეთილი განწყობა მჭირდება.

ვხედავ, რომ ამ ჩემმა ნათქვამმა გაგაოცათ. განა თქვენ უეცრად არასდროს დაგჭირვებიათ ვისიმე თანაგრძნობა, შემწეობა ან მეგობრობა? იცოცხლე, დაგჭირდებოდათ. მე კეთილ განწყობასაც ვჯერდები. მისი პოვნა უფრო იოლია და არც არაფერს გვავალებს. როცა ენით „ჩემი კეთილი განწყობის იმედი გქონდეთო“, გეუბნებიან, გულში უკვე იმასა ფიქრობენ, ახლა სხვა საქმესაც მივხედოთო. ასეთ თანაგრძნობას პრეზიდენტიც კი უცხადებს კატასტროფაში მოხვედრილთ. მეგობრობა ასე მარტივი გრძნობა როდია. ის ხშირად ხანიერია და მისი მოპოვებაცა ჭირს; მაგრამ თუ ერთხელ შეეკარ ვინმეს მეგობრობით, აბა, სცადე და დაიძვრინე თავი. უნდა დაითმინო, ვერაფერს გახდები. ოღონდ არ იფიქროთ, რომ მეგობრები, როგორც მართებთ, ყოველ საღამოს დაგირეკავენ ტელეფონით, რომ გაიგონ, თავის მიყენება ხომ არა გაქვთ განზრახული. ან ვინმესთან ყოფნა, ან სულაც საღამე წასულა ხომ არ ვინებებიათ. ღამშვიდობიერი ბევრი ბრძანებთ, თუ ფიქრობთ, სწორედ ამ საღამოს, როცა ზეიმი ასე ხარ, ცხოვრებაზე საუბრობ. თეთრეულეებისაგან კი თეთრეულეებს ვიბანავებ. ეფექტებს ვიყენებ, ბანაობ, ვიბანავებ, ვიბანავებ, ეს თავის წინაშე ეფექტია. ეფექტის ეფექტია. ეფექტთან ბრძოლა. ეფექტთან ბრძოლა. ეფექტთან ბრძოლა. ეს ბევრი ბრძანებთ. ეს ბევრი ბრძანებთ. ეს ბევრი ბრძანებთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გულისათვის ვინ დაწვება იატაკზე? თუნდაც მე ძალმიძს ასე გადავდო თავი? მოვინდომებ კია, და შევძლებ კიდეც. დიახ, ერთ მშვენიერ დღეს ყველანი შევძლებთ და ჩვენი ხსნაც ამაში იქნება. მაგრამ ეს ოღლი რადია — ეგვიბრობა ხშირად გულმავიწყია. ბევრი რამის ძალაც არ შესწევს. ნდომით კი უნდა, მაგრამ ძალ-ღონე არ მოსდევს. იქნება გულით არ უნდა? იქნებ საკმარისად არ გვიყვარს სიცოცხლე? შეგიმჩნევიათ თუ არა, რომ მხოლოდ სიკვდილი აღვიძებს ჩვენს გრძნობებს? რა გულმხურვალედ გვიყვარს მეგობრები, რომლებიც სიკვდილმა გამოგვგლიჯა ხელიდან, არა? რა აღტაცებაში მოვყავართ ჩვენს მასწავლებლებს, რომელთაც ლაპარაკი აღარ შეუძლიათ, რადგან პირი მიწითა აქვთ სავსე! ახლა მათ უზომოდ განვადიდებთ და ვინ იცის, იქნებ მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე ჩვენს საადიდებელ სიტყვას ამაოდ უცდიდნენ. იცით, მკვდრების მიმართ რატომა ვართ უფრო სულგრძელნი და სამართლიანნი? მიზეზი უბრალოა. მათი აღარაფერი გვმართებს. ისინი ჩვენს თავისუფლებას აღარ ზღუდავენ; შეგვიძლია, როცა მოგვესურვება, მაშინ ვცეთ თაყვანი, თუ მოგვეპრიანება ქება შევასხათ მაშინ, როს კოკტეილსა ვსვამთ და ლამაზ საყვარელს ველოდებით, ერთი სიტყვით, თავისუფალ დროს. მკვდრები მარტო ერთ რამესა გვთხოვენ, არ დაგვივიწყოთო. მაგრამ მეხსიერება მოკლე გვაქვს. გულს მხოლოდ ახლახან გარდაცვლილ მეგობართა მოგონება გვიყუჩებს. ახლახან განცდილ მწუხარებას, ესე იგი, ჩვენსავე თავს ველოლიავებით.

ერთი მეგობარი მყავდა: მუდამ გავურბოდი, რადგან მოსაწყენი კაცი იყო და სულ ჭკუას მარიგებდა. მაგრამ როცა ლოგინად ჩავარდა და სიკვდილს პირას იყო მისული, მაშინვე მასთან გავჩნდი. ყოველ ცისმარე დღეს ვნახულობდი, ერთი დღეც არ გამიცდენია. რომ იცოდეთ, როგორ მემადლიერებოდა: სიკვდილის წინ სულ ჩემი ხელი ეჭირა ხელში. ერთი ქალიც მყავდა გადაკიდებული, საშველს არ მაძლევდა, მაგრამ კეთილი ინება და ახალგაზრდა მოკვდა. რომ იცოდეთ, მყისვე რა დიდი ადგილი დაიჭირა ჩემს გულში! სიკვდილი იქით იყოს და ახლა თვითმკვლელობა თქვით! ღმერთო, რა მიეთ-მოეთი ატყდება მაშინ! ტელეფონი განუწყვეტლად რეკს, ერთმანეთს გულს უხსნიან, განზრახ ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობენ, ფრაზებში გადაკვრით ნათქვამი და შეკავებული მწუხარება გამოსჭვივის: ასე განსაჯეთ, ხშირად თავსაც კი იდანაშაულებენ!

კაცი ასე გაუჩენია ბუნებას, ჩემო კარგო. ორბირობა ოდითგან მოსდგამს. არ ძალუძს სხვისი შეყვარება, თუ თავიც არ შეიყვარა. თვალყური ადევნეთ თქვენს მეზობლებს, როცა თქვენს სახლში ვინმე მოკვდება. ყველა თავის პატარა ცხოვრებით ცხოვრობდა, წყნარად და უშფოთველად და აი, უცბად შვეიცარმა მოგჭამათ ჭირი. მყისვე გამოფხიზლდებიან, ერთი შერბენ-გამორბენა აუტყდებათ, იწყებენ გამოკითხვასა და სინანულით აქნევენ თავებს. მიცვალებული გაპატიოსნებულია, ნახვა შეიძლება და აი, წარმოდგენაც იწყება. ხალხს ტრაგედია სჭირდება, რას იზამ, ასეთი ჯილაგისა არიან, ეს მათი აბერიტივია! იცით, შვეიცარი ტყუილად არ მიხსენებია. ერთი შვეიცარი გვყავდა: ართვალი და ავგული, არაფრის მაქნისი და დიდი ავყია ვინმე; თვით ფრანცისკელ ბერსაც კი მოთმინებიდან გამოიყვანდა. სიცოცხლეში ხმასაც არა ვცემდი. მის შემხედვარეს ყოველი ცისმარე დღე ჩამწარებული მქონდა. მაგრამ აი, მოკვდა და მის დასაფლავებაზე წავედი. მითხარით ერთი, რა მრჯიდა?

იმ ორი დღის განმავლობაში, დასაფლავებას რომ უსწრებდა წინ, ბევრი საინტერესო რამ მოხდა. ქვრივი უქეიფოდ იყო, ლოგინში იწვა და რაკი იმ ერ-

თი ოთახის მეტი არა ჰქონდათ, იძულებული გახდნენ, კუბო საწოლის გვერდით დაედგათ. მდგმურები წერილებისა და გაზეთების ასაღებად თვითონ მოდიოდნენ. კარს შემოაღებდნენ, გამარჯობათ, ქალბატონო, იტყოდნენ და ყურს უგდებდნენ გარდაცვლილის ქებას, რომელზედაც ქვრივი ხელით მიუთითებდა. წერილებითა და გაზეთებით ხელში უკან ბრუნდებოდნენ. ვერაფერი შვილი სიამოვნებაა, დამეთანხმებით და მაინც, ყველა შევიდა იმ ოთახში, სადაც კარბოლმჟავას სუნი დიოდა. მსახური არავის გამოუგზავნია; ყველას უნდოდა სანახაობით დამტკბარიყო. მსახურები ცალკე მოდიოდნენ, ოღონდ მალულად. გამოსვენება დააპირეს და აღმოჩნდა, რომ კუბო კარებში არ ეტეოდა. „ო, რამოდენა ყოფილხარ, საყვარელო“, — ამბობდა ლოგინში მწოლიარე ქვრივი გაკვირვებით, აღტაცებითა და მწუხარებით. „ფიქრი ნუ გაქვთ, ქალბატონო, — პასუხობდა გასვენების გამრიგე, — ცოტათი დავაფერფლებთ და ისე გავიტანთ“. კუბო ააყირავეს და ისე გაიტანეს. ჩვენი შვეიცარი თურმე ყოველდღე მეზობელი დუქნის შიკრიკთან სვამდა და ამ კაცის გარდა მხოლოდ მე, დიახ, მხოლოდ მე გავყევი სასაფლაომდე და ყვავილებიც დავაყარე კუბოს, რომელმაც თავისი მდიდრული იერით გამაოცა. შემდეგ ქვრივსაც ვეწვიე და მისი მადლობაც მოვისმინე. ნეტა რა მრჯიდა? არაფერი. უთუოდ აპერიტივად მიჩნდა ყოველი.

ერთი თანამშრომელიც გავასვენე ვექილთა კოლეგიიდან. ყოვლად უჩინარი კაცი იყო, მაგრამ მე შეხვედრისას მუდამ ხელს ვართმევდი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სამსახურში ხელს ყველას ვართმევდი, ხშირად დღეში ორჯერაც კი. ამ უბრალო ყურადღების გამოჩენით სულ იაფად მოვიპოვე საყოველთაო სიყვარული, რომელიც ასე მჭირდებოდა, უფრო რომ გავლაღებულიყავი. იმ კაცის გასვენებაზე ჩვენი კოლეგიის თავმჯდომარე არ მოსულა. მე კი საჭიროდ ვცან, მივსულიყავი, თუმცა მეორე დღეს სამოგზაუროდ მივდიოდი და ეს გარემოება არავის დარჩენია შეუნიშნავი. მაგრამ მე ხომ იმთავითვე ვიცოდი, რომ ჩემს იქ ყოფნას შენიშნავდნენ და დიახაც შემაქებდნენ. მაშ, წარმოიდგინეთ, რომ ვერ შემაშინა ვერც თოვლმა, ბევრს წამოსვლა რომ გადაეფიქრებინა.

რაო? ო, ფიქრი ნუ გაქვთ, საქმელი არ დამვიწყებია. მაგრამ ჯერ ნება მიბოძეთ შევნიშნო: ის ჩვენი შვეიცარის ქვრივი, პირდაპირ რომ გაიყიდა ძვირფასი ჯვარცმისა და სახელურმოსევადებული მუხის კუბოს ყიდვით (რომ უფრო დამტკბარიყო საკუთარი მწუხარებით), ერთი თვის შემდეგ ვიღაც მომღერალ ფრანტს გადაეყარა და შინ მოათრია. კაცი ხშირადა სცემდა; მათი ოთახიდან სულ წივილ-კივილის ხმა გამოდიოდა, მაგრამ ცემა-ტყეპას რომ მორჩებოდა, კაცი ფანჯარას გამოაღებდა ხოლმე და თავის საყვარელ რომანსს მღეროდა: „ქალებო, ლამაზებო!“. ხედავთო? — ამბობდნენ მეზობლები. ვითომ რა იყო სანახავი? კი ბატონო, ბარიტონსაცა და შვეიცარის ქვრივსაც შერცხვენილი ჰქონდათ პირი. თუმცა ვინაა იმის თავმდები, ერთმანეთი არ უყვარდათ? ვერც იმის თავმდებად დადგება ვინმე, ქმარი არ ყვარებიათ. მას შემდეგ, რაც ფრანტი გაუჩინარდა (როცა ხმა ჩაეხრინწა და ხელიც დაეღალა), ერთგული მეუღლე კვლავ განსვენებულის ქება-დიდებას მოჰყვა. დიახ, ბოლოს და ბოლოს, ბევრი შემთხვევა ვიცი ისეთი, როცა უნუგეშო ქვრივთ ერთის შეხედვით ვერაფერს უძრახავთ, მაგრამ სინამდვილეში ამ შვეიცარის ცოლზე მეტად გულწრფელნი როდი არიან. ერთი ნაცნობი მყავდა, ოცი წელი

ვილაც ჩიტირეკია ქალს შესწირა; მას ანაცვალა მეგობრები, სამსახური, სინდის-ნამუსი და ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინა, რომ ეს ქალი თავის დღეში არ ჰყვარებია. უბრალოდ, მოწყენილი იყო, როგორც ადამიანთა უმრავლესობა და ამიტომაც შექმნა რთული და დრამებით აღსავსე ცხოვრება. ყველას სურს რაღაც მოხდეს! და ადამიანებიც თუ ხელს ჰკიდებენ რამეს, ეს უმთავრესად ამით აიხსნება. რაღაც უნდა მოხდეს, თუნდ დავიხოცოთ! თუნდ ომი ატყდეს, თუნდ უსიყვარულო მონობა გვხვდეს წილად! მაშ, გაუმარჯოს გასვენებას!

თუმცა მე ასეთი გასამართლებელი საბუთი არა მქონდა. მოწყენილიც არ მეთქმოდა, რადგან მეფობა მხვდა წილად. იმ საღამოს კი, რომელზედაც მინდა გიამბოთ, უფრო ნაკლებად მოწყენილი ვიყავ, ვიდრე ოდესმე და სულაც არ მსურდა რაღაც მომხდარიყო. და მაინც... წარმოიდგინეთ. შემოდგომის მშვენიერი საღამო იდგა. ქალაქში ჯერ კიდევ თბილი, მდინარის ნაპირას კი ნესტიანი მწუხრი წვებოდა. დასავლეთით ცა წითლად ღვიოდა, მერე თანდათანობით შეეპარა ბინდი. ფანრები ოდნავ ბჟუტავდნენ. მარცხენა სანაპიროს მივყვებოდი. ხელოვნებათა ხიდზე მინდოდა გავლა. ბუკინისტების დაკეტილ დუქნებს შორის მდინარეს ვერცხლისფრად გაჰქონდა ბზინვა. სანაპიროზე ცოტა ხალხი იყო: პარიზელები უკვე ვახშამს მისხდომოდნენ. ფეხს ვაბიჯებდი დამტვერილ, ყვითელ ფოთლებს, ჯერ კიდევ ზაფხულს რომ აგონებდნენ კაცს. ცაზე თანდათანობით აკიაფდნენ ვარსკვლავები. ფანარს გვერდს რომ ჩაუვლიდი და გასცილდებოდი, მაშინ უფრო მკაფიოდ მოჩანდნენ ისინი. ვტკბებოდი ირგვლივ გამეფებული სიჩუმითა და საღამოს სილამაზით. კმაყოფილი ვიყავ განვლილი დღისა. ბრმას ქუჩიდან ქუჩაზე გადასვლაში ვუშველე: იმედი გამიმართლდა და ბრალდებულს, რომელსაც ვიცავდი, განაჩენი შეუმსუბუქეს; მანაც მხურვალედ ჩამომართვა ხელი: ცოტა გულუხვობაც გამოვიჩინე. საღილის შემდეგ კი, მეგობართა წრეში სახელდახელოდ ისეთი სიტყვა შევთხზე, იმდენი ვილაპარაკე მმართველი წრეების გულქვაობასა და ჩვენი ელიტის პირფერობაზე, რომ ყველამ აღტაცებით დამიკრა ტაში.

ხელოვნების ხიდზე გავედი. მინდოდა მდინარისათვის შემევლო თვალი. ხიდზე ამ დროს კაცი არ ჭაჭანებდა. გავჩერდი. მოაჯირზე გადავიხარე და მდინარეს დავაშტერდი, ჩამოწოლილ წყვდიადში ძლივს რომ მოჩანდა. ჯერ ვერ-გალანის პირდაპირ შევჩერდი, ზედ კუნძულის თავზე. ჩემში იზრდებოდა საკუთარი ძლიერებისა და თუ შეიძლება ასე ითქვას. საკუთარი სრულყოფილების გრძნობა და გულს სიხარულით მივსებდა. წელში გავსწორდი და როგორც გვჩვევია ხოლმე კმაყოფილების ჟამს, სიგარეტის გაბოლება მომინდა. უეცრად ჩემს ზურგს უკან სიცილი გაისმა. გაოცებულმა მოვიხედე — არავინ იყო. მისადგომთან მივედი, არც კარჭაპი ჩანდა საომე და არც ნავი. ისევ ძველ ადგილას დავბრუნდი კუნძულთან და ზურგიდან ისევ სიცილი შემომესმა. ახლა უფრო შორიდან, თითქოს მდინარეს ქვევითკენ მიჰყვებოდა. ადგილზე გაშეშდი. სიცილი ნელდებოდა. მაგრამ ჩემს ყურამდე მაინც აღწევდა. საიდან უნდა მოსულიყო, თუ არა წყლიდან? გული ამიჩქროლდა. ოღონდ მეტწმუნეთ, ამ სიცილში არაფერი იყო საიდუმლოებით მოცული. გულღია, ბუნებრივი, თითქმის მეგობრული სიცილი იყო, ყველაფერს თავის ადგილს რომ მიუჩენს ხოლმე. მალეც მიწყდა: უკვე აღარაფერი მესმოდა. ისევ სანაპიროს დავუყევი, დოფინის ქუჩაზე გავედ და პაპიროსი ვიყიდე, თუმცა სრულიადაც

არ მჭირდებოდა. გაოგნებული ვიყავ, სუნთქვა მიჭირდა. მოგვიანებით ამხანაგს დავურეკე, მაგრამ შინ არ დამხვდა. სადმე ხომ არ წავიდე-მეთქი, ვფიქრობდი და უეცრად ფანჯრებს ქვემოდან ისევ სიცილი შემოესმა. ფანჯარა გამოვაღე. ძირს, ქვაფენილზე ახალგაზრდები ერთმანეთს ეთხოვებოდნენ სიცილ-ხარხარით. მხრები ავიჩეჩე და ფანჯარა მივხურე; რაღაც საქმე მქონდა გადასასინჯი. სააბაზანოში შევედი, ჭიქით წყალი დავლიე. სარკეში ჩემს სახეს მოვკარ თვალი, მიღიმოდა. მაგრამ ეს ღიმილი ყალბი მეჩვენა.

რაო? მაპატიეთ, ფიქრებმა წამიღეს. ხვალ უთუოდ შევხვდებით ერთმანეთს. ხვალე. არა, არა, დღეს ველარ დავრჩები. ხედავთ, ის დათვი რჩევისთვის მეძახის. წესიერი კაცია, მაგრამ პოლიციელები რატომღაც კრიჭაში უდგანან და მოსვენებას არ აძლევენ. მაშ, თქვენ ამბობთ, რომ მკვლელს მიუგავს სახე? ასეთი სიფათი ზედგამოჭრილია მისი ხელობის კაცისათვის. პო, მძარცველია და რა თქმა უნდა, გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ ეს ტყიუური სურათებით ვაჭრობს ხოლმე. პოლანდიაში ყველა საუცხოოდ ერკვევა მხატვრობასა და ტიტათა ჯიშებში. ამ კაცს, თუმცა ერთის შეხედვით მოკრძალებული ვინმე ჩანს, ერთ-ერთი ყველაზე უფრო გაბედული ქურდობა აქვს ჩადენილი. დიახ! სურათი მოიპარა. რა სურათი? იქნებ გითხრათ კიდეც. ნუ გიკვირთ, რომ ვიცი. თუნცა ნონანიე მსაჯული ვარ, მეცა მაქვს ჩემი თავშესაქცევი: ამ ქეთილი ხალხის იურისკონსულტი ვარ. ქვეყნის კანონები საგანგებოდა მაქვს შესწავლილი: აქ დიპლომს არავინ თხოულობს და ამ უბანში მუშტრებიც ბლომად გავიჩინე. ჯერ მიჭირდა, მაგრამ აკი გითხარით, ხალხის ნდობას ადვილად ეგესახურებ-მეთქი, ისეთი გულია სიცილი მაქვს, ისეთი ვაჟკაცური ხელის ჩამორთმევა ვიცი... ეს კი ბევრს ნიშნავს. თანაც აქაურებს რამდენიმე დახლართულ საქმეში ალმოვუჩინე შემწეობა და ასე მარტო გამორჩენის მიზნით როდი მოვქცეულვარ. რუშენაც მამოძრავებდა. კახპების ხარჯზე მცხოვრებნი და ბურდები ყველგან და ყოველთვის რომ დაისაჯონ, პატიოსანი ხალხი თავს როდის ფიქრობილად ჩათვლიდა ყველაფერში და მე რომ მკითხოთ, — ახლავე, მოვდივარ! — სწორედ ამას უნდა ერიდოს კაცი, თორემ სასაცილო შევიქნებოდით.

X X X

ჩემო ძვირფასო თანამგზავრებო, ძალიან მახარებს თქვენი ცნობისმოყვარეობა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ჩემს თავგადასავალში უჩვეულო არაფერია. რაკი გაინტერესებთ, ვეტყვით: რამდენიმე დღის განმავლობაში სულ ამ სიცილზე ვფიქრობდი, მერე მიმავიწყდა. მაგრამ დროგამოშვებით მაინც ჩამესმოდა. საღამოც ჩემში ხმიანებდა ეს სიცილი, თუმცა სხვა რამეზე ფიქრის გადატანასაც ადვილად ვახერხებდი.

მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ იმ დღიდან პარიზის სანაპიროებზე ალარ დამიდგამს ფეხი. როცა მანქანით ან ავტობუსით მიხდებოდა გავლა, უცნაური სიჩუმე დაისადგურებდა ჩემს სულში. მგონი, ველოდი. მაგრამ სენას ისე გავცდებოდი, არაფერი ხდებოდა და მეც თავისუფლად ამოვისუნთქავდი ხოლმე. იმხანად ცოტა უქეიფობაც დამჩემდა. განსაკუთრებული არაფერი მაწუხებდა, მაგრამ უგუნებობას ვგრძნობდი. ეძიებს ვეჩვენე. რაღაც გამახალისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი წამალი მომცეს მეც ვხალისობდი და მერე ისევ უგუნებობა დამეუფა ხელს. ცხოვრება გამიჭირდა. როცა სხეული მოწყენილია, გულიც ველარ იხალისებს. მეჩვენებოდა, რომ ნაწილობრივ დამვიწყნოდა ის, რაც თავის დროზე არ მისწავლია და რაც ასე კარგად ვიცოდი. ცხოვრებაზე მოგახსენებთ. დიახ, დარწმუნებული ვარ. რომ სწორედ მაშინ დაიწყო ყველაფერი.

მაგრამ არა, ვერც ამ საკამოს ავაწყვე სათქმელი. გაჭირვებით ვაკოწიწებ სიტყვებს. მგონია, ცუდად ვლაპარაკობ და ნათქვამიც ნაკლებ სარწმუნო გამომდის. უთუოდ ამინდის ბრალია. სუნთქვა ჭირს. ჰაერი ისეა დამძიმებული, რომ გულზე გვაწვება. ჩემო ძვირფასო თანამემამულევ, ქალაქში გავლაზე უარს ხომ არ მეტყვით? გმადლობთ.

რა ლამაზია ეს არხები საღამოობით! მიყვარს დამდგარი წყლის სუნთქვა, წყალში ჩამჭკნარი ფოთლებისა და ყვავილებით სავსე, იალქნიანი სამგლოვიარო ნავების სუნი. არა, არა, მერწმუნეთ, ამ სუნის სიყვარულში არაფერია ავადმყოფური. სიმართლე თუ გნებავთ, თავს ძალასაც კი ვატეხ, რომ ეს არხები მოვიწონო. გამოგიტყდებით და, ქვეყნად ყველაზე უფრო სიცილია მიყვარს, მზის სხივებში გახვეული კუნძულსა და ზღვას რომ გადმოჰყურებს. იავაც მიყვარს, მაგრამ შენწველი, ხორშაკი ქარების დროს. დიახ, ახალგაზრდობაში გახლდით იქ. საერთოდ ყველა კუნძული მიყვარს, რადგან იქ უფრო ადვილია მეფობა.

საუცხოო სახლია, არა? ამ ორ თავს რომ ხედავთ, ზანგი მონების თაველია აბრის მაგივრობასა სწევენ. სახლი მონათვაჭარს ეკუთვნოდა. მაშინ თავიანთ ხელობას როდი მალავდნენ! ძალაც შესწევდათ. თამამად აცხადებდნენ: „საკუთარი სახლი მაქვს, მონებით ვვაჭრობ, შავ საქონელს ვყიდიო". წარმოგიდგენიათ, დღეს რომ ვინმემ საჯაროდ განაცხადოს, მონათვაჭარი ვარო? ყველა ყიჟინას დასცემს. თითქოს ჩემი პარიზელი კოლეგების ხმაც ჩამესმის ყურში. ასეთ საქმეში შეურიგებელნი არიან. მყისვე ორ-სამ, ან იქნებ უფრო მეტ მანიფესტსაც გამოუშვებენ! ცოტა ფიქრის შემდეგ მეც ჩემს ხმას მათას შევუერთებდი. მონობა? რა საკადრისია. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ. ცხადია. იძულებული ვხდებით მონობა დავამყაროთ ჩვენს ოჯახებსა და ქარხნებში, უმისოდ არ იქნება. მაგრამ ამით თავის მოწონება?...

კარგად ვიცი, შეუძლებელია იცხოვრო ისე, რომ არ მბრძანებლობდე და ვინმე არ იმსახურო. ყველა ადამიანს სჭირდება მონები ისევე, როგორც სუფთა ჰაერი. მბრძანებლობა ხომ სუნთქვასავითაა. განა თქვენ სხვა აზრისა ბრძანდებით? სუნთქვას კი ყველაზე უპოვარნიც ახერხებენ. სოციალური კიბის ბოლო საფეხურზე მდგომსაც კი ჰყავს მეუღლე ან ბავშვი. თუ უცოლოა, ძაღლი მაინც ეყოლება. მთავარია, შეგეძლოს გაუჯავრდე ვინმეს, მას კი შემოპასუხების უფლება არა ჰქონდეს. „მაპას სიტყვას არ უბრუნებენ", იცით ეს კანონი? ერთის მხრივ უცნაურიც კი არის. ეს უნდა შეეპასუხო, თუ არ იმას, ვინც გულით გიყვარს? მეორეს მხრივ კი დამაჯერებლად მოჩანს. ვოლტერ ხომ უნდა თქვას საბოლოო სიტყვა. თორემ ყოველ მოსაზრებას შეიძლება საწინააღმდეგო დავუპირისპიროთ და ამას ბოლო აღარ ექნება. ძალაუფლება კი ერთბაშად წყვეტს ყველაფერს. ამეების გაკეთებას ბევრი დრო მოვანდომეთ, მაგრამ ბოლოს მაინც შევითვისეთ. უთუოდ თქვენც შეამჩნევდით, რომ ჩვენი ბებერი ევროპა ბოლოს და ბოლოს რიგიანადა სჯის. უკვე აღარ ვამბობთ ისე, როგორც იმ გულუბრყვილო დროს: „მე ავრე ვფიქრობ. თქვენ რა აზრისა ბრძანდე-

ბით?“ უფრო გამჭრიახნი გახლავართ და დიალოგი კომუნიკეი მევცალეთ „ასეთია ჭეშმარიტება. შეგიძლიათ არ გვენდოთ, ჩვენ ეს არ გვაინტერესებს. მაგრამ რამდენიმე წელიწადში პოლიციაც აქ გაჩნდება და დაგიმტკიცებთ, რომ მე მართალი ვარ“.

ო, ტკბილო პლანეტავ! ახლა ყველაფერი ნათელია შენს ზურგზე. ჩვენ ვიცნობთ ჩვენს თავსა და ვიცით, რისი უნარიც შეგვწევს. მაგალითად ისევ ჩემს თავს მოგიყვანთ, საუბრის საგანს თუ ვერ შევცვლი: მე მუდამ მინდოდა, რომ ლიმილით მომმსახურებოდნენ. თუ მოახლე ქალს ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა, მთელი დღე ჩამწარებული მქონდა. ცხადია, შეეძლო მხიარული არ ყოფილიყო, მაგრამ ჩემთვის რომ გეკითხათ, მისთვისაც სჯობდა საქმე სიცილით გაეკეთებინა და არა ტირილით. თუმცა ეს მარტო ჩემთვის იყო უმჯობესი. ეგებ ეს ჩემი მსჯელობა მთლად სასახელოც ვერ იყო, მაგრამ მთლად საფუძველსაც არ ჩანდა მოკლებული. სწორედ ამის გამო იყო, რომ ჭირის დღესავით მძულდა ჩინურ სასადილოებში შესვლა. რატომ? იმიტომ, რომ აზიელებს, როცა თეთრკანიანთა წინაშე დუმან, ამპარტავნული იერი აქვთ. კერძს რომ გაწვდიან, მაშინაც ამრეზით გიცქერენ. მაშ, როგორლა დატკბეს კაცი შემწვარი წიწილითა და რაც მთავარია, როგორლა ირწმუნოს, რომ მართალია ყველაფერში?

ჩვენში დარჩეს და, მონობა, უპირატესად მომლიმარე, აუცილებელია. მაგრამ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკი არ იქნება. თუკი მონების გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია, განა არა სჯობს, ამ მონებს თავისუფალ მოქალაქეებს ვუწოდებდეთ? ჯერ ერთი, პრინციპის გულისათვის, მეორეც იმიტომ, რომ ხალხი სასოწარკვეთილებაში არ ჩავაგდოთ. განა ამ საზღაურის ღირსნი არ არიან? ასე სიცილ-სიცილით მოგვემსახურებიან და ჩვენც სუფთა გვექნება სინდისი. თორემ იძულებული გავხდებით თავს ჩავუკვირდეთ: მაშინ მწუხარება გაგვაგიჟებს, ანდა თავმდაბლობა დაგვჩემდება. ათიშები, თანაც ასეთი სამარცხვინო. ჩვენ არა გვჭირდება. თუ ყველა ისე შემოუჯდა სუფრას, რომ თავისი ჭეშმარიტი ხელობა და ვინაობა გაამჟღავნა, აღარ გეცოდინება საით წაიღო თავი. წარმოგიდგენიათ, ჩვენს სავიზიტო ბარათებზე რომ წავაწეროთ: დიუპონი, ლაჩარი ფილოსოფოსი, ანდა ქრისტიანი მესაკუთრე, ან კიდევ — მრუში ჰუმანისტი და თუ გნებავთ სხვა ამგვარი რამე. მაშინ ჩვენი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად იქცეოდა! დიახ, ჯოჯოხეთი ასეთი უნდა იყოს: ყველგან აბრაა გამოკრული და თავს ვერვინ იმართლებს. სახელი სამუდამოდ გექნებათ მიკერებული.

თქვენც, ჩემო ძვირფასო თანამემამულევ, ურიგო არ იქნება მოიფიქროთ, რას წააწერდით თქვენს აბრაზე. დუმხართ? კეთილი, მერე მიპასუხებთ. მე კი, ჩემდა თავად, ვიცი, რაც დამმშვენდებოდა: ორპირი კაცი, მომხიბლველი იანუსი. ზევით კი ჩემი დევიზი იქნებოდა გამოყვანილი: „ნუ მიენდობით, ერიდეთ“. ჩემს სავიზიტო ბარათზე კი ეწერება: „ჟან ბაპტისტ კლემანსი — კომედიანტი“. იცით, იმ საღამოს შემდეგ, მე რომ გიამბეთ, ბევრი რამ აღმოვაჩინე. როცა ბრმა ქუჩიდან ქუჩაზე გადამყავდა, გამოთხოვებისას ქუდს ვუხდიდი ხოლმე. ცხადია, ეს სალამი მისთვის არ იყო განკუთვნილი, ბრმას ჩემი დანახვა არ შეეძლო. მაშ, ვისთვისღა ვცდილობდი? მაყურებლებისათვის. როლს რომ შეასრულებ, მაყურებელს თავიც უნდა დაუკრა. ურიგოა ვითომ? მეორე დღეს კი, როცა გზაში გახირულ მანქანას ხელი შევაშველე და პატრონი მად-

ლობას მიხდიდა, ვუთხარი, ჩემს ადგილას ასე არავინ მოიქცეოდა-მეთქი. ცხადია, ყველა ასე მოიქცეოდა-მეთქი, უნდა მეთქვა და ეს უნებლიე მაოცხი დიდხანს მაწვა გულზე, აკი თავმდაბლობაში ბადალი არა მყავდა.

სინამდვილეში კი, ჩემო ძვირფასო თანამემამულევ, უნდა გამოგიტყდეთ, რომ პატივმოყვარეობა მახრჩობდა. სულ მე და მე იყო ჩემი ტკბილი ცხოვრების მისამღერი, ყველა ჩემს სიტყვაში რომ გაისმოდა. ჩემს დღეში არაფერი მითქვამს ისეთი, რომ თავის ქებაც არ მიმეყოლებინა, განსაკუთრებით თუ ამას იმგვარი ოსტატური თავდაჭერილობით ჩავიდენდი, რომლის საიდუმლოც ჩემს მეტმა არავინ იცოდა. ისიც მართალია, რომ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მუდამ თავისუფალი და ძლიერი გახლდით. დარწმუნებული ვიყავ, არავისი არაფერი მმართებს-მეთქი და ეს სულ იმის წყალობა იყო, რომ ქვეყნად არავინ მეგულებოდა ჩემი ბადალი. ჩემი თავი მუდამ ყველაზე ჭკვიანი მეგონა-მეთქი, უკვე გითხარით; მჯეროდა ისიც, რომ ყველაზე უფრო მგრძნობიარე და მოხერხებულიც მე ვიყავი; მანქანა ჩემზე უკეთ არავის დაჰყავს, საუკეთესო მსროლელი და საუკეთესო მიჯნური ვარ-მეთქი, ვფიქრობდი. იმ დარგშიც კი, საცა სულ ადვილი იყო სხვისი უპირატესობა დამენახა, თუნდაც ჩოგბურთში, სადაც გვარიან მოწინააღმდეგედ თუ გამოვდგებოდი, თავს არ ვუტყდებოდი და სულ იმას ვამბობდი: ვარჯიშის დრო რომ მქონდეს, პირველობას აქაც არავის დავანებებ-მეთქი. წამით არ შემპარვია ეჭვი, რომ ყველასა ვჯობდი; ამიტომაც გული მუდამ საგულეს მქონდა და ყველას მიმართ კეთილგანწყობილებას ვიჩენდი. თუ ვეხმარებოდი ვინმეს, ასე მეგონა, დიდ წყალობას ვიღებდი, და ჩემი კეთილი ქცევა კიდევ უფრო მამაღლებდა საკუთარ თვალში.

სხვა ჭეშმარიტებებთან ერთად თანდათან ეს ჭეშმარიტებანიც აღმოვაჩინე იმ საღამოს შემდეგ, რომელზედაც გელაპარაკეთ. მაგრამ ასე უცებ არა; არც ასე ერთბაშად გავრკვეულვარ ყველაფერში. ჯერ მეხსიერება დამიბრუნდა. თანდათან უფრო ცხადად დავინახე ყველაფერი: უფრო უკეთ ჩავწვდი იმას, რაც ადრეც ვიცოდი. აქამდე მუდამ მშველოდა ჩემი საოცარი გულმავიწყობა. მავიწყდებოდა ყველაფერი და პირველ რიგში რაც რამ მქონდა განზრახული. ომს, თვითმკვლელობას, სიყვარულს, სიღატაკეს სათვალავში არ ვაგდებდი; ცხადია, ყურადღებას კი ვაქცევდი, როცა გარემოება მაიძულებდა, მაგრამ მარტო ზერელედ, თავაზიანობის გულისთვის. ხანდახან ისე ვიჭერდი თავს, თითქოსდა კიდევაც მიტაცებდა ისეთი რამ, რაც ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებასთან სულაც არ იყო დაკავშირებული. სინამდვილეში კი ამგვარ რამეებს ყურადღებასაც არ ვაქცევდი. მხოლოდ მაშინ გამოვიღებდი ხელს, როცა ჩემი თავისუფლება აღმოჩნდებოდა საფრთხეში. როგორ გითხრათ? ყველაფერი სხლტებოდა და ცურდებოდა. ჩემს გულზე სხლტებოდა ყველაფერი.

სიმართლეს ნუ დამიკარგავთ; ზოგჯერ ჩემი გულმავიწყობა სასახელოც კი გახლდათ. უთუოდ შეამჩნევდით, რომ არსებობენ ადამიანები, რომელთაც რჯულადა აქვთ სხვას ყოველგვარი შეურაცხყოფა აპატიონ და მართლაც შეუნდობენ, მაგრამ დავიწყებით თავის დღეში არ ივიწყებენ. მე კი ისეთი სულგრძელი როდი ვიყავ, რომ შეურაცხყოფა მეპატიებინა ვინმესთვის, მაგრამ წყენა მუდამ მავიწყდებოდა ხოლმე და იმათ გაოცებასაც საზღვარი არ ჰქონდა, ვისაც მტრად მივაჩნდი და ხედავდა, რომ გულღიად, ღიმილით ვესალმებოდი. ვინც რა სულიერი ავლა-დიდებისა იყო, იმისდა მიხედვით სჯიდა: ზო-

გი აღტაცებული იყო ჩემი სულგრძელობით, ზოგი კი ჩემს სიმხდალეს დასცინოდა და არ კი ფიქრობდნენ, რომ მე სულ უბრალო მიზეზი მქონდა: აღარც შეურაცხყოფა მახსოვდა და აღარც შეურაცხმყოფელი. იმავ ნაკლს, სხვა შემთხვევაში გულცივადა და უმადურად რომ მაქცევდა, ახლა სულგრძელად გამოვყავდი.

ვცხოვრობდი ასე და დღეგისმარე ჩემი თავის მეტი არაფერი მაგონდებოდა. სულ მე და მე იყო ჩემი საფიქრალი. ყოველდღე ქალები, ყოველდღე სათნოება და მრუშობა, მაწანწალა ძაღლების შესაფერისი: მაგრამ ჩემი თავის მეტი არაფერი მადარდებდა და ფეხზედაც მაგრად ვიდექი. ასე მივცურავდი ცხოვრების ზედაპირზე, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით, სინამდვილეში წინ არ მივიწევდი. სანახევროდ წაკითხული წიგნები, ნახევრად საყვარელი მეგობრები, ხანმოკლე სტუმრობა ქალაქებში, უდღეური რომანი ქალებთან... მოწყენილი ვიყავ და ყველაფერს თავშესაქცევად ვაკეთებდი. ადამიანები მხვდებოდნენ, უნდოდათ მომჭიდებოდნენ, მაგრამ სიცარიელეს აწყდებოდნენ და ეს დიდი უბედურება იყო მათთვის. მათთვის-მეთქი, ვამბობ, რადგან მე, ჩემდა თავად, წუთში მავიწყდებოდა ყველაფერი. ჩემი თავის გარდა არასოდეს მხსომებია ვინმე.

მაგრამ თანდათან მეხსიერება დამიბრუნდა. ან უკეთ, თვითონ მივმართე ზასა და ჩემს გულში გაცოცხლდნენ მოგონებანი, რომლებიც მელოდნენ. მაგრამ სანამ ამაზე გეტყოდეთ რამეს, ნება მიბოძეთ, ძვირფასო თანამემამულევ, რამდენიმე მაგალითი მოგიყვანოთ (რომლებიც უთუოდ გამოგადგებათ ოდესმე) და გითხრათ, ამ კვლევა-ძიებისას რა აღმოვაჩინე.

ერთ დღეს, როცა საჭესთან ვიჯექ და მწვანე შუქზე წამით შემაგვიანდა მანქანის დაძვრა, დიდი მოთმინების მქონე ჩვენმა ქალაქელებმა კი საყვირები ააყვირეს, უეცრად გამახსენდა მეორე შემთხვევა, მსგავს ვითარებაში რომ მოხდა. წითელი შუქი ენთო. ერთმა სათვალიანმა მოტოციკლეტისტმა გადამისწრო და ჩემს წინ გაჩერდა. ხმელ-ხმელი, ჩია კაცი იყო, გოლფის შარვალი ეცვა. მოტოციკლეტი რომ დააყენა, ძრავა გაუჩერდა და ველარაფრით ვერ აამუშავა. მწვანე შუქი რომ აინთო, რაც რომ შემეძლო, თავაზიანად ვთხოვე, თუ შეიძლება, განზე გადექით და გზა მიტიეთ-მეთქი. ძრავა არ იმართებოდა და ჩია კაცი ძალიან ღელავდა. როგორც ჭეშმარიტ პარიზელს შეშვენოდა, მიპასუხა, თავიდან მომწყდი. მე კვლავ ზრდილობიანად ვურჩიე, განზე გადექით-მეთქი, მაგრამ ეტყობა ხმაში ცოტა მოუთმენლობა მაინც მეტყობოდა. მაშინ არც აცივა, არც აცხელა და მომახალა, თუ არ დამეხსნები, შავ დღეს დაგაწევო. ამასობაში ჩემს ზურგს უკან რამდენიმე საყვირის ხმაც გაისმა. მეც უფრო მტკიცედ ვუთხარ იმ გლახას, წესიერად ილაპარაკეთ და მოძრაობას ნუ აფერხებთ-მეთქი. იმ უდღეურმა კი, ვაავებულმა იმით, რომ ძრავა ვერასგზით ვერ აამუშავა, მომაძახა, თუ სილა მოგენატრა, მოდი და იწვნიეო. ამ უხიარმა პასუხმა მოთმინებიდან გამომიყვანა: საჭეს ხელი ვუშვი და მანქანიდან გადმოვედი, რომ თავხედისათვის ბკუა მესწავლებინა. ვფიქრობ, ლაჩარი არ უნდა ვიყო (მაგრამ ფიქრით რას ალარ ვფიქრობთ საკუთარ თავზე!), მთელი თავით მაღალი ვიყავ ჩემს მოწინააღმდეგეზე, ღონეც მუდამ მერჩოდა და ახლაც მჯერა, საქმე საქმეზე რომ მისულიყო, სიგრძეს სიგანედ მოვუქცევდი. მაგრამ ჯერ ფეხიც არ მქონდა დადგმული ქვაფენილზე, რომ ჩვენს ირგვლივ შეკრებილ ხალხს ვიღაც ყმაწვილი გამოეყო. ჩემსკენ გამოქანდა და მითხრა: უკა-

ნასკნელი ვიგინდარა იქნები, თუ მოტოციკლეტზე გადამჯდარ კაცს გაარტყამ; ვერ ხედავ, თავის დაცვა რომ არ შეუძლიაო. ამ არამკითხე მოამბესაკენ მიგიხედე, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, არც დამინახავს. თავი შემოვაბრუნე თუ არა, გავიგონე მოტოციკლეტის რახრახი და ყბაში სილაც მგლიჯეს. სანამ მივხვდებოდი რა მოხდა, მოტოციკლეტი უკვე შორს იყო. დაბნეულ-დარეტიანებული გავემართე დ' არტანიანისაკენ, მაგრამ საყვირების უთავბოლო გნიასმა ამ განზრახვაზე ხელი ამაღებინა. ისევ მწვანე შუქი აენთოთ. მთლად გონს მოსული არ ვიყავ და იმის ნაცვლად, რომ შემეხურებინა ის ბრიყვი, რომელიც წინ გადამიდგა, მორჩილად მივუბრუნდი საჭეს და მანქანა დავძარი. იმ უსინდისომ კი ისე მომაძახა, ლაჩაროო, რომ ის სიმწარე დღესაც არ გამნელებია.

უმნიშვნელო ამბავიაო, იტყვით უთუოდ. მაგრამ მე კარგა ხანს ვერ გადავიგდე გულიდან. თუმცა რა ჩემი ბრალი იყო? მართალია, მომხდურს ისე გაველახინე, რომ პასუხი ვერ გავეცი, მაგრამ ლაჩრობას ვერავინ დამწამებდა. თავს მოულოდნელად დამესხნენ, აქეთ-იქიდან მეძახდნენ და იმიტომ ამედა. თავს მოულოდნელად დამესხნენ, აქეთ-იქიდან მეძახდნენ და იმიტომ ამერია თავგზა. საყვირების ღრიალმაც მთლად დამაბნია. და მაინც თავს ისე უბედურად ვგრძნობდი, თითქოს სახელი გამტეხოდეს. გონების თვალით ვხედავდი, როგორ ჩავჯექი მანქანაში სილანაჭამი და ახმაურებული ბრბოს დამცინავი მზერაც თან გავიყოლიე. ყველა აღტაცებაში მოიყვანა ჩემმა შერცხვენამ, უთოდ იმიტომ, რომ, როგორც მახსოვს, ტანთ ძალზე ლამაზი ლურჯი კოსტუმი მეცვა. თითქოს იმ ყმაწვილის ძახილიც ჩამესმოდა ყურში, ლაჩაროო, რომ მომაძახა და ყველაზე მეტად გულს ისა მტკენდა, რომ ვერც გავამტყუნებდი. მოკლედ, საჯაროდ ვიყავ გამასხარავებული, მართალია, გარემოებათა უცნაური დამთხვევის წყალობით, მაგრამ გარემოებებს რა გამოლევს. ახლა უკვე კარგად ვხვდებოდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავ მაშინ. წარმოვიდგენდი, როგორ წავაქცევდი დ' არტანიანს ერთი ლაზათიანი დარტყმით, როგორ შევახტებოდი მანქანას, გამოვუდგებოდი იმ მაიმუნს, ალიყური რომ მაჭამა, დავეწეოდი, ტროტუართან მივიმწყვდევდი და რიგიანად ეკადრებოდა, ერთი-ორს ისე მაგრად მივცხებდი. გონების თვალით ასეთ მაინც ვნახულობდი ამ პაწია ფილმს. [illegible] მაგრამ წასულ საქმეს [illegible] გამომიკეთდა.

ხედავთ, ისევ [illegible] ზე ვსაუბრობდი? [illegible] დი, რასაც მოასწავებ[illegible] ლის შემოტევას. [illegible] და შემეძლო [illegible] კაცად კაცისათვისაც. [illegible] ლად წარმომედგინა თავი [illegible] დი და ჩემს ფიზიკურ ძალას [illegible] შემდეგ, რაც საჯაროდ სილა [illegible] ასეთი დიდი წარმოდგენისა [illegible] და გონების მეგობარი [illegible] უნდა ჰქონოდა ჩემთვის ამ შემთხვევას, [illegible] ვიწყებული რომ ჰქონდათ? მარტო იმაზე უნდა მომსულიყო გული, რომ ტყუ-

ილუბრალოდ გავცხარდი, ჭკუა და გონი წამერთვა, თავს ვერ მოვეფერე და აკი ჩემი თავისა დამემართა. ამის ნაცვლად სამაგიეროს გადახდის სურვილით ვიწვოდი. მტერთან შებმა და გამარჯვება მწყუროდა. თითქოსდა ჩემი სანუკვარი სურვილი ის კი არ იყო, ქვეყნად ყველაზე ჭკვიანი და დიდსულოვანი კაცი ვყოფილიყავ: მარტო ისა მსურდა, გამელახა ყველა, ვინც მომეპრიანებოდა. მინდოდა ვყოფილიყავ ყველაზე ძლიერი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ამბობენ, და თქვენც უთუოდ მოგეხსენებათ, რომ ყველა ინტელიგენტი განგსტერობაზე ოცნებობს და სურს საზოგადოებაზე ძალით იბატონოს. მაგრამ რაკი ეს ისე ადვილი არაა, როგორც განგსტერული რომანების მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, უმეტესწილად პოლიტიკას მიმართავენ ხოლმე და ყველაზე უფრო მძვინვარე პარტიაში ეწერებიან. რა მოხდა მერე, თუ ჭკუა-გონებას დავიკნინებთ, თუკი ამ გზით ყველას დავიმორჩილებთ? მივხვდი, რომ თურმე მეც ამ ტკბილ ოცნებას ვეძლეოდი და იდუმალ იმას ვნატრობდი, ვინმე დამეჩაგრა.

და სხვა თუ არაფერი, ეს მაინც დავინამდვილე: დამნაშავეთა და მსჯავრდადებულთა მხარეზე მხოლოდ იმიტომ ვიყავ, რომ მათ დანაშაულს პირადად ჩემთვის ზიანი არ მოჰქონდა. მათ დანაშაულზე მჭევრმეტყველურად ვლაპარაკობდი, რადგან თავად მხსვერპლი არ ვიყავ. მაგრამ თუკი მე დამიშავებდნენ რასმე, მარტო მსაჯულად კი არა და, მძვინვარე ბატონადაც გადვიქცეოდი. და კანონს მხარიც რომ არ დაეჭირა, მოვიწადინებდი დამესაჯა, მეცემა, მეწამებინა ჩემი შეურაცხმყოფელი და წამომეჩოქებინა როგორმე. ამის შემდეგ, ჩემო ძვირფასო თანამემამულევ, ძნელია სერიოზულად იფიქრო, ვექილობა ჩემი მოწოდება არისო და ქვრივ-ობოლთა ჭეშმარიტ დამცველად მიიჩნიო თავი.

რაკი წვიმამ დასცხო და არც არსად გვეჩქარება, მინდა, თუ ნებას მომცემთ, ერთი ამბავიც გიამბოთ, იმხანად ჩემდაუნებურად რომ ამოტივტივდა ჩემს მეხსიერებაში. მოდით, ამ საკმზე ჩამოვსხდეთ, წვიმამ რომ არ დაგვასველოს. რამდენი საუკუნეა, რაც ადამიანები სხედან აქ და უცქერიან, როგორ ეშხაპუნება წვიმა არხებს. ახლა რაც უნდა გითხრათ, ცოტა ძნელია საამბოხლად. საქმე ქალს ეხება. თუმცა ჯერ უნდა მოგახსენოთ, რომ ქალებთან წარმატებას მუდამ იოლად ვაღწევდი. არ დავიჩემებ, მათ გაბედნიერებას ვახერხებდი, ანდა მათ სიახლოვეს მე თვითონ ვიყავი-მეთქი ბედნიერი. არა, უბრალოდ წარმატებას ვაღწევდი. თითქმის უმალვე ვეწეოდი ხოლმე საწადელს. ეს იმიტომ, რომ მომხიბვლელ კაცად მთვლიდნენ! მომხიბვლელობის ძალა ხომ იცით, რა დიდია: თანხმობას მანამ გეუბნებიან, სანამ გარკვევით მოითხოვდეთ რასმე. იმხანად მეც ასეთ დღეში გახლდით. გიკვირთ, განა? ო, ნუ უარყოფთ. ახლა ისე გამოვიყურები, რომ თქვენი გაოცება ბუნებრივია. სამწუხაროდ, გარკვეული ხნისა რომ მოიყრება, ყოველი კაცი პასუხს აგებს თავის სახეზე. ჩემი სახეც... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს! მთავარი ისაა, რომ მომხიბვლელ კაცად მთვლიდნენ და მეც ვსარგებლობდი ამით.

ოღონდ ანგარიშიანობას ნუ შემწამებთ; გულწრფელი, ან თითქმის გულწრფელი გახლდით. ჩემი ურთიერთობა ქალებთან ბუნებრივი იყო, ლაღი და ძალდაუტანებელი, როგორც იტყვიან ხოლმე. არ მივმართავდი სხვა ეშმაკობას გარდა იმ ერთისა, რომელსაც თავადვე მიიჩნევენ დიდ პატივისცემად. როგორც ამბობენ, მიყვარდა ქალები, ეს კი ნიშნავს, რომ ჩემს დღეში არც ერთი მათგანი არ მყვარებია. დედათმოძულეობა მუდამ სიბრიყვედა და უხამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სობად მიმაჩნდა და ყველა ქალს, ვისთანაც კი საქმე მქონია, ჩემზე მაღლა ვა-
ყენებდი. მაგრამ ამისდა მიუხედავად მოსამსახურედ როდი ვუხდებოდი, პირი-
ქით, აქეთ ვიმსახურებდი. რატომ? რისთვის?

თქმა არ უნდა, რომ ჭეშმარიტი სიყვარული გამონაკლისია: საუკუნეში
ერთს ან ორს თუ შეხვდება კაცი. სხვა დანარჩენი კი პატივმოყვარეობა, ან
მოწყენილობაა და მეტი არაფერი. ერთი სიტყვით, მე პორტუგალიელი მო-
ნაზვნისა არა მეცხო რა. გულქვა კაცი არ გეგონოთ, პირიქით, მგრძნობიარე
ვარ და ცრემლიც ადვილად მერევა. ოღონდ მარტო ჩემს თავს ვეტრფიალე-
ბი და გულიც მარტო ჩემს თავზე მიჩუყდება. ტყუილია, თითქოს არასდროს
მყვარებოდეს ვინმე ცხოვრებაში. სხვა თუ არაფერი, ერთი დიდი სიყვარული
მაინცა მქონდა და ამ სიყვარულის საგანი მე თითონ ვიყავი. ამ თვალსაზრისით
თუ შევხედავთ, ცოტაოდენი სიძნელეების შემდეგ, რომლებიც სიჭაბუკე-
ში უეჭველად შეხვდება ადამიანს, უმალ მოვეგე გონს და ჩემს სასიყვარული
ცხოვრებაში მხოლოდ მგრძნობელობა დავამკვიდრე. სულ იმის ძიებაში ვიყავი,
ვინ დამეპყრო და რით დავმტკბარიყავ. ამ საქმეში ტემპერამენტიც მეხმარე-
ბოდა. ბუნებამ უხვად დამაჯილდოვა. ამით ძალიან ვამაყობდი და ალარც კი
ვიცი, რა უფრო მახარებდა, საკუთარი სახელი თუ განცდილი სიამოვნება.
მეტს ალარ გავაგრძელებ, თორემ კვლავ ტრაბახში ჩამომართმევთ. არც მთლად
უმაგისობაა, და სიტყვილი მიპყრობს, რაკი ამჯერად იმით მომაქვს თავი,
რაც სრული სიმართლე გახლავთ.

ასეა თუ ისე, ჩემი მგრძნობელობა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, იმდე-
ნად ძლიერი იყო, რომ ათწუთიანი სასიყვარულო თავგადასავლის გულისათ-
ვის საკუთარ დედ-მამასაც კი გავყიდდი, თუნდაც მერე მწარედ მენანა. მაგრამ
რას ვამბობ! სხვაზე უმალ სწორედ ამ ათწუთიანი თავგადასავლისთვის, მით
უფრო, თუ დარწმუნებული ვიყავ, რომ გრძნობას ხვალინდელი დღე არ გა-
აჩნდა. თან ჩემი დაუწერელი კანონებიცა მქონდა. ვამბობდი, მეგობრის ცო-
ლის ხელის ხლება არ იქნება-მეთქი, მაგრამ საქმე საქმეზე თუ მიდგებოდა,
ავიღებდი და რამდენიმე დღით ადრე ქმართან მეგობრობასა ვწყვეტდი. იქნებ
ყოველივე ამას მგრძნობელობა არც კი შეიძლება ვუწოდოთ სახელად? თვით
მგრძნობელობას ხომ საზიზღარის არა სცხია რა. მოდით, ლმობიერება გა-
მოვიჩინოთ და სიძაბუნე დავარქვათ, როცა კაცს დაბადებით სიყვარულში იმ
ერთი რამის გარდა სხვისი დანახვა არ შეუძლია. ეს სიძაბუნე სწორედ რომ
მისწრება რამ იყო. ჩემს გულმავიწყობასთან შერწყმული ჩემს თავისუფლება-
საც უზრუნველყოფდა. დამოუკიდებელი ვერიც ახალ წარმატებებს მაპოვნი-
ნებდა. რაკი თავად რომანტიკული არ ვიყავ, ბევრს ვუყვარდი რომანტიულად.
ჩვენი მეგობარი ქალები ერთი რამით ბონაპარტსა ჰგვანან, მუდამ ფიქრო-
ბენ, რომ წარმატებას მიაღწევენ იქ, საცა სხვებს ხელი მოეცარათ.

ქალებთან ურთიერთობისას მარტო მგრძნობელობას კი არ ვიკმაყოფი-
ლებდი, თამაშის ჟინსაც ვიკლავდი ხოლმე. ქალები თამაშის მონაწილეებად
მყავდა წარმოდგენილი, თამაშისა, რომელიც მთლად უცოდველი ჩანდა. გამო-
გიტყდებით, საერთოდ მძაგს მოწყენილობა და ცხოვრებაში მხოლოდ დასვე-
ნებებს ვაფასებ. გარს რჩეული საზოგადოებაც რომ მეხვიოს, მალე თავს მო-
მაბეზრებს, მაგრამ თუ ქალი მომწონს, მასთან საუბარი არასოდეს არ მომწყინ-
დება. მიჭირს აღიარება, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ აინშტეინთან ათ
საუბარს ლამაზ მსახიობ ქალთან პაემანზე პირველად მისვლა მირჩევნია. მაგ-

რამ მეათე პაემანზე მისულს ისევ აინშტეინი და სერიოზული წიგნები მომენატრება ხოლმე. ერთი სიტყვით, დიდ-დიდ პრობლემებზე მხოლოდ ომ ხნის განმავლობაში დავფიქრებულვარ, რაც ჩემს სასიყვარულო თავგადასავლებს გადარჩებოდა. ხშირად ქუჩაში მდგარსა და ამხანაგებთან ცხარედ მოკამათეს აზროვნების ძაფი გამწყვეტია, რადგან გვერდით ლმერთივით ქალს ჩაუვლია.

მოკლედ, თამაშსა ვთამაშობდი. ვიცოდი, რომ ქალებს არ უყვართ პირდაპირი იერიშები ჯერ ტკბილი სიტყვა და ქათინაურები თუ არ მოისმინეს. სიტყვების წარმოთქმა მე არ მიჭირდა, რაკი ვექილი ვიყავ, ხაზად ყურებაც მეხერხებოდა, რადგან ჯარში სამსახურის დროს წარმოდგენებში ვმონაწილეობდი. როლს ხშირად ვიცვლიდი, მაგრამ პიესა არ იცვლებოდა. ვამბობდი, უცნაურად მიმიზიდეთ, რაღაც გაუგებარი, უმიზეზო, დაუძლეველი გრძნობა დამეუფლა, თუმცა სიყვარულისაგან უზომოდა ვარ დაღლილი-მეთქი და სხვა. ეს ძველისძველი როლი იყო ჩემს რეპერტუარში, მაგრამ მუდამ სჭრიდა. სხვა ნომერიც მქონდა; ვამბობდი, რაღაც იდუმალი ბედნიერება მეწია, დღემდე არც ერთ ქალს რომ არ მოუნიჭებია ჩემთვის. სიტყვების წუთები ახლაც ხანმოკლე იქნება (თავი ხომ უნდა დაიზღვიოს კაცმა), მაგრამ მათ ქვეყნად არაფერი შეედრება-მეთქი. ერთი საუცხოო სიტყვაც შევადგინე, რომელსაც ყველა აღტაცებაში მოჰყავდა; დარწმუნებული ვარ, თქვენც მომიწონებთ. მთავარი იყო, მწუხარედ, ხვედრს შერიგებული კაცივით მეთქვა, რომ არაფერს წარმოვადგენდი, რომ ჩემი შეყვარება არ ღირდა, რომ არასოდეს განმიცდია უბრალო, ყოველდღიური ბედნიერება, თუმც ეს ბედნიერება შეეძლება ყველაფერს მერჩია. მაგრამ ვაი, რომ გვიანღაა უკვე. ოღონდ რატომ იყო გვიან, ამაზე კრინტსაც არ ვძრავდი, რადგან ვიცოდი: სჯობს საიდუმლოებით მოცული დარჩე ქალის თვალში. სიმართლე თუ გნებავთ, ისე შევისისხლხორცე ეს როლი, რომ თითქმის მჯეროდა კიდეც, რასაც ვამბობდი და რა გასაკვირია, რომ ჩემი პარტნიორებიც არ აყოვნებდნენ სცენაზე გამოსვლას. მათგან ყველაზე უფრო მგრძნობიარენი ცდილობდნენ, გაეგოთ ჩემთვის და თავადაც გულს მიხსნიდნენ. სხვები კი, ქმაყოფილები იმით, რომ თამაშის წესებს ვიცავდი და სანამ სიტყვებზე გადავიდოდი, ლაბალ სიტყვებს არ ეშურებოდი, აქეთ გაღმიოდოდნენ ზიზღსაზე. მაინც ბევრ ინტერესად ვიყავ გაჩაღებული; სასიყვარულო ყინულს ინარდა თავმოყვარეობისაც ეუბნოდა ეუბნოდა, ბევრ ჩემს ძალისხმევებს გამოეყენებოდა ხიდზე.

ამიტომ, მაინც კი, ბოლოს ქალი ვიდე სიბრალულს ვერ ბრძანებდი. [illegible] ბევრ [illegible] ბევრ [illegible] [illegible] [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლებლად მესახებოდა. ერთხელ და სამუდამოდ მყავდნენ გამოცდილნი და ძალაუფლებაც დიდი ხნით დამყარებული მქონდა. საოცარია, არა? მაგრამ ასე კი იყო, ჩემო ძვირფასო თანამემამულევ. ერთნი მოითხოვენ, გიყვარდეო, მეორენი: ნუ შემიყვარებო! მაგრამ არიან ისეთებიც, ეს ხალხი კი უბედური და უარესია, რომლებიც მოითხოვენ, ნუ გეყვარები, მაგრამ ჩემი ერთგული დარჩიო.

მოგეხსენებათ, ყოველ სულიერს თავიდან უნდა მოუწყო ხოლმე გამოცდა. რაკი გამეორება გიხდება, თანდათან იწაფები კიდეც. მალე უკვე დაუფიქრებლად ლაპარაკობ, სიტყვები თავისით სწყდება ბაგეს და ერთ მშვენიერ დღეს შენიშნავ, რომ სულ იოლად დაეპატრონე იმას, რაც ჭეშმარიტად არც კი გინატრია. მერწმუნეთ, რომ ზოგიერთებისთვის იმის არ აღება, რაც არ უნდათ, ქვეყნად ყველაზე უფრო ძნელი საქმეა.

მეც ასე დამემართა. ერთხელ ერთ ქალს შევხვდი; ზედმეტია იმის თქმა, რომ ძალიან არ მაღელვებდა, მაგრამ როგორღაც მიმიზიდა თავისი მორჩილი და ხარბი იერით. გულწრფელად რომ გითხრათ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ვერაფერი შვილი გამოდგა, მაგრამ კომპლექსები ჩემს დღეში არა მქონია და რაკი მეტად აღარც შევხვედრივარ, სულ მალე დავივიწყე ის ქალიცა და მისი ამბავიც. მეგონა არაფერი შეუნიშნავს-მეთქი და ვერც კი წარმომედგინა, რომ შეიძლება საკუთარი აზრი ჰქონოდა; ისეთი უმოქმედო იყო, ქვეყნისაგან გეგონებოდათ განაკიდი. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ შევიტყვე, რომ სხვისთვის გაუნდვია ჩვენი ამბავი და კიდევაც გავუქირდივარ. მყისვე ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მომატყუეს. ქალი ისეთი პასიურიც არა ყოფილა, როგორიც მეჩვენა და თურმე განსჯის უნარიც შესწევდა. მხრებიღა ავიჩეჩე, სიცილში ჩავატარე ეს ამბავი. ბევრიც ვიცინე, რადგან ამეებისათვის დიდი მნიშვნელობა არ მიმიცია. თუკი არსებობს სფერო, სადაც მოკრძალებულობა კანონად უნდა იქცეს, ეს პირველ რიგში სექსუალურ ცხოვრებაზე ითქმის, სადაც უამრავ მოულოდნელ რასმე შეიძლება გადაეყაროს კაცი; ასე არ არის? მაგრამ არა. ყველას უნდა სხვას აჯობოს, თუნდაც თავის თავთან მარტოდ დარჩენილმა მართალია მხრები კი ავიჩეჩე, მაგრამ იცით, როგორ მოვიქეცი? ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შევხვდი იმ ქალსა და ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ მისი გული მომენადირებინა და კვლავ დავუფლებოდი. დიდად არ გამჭირვებია: ქალებსაც არ უყვართ, როცა იმედი უცრუვდებათ. ამ ხნიდან მოყოლებული თითქმის ჩემდაუნებურად სულ ვაწვალებდი. ჯერ მივატოვებდი, მერე ისევ ვინადირებდი, ვაიძულებდი მოუხერხებელ დროსა და მოუხერხებელ ადგილას დამნებებოდა, მუდამ უხეშად ვეპყრობოდი და ბოლოს შეეთვისე კიდეც ისე, როგორც სატუსაღოს დარაჯი ეთვისება ხოლმე თავის პატიმარს. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ნაძალადევი და მტკივნეული ვნებით ატანილმა ხმამაღლა არ შეასხა ხოტბა იმას, რაც იმონებდა. ამ დღიდან იყო, თანდათანობით ზურგი რომ ვაქციე. ბოლოს კიდეც მიმავიწყდა.

თუმც თავაზიანად დუმხართ, მაგრამ მაინც ვხვდები, რას ფიქრობთ ჩემზე და დაგთანხმდებით კიდეც, რომ ამ ამბავში მაინცდამაინც სახარბიელოდ არ გამოვიყურები. მაგრამ თქვენს ცხოვრებასაც გადახედეთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულევ! იქნებ თქვენს მეხსიერებაშიც ამოტივტივდეს მსგავსი სურათი, რომ შემდეგ მომიყვეთ. მე, ჩემდა თავად, როცა ეს ამბავი გამახსენდა, კვლავ სიცილი ამიტყდა, მაგრამ ეს სულ სხვაგვარი სიცილი იყო და იმას მოჰ-

გავდა, ხელოვნებათა ხიდზე მდგარს რომ ჩამესმა ყურში. მეცინებოდა ჩემს მეჭვრმეტყველებასა და სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვებზე: უფრო სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვებზე, ვიდრე ქალებთან ნალაპარაკევზე. ქალებს, რაც უნდა იყოს, ცოტას ვატყუებდი. ინსტინქტი მალაპარაკებდა და სამარცხვინო ხრიკებს არ მივმართავდი. სასიყვარულო აქტი ხომ აღსარებაა. მასში ამკარად მოჩანს ეგოიზმი, პატივმოყვარეობა, ანდა ჭეშმარიტი დიდსულოვნება. მოკლედ, ამ სამწუხარო ამბავში უფრო გულწრფელი გახლდით, ვიდრე სხვა ხრიკებში, უფრო გულწრფელი, ვიდრე თავად მეგონა, რადგან ნათლად გავამჟღავნე, ვინ ვიყავი და როგორ შემეძლო ცხოვრება. ერთი შეხედვით შეიძლება სხვაგვარად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩემს კერძო ცხოვრებაში უფრო პატივისცემის ღირსი ვიყავ მაშინაც კი, როცა ისე ვიქცეოდი, როგორც გიამბეთ, ვიდრე მაშინ, როცა სასამართლო დარბაზში უცოდველობასა და სიმართლეზე მაღალფარდოვან სიტყვებს წარმოვთქვამდი. ადამიანებთან ჩემს დამოკიდებულებას თვალს რომ ვავლებდი, აშკარად ვგრძნობდი რა შვილიც ვიყავ. არა კაცი თავის სიამოვნებაში პირმოთნე არ არისო, ნეტა სადმე ამოვიკითხე ეს აზრი, თუ თვითონ მომაფიქრდა?

როცა ავწონ-დავწონე, როგორ მიჭირდა ქალთან საბოლოოდ ჩამოშორება — ისე მიჭირდა, რომ ხშირად ერთსა და იმავე დროს რამდენიმე საყვარელიცა მყავდა — მივხვდი, ეს იმიტომ კი არ მომდიოდა, რომ ერთობ მოსიყვარულე გული მქონდა დიახ, გულჩვილობა როდი მამოქმედებდა, როცა რომელიმე ჩემი მეგობარი ქალი იღლებოდა ჩვენი ვნების აუსტერლიცის ლოდინით და ჩემთან განშორებას დააპირებდა. მაშინ პირველი მე გამოვილებდი ხელს, უამრავ დათმობაზე მივდიოდი, ენაწყლიანობას ვიჩენდი. სინაზეს, ტკბილ გრძნობებს ვალვიძებდი ქალში, თუმცა მხოლოდ გარეგნულად ვიყავ აღელვებული; უბრალოდ, მაღიზიანებდა ქალის უარი და კავშირის გაწყვეტაც მენანებოდა. ხანდახან მეგონა, მართლა ვიტანჯები-მეთქი, მაგრამ საკმარისი იყო აჯანყებული ქალი წასულიყო და მყისვე მავიწყდებოდა. თუმცა დავიწყებით მაშინაც ვივიწყებდი, როცა დამიბრუნდებოდა. არა, სიყვარული ან სულგრძელობა როდი მამოძრავებდა, როცა სატრფოსთან განშორება მეოლოდა, უბრალოდ, მინდოდა ვინმეს ვყვარებოდი და მიმეღო ის, რაც ჩემის ფიქრით მეკუთვნოდა. მაგრამ გულს მოიბრუნებდა თუ არა ჩემზე, მყისვე მავიწყდებოდა ჩემი მიჯნური. სამაგიეროდ მე ვბრწყინავდი, თავს საუცხოოდა ვგრძნობდი და მომხიბვლელობაც მემატებოდა.

ისიც უნდა გითხრათ, რომ ხელახლა მოხვეჭილი სიყვარული გულზე მძიმე ლოდად მაწვებოდა. უგუნებობის ჟამს ვფიქრობდი, ჩემი საყვარლის სიკვდილი საუცხოო გამოსავალი იქნებოდა-მეთქი. ეს სიკვდილი საბოლოოდ განამტკიცებდა ჩვენს კავშირსა და ბორკილებსაც ამხსნიდა. მაგრამ არ შეიძლება ყველას სიკვდილი ინატრო კაცმა და მთელი პლანეტის მოსახლეობა ამოწყვიტო, რათა დატკბე თავისუფლებით, რომლის მიღწევაც სხვაფრივ არ მოგიხერხდება. ამგვარ რამეს მე ვერ ვიქმოდი, გული მეურჩებოდა, ხალხის სიყვარული არ მანებებდა.

ერთადერთი ჭეშმარიტი გრძნობა, რომელსაც ამ სიყვარულობანას დროს განვიცდიდი, იყო მადლიერების გრძნობა, როცა ყველაფერი კარგად მიდიოდა, ჩემს მშვიდობას არავინ ხელყოფდა და ნებას მაძლევდნენ სადაც მომეგუნებებოდა, იქ წავსულიყავ. დიახ, არასდროს ვყოფილვარ ისე მხიარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კეთილი ერთთან, როგორც მაშინ, როცა მეორის საოცელს ვტოვებდი, თითქოს ყველა ქალს ვუმადლოდი იმ სიამოვნებას, ერთმა მათგანმა რომ მომანიჭა. გარეგნულად რა არეულიც არ უნდა ყოფილიყო ჩემი გრძნობები, მიზანი ნათელი მქონდა: საყვარლებს მხოლოდ იმიტომ ვიკრებდი გარს, რომ ყველა მათგანი მომეხმარა, როცა კი მსურდა. თავადაც შესანიშნავად ვგრძნობდი, რომ ცხოვრება მხოლოდ იმ პირობით შემეძლო, თუ დედამიწის ყოველი სულდგმული მე შემომყურებდა, დამოუკიდებელ ყოფას იყო მოკლებული, ყოველ წუთს ჩემს დაძახებას ელოდა და გულხელდაკრეფით იჯდა იმ დღემდე, სანამ კეთილს არ ვინებებდი და ჩემს ცხოველმყოფელ შუქს არ მივფენდი. მოკლედ, ბედნიერად რომ მეცხოვრა, ჩემს რჩეულთ არსებობა უნდა შეეწყვიტათ და თავიანთი წილი სიცოცხლე მხოლოდ ჟამიდან ჟამს, ჩემის წყალობით უნდა მიეღოთ ხოლმე.

ო, დამერწმუნეთ, არაფრად მეპიტნავება ამეებს რომ გიამბობთ. იმ დღეებს რომ ვიხსენებ, როცა ყველაფერს ვთხოულობდი, სანაცვლოდ კი არაფერს ვიძლეოდი, როცა ამდენ ხალხს ვიმსახურებდი და თითქოს ყველა მათგანს მაცივარში ვინახავდი, რომ როცა კი დამჭირდებოდა, ხელთა მყოლოდა, არ ვიცი რა ვუწოდო იმ უცნაურ გრძნობას, რომელიც მეუფლება. იქნებ სირცხვილია? განა სირცხვილი ცოტათი არ გვწვავს ხოლმე, ჩემო ძვირფასო თანამემამულევ? ჰოო? მაშ, როგორცა ჩანს, სირცხვილი ყოფილა, ანდა ერთ-ერთი იმ სასაცილო გრძნობათაგანი, ღირსების სახელი რომ ჰქვია. ასე იყო თუ ისე, ეს გრძნობა წამითაც არ მშორდებოდა იმ ამბის შემდეგ, რომელიც ვერაფრით ამოვიგდე მეხსიერებიდან. ეს ამბავიც უნდა გიამბოთ, მეტი გადადება აღარ შეიძლება, თუმცა თემიდან ხშირად გადავუხვიე და თხრობაშიაც იმდენი მონდომება ჩავაქსოვე, რომ ვიმედოვნებ, საკადრისს მომაგებთ უეჭველად.

შეხედეთ, წვიმამ გადაიღო! დამდეთ პატივი და შინ მიმაცილეთ. საოცრად დაღლილი ვარ; ლაპარაკით კი არა: დაღლას მაშინა ვგრძნობ, როცა გამახსენდება, რომ კიდევ ის ამბავი დამრჩა საამბობი. არა უშავს რა. რამდენიმე სიტყვა კმარა ჩემი მთავარი აღმოჩენის გადმოსაცემად. რაზე გავავრცო? ქანდაკება რომ შიშველი გამოჩნდეს, ლამაზ-ლამაზი სიტყვების საფარველი უნდა ჩამოვხსნათ. მაშ, ყური მიგდეთ. ნოემბრის ერთ საღამოს, იმ დღიდან ორი თუ სამი წლით ადრე, როცა ზურგსუკან ანაზდად სიცილი შემომესმა, სამეფო ხიდის გავლით შინისაკენ მივდიოდი. ღამის პირველი საათი იყო, წვრილი წვიმა ცრიდა; უამინდობას გამვლელებიც კი გაეფანტა. ის იყო, მეგობარ ქალს დავცილდი. ქალს ალბათ უკვე ეძინა. ბედნიერი ვიყავი, სისხლი საამოდ მიჩუხჩუხებდა ძარღვებში, წვიმაში სიარულიც მსიამოვნებდა. ხიდზე ვიღაც იდგა, მოაჯირზე გადახრილიყო. ეტყობა, მდინარეს უცქერდა. ახლოს რომ მივედი, ახალგაზრდა, გამხდარი ქალის სილუეტი გავარჩიე. ძაძები ეცვა. მუქი ფერის თმებსა და პალტოს საყელოს შორის ქორფა და სველი კისერი მოუჩანდა. ამ კისრის დანახვამ მეტად ამაღელვა. მაგრამ დიდხანს არ დამიხანებია, ისევ ჩემი გზა განვაგრძე. ხიდი გავიარე და სენ-მიშელის სანაპიროს დავუყევი. ბინა იქით მქონდა. მაგრამ ორმოცდაათიოდე მეტრიც არ მექნებოდა გავლილი, როცა უეცრად ხმაური შემომესმა. თუმც შორს იყო, მაგრამ მაინც მკვეთრად გაისმა ღამეულ სიჩუმეში. წყალში სხეულის ჩავარდნის ხმას ჰგავდა. ადგილზე გავშეშდი, მაგრამ უკან არ მიმიხედავს. წამიც და, ყვირილიც გავიგონე, ყვირილი რამდენჯერმე განმეორდა, მდინარის დინებას გაჰყვა და

უეცრად მიწყდა. კვლავ სიჩუმე ჩამოწვა ირგვლივ და ეს სიჩუმე დაუსრულებლად მეჩვენა. მინდოდა გავქცეულიყავ და ადგილიდან არ ვიძროდი. მგონი, სიცივისა და მღელვარებისაგან კიდევაც ვკანკალებდი. ვეუბნებოდი ჩემს თავს, წამის დაკარგვაც არ იქნება-მეთქი და ვგრძნობდი, რომ ენით უთქმელმა სისუსტემ დამრია ხელი. კარგად არც კი მახსოვს, რას ვფიქრობდი მაშინ; უთუოდ: გვიანღაა, მეტად შორსაა-მეთქი... ვიდექ უძრავად და ყურს ვუგდებდი. მერე ნელ-ნელა გავშორდი იმ ადგილს. არც არავინ გამიფრთხილებია.

ხედავთ, მოვედით. ეს ჩემი სახლია, ჩემი თავშესაფარი! ხვალ შევხვდეთ ერთმანეთს? ბატონი ბრძანდებით. სიამოვნებით წაგიყვანთ მაკერენის კუნძულზე; ზეიდერზესაც გიჩვენებთ. ხვალ, თერთმეტ საათზე „მეხიკო-სიტიში" მობრძანდით. რაო? ის ქალი? ღმერთმანი, არ ვიცი, არაფერი არ ვიცი. არც მეორე დღეს და საერთოდ იმ დღეებში გაზეთები არ წამიკითხავს.

* * *

თოჯინების სოფელია, არა? თან სილამაზეც რომ არ აკლია! მაგრამ ამ კუნძულზე სილამაზის სანახავად არ მომიყვანიხართ. ყველას შეუძლია გიჩვენოთ ეს ქუჩები, ხის ქოშები და მოჩუქურთმებული სახლები, რომელთა პარმალზედაც, მასტიკის სუნში მებადურები მშვიდად აბოლებენ თავიანთ ყალიონს. მე ერთი იმ იშვიათ კაცთაგანი ვარ, ვისაც შეუძლია ის დაგანახოთ, რაც აქ მთავარია.

ხედავთ, კაშხალსაც მივადექით. მას უნდა გავყვეთ, რომ ცოტათი მაინც გავცილდეთ ამ კოპწია სახლებს. აი, აქ ჩამოვსხდეთ, ბატონო. რას იტყვით ამ ადგილზე? განა ეს უფერულზე უფერული სურათი არაა? ხედავთ, ჩვენს მარცხნივ ნაცრის მთელი მთა აღმართულა, აქაურები სილახვავს რომ უწოდებენ; მარჯვნივაც ნაცრისფერი კაშხალია; ფეხქვეშ მსხვილი ქვიშა გვიყრია, ჩვენს წინ ზღვა გადაჭიმულა, ფერით ნარეცხ წყალს რომ გვაგონებს. თავს უკიდეგანო ზეცა დაგვყურებს, სადაც ფერმკრთალი წყლები ირეკლება. მართლაც უღიმღამო ჯოჯოხეთია! მხოლოდ ჰორიზონტალური ხაზები ჩანს, ერთი სხივიც კი არ კიაფობს; სივრცე უფერულია, ადგილი — მკვდარი. ყველაფერი წაშლილია და კაცის თვალი თითქოს არყოფნას შეიგრძნობს... აქ ვერც ძე ხორციელს ნახავთ სადმე. დიახ, კაცი არ ჭაჭანებს. მხოლოდ მე და თქვენღა დავრჩენილვართ ამ გაუბედურებულ პლანეტაზე. რაო, ცა ცოცხალია? თქვენ მართალი ხართ, ძვირფასო მეგობარო. ცა ჯერ სქელდება, მერე ირღვევა, აჩენს ჰაერთა კიბესა და ღრუბელთა კარებს რაზავს. მტრედები არიან. განა არ შეგინიშნავთ, ჰოლანდიის ცაზე მილიონობით მტრედი რომ დაფარფატებს? სანამ მაღლა არიან, თვალით არ ჩანან; ფრთების შრიალით აღმა-დაღმა დასრიალებენ და ციურ სივრცეს მონაცრისფრო ბუმბულის ტალღებით ავსებენ; ქარი ამ ბუმბულს აქეთ-იქით მიმოაქროლებს. მტრედები კი იცდიან მაღლა, მთელ წელს იცდიან, დედამიწას თავს დასტრიალებენ, მაღლიდან ზვერავენ, ძირს დაშვებას ლამობენ; მაგრამ ძირს აღარაფერია ზღვის, არხებისა და აბრებიანი სახურავების მეტი. ერთი თავიც კი არ მოიძებნება, რომ ზედ დაჯდომა შეიძლებოდეს.

ვერ ხვდებით, რისი თქმა მინდა? გამოგიტყდებით, რომ უკვე დავიღალე.

საუბრის ძაფი მიწყდება; არც ის გონების სიცხადე შემრჩა, რისთვისაც ჩემი მეგობრები ქება-დიდებას მასხამდნენ. მეგობრები-მეთქი, ამას ისე ვამბობ, თორემ მეგობრები აღარა მყავს, მხოლოდ თანამზრახველები შემრჩნენ. სამაგიეროდ, მათმა რიცხვმა იმატა. მთელი კაცობრიობა ჩემი თანამზრახველია. ეს პირველ რიგში თქვენზე ითქმის. ვინც გვერდითა გვყავს, პირველიც მუდამ ისაა ხოლმე. საიდან ვიცი, რომ მეგობრები აღარა მყავს? ეგ სულ უბრალოდ შევიტყვე. მაშინ, როცა მათ გასამასხარებლად თუ დასასჯელად თავის მოკვლა განვიზრახე. მაგრამ ვინ უნდა დამესაჯა? ზოგს გააკვირვებდა ჩემი საქციელი, მაგრამ დასჯილად თავს არავინ იგრძნობდა. მაშინ კი მივხვდი, რომ მეგობრები არა მყოლია და რომც მყოლოდა, რას მოვიგებდი? რომ შემეძლოს თავი მოვიკლა და მერე ვნახო, რა სახეს მიიღებენ, მაშინ კიდევ ჰო, ღირს თამაში. მაგრამ მიწაში ბნელა, მეგობარო, ხე და სუდარა შუქს არ ატარებს. სულის თვალებიო? კი, რა თქმა უნდა, ოღონდ, თუკი სული არსებობს და თვალებიც გააჩნია! მაგრამ ვაი, რომ ეგ დარწმუნებით არავინ იცის, არც არასოდეს სცოდნია ვისმე; თორემ რაღაც საშველი მაინც იქნებოდა, ხალხს ვაიძულებდით, ანგარიში ვაეწიათ ჩვენთვის. მათ მაშინ სჯერათ თქვენი სიმართლე, თქვენი გულწრფელობა, თქვენი გაჭირვება, როცა სული ამოგხდებათ. სანამ ცოცხალი ხართ, მუდამ ეჭვის თვალით გიცქერენ. აი, დანამდვილებით რომ იცოდეთ, სანახევრით დატკბობა გველისო, მაშინ ნამდვილად ღირს დაუმტკიცოთ ამ ხალხს ის, რისი დაჯერებაც არ უნდოდათ და მით გააოცოთ. მაგრამ დღეს მოისწრაფებთ და დაგიჯერებენ თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის? თქვენ ხომ აქ აღარ იქნებით და მათ გაოცებასა და სინანულს (თუნდაც წამიერს) ველარ იხილავთ. ვერ განახორციელებთ ყველა ჩვენგანის სანუკვარ ოცნებას, საკუთარი გასვენების ხილვით ვერ ისიამოვნებთ. ეჭვის თვალით რომ არ გიცქერდნენ, უნდა გამოესალმოთ ამ წუთისოფელს.

მაგრამ ეგებ ასე სჯობია კიდეც? თორემ მათი გულგრილობა გაგვტანჯავდა. განანებო, უთხრა ქალიშვილმა მამას, რაკი მოხუცმა ერთ პენწენიკს არ გაატანა და თავი მოიკლა. მაგრამ მამას ბევრი არაფერი უნანია. გაგიჟებით უყვარდა ანკესით თევზაობა და სამი კვირის შემდეგ კვლავ მდინარეს მიაშურა; „გულის გადასაყოლებლადო“, როგორც თავად იტყოდა ხოლმე. ანგარიშში არც შემცდარა, გული მართლაც გადააყოლა. მართალი თუ გნებავთ, სხვაგვარად რომ მომხდარიყო, გასაკვირი ის იქნებოდა. ზოგი ფიქრობს, თავს მოვიკლავ და ცოლს დავსჯიო, სინამდვილეში კი ქალს თავისუფლებას ანიჭებს. სჯობს, ველარაფერი დაინახონ ჩვენმა თვალებმა და ველარც ის გავიგონოთ, ჩვენს თვითმკვლელობას რა მიზეზს აბრალებენ. თითქოს მესმის კიდეც მათი ნათქვამი: თავი იმიტომ მოიკლა, რომ ესა და ეს ვერ აიტანაო. ეჰ, მეგობარო, რა გონებაშეზღუდულნი არიან ადამიანები. ყოველთვის ჰგონიათ, რომ კაცი თავს მარტო ერთი რამის გულისთვის იკლავს. განა არ შეიძლება თავს ორი, ან სამი რამის გამო იკლავდე? არა, ეს წუთითაც არ მოუვათ ფიქრად. მაშ, რატომღა გამოვეთხოვოთ სიცოცხლეს ჩვენი ნებით, რად შევეწიროთ იმ აზრს, რომელიც ჩვენს შესახებ გვინდა გამოუმუშავდეთ? როცა დავიხოცებით, ჩვენი სიკვდილით ისარგებლებენ და ჩვენს საქციელს რაღაც სულელურ საბაბს გამოუნახავენ. წმინდა მოწამეთ, ძვირფასო მეგობარო, ან დავიწყების მტვერი ფარავთ, ან დაცინვა, ან მათი სახელის ბოროტად გამოყენება უწერიათ: გაგების იმედი კი თავის დღეში არ უნდა ჰქონდეთ.

თან გამოტეხილად უნდა გითხრათ და, მიყვარს სიცოცხლე. ვერ დავფარავ, ეს ჩემი ნაკლია. სიცოცხლე ისე მიყვარს, რომ მის გარდა არაფრის წარმოდგენა არ შემიძლია. ასეთ სიხარბეს რაღაც პლებეურიც ახლავს, არა? არისტოკრატია თავის თავსა და თავის სიცოცხლესაც თითქოს გარედან უცქერის. თუ საჭიროა, კვდებიან კიდეც: გადახრას გადატყდომას ამჯობინებენ. მე კი ადვილად ვიხრები: ვიხრები, რადგან ჩემი თავის სიყვარული ვერ დამითმია. იმ ამბის შემდეგ, გუშინ რომ გიამბეთ, თქვენის აზრით, რა მომივიდა? თავი შემზიზღდა? ნურას უკაცრავად, ზიზღს სხვები მგვრიდნენ. ცხადია, ვიცოდი რა ნაკლიც მჭირდა და ვწუხდი კიდეც, მაგრამ სანაქებო სიჯიუტით ვცდილობდი ყველაფრის დავიწყებას, სხვათა მიმართ კი მკაცრი ვიყავ, არავითარ შეცოდებას არ ვაპატიებდი. გიკვირთ, განა? იქნება ფიქრობთ, ეს საღაური ლოგიკაა. მაგრამ ლოგიკას ვინ დაეძებდა. მთავარია, ხელიდან დაუძვრე, დიახ, მთავარია, მსჯავრი აიცდინო თავიდან. სასჯელი აიცდინო-მეთქი, როდი ვამბობ; სასჯელი მსჯავრის გარეშე ადვილი ასატანია. მას სახელად უბედურება ჰქვია, რაც ჩვენს უცოდველობას ამტკიცებს. მთავარია, მსჯავრი აიცილო თავიდან, რომ სამუდამოდ მსჯავრდებული არ დარჩე და განაჩენიც არ გამოგიტანონ არასოდეს.

მაგრამ ეს მთლად ადვილი როდია. დღეს მსჯავრის დასადებად, ისევე, როგორც მრუშობისათვის, მუდამ მზადა ვართ. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ აქ მარცხისა არ გვეშინია. თუ ეჭვი გეპარებათ, ყური მიუგდეთ, რას ლაპარაკობენ სუფრასთან ზაფხულობით საგარაკო სასტუმროებში, სადაც ჩვენი გულმოწყალე თანამემამულენი თავიანთ მოწყენილობას მკურნალობენ. თუ კვლავაც ვერ გამოგიტანიათ საბოლოო დასკვნა, წაიკითხეთ ჩვენს დიდ თანამედროვეთა ნაწერები, ანდა დააკვირდით თქვენი საკუთარი ოჯახის წევრებს. გარეშუნებთ, გაოცებული დარჩებით. ძვირფასო მეგობარო, ჩვენი განსჯის ოტარსოდენა საბაბსაც ნურავის მივცემთ, თორემ ნაკუწ-ნაკუწად გვაქცევენ. იგივე სიფრთხილე გვმართებს, რაც ნადირთ მომთვინიერებელს. თუ გალიაში შესვლამდე სამართებლით თითი გაეჭრა, ნადირთა ლუკმად იქცევა. მე ეს ერთბაშად გავიგე იმ დღეს, როცა ეჭვი შემეპარა, იქნებ მთლად უზადოც არა ვარ-მეთქი. მას შემდეგ იყო, რომ უნდობლობა დამჩემდა. რაკი ცოტა სისხლი მდიოდა, წასული იყო ჩემი საქმე: მთლად გადამსანსლავდნენ.

ჩემი ურთიერთობა თანამედროვეებთან გარეგნულად არ შეცვლილა, მაგრამ ცოტა დაძაბული კი გახდა. ჩემი მეგობრები არ შეცვლილან. ყოველთვის თუკი შესაძლებლობა მიეცემოდათ, მიქებდნენ თავდაჭერასა და შენს სიახლოვეს გული მუდამ საგულესა გვაქვსო, მეუბნებოდნენ. მაგრამ მე მხოლოდ ჩემს სულში დაბუდებულ წინააღმდეგობებსა და უწესრიგობას ვაქცევდი ყურადღებას. თავს დაჯავშნულად ვეღარა ვგრძნობდი და ვფიქრობდი, რომ საზოგადოებრივი მსჯავრისაგან ვეღარაფერი დამიფარავდა. გარს ვინც მერტყა, ჩვეულ, მოკრძალებულ მსმენელთ კრებულად ალარ მიმაჩნდა. წრე, რომლის ცენტრიც მე ვიყავი, ერთბაშად დაიმსხვრა და ისინი ჩემს წინ ერთ რიგად ჩამწკრივდნენ, როგორც სასამართლოში. იმ წუთიდან, როდესაც შიშმა შემიპყრო, ვაითუ ჩემშიაც არის-მეთქი რამე დასაძრახისი, მივხვდი, რომ მათ მსჯავრის დადების დაუოკებელი წყურვილი ჰკლავდათ. დიახ, წინანდებურად ჩემთან იყვნენ, მაგრამ დამცინოდნენ: ან უკეთ რომ ვთქვა, მეჩვენებოდა, რომ ყველა, ვისაც კი იმხანად ვხვდებოდი, გულში დამცინოდა. ისეთი გრძნობა

ამეკვიატა, თითქოს გამუდმებით კვანტს მიდებდნენ. რამდენჯერმე კიდეც წავიბორძიკე, როცა ხალხმრავალ დაწესებულებაში შევდიოდი. ერთხელ ფატაზედაც გავიშხლართე. ჩემისთანა კარტეზიანელი ფრანგი გონს ძალე მოვებბოდა და ამ ამბავს ერთადერთ გონივრულ ღვთაებას — შემთხვევითობას მიაწერდა, მაგრამ მე უნდობლობა ვერ იქნა და ვერ გადავიგდე გულიდან.

რაკი სულ გადარაჯებული ვიყავ, ადვილად მივხვდი, რომ თურმე მტრებიც მყოლია. მმტრობდნენ სასამართლოსა და ადვოკატთა წრეშიაც და მაღალ საზოგადოებაშიაც. ზოგი იმიტომ მომერჩოდა, რომ დავალებული მყავდა, ზოგიც იმას მემართლებოდა, ჩემს მიმართ სათანადო ყურადღება არ გამოუჩენიაო. ამაში არაფერი იყო გასაკვირი და მაინცდამაინც არცა მწყენია. სამაგიეროდ ჩემთვის უფრო სამწუხარო და ძნელი ასატანი შეიქნა ფიქრი, რომ იმ ხალხშიაც მყავდა მტრები, ვისგანაც შორს ვიყავ, ანდა სულაც არ ვიცნობდი. ცოტა გულუბრყვილო კაცი ვარ, ამას თქვენც შემნიშნავდით და ისე მეოცნებებოდა, რომ ისინი, ვინც არ მიცნობდნენ, უეჭველად შემიყვარებდნენ, თუკი ჩემი გაცნობის საშუალება მიეცემოდათ. ნურას უკაცრავად! ყველაზე უფრო მტრულად ისინი მიცქეროდნენ, ვინც მხოლოდ შორიდან მიცნობდა და ვისთანაც ახლო ურთიერთობა ჩემს დღეში არა მქონია. უთუოდ ფიქრობდნენ, სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს. ბედნიერი კაციაო. ამას კი არავინ გაპატიებთ. ბედის მაღლიერი კაცის იერი თუ გაქვთ, ვირები ცოფდებიან. ამას ისიც დაურთეთ, რომ ჩემი ცხოვრება მართლაც პირთამდე სავსე იყო, დრო ცოტა მქონდა და ამიტომ თუმც ბევრი ცდილობდა დამმახლოვებოდა, ეს ცდა ხშირად უყურადღებოდ დამიტოვებია. იმავ მიზეზების გამო ჩემი საქციელიც უმალვე მავიწყდებოდა. მაგრამ იმათ, ვისაც სისხლსავსე ცხოვრება არა ჰქონდა, და ჩემთან დაახლოებას ლამობდა, ჩემი უარი არ ავიწყდებოდათ და წყენას გულში იხვეეცდნენ.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მაგალითისთვის ერთიც გვეყოფა: ქალებთან ყოფნა მეტად ძვირი მიჯდებოდა. ის დრო, რომელსაც მათ ვწირავდი, მამაკაცებისათვის არ შემეძლო დამეთმო და ამას ყოველთვის როდი მაპატიებდნენ ხოლმე. როგორ მოევლებოდა ამ სატკივარს? ბედნიერებასა და წარმატებას არავინ გაპატიებს, თუ მათ დიდსულოვნად სხვებსაც არ უწილადებთ. მაგრამ ბედნიერი რომ იყოთ, სხვებისათვის მაინცდამაინც არ უნდა აიტკივოთ თავი. მაშ, საშველიც არა ყოფილა: ან ბედნიერი და განკიცხული უნდა იყო, ან უდანაშაულო და საცოდავი. მე მაინც მთლად უსამართლოდ მექცეოდნენ: წარსული ბედნიერებისათვის მდებდნენ ბრალს. დიდხანს მეგონა, იოგვლიე სრული თანხმობა სუფევს-მეთქი, და არ კი ვიცოდი, რომ დაბნეულსა და მომღიმარს ყოველი მხრიდან მსჯავრმდებელთა ისრები და დაცინვა მაწვიმდა. იმ დღიდან კი, როცა გამოვფხიზლდი, თვალი ამეხილა, ყველა ჭრილობა ერთბაშად ვიგრძენი და დავუძლურდი. მთელი სამყარო ახარხარდა ჩემს იოგვლიე.

აი, რისი ატანა არ ძალუძს არც ერთ ადამიანს (თუკი, რა თქმა უნდა, ბრძენი არაა და ცხოვრებას არ განდგომია). მარტო გაბოროტება თუ გიშველის. ამიტომ ყველა იჩქარის, სხვა გაიცხოს, რომ თავად განუსჯელი დარჩეს. რას იზამ? ყველაზე უფრო ბუნებრივი აზრი, კაცს გულუბრყვილოდ რომ ებადება, საკუთარი უმანკოების გრძნობაა. ამ მხრივ ყველანი იმ პატარა ფრანგსა ვგავართ, ბუჰენვალდში რომ მოხვდა და ჯიუტად ცდილობდა მასავით პატიმარი გადამწერისათვის, ვინც ახალმოსულთა სიას ადგენდა, საჩივარი გადაეცა.

საჩივარია? მწერალსა და მის ამხანაგებს სიცილი აუტყდათ: „აზრი არა აქვს, ძმაო. აქ არა ჩივიან“. „კი მაგრამ, ბატონო, — არ ცხრებოდა ის ფრანგი, — ჩემი ამბავი გამონაკლისია. მე უდანაშაულო ვარ!“

ყველანი გამონაკლისები ვართ. ყველას რაღაცის გასაჩივრება სურს! ყველას სწადია, უცოდველად ჩათვალონ, რადაც უნდა დაუჯდეს, თუნდაც ამისთვის ცისა და მიწის დადანაშაულება მოუხდეთ. კაცს მაინცდამაინც ვერ აამებთ, თუკი შეუქებთ იმ მოთმინებას, რომლის წყალობითაც ჭკვიანი ან სულგრძელი შეიქნა. მაგრამ უდიდეს ნეტარებას მოგვრით, თუკი მის თანდაყოლილ დიდსულოვნებას შეასხამთ ხოტბას. თუ ბოროტმოქმედს ეტყვით, შენი დანაშაული შენი ბუნებისა და ხასიათისაგან კი არ გამომდინარეობს, არამედ უბედურ გარემოებათა ბრალიაო, ამით სამუდამოდ მოიმადლიერებთ. როცა დასაცავ სიტყვას იტყვით, ცრემლი სწორედ მაშინ დაუნამავს თვალებს. თუმცა დიდი არაფერი დამსახურებაა დაბადებით ჭკვიანი და პატიოსანი იყო და არც ნაკლები პასუხისმგებლობა მოგეთხოვება, თუ ბუნებით კი არა და, გარემოებათა წყალობით ხარ დამნაშავე. მაგრამ ამ გაიძვერებს პატიება, ესე იგი, პასუხისმგებლობის თავიდან აცილება სწადიათ და თავის გასამართლებლად ხან თავიანთ ხასიათს, ხან დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებებს იმოწმებენ, თუნდაც აქ თავი ბოლოს არ ებმოდეს. მათთვის მთავარია, უდანაშაულონი იყვნენ, რომ მათ ბუნებრივ სიქველეში ეჭვი არავის შეეპაროს, რომ მათი შეცოდებანი გარემოებათ დაბრალდეს და დროებით უბედურებად ჩათვალოს. აკი გითხარით, მთავარია, კაცი მსჯავრს დაუძვრეს-მეთქი და რაკი ერთობ ძნელია აიძულო ხალხს კიდევაც მოგიწონოს და კიდევაც მოგიტევოს, ამიტომ, ყველა ცდილობს მდიდარი იყოს. რატომ? გიფიქრიათ ამაზე? იმიტომ, რომ ძალაუფლება იგდონ ხელში. დიახ, მაგრამ კიდევ იმიტომ, რომ მდიდარ კაცს მსჯავრს ეგრეროგად ვერავინ დასდებს. სიმდიდრე გაშორებთ მეტროში თავშეყრილ ბრბოსა და გაკრიალებულ მანქანაში გსვამთ, ვრცელ, ქვეყნის ყაყანს მოცილებულ პარკებში, საწოლ ვაგონებსა და მდიდრულ კაბინეტებში განმარტოების ნებას გაძლევთ. სიმდიდრე, ძვირფასო მეგობარო, სრული გამართლება როდია, მაგრამ სასჯელის გადავადება გახლავთ და ამაზედაც მადლობას ვიყოთ.

რაც მთავარია, ნურასოდეს ენდობით თქვენს მეგობრებს, როცა გთხოვენ, გული გადაგვიშალეთო. ისინი მხოლოდ იმას იმედოვნებენ, რომ განუმტკიცებთ იმ კეთილ რწმენას, საკუთარ თავზე რომა აქვთ და საამისოდ კიდევ ზედმეტ საბუთს მისცემთ, რაკი გულის კარს გაუღებთ. გულწრფელობა მეგობრობის პირობა როგორ იქნება? სიმართლის სიყვარული ხომ ის გრძნობაა, რომელიც არაფერს ინდობს და რომელსაც ვერაფერი გაუძლებს? ეს ან მანკიერია, ან ეგოიზმი, ან ფუფუნება. თუ მეგობარი შემოგიჩნდათ, ყოყმანს ნუ დაიწყებთ: გულწრფელობა აღუთქვით და რაც შეიძლება უკეთ იცრუეთ. ამით მას სანუკვარ სურვილსაც შეუსრულებთ და თქვენს სიყვარულსაც ორმაგად დაუმტკიცებთ.

უთუოდ მოგეხსენებათ, რომ იმათ, ვინც ჩვენა გვჯობია, იშვიათად გავენდობით ხოლმე. მათთან ყოფნას ხშირად გავურბივართ კიდეც. და პირქით, უმეტეს შემთხვევაში აღსარებას იმათ ვეუბნებით, ვინც ჩვენი მსგავსია და ჩვენი ნაკლიცა სჭირს. მაშასადამე, გამოსწორება კი არ გვწყურია, გვინდა ჩვენი განსჯისას ჩვენი სისუსტეც გაითვალისწინონ. მხოლოდ იმასა ვნატრობთ,

შეგვიბრალონ, გაგვამხნევონ და გზა დაგვილოცონ. ერთი სიტყვით, გვინდა, არც დამნაშავეები ვიყოთ და არც იმაზე ფიქრით ავიტკიოთ თავი, ნეტა როგორ გამოვსწორდეთო. არც საკმარისი ცინიზმი გვაქვს და არც საკმარისი სიქველე. ღმერთს ჩვენთვის არც ავის ჩადენის თავი მოუცია და არც კარგისა. დანტე თუ წაგიკითხავთ? მართლა? დასწყევლოს ეშმაკმა! მაშ, ისიც გეცოდინებათ, რომ დანტე ფიქრობს, ანგელოზები ღვთისა და სატანის ბრძოლაში შეიძლება სულაც არ მონაწილეობდნენო და მათ ლიმბში ათავსებს, თავის ჯოჯოხეთის დერეფანში. ჩვენც დერეფანში ვართ, ძვირფასო მეგობარო.

მოთმინება ვიქონიო? მართალსა ბრძანებთ. მოთმინებით უნდა დაველოდოთ განკითხვის დღეს. მაგრამ, ვაი რომ, ძალზე გვეჩქარება. ისე გვეჩქარება, რომ იძულებული ვარ, მონანიე მსაჯულად ვიქცე. თუმცა ჯერ უნდა შევგუებოდი ჩემს აღმოჩენებსა და შევრიგებოდი ჩემს თანამედროვეთა სიცილს. იმ საღამოს შემდეგ კი, რაც საპასუხოდ მიხმეს (აკი ნამდვილად მიხმეს!), უნდა მეპასუხა, ანდა პასუხი მაინც მეძებნა ამ კითხვაზე. ეს კი იოლი როდი იყო. დიდხანს უგზო-უკვლოდ ვიხეტიალე. მაგრამ ამ გამუდმებულმა დაცინვამ თვალი ამიხილა, ჩემს სულში ჩამახედა და აშკარად დამანახვა, რომ არც ისე მარტივი ვიყავი. ნუ იღიმებით, ეს ჭეშმარიტება არც ისე უბრალოა, როგორიც გვგონია. უპირველეს ჭეშმარიტებას ხომ იმას ვუწოდებთ, რომელსაც ყველაზე ბოლოს აღმოვაჩენთ ხოლმე.

ასე თუ ისე, ჩემს თავს გულდაგულ რომ ჩავუკვირდი, კაცთა მოდგმის ღრმა ორპირობა აღმოვაჩინე. ჩემი მეხსიერება კარგად გადავქექე და მაშინლა მივხვდი, რომ ჩემი მოკრძალებულობის გამო ვბრწყინავდი, ჩემს თავმდაბლობას გამარჯვება მოჰქონდა ჩემთვის, სათნოება კი მშველოდა სხვების ჩაცვრაში. სამშვიდობო იარაღით ხელში ვომობდი, უანგარობას ვჩემულობდი და ყველაფერს კი ვღებულობდი, რასაც ვნატრობდი. ასე მაგალითად, არასდროს დამიჩივლია, ჩემი დაბადების დღე თუ დაავიწყდებოდა ვინმეს. უკვირდათ კიდეც ჩემი თავმდაბლობა ამ საკითხში და ჩემით აღტაცებაში მოდიოდნენ. მაგრამ ჩემი უანგარობის მიზეზი არ იცოდნენ: მინდოდა ყველას დავვიწყებოდი, რომ მერე ჩემივ თავისთვის შემეჩივლა. ჩემი დაბადების დღიდან რამდენიმე ხნით ადრე უკვე გადარაჯებული ვიყავ, ვცდილობდი, არაფერი ჩამედინა ისეთი, რაც ჩემიანებს აძ თარიღს გაახსენებდა. მათი გულმავიწყობის იმედი მქონდა და ერთ დღეს საოჯახო კალენდარში რიცხვების გადაადგილებაც კი განვიზრახე. როცა დავრწმუნდებოდი, რომ ყველამ მიმატოვა, შემეძლო ეაქაცური სევდისთვის მიმეცა თავი და მით დავბრკალიყავ.

მოკლედ, ყველა ჩემს ღირსებას ასეთი არასახარბიელო საჩუქული ჰქონდა. მაგრამ ამ ნაკლთა უმრავლესობა ჩემს სასიკეთოდ შემობრუნდებოდა ხოლმე. რაკი იძულებული ვიყავ დამემალა ჩემი ცხოვრების მანკიერი მხარეები, ცოტა უკარება გავხდი და ამასაც კეთილშობილებაში მართმევდნენ. ჩემი გულცივობის გამო ბევრს შევუყვარდი, ჩემი ეგოიზმი უმეტეს შემთხვევაში ჩემს დიდსულოვნებაში გამოსჭვივოდა. მაგრამ ამაზე შევჩერდეთ. მეტისმეტი გულმოდგინება ჩემს მტკიცებას დამაჯერებლობას მოაკლებს. თავს ლაგამს ვდებდი და მაინც, ჩემს დღეში არ მითქვამს უარი შემოთავაზებულ ჭიქაზე, ან ქალზე, რომელიც მომწონდა! დაუცხრომელ, აქტიურ კაცადა მთვლიდნენ და ჩემი საუფლო საწოლი გახლდათ. სულ პატიოსნება მეკერა პირზე, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი სულიერი, რომ მყვარებოდეს და მერე არ მელალატოს.

ცხადია, ეს დალატი ერთგულებაში ხელს არ მიშლიდა, დაუდევრობის წყალობით დიდძალ სამუშაოს ვასრულებდი და მოყვასსაც მუდამ ვეხმარებოდი, რადგან ეს თავადაც სიამეს მგვრიდა. მაგრამ ტყუილად გიმტკიცებდი თავს, ამეებში მაინცდამაინც დიდ ნუგეშს ვერა ვპოვებდი. ხანდახან, დილით, დიდ ძიებასა და გამოჩხრეკას რომ დავიწყებდი, იმ დასკვნამდე მივდიოდი, ყველაზე მეტად ზიზღი მისწავლია-მეთქი. თანაც ყველაზე მეტად ისინი მძაგდა, ვისაც ყველაზე ხშირად ვეხმარებოდი. თავაზიანად, მღელვარებით ვუთანაგრძნობდი ყველა შემხვედრ ბრმას, სინამდვილეში კი ყველას სახეში ვაფურთხებდი.

გულწრფელად რომ ითქვას, აქვს ამას რაიმე გამართლება? აქვს ერთი, მაგრამ იმდენად უმნიშვნელო გახლავთ, რომ მეუხერხულება კიდეც მისი მოხმობა. მაინც ვეტყვით: ჩემს დღეში არ მიფიქრია, რომ ადამიანთა საქმეები საგულისხმო რამ ყოფილიყო. სერიოზულობა სად იყო, წარმოდგენა არა მქონდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ყოველივე იმაში, რასაც ვხედავდი, სერიოზულობის ნატამალიც კი არ ერია. ყველაფერი თავშესაქცევ, ანდა გულისგამაწყალებელ თამაშობად მეჩვენებოდა. ქვეყნად ბევრი მისწრაფება და შეხედულებაა ისეთი, რომელთაც მე ვერაფერი გავუგე. მუდამ ეჭვის თვალითა და გაოცებით ვუცქეროდი იმ უცნაურ ადამიანებს, ვინც თავს იკლავდნენ ფულის გულისათვის, სასოწარკვეთილებაში ცვიოდნენ „მდგომარეობის" დაკარგვის გამო, ანდა დიდის ამბით ეწირებოდნენ ოჯახის კეთილდღეობას. მე უკეთ მესმოდა ერთი ჩემი მეგობრისა, ვინც გადაწყვიტა, პაპიროსის წევას გადაჩვეოდა და იმდენს ეცადა, რომ საწადელს ეწია კიდეც; მაგრამ ერთ დილით, როცა გაზეთი გახსნა და წაიკითხა, წყალბადის პირველი ბომბი ააფეთქესო, წარმოიდგინა რა საუცხოო შედეგები მოჰყვებოდა ამ ამბავსა და მყისვე თამბაქოს ფარდულს მიაშურა.

ცხადია, ხანდახან თავი ისე მეჭირა, თითქოს ცხოვრებას საღი თვალით ვუცქეროდი; მაგრამ ძალიან ჩქარა ამ საქმის ფუქსავატობა მეცემოდა თვალში და მარტო იმასღა ვცდილობდი, რაც შეიძლება უკეთ შემესრულებინა ჩემი როლი. თავს ყველას საქმიან, ჭკვიან, სათნო, აღშფოთებულ, ლმობიერ, მამულიშვილური გრძნობით ანთებულ, სანიმუშო, გულმოწყალე კაცად ვაჩვენებდი... მეტს ალარ გავაგრძელებ. ისედაც მიხვდებით, რომ ამ ჰოლანდიელებსა ვგავდი, თითქოს კიდევაც რომ არიან აქ და არც არიან. მეც სწორედ მაშინ არ ვიყავი ადგილზე, როცა ყველაზე მეტი ადგილი მეკავა. ნამდვილად გულწრფელი და გატაცებული მხოლოდ სპორტში ვიყავ და კიდევ ჯარში ყოფნისას, როცა თავშესაქცევად გამართულ პიესებში ვმონაწილეობდი. ორსავ შემთხვევაში თამაშის წესი გვქონდა, რომელსაც სერიოზულობისა არა ეცხო რა, მაგრამ ჩვენ დაკანონებულად მივიჩნევდით და მით ვერთობოდით. ახლაც კი, საკვირაო მატჩების დროს ხალხით გაჭედილი სტადიონი და თეატრი, მუდამ თავდავიწყებით რომ მიყვარდა, ერთადერთი ადგილებია ქვეყნად. სადაც თავს უდანაშაულოდ ვგრძნობ.

მაგრამ ასეთ დამოკიდებულებას კანონიერად ვინ ჩაგითვლის, როცა საქმე სიყვარულს, სიკვდილს, ან უბედურთა ხელფასს ეხება? მაშ, რა მექნა? იზოლდას სიყვარული მხოლოდ რომანებში და სცენაზე მქონდა წარმოდგენილი. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ მომაკვდავნიც კი თავიანთი როლით იყვნენ გატაცებულნი. მეჩვენებოდა, რომ ჩემი ღარიბი მთხოვნელების სიტყვებიც ამავე ქარგაზე იყო ნაქარგი. მას შემდეგ, რაც კაცთა შორის ვცხოვრობდი და

მათებრი სურვილები არ გამაჩნდა, აღარ შემეძლო სერიოზულად მიმეღო ის ვალდებულებანი, რომელთაც ვკისრულობდი. იმდენი ზრდილობა კი მქონდა, რომ სამსახურში, ოჯახსა და მოქალაქეობრივ ცხოვრებაში ხალხს როგორც საჭიროდ მიაჩნდა, ისეთად ვჩვენებოდი, ოღონდ ამას ისე უგულოდ ჩავდიოდი, რომ იოტისოდენა მადლიც კი აღარა ჰქონდა. მთელი სიცოცხლე ჭოჭმანში გავატარე და ჩემი ყველაზე კეთილშობილური ნამოქმედარიც ხშირად ის იყო, დიდ გარჯად რომ არ დამჯდომია. თან ჩემს სისულელეებს ისიც ემატებოდა, რომ ეს ვერაფრით მეპატიებინა ჩემი თავისათვის: თუმცა სინდისის მხილებასა და ხალხის მსჯავრს გააფთრებით ვეწინააღმდეგებოდი და ვცდილობდი რომელიმე მეპოვა გამოსავალი.

კარგა ხანს ჩემი ცხოვრება გარეგნულად იგივე დარჩა, თითქოს არაფერი შეცვლილიყოს. ლიანდაგზე ვიდექ და მივრახრახებდი. თითქოს განზრახ, უფრო მეტად მაქებდნენ ნაცნობ-მეგობრები: უბედურებაც სწორედ ამის გამო დამატყდა თავს. ხომ გახსოვთ: „ვაი თქვენდა, თუკი ყველანი ქებას დაგიწყებენ“. ოქროს სიტყვებია! მართლაც რომ ვაი ჩემდა! მანქანამ ჭირვეულობა დაიწყო, ხშირად უმიზეზოდ ჩერდებოდა.

სწორედ ამ დროს შემოიჭრა ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებაში სიკვდილზე ფიქრიც. ვითვლიდი, რამდენი წლის სიცოცხლელა მქონდა დარჩენილი. ვიხსენებდი ჩემი ხნის ადამიანებს, რომლებიც უკვე დახოცილიყვნენ და მტანჯავდა ფიქრი იმისა, რომ ვერ მოვასწრებდი ჩემი ამოცანის შესრულებას. რა ამოცანის? თვითონაც არ ვიცოდი. გულწრფელად რომ ითქვას, განა ღირდა რასაც ვაკეთებდი, იმეების გაგრძელება? მაგრამ ეს როდი იყო თავი და თავი. სასაცილო შიში მოსვენებას არ მაძლევდა: ვაითუ ისე მოვკვდე, რომ მთელი ჩემი სიცრუე ვერ ვაღიარო-მეთქი. ღმერთისა და მისი მოციქულების წინაშე კი არა, გჯერათ უთუოდ, რომ მე ამეებზე მაღლა ვიდექი, მსურდა კაცისათვის მეთქვა აღსარება, მეგობრისათვის, ან თუნდაც საყვარელი ქალისათვის. თორემ ერთი სიცრუეც რომ დაფაროს კაცმა, მოკვდება და ველარავინ შეიტყობს სიმართლეს. ვერ შეიტყობს, რადგან ერთადერთმა კაცმა, ვინც ეს სიმართლე იცოდა, იგი საფლავში ჩაიტანა. სიმართლის ასე საუკუნოდ მოშთობა სისხლს მიყინავდა ძარღვებში. დღეს კი, გამოგიტყდებით, ამგვარი რამ დიდ სიამოვნებას მომგვრიდა. მაგალითად, ის აზრი, რომ მარტო მე ვიცი, რისი ცოდნაც ყველასა სწყურია და მაქვს ისეთი რამ, რასაც ამაოდ დაეძებს სამი პოლიცია, ჭეშმარიტად უდიდეს ნეტარებას მგვრის. მაგრამ თავი დავანებოთ ამას. იმხანად წამალი ნაპოვნი არა მქონდა და საშინლად ვიტანჯებოდი.

ბევრჯერ შევუძახე თავს. ვფიქრობდი. აბა, რა მნიშვნელობა აქვს ერთი კაცის სიცრუეს თაობათა ისტორიაში, ან რა უზომო კისრად ღებულა გსურდეს დღის სინათლეზე გამოიტანო ერთი საცოდავი სიცრუე, რომელიც ისეა ჩაკარგული საუკუნეთა ოკეანეში, როგორც ზღვაში მარილის მარცვალი-მეთქი. ჩემს თავს იმასაც ვეუბნებოდი, რომ ხორციელი სიკვდილი, თუკი იმისდა მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც თავად მინახავს, უკვე საკმარისი სასჯელი იყო და ყოველგვარ ცოდვასაც მოგვიტევებდა. იმ ჭირის ოფლით, სულის ხდომისას რომ სდის, მომაკვდავი ხსნას (ესე იგი, სამუდამოდ გაქრობის უფლებას) მოიპოვებს-მეთქი, ვფიქრობდი გულში, მაგრამ უგუნებობა ვერ იქნა და ვერ მოვიცილე თავიდან. სიკვდილი ერთგულ დარაჯად მეჯდა სასთუმალთან, თუ ავდგებოდი, ისიც ამყვებოდა და გარეშეთა ქება-დიდება ჩემთვის სულ უფრო

და უფრო აუტანელი ხდებოდა. მეჩვენებოდა, რომ ამ ქებასთან ერთად იზრდებოდა ჩემი სიცრუეც, იზრდებოდა უსაშველოდ და აწი ვეღარასოდეს შევძლებდი მის დათრგუნვას.

ბოლოს ისეთი დღეც დამიდგა, რომ ვეღარ გავუძელი. მაგრამ რა უნდა მომემოქმედებინა, ჯერ კარგად არც კი ვიცოდი. რაკი მატყუარა ვიყავ, საქვეყნოდ უნდა მეღიარებინა ეს ამბავი. იმ ტუტუცებისათვის პირში უნდა მიმეხალა ჩემი ორპირობა, სანამ თვითონ შემამჩნევდნენ. სიმართლე მიწვევდა და მეც მზად ვიყავი მიმეღო ეს გამოწვევა. დაცინვა რომ ამეცილებინა თავიდან, ქვეყანას თვითონ ვუვარდებოდი ყბაში. აქაც მინდოდა, მსჯავრს გავქცეოდი. ვცდილობდი, დამცინავნი ჩემკენ გადმომებირებინა, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, თვითონ გადავსულიყავი მათ მხარეს. ერთხელ ისიც კი ვიფიქრე, მოდი, ბრმებს ხელსა ვკრავ ქუჩაში-მეთქი და იმ მოულოდნელი და ყრუ სიხარულით, რომელიც ვიგრძენი, მივხვდი, გულის სიღრმეში რა ზომამდე მძულებია ისინი. ხეიბართა პაწია მანქანების საბურავების გახვრეტაც მეწადა: მინდოდა ხარაჩოებთან მივსულიყავ და მუშებისთვის შემეგინებინა, ან არა და, მეტროში ჩვილი ბავშვისთვის სილა გამეწნა. ამეებზე მხოლოდ ვოცნებობდი, სინამდვილეში კი ვერაფერი ჩავიდინე, ანდა თუ ჩავიდინე რამე ამის მსგავსი, გადამავიწყდა. როგორც არ უნდა იყოს, სიტყვა სიმართლე საშინლად მაცოფებდა. იძულებული ვიყავ, ეს სიტყვა კვლავ მეხმარა სასამართლოში გამოსვლისას, მაგრამ შურს ვიძიებდი და საჯაროდ ვწყევლიდი კაცთმოყვარეობას. ვიქადდი, მალე მანიფესტს გამოვაქვეყნებ, სადაც მსურს ვამხილო, რომ ჩაგრულები აქეთ ჩაგრავენ-მეთქი პატიოსან ხალხს. ერთ დღეს, როცა რესტორნის ტერასაზე ლანგუსტებს შევექცეოდი, მათხოვარი შემომიჩნდა. სასადილოს პატრონს ვუხმე, ვთხოვე, ეს კაცი კარში გააგდეთ-მეთქი და ამ მოსარჩლის სიტყვებს ტაშის ცემით შევხვდი. „ხომ ხედავთ, ყველას აწუხებთ: აბა, ამ ხალხის ადგილას წარმოიდგინეთ თავი!“ — ამბობდა იგი. ყველას ვუამბობდი, ვისაც სმენა არ ეზარებოდა, ძალიან ვწუხვარ, რომ არ შემიძლია ისე მოქცევა, როგორც ის რუსი მებატონე იქცეოდა, რომლის ხასიათსაც ალტაცებაში მოვყავარ-მეთქი. და დავძენდი: „ის კაცი იმ გლეხებსაც აროზგვინებდა, ვინც მისალმებას გაუბედავდა და იმათაც, ვინც შეხვედრისას თავს არ დაუკრავდა. თან დააყოლებდა, ერთთაც და მეორეთაც კადნიერებისათვის ვსჯიო“.

მაგრამ ეს რაა, უფრო შორსაც კი წავედი. წერას მივყავ ხელი. მინდოდა დამეწერა „ოდა პოლიციისადმი“, ანდა „გილოტინის აპოთეოზი“. და რაც მთავარია, იმ კაფეებს მივეტანე, სადაც ჩვენი ცნობილი ჰუმანისტები იყრიან თავს. ჩემმა წარსულმა ცხოვრებამ, ცხადია, იქაც ფართოდ გაიღო კარი. აქ კი მოვყვებოდი ლანძღვა-გინებას: „მადლობა ღმერთს!“, ანდა „ღმერთო ჩემო...“ ვამბობდი თითქოსდა უნებურად. მეოდა ხომ იცით, ჩვენი კაფეების ათეისტები რა მორცხვი ღვთისმოსავებიც არიან. ასეთი მკრეხელობის ვაგონებისას წამით განცვიფრება იპყრობდა ყველას, ერთმანეთს გადახედავდნენ: მერე ტყდებოდა აურზაური, ერთნი კაფედან გარბოდნენ, მეორენი ალმფოთებით აყაყანდებოდნენ და ერთმანეთის ნათქვამს ყურს აღარ უგდებდნენ. ყველას კრუნჩხვები ემართებოდა: ისე იგრიხებოდნენ, როგორც ეშმაკი, ნაკურთხ წყალს რომ გადაასხამენ.

თქვენ ეს გულუბრყვილობად მოგეჩვენებათ. მაგრამ ამ ხუმრობას შეიძლება უფრო დიდი მიზეზიცა ჰქონდა. მინდოდა მათი თამაში ამერია და, რაც

მთავარია, შემებღალა ჩემი სანაქებო სახელი, აგრერიგად რომ მაცოფებდა. „თქვენისთანა კაციო“, მეტყოდნენ მოწიწებითა და მე ვფითრდებოდი. ჩემთვის დაც არ მიჩნდა მათი პატივისცემა, რადგან ის საყოველთაო არ იყო; ანდა ეს საყოველთაო როგორ იქნებოდა, როცა თავად მე არ ვიზიარებდი? მაშასადამე, სჯობდა, ყველაფერი — პატივისცემაცა და მსჯავრიც — სასაცილო სამოსელში გამომეწყო. რადაც უნდა დამჯდომოდა, უნდა გავთავისუფლებულიყავ იმ გრძნობისაგან, დახრჩობას რომ მიქადდა. ყველასთვის რომ დამენახვებინა მუცელში რაცა ჰქონდა, მინდოდა დამემსხვრია ის მშვენიერი მანეკენი, რომელსაც ყველგან წარმოვადგენდი. მახსოვს საუბარი, ახალგაზრდა სტაჟიორ ვექილებს რომ ჩავუტარე. უფროსმა ხოტბა შემასხა და ამ მეტისმეტი ქებით გაღიზიანებულმა ველარ მოვითმინე. დავიწყე მღელვარედ, მგზნებარებით, სწორედ ისე, როგორც მოელოდნენ ჩემგან; ასეთი რამეები როდი მიჭირდა. მერე კი ავიხირე, დაცვის საუკეთესო საშუალება ამალგამაა. ის ამალგამა კი არა, თანამედროვე ინკვიზიციაში რომ მიმართავენ, როცა ერთსა და იმავე დროს ასამართლებენ ქურდსაც და პატიოსან კაცსაც, რათა პირველის დანაშაული მეორესაც მოახვიონ თავს-მეთქი. ქურდი უნდა დაიცვათ იმით, რომ სააშკარაზე გამოიტანოთ პატიოსანი კაცის, ამ შემთხვევაში ვექილის დანაშაულებანი. ცხადად ჩამოვაყალიბე ჩემი აზრი:

„ვთქვათ, ერთი საბრალო კაცის დაცვა ვიკისრე, ეჭვიანობის ნიადაგზე ცოლი რომ შემოაკვდა. ბატონო მოსამართლენო, — ვიტყვი მე, — განა ცოდვა არ არის, გაურისხდე ამ ბუნებით უწყინარ კაცს, გულისთქმის მსხვერპლი რომ შექმნილა? განა მე უფრო მძიმე დანაშაული არ მაწევს კისერზე? მე, აგერ აქ რომ ვდგავარ, ჩემს მერხთან, მე, ვისაც არასოდეს ჩამიდენია სიკეთე და არც სხვისი ღალატის სიმწარე მინახავს; მე თავისუფალი ვარ, მსჯავრს არავინ მდებს, მაგრამ რას წარმოვადგენ? სიამაყით მზე-მოქალაქეს ვუტოლდები, წუწკი კაცი ვარ, განრისხებული ფარაონი, სიზარმაცის ხელმწიფე. არავინ მომიკლავს? ჯერ არა, ცხადია, მაგრამ ღირსეულ კაცთა სიკვდილს განა ხელი შევუშალე? არა და არა. იქნება მათ დასაცავად ხელს აწიც არ გამოვიღებ. ეს უბედური კი თავის საქციელს აღარ გაიმეორებს. შეხედეთ, ჯერაც ვერ გამორკვეულა, ისე აოცებს თავის ნამოქმედარი“. ამ სიტყვამ, ცოტა არ იყოს, დააბნია ჩემი ახალგაზრდა თანამოძმენი. მერე ნათქვამი ხუმრობაში ჩამომართვეს, სიცილი მორთეს და საბოლოოდ დამშვიდდნენ, როცა სიტყვის ბოლოს მჭევრმეტყველურად მოვუწოდე, დაიცავით პიროვნება და მისი უფლებები-მეთქი. რას იზამ, ჩვეულებამ ამ დღესაც დამძლია.

ასეთი გამოხდომები მერეც არ მომიშლია და ჩემს კეთილ სახელს ცოტა ჩირქი მოვცხე. მაგრამ მსმენელთა და, რაც მთავარია, ჩემივე თავის განიარაღება მაინც ვერ შევძელ. იმ გაოცებამა და უხერხულობამ, ჩემს მსმენელებს რომ ვამჩნევდი და ახლა თქვენც იჩენთ (ო, ნუ უარყოფთ!), ვერავითარი შვება ვერ მომანიჭეს. მარტო თავის დადანაშაულება როდი კმარა, უცოდველი რომ შეიქნე, თორემ მამა აბრამის ბატკანი ვიქნებოდი. თავის დადანაშაულებასაც ცოდნა უნდა. საამისო ხერხი ბევრი ვეძებე და ძლივს მივაგენი: თანაც მაშინ, როცა ყველამ ზურგი მაქცია.

მანამ კი ჩემს იროგვლივ სიცილი დაჰქროლდა. რა არ ვიღონე, მაგრამ ვერაფრით ჩამოვაშორე მას კეთილმოსურნე და თითქმის მოალერსე ქილო. გულს აგრერიგად რომ მტკენდა.

შეხეთ, მგონი, უკვე ზღვის მოქცევა იწყება. დღე მიიწურა. ჩვენი გემიც საცაა წავა. ხედავთ, მტრედები გუნდ-გუნდად გროვდებიან ცაზე. ერთმანეთს ეკვრიან, საძრაობა აღარა აქვთ. სინათლეც კლებულობს. მოდით, გავჩუმდეთ, ვუცქიროთ მზის ჩასვლასა და ამ პირქუში ჟამით დავტკბეთ. არა? ჩემი საუბარი გაინტერესებთ? ერთობ პატიოსანი ბრძანდებით. თუმცა ახლა შეიძლება მართლაც დაგაინტერესოთ. სანამ აგიხსნიდეთ, რა არის მონანიე მსაჯული, მინდა ორიოდ სიტყვა გარყვნილებასა და დილეგებზედაც გითხრათ.

* * *

თქვენ ცდებით, ძვირფასო, გემი სწრაფად მიქრის. მაგრამ ზეიდერზე მკვდარი ზღვაა, დაცემული, ნისლში ჩაკარგული ნაპირები აქვს და კაცი ვერ უპოვის თავსა და ბოლოს. ერთი სანიშნიც კი არა გვაქვს, ისე მივქროლავართ და არ შეგვიძლია ჩვენი სიჩქარე განვსაზღვროთ. წინ მივიწევთ, მაგრამ ირგვლივ არაფერი იცვლება. ეს ნაოსნობა კი არა და, სიზმარია.

საბერძნეთის არქიპელაგში კი პირიქით იყო. თვალსაწიერზე სულ ახალი და ახალი კუნძულები ჩნდებოდნენ. მათი წვერწამახული მწვერვალები ცას ებჯინებოდნენ და კლდოვანი ნაპირებიც მკაფიოდ იხატებოდა ზღვის ზედაპირზე. არც არაფერი აგერეოდა: ჩახჩახა სინათლეში თითქმის ყველაფერი სანიშნე იყო. და ჩვენს პაწია გემზე მყოფს, წინ ზოზონით რომ მიიწევდა, დღედაღამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სიცილით მივხტოდით ქოჩორა, გრილ ტალღებზე. მას შემდეგ თვით საბერძნეთიც ცურავს ჩემი მეხსიერების კიდეზე... მეც გამიტაცებს ხოლმე ეს ფიქრი და გრძნობა მერევა. გემუდარებით, შემაჩერეთ, ძვირფასო.

მართლა, საბერძნეთი თუ გინახავთ? არა? მით უკეთესი! თორემ რა უნდა გვეკეთებინა იქ? იქ წამსვლელს წმინდა გული უნდა ჰქონდეს. იცით თუ არა, რომ საბერძნეთის ქუჩებში მეგობრები წყვილ-წყვილად, ხელიხელჩაკიდებულნი დააბიჯებენ? დიახ, ცოლები შინ სხედან, ჭარმაგი, ულვაშიანი მამაკაცები კი, ხელში მეგობრის ხელი რომ ჩაუბღუჯავთ, დიდის ამბით დაალაჯებენ ქვაფენილზე. აღმოსავლეთშიც ასეა ხოლმე? მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, პარიზის ქუჩაში თუ ჩამკიდებთ ხელს? ო, გაგეხუმრეთ. ჩვენ ხომ თავის დაჭერა ვიცით, ბინძური ეჭვებისა გვეშინია. სანამ საბერძნეთის კუნძულებს ვეწვევით, საგულდაგულოდ უნდა განვიბანოთ. ჰაერი იქ წმინდაა, ზღვა და სიამე ისეთი ნათელი... ჩვენ კი...

მოდით, ამ სკამებზე ჩამოვსხდეთ. რა სქელი ნისლია! მგონი, დილეგზე მინდოდა მეამბნა თქვენთვის. დიახ, ახლავე მოგახსენებთ ყოველივეს: დიდხანს ვჯიუტობდი, არ მინდოდა შეპუება, მაგრამ არაფერი გამომივიდა: ამ უნაყოფო მცდელობით გულგატეხილმა გადავწყვიტე გავცლოდი კაცთ საზოგადოებას. ო, არა, უკაცური კუნძული არ მიძებნია; ასეთი კუნძულები აღარ არსებობს; უბრალოდ, ქალებს შევაფარე თავი. მოგეხსენებათ, რომ ქალები გულის სიღრმეში არანაირ სიძაბუნეს არ გვიკიჟინებენ. პირიქით, ყოველნაირად ცდილობენ ძალი წაგვართვან და დაგვაკნინონ. სწორედ ამიტომაცაა ქალი მეობრის კი არა და, ბოროტმოქმედის ჯილდო. ქალია მისი ნავსაყუდელი, მყუდრო სავანე და უპირატესად დამნაშავეებს სწორედ ქალის საწოლში პოულობენ ხოლმე. განა ქალი არაა ყველაფერი, რაც მიწიერი საამოთხიდან შეგვრჩა? თავგზაარეულმა მეც ამ ბუნებრივ ნავსაყუდელს მივაშურე, ოღონდ ლაპარაკზე კი ხელი ავიღე. თუმცა

თამაშს ისე ვიყავ შეჩვეული, ცოტ-ცოტას ისევ ვთამაშობდი ხოლმე. მაგრამ ალმაფრენა მაკლდა. მეშინია აღიარება, ვაითუ ისევ მაღალფარდოვანი სიტყვები წამომცდეს-მეთქი. მაგრამ, მგონი, სწორედ იმხანად იყო, სიყვარული რომ მომწყურდა. საძაგლობაა არა? ასეა თუ ისე, რაღაც ყრუ ტკივილსა ვგრძნობდი, რაღაც მაკლდა და რაკი მოცალეობაც მეტი მქონდა, ჩემდაუნებურად, იქნებ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლადაც, რაღაც ვალდებულებებს ვკისრულობდი. რადგან სიყვარული მწყურიოდა და მინდოდა სხვასაც ვყვარებოდი, თავი შეყვარებული მეგონა. ერთი სიტყვით, მთლად გამოვსულელდი.

მალე ისიც შევატყვე, თავს, რომ ჩემს საყვარელს ხშირად ვეკითხებოდი იმას, რის კითხვასაც წინათ, როგორც გამოცდილი კაცი, მუდამ გავურბოდი. „გიყვარვარ?“ მოგეხსენებათ, ამ კითხვას ჩვეულებრივ რა პასუხიც მოსდევს: „შენ?“ თუ ჰოს ვეტყოდი, ცოტას ვაჭარბებდი, თუ გავბედავდი და არას ვეტყოდი, ქალს შეიძლება გადავეყვარებინე და ვიტანჯებოდი. რაც უფრო მეტი საფრთხე ელოდა იმ გრძნობას, რომელშიაც თავდავიწყებას ვეძიებდი, მით უფრო მეტის დაჟინებით მოვითხოვდი სიყვარულს პარტნიორისაგან. თანდათან დაპირებებს მოვუხშირე და თავსაც ვაიძულებდი სიყვარულისათვის უფრო ფართოდ გამეღო გულის კარები. სწორედ იმხანად მომეჩვენა, რომ თავდავიწყებით შემიყვარდა ერთი მომხიბვლელი, ჩიტირეკია ქალი, რომელსაც იმდენი ეკითხა სასიყვარულო დარიგებანი, რომ სიყვარულზე ისეთივე რწმენითა და თვითდაჯერებით ლაპარაკობდა, როგორც ინტელიგენტი, მომავალ უკლასო საზოგადოებას რომ ქადაგებს. მოგეხსენებათ, ასეთი რწმენა რა გადამდებიცაა, მეც სიყვარულზე ავლაპარაკდი და ბოლოს ჩემი ნალაპარაკევი თავადაც ვირწმუნე. ჩვენი სიყვარულისა მანამ მჯეროდა, სანამ ის ქალი ჩემი საყვარელი არ შეიქნა და არ მივხვდი, რომ სასიყვარულო ჟურნალებში სიყვარულზე ლაპარაკს კი ასწავლიდნენ, მაგრამ თავად სიყვარულს კი ვერა. ერთი სიტყვით, თუთიყუშში შევიყვარე, დაწოლა კი გველთან მომიხდა და მეც სხვანაგან შევუდექი წიგნებში აღთქმული სიყვარულის ძებნას, რომლის მსგავსიც ცხოვრებაში არასდროს შემხვედრია.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, გატაცებაც მაკლდა. აგერ ოცდაათ წელზე მეტი იყო, რაც მარტო ჩემი თავი მიყვარდა და ამას როგორ გადავეჩვეოდი? ვერც გადავეჩვიე, სხვის სიყვარულში კვლავ ძაბუნი დავრჩი და ისევ დაპირებებს მოვუხშირე. ერთსა და იმავე დროს რამდენიმე საყვარელი მყავდა, ამგვარი რამ აკი წინათაც მჩვეოდა ხოლმე. მაგრამ ახლა სხვებისთვის უფრო მეტი უბედურება მომქონდა, ვიდრე უწინ, როცა დაუდევარი და გულგრილი ვიყავი. განა არ მითქვამს, რომ იმ ჩემმა თუთიყუშმა სასოწარკვეთილებისაგან შიმშილით თავის მოკვლა გადაწყვიტა-მეთქი? სულზე მივუსწარ და სხვა რაღა ჩარა იყო, მისი ხელი მანამ მეჭირა ხელში, სანამ არ გადაეყარა ერთ თმაშეკეცილ ინჟინერს, მის ყოველკვირეულ ჟურნალში რომ იყო აღწერილი. ერთი სიტყვით, მარადისობას ვერ ვეზიარე და ვერც ცოდვებისაგან განვიწმინდე, როგორც იტყვიან ხოლმე: ის კი არა და, უფრო შემცოდე გავხდი და მთლად ამერია გზა-კვალი. ისე შემძულდა სიყვარული, რომ რამდენიმე წელი სულ კბილებს ვაღრჭიალებდი, როცა „ვარდნარში სიცოცხლესა“ და „იზოლდას ტრფობით სიკვდილის ამბავს“ მიხსენებდა ვინმე. მაშინ შევეცადე ჩემებურად ხელი ამეღო ქალებთან სიახლოვეზე და თავი მონაზონივით უმწიკვლოდ შემენახა. მეგონა, მათ მეგობრობას ვიყვარებდი, მაგრამ ამ თამაშზედაც ხელი ვნება

ამელო, რადგან თუ გულის წადილს გამოვრიცხავდი, ქალებთან წამში მწყინდებოდა ხოლმე და აშკარად ვხედავდი, რომ მათაც თავს ვაბეზრებდი. თამაშს აღარა ვთამაშობდით, აღარც წარმოდგენა იყო საღმე; მხოლოდ სიმართლე გამეფებულიყო ირგვლივ. სიმართლე კი, მოგეხსენებათ, ერთობ მოსაწყენი რამ არის.

რაკი სიყვარული და უმწიკვლო ყოფა არად წამადგა, მივხვდი, რომ გარყვნილების მეტი აღარაფერი დამრჩენოდა. გარყვნილება ხომ შესანიშნავად ცვლის სიყვარულს, ბოლოს უღებს დაცინვას, სიჩუმეს ასადგურებს ირგვლივ და, რაც მთავარია, უკვდავებას გვანიჭებს; როცა მთვრალს გონება კიდევ შეგრჩენია და ჟინმოკლული გვიან ღამით ორ კახპას შორის წევხარ, აღარც იმედი გაწვალებს; გგონია, რომ დღეიდან გონების მეუფება დამყარდება და რომ ამქვეყნიური ჭირ-ვარამიც სამუდამოდ წარსულს ჩაბარდა. კაცმა რომ თქვას, მე მუდამ გარყვნილებაში ვცხოვრობდი და სულ უკვდავებას ვნატრობდი. ბუნებითაც აქეთკენ ვიყავ მიდრეკილი და ამას გარდა ეს გახლდათ შედეგი იმ დიდი სიყვარულისა, რომელსაც ჩემივე თავის მიმართ ვგრძნობდი და რომელზედაც უკვე გელაპარაკეთ. დიახ, უკვდავების სურვილი მკლავდა. თავი ძალიან მიყვარდა და არ შემეძლო არ მენატრა, რომ უძვირფასესი საგანი ჩემი ტრფობისა თავის დღეში არ გამჭრალიყო. მაგრამ საღ გონებაზე მყოფს, თავს ცოტათი მაინც თუ იცნობ, გაგიკვირდება, რად უნდა მიანიჭონ უკვდავება ჩემისთანა ბილწ მაიმუნსაო და შეეცდები ამ უკვდავების სუროგატები მოიხვეჭო. რაკი მარადიული ცხოვრება მსურდა, ყოველდამ კახპებთან ვწვებოდი და ვლოთობდი ხოლმე. დილით, ცხადია, პირში მწკლარტე გემო მქონდა, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავს შეეფერებოდა. მაგრამ ნეტარებით აღსავსე დიდხანს ხომ მაინც დავფრინავდი მაღალ ეთერში. გავბედო და ვაღიარო თქვენს წინაშე? მე დღესაც სიყვარულით ვიხსენებ იმ ღამეებს, როცა ერთ საეჭვო დუქანში დავიარებოდი იქაურ მოცეკვავე ქალთან, წყალობის თვალით რომ მიმზერდა. მისი გულისათვის ერთხელ ვიღაც ბაქია მაწანწალასაც კი ვეჩხუბე. მთელი ღამე დახლთან ვიდექ თავმომწონედ ამ სანეტარო ადგილის მტვერში, წითელი ფანრის ქვეშ, ენას ვიტყავებდი და უზომოდ ბევრსა ვსვამდი. ველოდი განთიადს, რომ ჩემი დედოფლის მუდამ აშლილ საწოლში დავნთქმულიყავ. ქალი ანგარიშმიუცემლად მნებდებოდა და მერე მკვდარივით იძინებდა. დღის შუქი ნელა იჭრებოდა ამ სიდუხჭირეში და მე კი, დიდების შარავანდედით მოსილი, ზეცად ვმაღლდებოდი.

ღვინომ და ქალებმა, ვაღიარებ, ერთადერთი შვება მომანიჭეს, რომლის ღირსიც ვიყავი. ეს საიდუმლო თქვენთვის გამინდვია, ძვირფასო მეგობარო, და გირჩევთ, უეჭველად გამოიყენოთ. მაშინ ნახავთ, რომ ნამდვილი გარყვნილება მხსნელად გვევლინება, რაკი არავითარ მოვალეობას არ გვაკისრებს. გარყვნილებას რომ ეძლევა კაცი, მხოლოდ თავის თავსა ჰპოვებს და სწორედ ამიტომაა, რომ გარყვნილება თავის თავში შეყვარებულთათვის საუკეთესო შესაქცევარია. გარყვნილება ჯუნგლია; მას არც მომავალი და არც წარსული არ გააჩნია. აქ არც დაპირებას გაძლევთ ვინმე და არც უეცარი სასჯელი გეგულებათ. ის ადგილები, სადაც გარყვნილებას ეძლევიან, ქვეყნიერებას მოცილებულია. მის კარიბჭესთან იმედთან ერთად შიშსაც ვტოვებთ. ბევრი ლაპარაკიც არა გვჭირია: რასაც დავეძებთ, აქ უსიტყვოდ და, ასე გასინჯეთ, ხშირად უფულოდაც კი ვპოულობთ ხოლმე. ნება მიბოძეთ, განსაკუთრებული

ქება შევასხა იმ უსახელო და დავიწყებულ ქალებს, რომლებიც მაშინ დამეხმარნენ. დღესაც კი, როცა მათ ვიგონებ, მათდამი მოწიწებასა ვგრძნობ.

ამგვარ თავისუფლებას მთელი არსებით მივეც თავი. ბევრჯერ იმ სასტუმროშიაც კი მნახეს, რომელიც საგანგებოდ მრუშობისათვის იყო განკუთვნილი; აქ ერთსა და იმავე დროს ხანში შესულ მეძავ ქალთან და მაღალი საზოგადოების ქალიშვილთან ვცხოვრობდი. პირველს რაინდულის მოწიწებით ვეპყრობოდი, მეორეს კი თვალს ვუხელდი ზოგ-ზოგ რამეზე. საუბედუროდ იმ კახპას ნამდვილი ბურჟუას სული აღმოაჩნდა: დათანხმდა მემუარები დაეწერა ერთი საეკლესიო გაზეთისათვის, რომელიც ძალიანა წყალობდა თანამედროვე იდეებს. ქალიშვილმა კი გათხოვება ამჯობინა, რათა დაეკმაყოფილებინა თავისი ლაგამაყრილი ინსტინქტები და თავისი საუცხოო ნიჭისათვის სარბიელი გამოენახა. თავმომწონედ ვაღიარებ, რომ სწორედ იმხანად თანასწორივით მიმიღო მამაკაცთა კორპორაციამ, რომელსაც ჩვენში ხშირად უსაფუძვლოდ ცილს სწამებენ ხოლმე. ამეების თხრობით თავს არ შეგაწყენთ. თავადაც მოგეხსენებათ, რომ თვით უჭკვიანეს ადამიანებსაც საამაყოდ მიაჩნიათ, სხვაზე მეტ ბოთლ ღვინოს თუ სვამენ. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ამგვარ გართობაში მეპოვნა ხსნა და სულის სიმშვიდე, მაგრამ აქაც ჩემმა თავმა შემიშალა ხელი. ღვიძლი ამტკივდა და ერთბაშად ისეთი საშინელი დაღლილობა ვიგრძენი, რომ დღესაც არ გამნელებია. კაცს თავი უკვდავად მოგაქვს, მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ ისიც კი არ იცი დანამდვილებით, ხვალინდელი დღე თუ გაგითენდება.

მთელი ეს გამოცდილება იმაში მაინც წამადგა, რომ როცა ჩემს ღამეულ გმირობებს თავი ვანებე, სიცოცხლე ნაკლებ სამძიმო მეჩვენა. დაღლილობამ, სხეულს რომ მიღრღნიდა, ბევრი სულიერი სატკივარიც გამიყუჩა. ყოველივე წრეგადასული გვითრგუნავს ხორცსა და მაშასადამე, ტკივილსაც გვიმსუბუქებს. ტყუილადა ჰგონიათ, გარყვნილებაში არავითარი სიშმაგე არ ურევია; ეს მხოლოდ ხანგრძლივი ძილია. უთუოდ თქვენც შენიშნავდით, რომ მათ, ვინც ეჭვიანობით იტანჯებიან, ყველაზე მეტად იმ ქალთან დაწოლა სწადიათ, ვისაც ღალატსა სწამებენ. უნდათ ერთხელ კიდევ დაუმტკიცონ თავს, რომ მათი საუნჯე კვლავ მათ ეკუთვნით. და თუ ამ საუნჯეს კვლავ დაეუფლნენ, მერე ნაკლებად ეჭვიანობენ. ხორციელი ეჭვიანობა წარმოსახვის ნაყოფია და ის წარმოდგენა, რომელიც საკუთარ თავზე გვაქვს. მეტოქეს იმ ბინძურ აზრებს მივაწერთ, მსგავს ვითარებაში თავად რომ გვიჩნდება ხოლმე. საბედნიეროდ, უსაზომო ტკბობა აძაბუნებს წარმოსახვასა და განსჯის უნარსაც გვისუსტებს. ტანჯვა განქარდება ჩვენს მამაკაცობასთან ერთად და მასავით ხანგრძლივად იძინებს. ამიტომაცაა, რომ ყმაწვილკაცებს, პირველ საყვარელს გაიჩენენ თუ არა, მეტაფიზიკური შიშიც გაუვლით ხოლმე. ზოგიერთი ქორწინებაც, რაიც სხვა არა არის რა, თუ არ დაწესებული გარყვნილება, სიმამაცისა და წარმოსახვის უღიმღამო კატაფალკად იქცევა. დიახ, ძვირფასო მეგობარო, ბურჟუაზიულმა ქორწინებამ ჩვენს ქვეყანას ფოსტლები ჩააცვა და სიკვდილის კარამდე მიიყვანა იგი.

ვაჭარბებ? არა, უბრალოდ, თემას გადავუხვიე. მინდოდა, ორგიებში გატარებული ერთი თვის უპირატესობანი მეჩვენებინა თქვენთვის. თითქოს ნისლით მოცულ სამყაროში ვცხოვრობდი, სადაც სიცილი ისე ყრუდ ისმოდა, რომ ჩემს ყურთასმენას ველარც კი სწვდებოდა. გულგრილობას, ჩემში რომ დაებუდებინა, არავითარი წინააღმდეგობა აღარ ხვდებოდა და ისიც თანდათან იზრ-

დებოდა. ველარავითარ მღელვარებას ველარა ვგრძნობდი! მშვიდი ზნე დამჩემდა; უკეთ რომ ვთქვათ, ხასიათი სულ აღარ შემრჩა. ჭლექიანი ფილტვებიც იკურნება, თუკი გამოშრა, მაგრამ მათი ბედნიერი პატრონი იგუდება ხოლმე. მეც ნელ-ნელა ვეწირებოდი ჩემს განკურნებას. ჩემი ხელობა არ დამიგდია, კვლავ მისი შემოსავლით ვცხოვრობდი, მაგრამ ჩემმა უცნაურმა გამოხდომებმა სახელი გამიტეხეს. უწესრიგო ცხოვრებაც ხელს მიშლიდა ბეჯითად მივყოლოდი საქმეებს. ყველაზე საოცარი მაინც ისაა, რომ ჩემს ღამეულ თავგადასავლებზე მეტად ენის ჭარტალს მსაყვედურობდნენ. ჩემს დასაცავ სიტყვებში ხშირად ყასიდად მივმართავდი უფალსა და მუშტრებიც უკვე უნდობლად მიცქეროდნენ. ეტყობა, ფიქრობდნენ, ზეცა ისე ვერ დაგვიცავს, როგორც კანონებში გაწაფული ვექილიო. ცოტაც და, იტყმუნებდნენ — ნიადაგ ღმერთს იმიტომ უხმობს საშველად, რომ თავად არაფერი გაეგებაო. მივიდნენ ამ დასკვნამდე და მუშტრებმა ზურგი მაქციეს. ახლა იშვიათადღა მიხდებოდა სასამართლოში გამოსვლა. ხანდახან მავიწყდებოდა, რომ აღარა მწამდა, რასაც ვამბობდი და სიტყვაც ჩინებული გამომდიოდა. ჩემივ ხმა მიტაცებდა, მას მიყვებოდი და თუმც უწინდებურად აღარ დავქროდი ციურ ეთერში, მიწაზე ფეხს მაინც არ ვაკარებდი. თუ არ სამსახურის საქმეებზე, ისე ცოტა ხალხს ვხვდებოდი. თითო-ოროლა ქალთანაც არ ვწყვეტდი კავშირს, თუმცა ჩვენი გრძნობა უკვე სულს ღაფავდა. ზოგჯერ იმასაც ვახერხებდი, რომ საღამოს მეგობრულ საუბარში ვატარებდი, ვნებათაღელვას არ ავყვებოდი, მაგრამ ასეთ დროს მოწყენილობა დამრევდა ხელს და თანამოსაუბრის ნათქვამს მაინცდამაინც ყურს არ ვუგდებდი. ცოტათი გავსუქდი და გავიფიქრე, კრიზისი დასრულდამეთქი. ახლა მხოლოდ სიბერესღა უნდა დავლოდებოდი.

ერთ დღეს, როდესაც ჩემს მეგობარ ქალთან ერთად ვმოგზაურობდი საოკეანო ხომალდით (ქალი სამოგზაუროდ მე დავპატიჟე, ოღონდ არ გამიმხელია, რომ ამით ჩემს განკურნებას ვდღესასწაულობდი), ძალიან გემბანზე მდგარი ზღვას გავყურებდი. უცებ გაშლილ ზღვაში წყლის ზედაპირზე რაღაც შავი წერტილი შევნიშნე. მაშინვე თვალი ავარიდე; გულმა ბაგაბუვი დამიწყო. როცა თავს ძალა დავატანე და ისევ გავიხედე, შავი წერტილი გამქრალიყო. მერე ისევ მოვკარ თვალი და ყვირილი მომინდა, კინაღამ საშველად მავუხმე ვინმეს. რაღაც ყუთის ნამტვრევი იყო, გემიდან რომ ყრიან ხოლმე. მაინც ვერ გავუსწორე თვალი, მეჩვენებოდა, რომ ტალღები დამხრჩვალის გვამს მოაქანებდნენ. მაშინღა მივხვდი ჭეშმარიტებას, რომელიც თურმე დიდი ხანია მცნობებია: ის ყვირილი, ამ რამდენიმე წლის წინათ რომ გაისმა სენის ნაპირას, არ შემწყდარა; ეს ხმა მდინარის წყალმა წამოიღო ლა მანშის სრუტეში; მალე მთელ სამყაროს მოედო, დაიუფლა ოკეანის უსაზღვრო სივრცე, აქ მელოდა დღემდე და შემომხვდა კიდეც. მივხვდი იმასაც, რომ კვლავაც შემომეყრებოდა ზღვებსა და მდინარეებზე, ყველგან, სადაც ჩემი ნათლობის მწარე წყალი იყო. განა აქაც წყალზე არა ვართ? ერთფეროვან, მშვიდ, უსაზღვრო წყალზე, მიწის კიდეს რომ ერთვის? არც კი გჯერა, რომ ოდესმე ამსტერდამში ჩავალთ. მგონია, ამ უზარმაზარ ემბაზს თავს ვერასოდეს დავაღწევთ. ყური მიუგდეთ! განა უხილავი თოლიების წივილი არ გესმით? ჩვენ გვეძახიან. ნეტა რად გვიხმობენ?

ეს ის თოლიებია, ატლანტიკის ოკეანეზე რომ წითდნენ ამ დღეს, როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ არ განვკურნებულვარ; კვლავ ჩიხში ვიყავ მოგწყვდეული და უნდა დავმორჩილებოდი ხვედრს. დასრულდა ჩემი გმირული

ცხოვრება, მაგრამ სიბრაზესა და ფახიფუხსაც ბოლო მოელო. ხვედრს უნდა შევრიგებოდი და მელიარებინა, რომ დამნაშავე ვიყავი. ერთი სიტყვით, დილეგში უნდა მეცხოვრა. მართლა, თქვენ ხომ არ იცით, რას წარმოადგენდა ეს ერთი ციდა მიწისქვეშა საკანი, შუა საუკუნეებში დილეგს რომ ეძახდნენ? შიგ თუ ჩააგდებდნენ ვინმეს, თავის დღეში ველარ იხილავდა დღის ნათელს. ეს საკანი სხვებისაგან თავისი უჩვეულო სიმცირით განსხვავდებოდა. არც ისე მაღალი იყო, რომ კაცს შიგ გამართული დგომა შეძლებოდა და არც ისე განიერი, რომ მთელ სიგრძეზე გაშოტილიყო. ვერც ადგებოდა, ვერც დაწვებოდა; ძილსაც ვერ დაიძინებდა, ფხიზლობდა და სულ ჩაცუცქული უხდა ყოფილიყო. ძვირფასო მეგობარო, საგულდაგულოდ ვწონი სიტყვებს და ვამბობ: ეს სულ უბრალო, მაგრამ გენიალური გამონაგონი იყო. პატიმარი დღეცისმარე გაუნძრევლად უნდა მჯდარიყო: ხელ-ფეხი უბრუჟდებოდა და თავადაც რწმუნდებოდა, დამნაშავე ვარ, უდანაშაულო რომ ვიყო, ხელ-ფეხს ჩემს გემოზე გავწვდიდიო. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ამ საკანში მწვერვალებსა და მაღალ გემბანებს შეჩვეული კაცი? როგორ? შეიძლება ამ საკანში ცხოვრობდე და უდანაშაულო იყო? საეჭვოა, ერთობ საეჭვო! ასე რომ იყოს, ჩემი მსჯელობა კისერს მოიტეხდა. წამითაც ვერ გავივლებ გულში, რომ სიმართლემ ასე მოკუზულად ცხოვრება შეძლოს. ესეც არ იყოს, ძნელია, ვინმეს უდანაშაულობა ვირწმუნოთ; იმის თქმა კი დაბეჯითებით შეგვიძლია, რომ ყველას რაღაცაში მიუძღვის ბრალი. ყოველი კაცი მოწმედ უდგება სხვათა დანაშაულს. აი, ჩემი რწმენა და სასოება.

მერწმუნეთ, რელიგიები ცდებიან, როცა ზნეობის წესებს აყალიბებენ და მცნებებსა ქმნიან ხოლმე. ღმერთი არაა სავალდებულო იმისათვის, რომ კაცს ბრალი დასდო და განაჩენიც გამოუტანო. ამას ჩვენი თანამოძმეებიც შესანიშნავად მოახერხებენ ჩვენის შემწეობით. წელან განკითხვის დღე ახსენეთ. ნება მიბოძეთ, მოწიწებით გავიცინო. მე მაგ დღეს უშიშრად ველოდები. მე მასზე უარესიც გამოვცადე, ვნახე, კაცნი როგორ განიკითხავდნენ. მათთვის არც დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებანი არსებობს, კეთილი განზრახვაც კი დანაშაულადაა მიჩნეული. ოდესმე თუ გსმენიათ რამე ფურთხის საკანზე? ეს საკანი ახლახან გამოიგონა ერთმა ხალხმა, რომ მით დაემტკიცებინა, ქვეყნად ყველაზე მოწინავე ერი ვართო. ერთი უბრალო ქვის ყუთია; შიგ პატიმარი გამართული დგას, მაგრამ განძრევა კი არ შეუძლია. კარი, ამ ცემენტის ნიჟარას რომ უბია, ნიკაპამდე უწევს. მხოლოდ სახე მოუჩანს და ყოველი დარაჯი გავლისას ზედ აფურთხებს. პატიმარი კი ისეა თავის საკანში ჩაჭედილი, რომ ფურთხის მოწმენდასაც ვერ ახერხებს, თუმცა თვალების დახუჭვის ნებას კი აძლევენ. დიახ, ჩემო, ეს საკანი ადამიანებმა გამოიგონეს. ღმერთი არ დასჭირვებიათ ამ პაწია შედევრის შესაქმნელად.

ღმერთი იმაში თუ წაგვადგება, რომ უცოდველობის თავდებად დაგვიდგეს. მაშინ რელიგიას დიდ სამრეცხაოდ მივიჩნევდი, თუმცა იყო კიდეც სამრეცხაო, სულ რაღაც სამიოდე წლითა და მაშინ რელიგიაც არ ერქვა. მას შემდეგ საპნის შოვნა გაჭირდა, გამურულები დავდივართ და ერთიმეორეს ვამუნათებთ... ყველანი უმეცრები ვართ, ყველანი — დამნაშავენი. მოდით, სახეში შევაფურთხოთ ერთმანეთსა და ჰოიბლა! დილეგში გადავეშვათ. მთავარია, პირველი ვინ შეაფურთხებს. დიდ საიუბილოს გავაბიბინებთ, ჩემო ძვირფასო. ნუ ელით განკითხვის დღეს. დღეცისმარე განკითხვის დღეა.

არა, არაფერია, ცოტათი მაკანკალებს; სულ ამ დაწყევლილი სინესტის ბრალია. აბა, მოვედით კიდეც. არა, თქვენს შემდეგ. ოღონდ ხუ დამტოვებთ, ცოტაზე გამაცილეთ. ჯერ არ დამიმთავრებია და მინდა ბოლომდე მივიყვანო სათქმელი. გაგრძელება კი ერთობ ძნელია. იცით, რად აცვეს ჯვარს ის, ვისზედაც შეიძლება თქვენ ახლა ფიქრობთ? საამისოდ უამრავი მიზეზი იყო. კაცის მოსაკლავად მიზეზს რა დალევს. იმის საბაბს კი ძნელად მიაგნებთ, რად იცოცხლოს. აი, რატომაა, რომ დანაშაულს ყოველთვისა ჰყავს დამცველები, სიმართლეს კი მხოლოდ ზოგჯერ. მაგრამ იმ მიზეზთა გარდა, რომელთაც აგერ უკვე ორი ათასი წელია გვიმარტავენ, იყო უმთავრესიც, რატომღაც ასე საგულდაგულოდ რომ გვიმალავენ. ჰეშმარიტი მიზეზი ის გახლდათ, რომ მან იცოდა, მთლად უცოდველი რომ არ იყო. თუკი ის ცოდვა არ მიუძღოდა, რაშიაც ბრალს სდებდნენ, სხვები ხომ ჰქონდა ჩადენილი, რომელთა შესახებაც თავად არა უწყოდა. არ უწყოდაო? მისით მოხდა ყველაფერი და უთუოდ გაგონილიც ჰქონდა უცოდველ ყრმათა დახოცვის ამბავი. თუ არ მის გამო, მაშ, რისთვის მოსრეს იუდეველთა ყრმანი, სანამ დედ-მამა მას უშიშარ ადგილას გადამალავდა? თავად არ უნდოდა, ცხადია; აძრწუნებდა სისხლში მოსვრილი ჯარისკაცები და ყრმათა ორად გაპობილი სხეულები. მაგრამ მისი ბუნების კაცს, მჯერა, არ შეეძლო მათი დავიწყება და მწუხარებაც, მის ყველა ნამოქმედარს თან რომ ახლავს, განა უკურნებელი მელანქოლია არ არის კაცისა, ვისაც ყოველლამ შვილების დამკარგავი რაქელის მწარე კვნესა ჩაესმის ყურში? სასოწარკვეთილი ბღავილი აპობდა ღამეულ ჰაერს, რაქელი უხმობდა მის გამო დახოცილ თავის პატარებს, ის კი ცოცხალი იყო!

ყველაფრის მცოდნე, კაცთა მოდგმის მესაიდუმლე (ვინ იფიქრებდა, რომ ნაკლები დანაშაულია სხვები მოაკვლევინო, ვიდრე თავად არ მოკვდე!) დღისით და ღამით თავის უნებურ ცოდვაზე ფიქრობდა. სიცოცხლე ძნელი გასაძლისი ეჩვენა მაშინ. ერჩია, ბოლო მოღებოდა ყველაფერს, აღარ დაეცვა თავი, მომკვდარიყო, რომ მარტოდ შთენილს ეულად აღარ ეცხოვრა და გახიზნულიყო სხვაგან, იქ, სადაც ეგების შემწეობას აღმოუჩენდნენ. არავინ შეეწია, ეს დაიჩივლა და საბოლოოდ ცენზურის ქარ-ცეცხლშიც გაატარეს. დიახ, თუ არა ვცდები, სწორედ მესამე მახარობელმა გამოტოვა მისი ჩივილი. „ღმერთო, რაჲსათჳს ღალატეებ მე?“ განა ეს ამბოხებულის ძახილი არ იყო? არიქა, მაკრატელი! ისე კი, ლუკას რომ არ გამოეტოვებინა მისი ჩივილი, ყველაფერი შეუმჩნეველად ჩაივლიდა. ასეა თუ ისე, თვალში საცემი არ იქნებოდა. მაგრამ ცენზორი სწორედ მას გაჰყვირის, რასაც ამოშლის ხოლმე. ქვეყნად ყველაფერი უცნაურადაა მოწყობილი.

მაგრამ მან, ვინც ცენზურის ქარ-ცეცხლში გაატარეს, ველარ გააგრძელა. კარგად ვიცი, რასაც მოგახსენებთ. იყო დრო, როცა ყოველ წუთს იმასა ვფიქრობდი, შემდეგს როგორ მივაღწევ-მეთქი. დიახ, შეიძლება ითმო ამ ქვეყნად, სიყვარული გაითამაშო, აწამო თანამოძმე, ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები ბეჭდო გაზეთებში, ანდა უბრალოდ, ქსოვისას ძვირი თქვა შენს მეზობელზე. მაგრამ ზოგჯერ ამგვარი ცხოვრების გაგრძელებას, დიახ, გაგრძელებას ზეკაცური ძალა სჭირდება. ის კი ზეკაცი არ ყოფილა, დამერწმუნეთ. მან დაიჩივლა სიკვდილის ჟამს, მწარედ დაიჩივლა და სწორედ ამიტომ მიყვარს იგი, რამეთუ მოკვდა ისე, რომ არ უწყოდა.

უბედურება ისაა, რომ მარტო დაგვყარა და ჩვენც გაგრძელებთ ცხო-

ვრებას, რაც უნდა შეგვემთხვეს; მაშინაც კი, როცა დილეგში ვართ ჩამწყვდეულნი და ვიცით ყოველივე, რაც მან უწყოდა, მაგრამ ძალა არ შეგვწევს მისებურად მოვიქცეთ და მასავით მოვკვდეთ. ცხადია, ბევრი კი ეცადა გამოეყენებინა მისი სიკვდილი. ბოლოს და ბოლოს, გენიალური აზრი იყო, ეთქვათ ჩვენთვის: „წმინდანები არა ხართ, ცხადია. ბევრს ნუ გამოვიძიებთ! ყველაფერს მაშინ მოგიტევებენ, როცა ჯვარს გაცვამენ!“ დღეს ძალიან ბევრი მიცოცავს ჯვარზე მხოლოდ იმიტომ, რომ შორიდან გამოჩნდეს და არ დაეძებს, თუნდაც ამისთვის ჯვარზე უფრო ადრე გაკრულის გადაქელვა მოუხდეს. ბევრმა ღიდსულოვნებაზე თქვა უარი და ისე მოჰკიდა ხელი ქველმოქმედებას. რა უსამართლოდ მოექცნენ. ეს უსამართლობა პირდაპირ გულს მიკლავს!

აი, ხომ ხედავთ, ისევ გავუტიე: ისევ დასაცავ სიტყვას ვამბობ. მაპატიეთ და მერწმუნეთ, რომ ამასაცა აქვს თავის გამართლება. იცით თუ არა თქვენ, რომ რამდენიმე ქუჩის იქით მუზეუმია, „მაცხოვარი ჩვენს სხვენზე“ ჰქვია. წინათ ჰოლანდიელები თავიანთ კატაკომბებს სხვენში აწყობდნენ. რას იზამ, სარდაფებში წყალი ჩასდით ხოლმე. მაგრამ ფიქრი ნუ გაქვთ, დღეს მაცხოვარი აღარც სარდაფში ჰყავთ და აღარც სხვენზე. ღმერთი სასამართლოში გამოჰკიდეს და როზგავენ, მსჯავრს სდებენ, დიახ, მსჯავრს სდებენ მისი სახელით. ის ლმობიერად ეუბნებოდა შემცოდე დიაცს: არცა მე განგიკითხავო. მაგრამ რა. ამათ გამოაქვთ განაჩენი და არავის ინდობენ. უფლის სახელით სამაგიერო მოგეზღოსო. უფლის სახელითო? ღმერთი ამდენს როდი ითხოვდა, მეგობარო. მას უნდოდა, გვყვარებოდა. ეს იყო და ეს. ცხადია, ზოგიერთებს უყვართ კიდეც; ქრისტიანებს შორისაც დაიძებნება ასეთი ხალხი, მაგრამ ისინი თითებზე ჩამოსათვლელნი არიან. მან წინასწარ განჭვრიტა ეს, ხუმრობის ყადრი იცოდა. პეტრემ ხომ გახსოვთ, ლაჩარმა პეტრემ როგორ უარყო: „მე არ ვიცი კაცი ესე“... „არა ვიცი, რასა იტყჳ“ და სხვა. შიშმა დაუბნელა გონება. მოძღვარი კი ხუმრობდა: „ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემიო“. როგორა გგონიათ, განა ირონია შეიძლება ამაზე შორს წავიდეს? მათ კი სიხარული შესდგომიათ: ასე ბრძანაო. დიახაც, ბრძანა, კარგად უწყოდა ყველაფერი და იმიტომ. მერე კი წავიდა სამუდამოდ და ისინი დაგვიტოვა მსაჯულებად და დამსჯელებად, ვინც სიტყვით პატიებას ქადაგებს, გულში კი სამაგიეროს მიზღვა სწადია.

თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნად სიბრალული აღარ არსებობს, არა, ღმერთებო! ჩვენ მუდამ სიბრალული და პატიება გვაკერია პირზე, ოღონდ ახლა არავის ასამართლებენ. გარდაცვლილ უცოდველობას მსაჯულნი ჭიანჭველებივით დახვევიან, ყველა ჯურის მსაჯულნი — ქრისტეს მმოსავნიცა და ანტიქრისტეს მიმდევრებიც; თუმცა ერთმანეთისგან არც განსხვავდებიან, დილეგმა დააძმობილა. არ შეიძლება ყველაფერი ქრისტიანებს დავაბრალოთ. დანაშაული სხვებსაც მიუძღვით. იცით, რა ბედი ეწია ამ ქალაქში სახლს, რომელმაც ოდესღაც დეკარტი შეიფარა? საგიჟეთად გადააქციეს. დიახ, ყველას სიგიჟემ დარია ხელი და ერთიმეორის დევნა იწყეს. ჩვენც, რა თქმა უნდა, იძულებულნი ვართ, ამ საქმეში მონაწილეობა მივიღოთ. აი, ხომ ხედავთ, აღარაფერს ვინდობ და დარწმუნებული ვარ, რომ გულის სიღრმეში თქვენც ასე ფიქრობთ. ჰოდა, რაკი ყველანი მსაჯულები ვართ, ერთიმეორის წინაშე ბრალიც მიგვიძღვის, დაკნინებული ქრისტეები ვართ და სათითაოდ გვაკრავენ ჯვარზე ისე, რომ თავადაც არა ვუწყით რა. ან უკეთ, გაგვაკრავდნენ, მე, კლე-

მანსს, ხსნა, გამოსავალი რომ არ მეპოვნა და ჭეშმარიტებისათვის არ მიმეგნო...

ო, ნურაფრისა გეშინიათ, მეტს აღარას გეტყვით, ძვირფასო მეგობარო. მალე დაგცილდებით კიდეც; ხომ ხედავთ, ჩემს სახლამდე მოვედით. ო, ნუ დამ-ძრახავთ, მარტოობაში დაღლილ-დაქანცულს თავი წინასწარმეტყველი მგონია ხოლმე. კაცმა რომ თქვას, მართლაც წინასწარმეტყველი ვარ, ამ ქვათა უდაბნოს, ნისლსა და დამყაყებულ წყალს შეფარებული წინასწარმეტყველი; უბადრუკი წინასწარმეტყველი უბადრუკ დროთა, ელია მესიის გარეშე, ციებ-ცხელებით შეპყრობილი, ღვინოს გადაყოლილი. ზურგით დაობებულ კედელს მივყრდნობივარ, თითი ჩამოქუფრული ცისკენ ამიშვერია და წყევლა-კრულ-ვას ვუგზავნი უკანონობის მომქმედთ, რომელთაც არავითარი მსჯავრის ატანა არ შეუძლიათ. დიახ, არ ძალუძთ, ჩემო კარგო და სწორედ ესაა საქმე. ვინც კანონს იცავს, სასამართლოსიც არ ეშინია, რადგან ამ კანონებით გაასამართლე-ბენ და კიდევაც გამართლდება. ყველაზე ძნელი ასატანი უკანონობის მომ-ქმედთა მსჯავრი გახლავთ და მაინც სწორედ ეს სატანჯველი გვერგო წილად. ლაგამწაყრილი მოსამართლენი ყველას განურჩევლად ხვევენ ხელსა და ბრალს უკანონოდ სდებენ. მაშ, რაღა დაგვრჩენია? ისა, რომ დავასწროთ, არა? ალი-აქოთიც ამიტომ ტყდება. წინასწარმეტყველები და მკურნალები მრავლდებიან; სანიმუშო კანონების შექმნასა ჩქარობენ, უნდათ უზადო საზოგადოებრივი წყობა დაამყარონ, სანამ დედამიწა მთლად არ გაუკაცურებულა. საბედნი-ეროდ, მე დასაბამიცა ვარ და დასასრულიც, მე კანონს ვაფუძნებ. ერთი სი-ტყვით, მონანიე მსაჯული ვარ.

დიახ, დიახ, ხვალ უეჭველად გეტყვით, რაში გამოიხატება ეს საუცხოო ხელობა. ზეგ მიემგზავრებით; მაშასადამე, დრო საშურია. მოდით, შინ მეწვიეთ. ზარს სამჯერ დარეკავთ. პარიზს ბრუნდებით? პარიზი შორსაა, პარიზი ლამაზია; რა დამავიწყებს პარიზული შემოდგომის საღამოებს. მწუხრი ეფინება მშრალსა და მჭვარტლით გადალურჯებულ სახურავებს, ქალაქი ყრუდ გუგუნებს, მდინა-რეც თითქოს აღმა მიედინება. ამ დროს მიყვარდა ქუჩებში ხეტიალი. ახლა იქ უთუოდ სხვები დახეტიალობენ! მიდი-მოდიან და თავს იტყუებენ, ვითომ და-ქანცულ ცოლთან, ჩვენს კერიასთან დაბრუნება გვეჩქარებაო... ო, მეგობარო, იცით თუ არა, რაა მარტოსული კაცი, უზარმაზარ ქალაქში მოხეტიალე...

X X X

ძალიან მრცხვენია, ლოგინში რომ გხვდებით. საშიში არაფერია, ცოტა სიცხე მაქვს და თავი რომ მოვირჩინო, ჯინს მივეძალე. ასეთ სიცხეებს შეჩვე-ული ვარ.. ციებამ იცის. ციება კი მაშინ შემეყარა, როცა პაპი ვიყავ. ეს მთლად ხუმრობა არ გეგონოთ. ვიცი, რასაც ფიქრობთ: ჩემს ნაამბობში მართ-ლაც ძნელია ტყუილი და მართალი გამოარჩიო. კი ბატონო, სრული ჭეშმარი-ტება გახლავთ. მე თვითონაც... იცით, ერთი ჩემი ნაცნობი ხალხს სამ ჯგუფად ყოფდა. პირველ ჯგუფში ისინი შედიოდნენ, ვინც ამჯობინებდა არაფერი და-ემალა, ოღონდ ტყუილი არ ეთქვა; მეორეში — ისინი, ვისაც საიდუმლოს გამ-ხელას ისევ სიცრუის თქმა ერჩივნათ; მესამეში — ისინი, ვისაც საიდუმლოცა და სიცრუეც ერთნაირად უყვარდათ. მე რომელ ჯგუფს ვეკუთვნი, ამის გადა-წყვეტა თქვენთვის მომინდვია.

თუმცა რა მნიშვნელობა აქვს? განა სიცრუესაც სიმართლესთან არ მივ-

ყავართ ხოლმე? ჩემს ნაამბობსაც, ტყუილი იქნება თუ მართალი, განა ერთი მიზანი, ერთი აზრი არა აქვს? მაშ, რაღას დაეძებთ, თუ ტყუილიცა და მართალიც იმაზე მიანიშნებს, რა ვიყავ და რად ვიქეც? ხშირად კაცი ტყუილის თქმით უფრო გათქვამს საკუთარ თავს, ვიდრე მაშინ, როცა სიმართლეს ღაღადებს.. ჭეშმარიტება სიმართლესავით გვაბრმავებს. სიცრუე კი, პირიქით, ამო ბინდია და საგნის მოხაზულობასაც უფრო მკაფიოდ აჩენს. როგორც გინდათ მიიღეთ და, ტყვეთა ბანაკში მართლა პაპს მეძახდნენ.

გთხოვთ, დაბრძანდეთ. ოთახმა დაგაინტერესათ? ცარიელი კია, მაგრამ ირგვლივ სისუფთავე სუფევს. არც დგამი მაქვს და არც ჭურჭელი. წიგნებიც კი არ გამაჩნია; დიდი ხანია, რაც კითხვას თავი ვანებე. წინათ სახლი ნახევრადწაკითხული წიგნებით მქონდა სავსე. საძაგელი ჩვეულებაა; იმ ადამიანთა ზნეს მაგონებს, ბატის ღვიძლს ცოტას რომ მოციცქნიან, დანარჩენს კი გადაგდებენ. გამოგიტყდებით, ახლა მხოლოდ აღსარებანი მიტაცებენ, მაგრამ დღესდღეობით აღსარებასაც მარტო იმიტომ წერენ, რომ თავსაც კი არ გამოუტყდნენ იმაში, რაც იციან. მაშინაც კი, როცა გულახდილობას ჩემულობენ, არ უნდა ენდოთ: გვამს ფერ-უმარილსა სცხებენ. მეც ამ საქმის დიდოსტატი ვარ. მოკლედ მოვჭერი: აღარც წიგნებია საჭირო და აღარც უსარგებლო საგნები-მეთქი. გარს მხოლოდ აუცილებელი ნივთები მარტყია, კუბოსავით გალაქულ-გაკრიალებული. ეს ჰოლანდიური საწოლებიც ხომ კუბოსავით მაგარია, გახამებული, ქათქათა თეთრეულიც სუდარას მაგონებს...

ჩემი პაპად ყოფნის ამბები გაინტერესებთ? ბანალური რამაა, მერწმუნეთ. მაგრამ არ ვიცი, მეყოფა თუ არა ძალა საამბობლად... სიცხემ, მგონი, მართლაც მიკლო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. აფრიკაში გახლდით, სადაც ბ. რომელის წყალობით ომი მძვინვარებდა. ო, არ იფიქროთ, თითქოს ამ ომში მეც მიმეღოს მონაწილეობა. მაინცდამაინც არც ევროპაში ამტყდარი ომის დროს გავრჯილვარ. გაწვევით კი გამიწვიეს, მაგრამ ცეცხლი თვალითაც არ მინახავს. ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, სანანებლადაც კი დამირჩა. ცეცხლი რომ მენახა, ჩემს ცხოვრებაში იქნებ ბევრი რამ კიდევაც შეცვლილიყო... საფრანგეთის არმიას ფრონტზე არ დავჭირვებივარ, მარტო უკან დახევაში მივიღე მონაწილეობა. ჩამოვედი პარიზში და გერმანელებიც ვნახე. კინაღამ წინააღმდეგობის მოძრაობაშიც ჩავები. ამ მოძრაობაზე მაშინ დაიწყეს ლაპარაკი, როცა აღმოვაჩინე, რომ მეც პატრიოტი ვიყავი. გეცინებათ? ტყუილად იცინით. ეს ამბავი შატლეში, მეტროს დერეფანში შევიტყვე. ძაღლს გზა არეოდა ლაბირინთში. დიდი ძაღლი იყო, ჯაგარაბეწვიანი, ყურებჩამოყრილი; თვალებს ცნობისმოყვარეობით აცეცებდა აქეთ-იქით. მიკუნტრუშებდა თავისთვის და გამვლელებს ფეხებში ებლანდებოდა. რაც თავი მახსოვს, ძაღლები ყოველთვის მიყვარდა, რადგან მუდამ გვაპატიებენ ხოლმე. დავუძახე: ისიც შეყოყმანდა, ეტყობოდა, მოსვლა ეწადა და ვერ კი გაებედა. მერე კუდის ქიცინს მოჰყვა და ჩემგან რამდენიმე მეტრის მოშორებით შეჩერდა. ამ დროს ერთმა ახალგაზრდა გერმანელმა ჯარისკაცმა ჩამოიარა. ძაღლთან რომ მივიდა, თავზე ხელის სმა დაუწყო. ძაღლიც მყისვე აედევნა კუდის ქიცინითა და მასთან ერთად თვალს მიეფარა. ამის შემხედვარე ისე გავცოფდი, რომ მივხვდი, ამ გერმანელმა მამულიშვილური გრძნობა შემილახა-მეთქი. ძაღლი რომ ჩვეულებრივ ფრანგს გაჰყოლოდა, სულაც არ ვინაღვლებდი. ახლა კი ვფიქრობდი, ეს საუცხოო ცხოველი გერმანელთა პოლკის ნებიერი გახდება-მეთქი და ბრაზი მახრჩობდა.

მაშინვე სამხრეთის ზონას მივაშურე, რომ წინააღმდეგობის შესახებ შემეტყო რამე. მაგრამ როცა მიამბეს, ყოყმანი დავიწყე. ეს წამოწყება ცოტა გიჟური, ცოტა რომანტიკული მეჩვენა. თან ეს მიწისქვეშა მოღვაწეობაც ვერ ეგუებოდა ჩემისთანა მაღალი მწვერვალების მოყვარული კაცის ბუნებას. მეჩვენებოდა, რომ საღლაც სარდაფში ხალიჩა უნდა მექსოვა, თავაუღებლივ, დღისით და ღამით; მერე მხეცები მოვიდოდნენ ჩემს დასაჭერად, ჩემს ნაქსოვ ხალიჩას ნაკუწ-ნაკუწად აქცევდნენ და მეც მეორე სარდაფში მიკრავდნენ თავს, სადაც წამებით სულს ამომხდიდნენ. აღტაცებული ვიყავ იმ ხალხით, ვინც ამ მიწისქვეშა გმირობისათვის თავსა სდებდა, მაგრამ მათი მიბაძვა არ შემეძლო.

ამიტომაც წავედი აფრიკაში. ვფიქრობდი, იქიდან ლონდონში გადასვლასაც მოვახერხებ-მეთქი. მაგრამ აფრიკაში დიდი არეულობა იყო; მოპირდაპირე პარტიათაგან რომელი იყო მტყუანი და რომელი მართალი, ველარ გავარკვიე და თავი შევიკავე. სახეზე გატყობთ, რასაც ფიქრობთ: ძალიან მიაფუჩეჩაო ეს ამბები. ეს იმიტომ, რომ თუ სწორად გამოვიცანი თქვენი ხასიათი, ასე, სასხვათაშორისოდ ნათქვამს უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევთ. ასე იყო თუ ისე, ბოლოს ტუნისში ამოვყავი თავი. ერთმა მეგობარმა ქალმა მომაწყო სამუშაოდ. ძალიან ჭკვიანი ქალი იყო და კინოთი გახლდათ გატაცებული. მე მას ტუნისში გავყევი და მხოლოდ მაშინ გავიგე რა ხელობას მისდევდა, როცა ალჟირში მოკავშირეები გადმოსხდნენ. გერმანელებმა იმ დღესვე დააპატიმრეს იგი და მეც მიმაყოლეს. არ ვიცი, რა ბედი ეწია ჩემს მეგობარ ქალს. ჩემთვის კი არაფერი დაუშავებიათ და თუმცა ჯერ დიდი შიში ვჭამე, მერე მივხვდი, რომ ისე, სავიზიტობოდ მომხვიეს ხელი. ტრიპოლის მახლობლად, ერთ ბანაკში მიკრეს თავი, სადაც უწყლობითა და სიშიშვლით უფრო ვიტანჯებოდით, ვიდრე უდიერი მოპყრობით. ამეების მოყოლით თავს არ შეგაწყენთ. ჩვენ, ამ საუკუნის შვილებს, სურათები არ გვჭირდება, ასეთ ბანაკებს უმისოდაც ადვილად წარმოვიდგენთ ხოლმე. ამ ასორმოცდაათი წლის წინათ ადამიანები ტბებისა და ტყეების ხილვით ტკბებოდნენ, დღეს კი საკნების დანახვა ატკბობთ. მოკლედ, ამ ბანაკის წარმოდგენა თქვენთვის მომინდვია. მე მხოლოდ იმას დავძენ, რომ თაკარა მზეში, ქვიშაზე ვეყარეთ, ბუზები გვჭამდნენ და უწყლობა გვტანჯავდა.

ჩემთან ერთად ერთი ახალგაზრდა, მორწმუნე ფრანგიც იყო. დიახ, ჯადოსნური ზღაპარია! დუგესკლენი ხომ გახსოვთ. საფრანგეთიდან ესპანეთში გადასულიყო საბრძოლველად. აქ კათოლიკე გენერალს შეჰკედლებოდა და რა დაუნახავს, ფრანკისტულ ბანაკებში მუხუდოს შეჭამანდს არიგებენო (ეს შეჭამანდი, თუ შეიძლება ითქვას, თავად რომის პაპის მიერ იყო ნაკურთხი), საშინელ მწუხარებაში ჩავარდა. ვერც აფრიკის ზეცამ, ვერც ტყვეთა ბანაკში უქმად გდებამ ვერ გაუფანტა ეს ნაღველი. ამ საფიქრებელმა და მცხუნვარე მზემ გონება აურია. ერთ დღეს კარავში, სადაც ათიოდე კაცი ბუზებისაგან გაბეზრებულნი ვწრიალებდით და ზევიდან თითქოს გამდნარი ტყვია გვაწვიმდა, კვლავ რომის პაპის ქირდვას მოჰყვა. დიდი ხნის გაუპარსავი იყო, ამღვრეული თვალებით გვიცქეროდა. წელზევით შიშველს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სხეულზე; სიგამხდრისაგან გვერდებზე ნეკნები დაეთვლებოდა და გაძვალტყავებულ თითებს ზედ ისე უტყაპუნებდა, როგორც კლავიშებზე. გამოგვიცხადა, ახალი პაპი უნდა ავირჩიოთ, რომელიც იმ რომაელივით ტახტზე მჯდომი კი არ ილოცებს, ტვირთმძიმეთ შორის იცხოვრებსო. თან ისიც დასძინა, ეს საშური

საქმეა და უნდა ვიჩქაროთო. ამღვრეული თვალებით შემოგვყურებდა და თავის კანტურით იმეორებდა, რაც უფრო სწრაფად ავირჩევთ, მით უკეთესიაო. მერე ერთბაშად დაცხრა და ყრუდ გვითხრა, პაპი ჩვენს შორის უნდა ავირჩიოთო. მოვნახოთ წესიერი კაცი, ღირსებებიც რომ ექნება და ნაკლიც, მორჩილება აღვუთქვათ, ოღონდ იმ პირობით, რომ ამ საერთო სატანჯველში ურთიერთსიყვარული განგვიმტკიცოსო. „ჩვენს შორის ვინაა ყველაზე სუსტი?“ — იკითხა მან. ხუმრობით ხელი ავწიე. ჩემს მეტს ეს არავის უქნია და მანაც გადაწყვიტა, მოდით, ჟან ბაპტისტი იყოსო. არა, ასე არ უთქვამს; მაშინ ხომ სულ სხვა სახელი მქონდა. მხოლოდ ისა თქვა, რაკი საკუთარი სისუსტე ალიარა, ყველაზე უფრო სათნოც ეგა ყოფილა და მოდით, ეგ ავირჩიოთო. სხვები ხუმრობით დათანხმდნენ და დიდის ამბით ჩაებნენ თამაშში. გამოგიტყდებით და, ამ დუგესკლენმა ყველანი მოგვნუსხა. მე მგონი, მთლად არც მე ვხუმრობდი მაშინ. ვფიქრობდი, ჩემი პატარა წინასწარმეტყველი მართალიამეთქი. ამას დაუმატეთ თაკარა მზე, ქანცგამცლელი სამუშაოები, ყოველ ცისმარე დღეს წყლისათვის ბრძოლა და მიხვდებით, რომ სრულ ჭკუაზე არც ერთი არ ვიყავით. ასე იყო თუ ისე, პაპის მოვალეობას რამდენიმე კვირის მანძილზე უდიდესი გულისყურით ვასრულებდი.

რაში გამოიხატებოდა ეს მოვალეობანი? მე ჩვენი ჯგუფის მეთაური და მდივანი ვიყავი. დანარჩენები, ურწმუნოებიც კი, თანდათან მემორჩილებოდნენ. დუგესკლენი იტანჯებოდა და მე ამ ტანჯვას ვუმსუბუქებდი. მაშინ შევნიშნე, რომ პაპად ყოფნა არც ისე იოლი ყოფილა, როგორცა ჰგონიათ. ეს გუშინაც გამახსენდა, როცა ჩვენს თანამოძმე მოსამართლეებზე ასეთი ზიზღით გელაპარაკებოდით. ბანაკში ყველაზე უფრო ძნელი წყლის განაწილება გახლდათ. აქ სხვა დაჯგუფებანიც შეექმნათ: პოლიტიკური მრწამსის, ან აღმსარებლობის მიხედვით დაყოფილიყვნენ და ყველა თავისიანებს ეხმარებოდა. მეც ჩემი ამხანაგების დაცვა, ე. ი. ცოტა მიკერძოების გამოჩენა მიხდებოდა. მაგრამ თვით ჩვენს შორისაც კი სრული თანასწორობა ვერ დავამყარე. ზოგი ჩემი ამხანაგი ძალიან იყო დასუსტებული; ზოგსაც მძიმე სამუშაო ჰქონდა და მეც ხან ერთს ვანიჭებდი უპირატესობასა და ხან მეორეს. ასეთ განსხვავებას კი, დამერწმუნეთ, ერთობ შორს მივყავართ. მაგრამ ძალიან დავიღალე და აღარ მინდა ამების გახსენება. გეტყვით მხოლოდ, რომ ერთ დღეს ნამუსზე ხელი ავიღე და მომაკვდავი ამხანაგის ულუფა შევსვი. არა, არა, დუგესკლენის ულუფა არ შემისვამს. ის, რამდენადაც მახსოვს, უფრო ადრე გარდაიცვალა, რაკი ყველაფერს სხვებს უთმობდა ხოლმე. თორემ ის რომ მყოლოდა გვერდში, მისი სიყვარულით უფრო მეტ ხანს გავძლებდი, რადგან ნამდვილად მიყვარდა, დიახ, მიყვარდა ის უბედური. ერთი სიტყვით, წყალი დავლიე და თავსაც ბოდიში მოვხადე, სხვებს მე უფრო ვჭირდები, ვიდრე ეს ჩემი ამხანაგი, ისედაც სიკვდილის პირას რომ არის-მეთქი მისული. მე სხვებისთვის უნდა გადამერჩინა თავი. ასე, სიკვდილის მზის ქვეშ იბადებიან იმპერიები და ეკლესიები. ჩემი გუშინდელი ნათქვამი რომ გავანელო, გაგიზიარებთ უმნიშვნელო აზრს, ამ ამბებზე საუბრისას რომ დამებადა, თუმცა არც კი მახსოვს, ეს ამბები მართლა გადამხდა თავს თუ სიზმრად ვნახე. ეს აზრი გვკარნახობს, რომ უნდა შევუნდოთ პაპს. მას ეს შენდობა ყველაზე მეტად სჭირია. თანაც მხოლოდ ამ გზით თუ ავმაღლდებით მასზე...

კარი კარგად მიხურეთ? ჰოო? შეამოწმეთ, გეთაყვა. მაპატიეთ, ეს ურდუ-

ლები მუდამ თავ-გზას მიბნევენ ხოლმე. ძილის წინ ვერასოდეს ვიხსენებ, ჩავკეტე კარი თუ არა. იძულებული ვარ, ყოველ საღამოს ავდგე და შევამოწმო. აკი მოგახსენეთ, არაფერში არ შეიძლება დარწმუნებული იყო-მეთქი. ოღონდ არ გეგონოთ, რომ გაქურდვისა მეშინია. წინათ გასაღებით არასოდეს ვკეტავდი სახლისა და მანქანის კარებს. არც ფულს ვმალავდი, ჩემს საკუთრებას არ ვუფრთხილდებოდი ხოლმე. მართალი თუ გნებავთ, ცოტათი მრცხვენოდა კიდეც, ამდენი ქონების პატრონი რომ ვიყავი. საუბარშიაც ხშირად მითქვამს: „საკუთრება ნამდვილი მკვლელობაა, ბატონებო!“ და რაკი ისე გულუხვი არ ვიყავ, რომ ჩემი სიმდიდრე ღარიბი, მაგრამ ღირსეული კაცისათვის გამეყო, ქურდების ანაბარა ვაგდებდი და ვიმედოვნებდი, რომ უსამართლობას შემთხვევა გამოასწორებდა. დღეს უკვე აღარაფერი გამაჩნია და ჩემი ავლა-დიდება კი არ მაწუხებს, ჩემს სულიერ სიმშვიდეს ვუფრთხილდები. მინდა მაგრად მქონდეს დარაზული იმ პაწია სამყაროს კარი, სადაც მე მეფეცა ვარ, პაპიცა და მსაჯულიც.

მოდით, გეთაყვა, იმ განჯინის კარი გამოაღეთ. შიგ სურათს ნახავთ. ვერა ცნობთ? ეს „მოუსყიდველი მსაჯულებია“. არ შეკრთით? მაშ არც ისე განსწავლული ყოფილხართ. გაზეთებს თუ კითხულობთ, გაიხსენებდით, რომ 1934 წელს გენტის წმინდა ბავონის ტაძარში ვან ეიკის ცნობილი საკურთხevლიდან — „მისტიკური კრავი“ — ერთი პანო მოიპარეს. ამ პანოს „მოუსყიდველი მსაჯულები“ ერქვა სახელად. ზედ ცხენებზე ამხედრებული მსაჯულები იყვნენ გამოხატულნი. წმინდა კრავის თაყვანისსაცემად მიეშურებოდნენ. პანო საუცხოო ასლით შეცვალეს, რადგან ორიგინალს ვერსად მიაკვლიეს. ეს ორიგინალი თქვენს წინაა. არა, მე ბრალი არაფერში მიმიძღვის, „მეხიკო-სიტის“ ერთმა ხშირმა სტუმარმა სიმთვრალეში ერთ ბოთლ ჯინში გაუცვალა გორილას. აი, იმ კაცმა, თქვენც რომ შენიშნეთ იმ დღეს. გორილას ვურჩიე, გამოსაჩენ ადგილას დაკიდე-მეთქი და იმ დროს, როცა ამ სურათს მსოფლიოს ყველა კუთხეში დაეძებდნენ, ჩვენი ღვთისმოსავი მსაჯულები ლოთებისა და კახპების ხელის შემყურეთა თავებს ზემოთ ეკიდნენ „მეხიკო-სიტის“ დარბაზში. მერე ეს სურათი ჩემის თხოვნით გორილამ მე მომაბარა. ცოტა კი იბუზღუნა, მაგრამ როცა საქმის ვითარება ავუხსენი, შეშინდა და დამითმო. მას შემდეგ უფალ მოსამართლეებს ჩემს მეტი არავინ ნახულობს. დახლის თავზე კი კედელს ახლაც აჩნია მათი ნაკვალევი.

რატომ ტაძარს არ დავუბრუნე ეს პანო? ო, თქვენ პოლიციელივითა მსჯელობთ. კეთილი, გიპასუხებთ, ისე, როგორც გამომძიებელს ვუპასუხებდი, თუკი შემიტყვეს, რომ ეს სურათი ჩემს ოთახში მაქვს დამალული. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩემი არ არის და „მეხიკო-სიტის“ პატრონს ეკუთვნის; ის კი ისევე იმსახურებს ამ პანოს, როგორც გენტის ეპისკოპოსი. მეორეც იმიტომ, რომ მათ შორის, ვინც „მისტიკურ კრავს“ ჩაუვლის, ერთიც არ მოიძებნება ისეთი, ვინც ასლს ორიგინალიდან გამოარჩევს და მაშასადამე, ჩემი გადამკიდე კაცი არ ზარალდება; მესამეც ის, რომ თავადაც მოგებაში ვარ: მსოფლიო აღტაცებაში მოდის ყალბი მსაჯულების შემხედვარე და მხოლოდ მე ვიცი სიმართლე. მეოთხეც ისა, რომ ეს მსაჯულები უბიწო კრავის სანახავად მიიჩქარიან, კრავი კი აღარ არსებობს; უცოდველობამაც ჭირი მოგჭამათ და მაშასადამე, იღბლიანი ქურდი, ვინც ეს სურათი მოიპარა, უხილავი მართლმსაჯულების იარაღი იყო და ამ მართლმსაჯულებას წინ არ უნდა აღვუდგეთ. და ბოლოს იმიტომ,

რომ ამ გზით წესრიგი დამყარდა. რაკი მართლმსაჯულება საბოლოოდ გამოეყო უცოდველობას, ერთი ჯვარს აცვეს, მეორე კი კარადაში მყავს გამოკეტილი, მეც თავისუფლად შემიძლია ჩემს გუნებისად მოვიქცე. მშვიდი სინდისით შემიძლია მონანიე მსაჯულის რთულ ხელობას მივდიო, რომელსაც ამდენი ფიქრისა და დავიდარაბის შემდეგ მივაღწიე; და რაკი უკვე გამგზავრებას აპირებთ, მინდა ისიც გითხრათ, ეს ხელობა რაში გამოიხატება.

მაგრამ ჯერ ნება მიბოძეთ, წამოვიწყო, თორემ სუნთქვა მიმძიმს. ო, რა დაღლილი ვარ! კარი მიუკეტეთ ჩემს მსაჯულებს. გმადლობთ. ახლა მე მონანიე მსაჯულის ხელობას მივდევ. მთხოვნელებს, ჩვეულებრივ, „მეხიკო-სიტიში" ვიღებ. მაგრამ იმ საქმეს, მოწოდებად რომ გვქცევია, მარტო სამუშაო ადგილას როდი ვაკეთებთ-ხოლმე. მე საწოლშიაც, სიცხიანიც კი ვმუშაობ. ეს მარტო ხელობა როდია, ჰაერივითაა და მეც დღენიადაგ მისით ვსუნთქავ ხოლმე. არ იფიქროთ, რომ ხუთი დღის განმავლობაში მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის გესაუბრეთ. არა, უსაგნოდ წინათაც ბევრი მილაპარაკია. ახლა ყოველი ჩემი სიტყვა გამიზნულია. ვცდილობ სასაცილო არ შევიქნე სხვების თვალში და მსჯავრსაც გავექცე, თუმცა ეს ერთის შეხედვით ყოვლად შეუძლებელია. მსჯავრს რომ ვერ ვიცილებთ თავიდან, ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ჩვენს თავს პირველ რიგში ბრალს თვითონა ვდებთ. მაშასადამე, ყველას განურჩევლად უნდა გამოვუტანოთ მსჯავრი, რომ ჩვენ შედარებით ცოტა გადაგვწყდეს.

თავის დღეში არავის ვაპატიო, აი, რა დავიწესე წესად. არა მწამს კეთილი განზრახვა, უნებლიე შეცდომა, მცდარი ნაბიჯი, შემამსუბუქებელი გარემოებანი. მე არც შეღავათს ვიძლევი და არც ცოდვებს შევუნდობ ვისმე. მარტო შეჯამება მჩვევია: „ეს ამდენს უდრის. თქვენ გარყვნილი ხართ, სატირი, მითომანი, ცვედანი, გაიძვერა... და სხვა". დიახ, ასე მკვახედ. ფილოსოფიასა და პოლიტიკაში ვემხრობოდი თეორიას, რომელიც კაცს უცოდველად არა თვლის და პრაქტიკულადაც ისე ეპყრობა, როგორც დამნაშავეს. მე, ჩემო ძვირფასო, ნონობის თავგამოდებული მომხრე ვარ.

მონობის გარდა აკი სხვა საშველი არ არსებობს. მე ძალიან მალე მივხვდი ამას. წინათ მხოლოდ თავისუფლება მეკერა პირზე. დილით, საუზმის დროს ნამცხვარზე ვისვამდი, მთელ დღეს ვცოხნიდი, სულ მისით ვსუნთქავდი. ამ დიდებულ სიტყვას ვჩრიდი ცხვირში ყველას, ვინც მეწინააღმდეგებოდა. ჩემი სურვილებისა და ძლიერების სამსახურში ჩავაყენე იგი, საწოლშიაც მას ვჩურჩულებდი, ყურში ჩავძახოდი ჩემს საყვარლებს, ეს სიტყვა მშველოდა მათ მიტოვებაშიაც. თავისუფლებას ვახსენებდი... ეჰა, ავღელდი და ზომას გადავედი. ასეა თუ ისე, ზოგჯერ თავისუფლებისათვის უანგარო სამსახურიც გამიწევია, და წარმოიდგინეთ ჩემი გულუბრყვილობა, ორჯერ-სამჯერ კიდევაც დავიცავი იგი; თუმცა ცხადია, თავი არ გამიწირავს, მაგრამ რისკი ხომ გავწიე. უნდა მომიტევოთ ეს გაუფრთხილებლობა, რამეთუ არ ვუწყოდი, რას ჩავდიოდი. არ ვუწყოდი, რომ თავისუფლება საზღაური ან ჯილდო როდია, რომლის მიღებასაც შამპანურის სმით აღნიშნავენ. ეს არც მშვენიერი საჩუქარია, ძვირფასი კანფეტებით სავსე კოლოფის მსგავსი. ო, არა! პირიქით. ეს მძიმე სამუშაოა, მარტოხელა კაცის ქანცგამცლელი სირბილი. არც შამპანურია საღმე, არც მეგობრები, შენს სადღეგრძელოდ ჭიქას რომ სწევენ და სიყვარულს გეფიცებიან. მარტოდმარტო ხარ პირქუშ ოთახში, სულ მარტო ზიხარ საბრალმდებლო სკამზე მსაჯულთა პირდაპირ. მარტოდმარტომ უნდა აგო პასუხი სა-

კუთარი თავისა და განმკითხველთა წინაშე. ყველა თავისუფლების წილ სასჯელი მოგველის; სწორედ ამიტომაა იგი მძიმე სატარებლად, მეტადრე მაშინ, როცა ცხელება გჭირთ, როს დარდი შემოგწოლიათ გულზე, ანდა არავინ გიყვართ.

მერწმუნეთ, ძმაო, ვინც სულ მარტოა, არც ღმერთი ჰყავს და არც ბატონი, მას დღეთა სიმძიმე საშინლად აწევს მხრებზე. სჯობს, ბატონი გაიჩინო, რაკი ღმერთს ყავლი გასვლია და თავად სიტყვამაც დაკარგა აზრი. უფლის ხსენება არა ღირს, თორემ შეიძლება ვინმეს კიდევაც ეჩოთიროს. აიღეთ ჩვენი სერიოზული მორალისტები, რომელთაც უყვართ მოყვასი, განა მათ რამე განასხვავებს ქრისტიანებისაგან იმის მეტი, რომ მათსავით ეკლესიებში არ ქადაგებენ? თქვენის აზრით, რა უშლით ხელს ღმერთი იწამონ? სირცხვილი და შიში იმისა, ხალხმა ყბად არ აგვიღოსო. სირცხვილის ჭამა არა სურთ და ხვაშიადს გულში იმარხავენ. მე ერთ ათეისტ მწერალს ვიცნობდი, ყოველ საღამოს, ძილის წინ რომ ლოცულობდა. ეს ხელს არ უშლიდა და თავის წიგნებში ღმერთს პირდაპირ შავ დღეს აყრიდა. ერთმა საზოგადო მოღვაწემ, თავისუფლად მოაზროვნე კაცმა, რომელსაც ეს ამბავი გავანდე, ხელები გაშალა და მითხრა: ამ ამბით ვერ გამაკვირვებთ, ყველანი ეგეთები არიანო. მისთვის რომ გეკითხათ, ჩვენი მწერლების ოთხმოც პროცენტს რომ შეძლებოდა თავიანთი წიგნების ხელმოუწერლად გამოცემა, ღმერთის სახელს ყველა სიამოვნებით განადიდებდა. მაგრამ ხელს აწერდნენ მისი აზრით იმიტომ, რომ უყვართ თავიანთი თავი და არც არაფერს განადიდებენ, რადგან ერთმანეთი ეჯავრებათ. და რაკი განსჯა არ ეთმობათ, მორალს ქადაგებენ. მოკლედ, სატანური სათნოება ახასიათებთ. უცნაური დროა, ღმერთმანი! რა გასაკვირია, რომ ხალხს გონება არევია და რომ ერთი ჩემი მეგობარი ათეისტი გახლდათ, სანამ სანიმუშო ქმარი იყო და ქრისტეს რჯულზე მოიქცა, როცა ცოლის ღალატს დაეჩვია.

ო, ეს მუზმუზელები, ეს კომედიანტები, პირმოთნეები მაინც გულის ამაჩუყებელნი რომ არიან, მაშინაც კი, როცა ზეცას ცეცხლს უკიდებენ. ათეისტები იქნებიან თუ ღვთისმოსავნი, მოსკოველები, თუ ბოსტონელები, მამიან შვილიანა ყველანი ქრისტიანები არიან. თუ ღმერთი აღარ არის, აღარც წესრიგია სადმე, თავისუფლები ვართ და ჩვენს თავს თვითონვე უნდა გავუძღვეთ. მაგრამ რაკი თავისუფლება და სასჯელი ყველას აფრთხობს, მოითხოვენ, თითებში გვირტყითო, იგონებენ საშინელ სახაზავებსა და ეკლესიების აგების ნაცვლად კოცონებს აჩაღებენ. პირწავარდნილი სავონაროლანი არიან! ოღონდ მარტო ცოდვა სწამთ, მადლს თავის დღეში არ იწამებენ. ფიქრით კი ფიქრობენ; სწყურიათ კიდეც; ოცნებობენ საყოველთაო თანხმობაზე, ურთიერთგაგებაზე, და ვინ იცის, აკი სენტიმენტალურებიც არიან, იქნებ ნიშნობაზედაც. პატარძალი ქორფა ასულია, ნეფე — წარმოსადეგი ვაჟკაცი, მუსიკა გრგვინავს... მე სენტიმენტალური არა ვარ და იცით, რაზე ვოცნებობდი? დიდ, ყოვლისმომცველ სიყვარულზე, განუწყვეტლივ რომ ეუფლება სულსა და ხორცს დღისით და ღამით. მინდოდა ამ ნეტარებაში მეცხოვრა ხუთი წელი და მერე თუნდაც მოვმკვდარიყავი.

მაგრამ რაკი ნიშნობასა და ყოვლისმომცველ სიყვარულს ვერ ველირსეთ, ქორწინება უნდა ვიკმაროთ. უხეში, ძალადობით აღსავსე ქორწინება, ზოგჯერ მათრახსაც რომ იშველიებს. მთავარია ყველაფერი გამარტივდეს. ვიღაცამ გვიხელმძღვანელოს, კეთილი და ბოროტი მკაცრად იქნას გამიჯნული და ნათ-

ლად მოჩანდეს. ამაზე მეც თანახმა ვარ, თუმცა სიცილიელად და ი



მექნებოდა. ასეთი ადგილი უამრავია ქვეყნად, მაგრამ შემთხვევამ, ბედის დაცინვამ და თვითგვემის წყურვილმა წყლისა და ნისლების დედაქალაქში, თხრილებით დასერილ ამსტერდამში ყოფნა მარგუნეს, სადაც სახლები ერთიმეორეს აწვებიან და საცა ხალხი მსოფლიოს ყოველი კუთხიდან მოდის ხოლმე. ჩემი კაბინეტი მეზღვაურთა უბანში გავხსენი. ნავსადგურში ათასი ჯურის ხალხი ტრიალებს. ღარიბები მდიდრულ უბნებში არასოდეს დადიან, მდიდრები კი, უთუოდ თქვენც შენიშნავდით, ერთხელ მაინც ეწვევიან ხოლმე საძრახის ადგილებს. მე უმთავრესად ბურჟუებს ვუთვალთვალებ, გზააბნეულ ბურჟუებს, მჭევრმეტყველებით თავბრუს ვახვევ და ვირტუოზივით საუცხოო ჰანგებზე ვამღერებ.

ეს ერთი ხანობაა, რაც „მეხიკო-სიტიში" ჩემს სასარგებლო ხელობას მივდევ. როგორც თავადა ნახეთ, ეს პირველ რიგში იმაში გამოიხატება, რომ ჩემს აღსარებას საჯაროდ რაც შეიძლება ხშირად მოვყვე. მივდგები ამ ჩემს თავსა და ყველაფერში ვადანაშაულებ. ეს აღარ მიჭირს მას შემდეგ, რაც მეხსიერება დამიბრუნდა. ოღონდ უხეშად როდი ვირჯები, არც მუშტებს ვიბრაგუნებ მკერდში. არა, ოსტატურად ვიქცევი, უამრავ ფანდსა ვფლობ, უამრავ იღეთს, ჩემს სიტყვას მსმენელის ხასიათს ვუფარდებ და მასაც ცეცხლი შემოეგზნება ხოლმე. ერთმანეთში ვურევ ჩემსა და სხვათა ამბებს. საერთო ნიშან-თვისებებს ვეძებ, ყველას მიერ განცდილს რასმე, საერთო სისუსტეს, თანამედროვე ადამიანს, ჩემშიაც და სხვებშიაც ერთნაირად რომ მძინვარებს და ამეებით ისეთ პორტრეტს ვხატავ, ყველას რომ ჩამოჰგავს და არავის ასლს არ წარმოადგენს. მოკლედ, საკარნავალო ნიღაბსა ვქმნი, მინამგვანიც რომაა და ერთობ გამარტივებულიც; მისი შემხედვარე ყველა იტყვის, ეს კაცი სადღაც მინახავსო. როცა პორტრეტი დასრულდება, როგორც ამ საღამოს, გამოვაჩენ და მწუხარებით აღსავსე ვამბობ: ვაგლახმე, ასეთი ვარ-მეთქი. საბრალმდებლო აქტი მზადაა. და პორტრეტიც, ჩემს თანამედროვეთ რომ ვთავაზობ, სარკედ იქცევა ხოლმე.

თმებს ვიგლეჯ თავზე ნაცარდაყრილი, სახეს ვიხოკავ, ჩემს სამარცხვინო საქმეთ ჩამოვთვლი, თან გამჭრიახ მზერას ვავლებ კაცობრიობას, ვუცქერ, რა შთაბეჭდილებას ვახდენ მსმენელზე და ვამბობ: „მე უკანასკნელთა შორის უკანასკნელი ვიყავი". მერე შეუმჩნევლად მხოლობითიდან მრავლობითზე გადავდივარ და „მეს" ნაცვლად „ჩვენ"-მეთქი, გავიძახი. როცა აი როგორები ვართ-მეთქი, ვიტყვი, საქმე გათავებულია, შემიძლია თანამოსაუბრეს პირში მივახალო ყველაფერი. მეც მათსავითა ვარ, ცხადია; ყველანი ერთ წვენში ვიხარშებით, მაგრამ მე უპირატესობაცა მაქვს, რაკი ვუწყი ეს ამბავი. უფლება მეძლევა წავაყვედრო. ეს კი მოგეხსენებათ, ერთ რამედა ღირს. რაც უფრო მეტად ვიდანაშაულებ თავს, მით უფრო მეტი უფლება მაქვს, თქვენც მსაჯულად გაგიხდეთ. უფრო მეტიც, თქვენვე გაიძულებთ თავი დაიდანაშაულოთ და ეს უდიდეს შვებასა მგვრის. ო, ჩემო კარგო, ჩვენ უცნაური, საძაგელი ქმნილებანი ვართ. თუკი ჩვენს ცხოვრებას თვალს გადავავლებთ, შიგ უამრავ რასმე ვიპოვით გასაოცებსა და საძრახისს. სცადეთ ერთი! დაარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თქვენს აღსარებას ჭეშმარიტად ძმურის თანაგრძნობით მოვისმენ.

ნუ კი იცინით! თქვენ ერთობ ძნელად მისადგომი კაცი ბრძანდებით: ეს თავიდანვე შევნიშნე. მაგრამ აღსარებას მაინც მეტყვით. სხვაგვარად არ იქნება.

სხვები უფრო გრძნობას აყოლილები იყვნენ, გონება აგრერიგად არ შესწევ-
დათ. მათი მონადირება არ გამჭირვებია. ჭკვიან ხალხთან კი მოთმინების შე-
მოკრება მმართებს. დაწვრილებით უნდა ავუხსნა ჩემი მეთოდი. ისინიც ყველა-
ფერს იმახსოვრებენ და ფიქრს იწყებენ. ადრე თუ გვიან თამაშ-თამაშში იქ-
ნებათუ შინაგანი ძრწოლის ჟამს, ყველაფერს დაფქვავენ. თქვენ მარტო ჭკვი-
ანი კი არა და, ეტყობა, გამოცდილი კაციც ბრძანდებით. მაგრამ აღიარეთ, რომ
დღეს მაინც უფრო ნაკლებ კმაყოფილი ხართ საკუთარი თავისა, ვიდრე ამ ხუთი
დღის წინათ იყავით. ახლა თქვენს წერილს, ანდა თქვენს დაბრუნებას დავე-
ლოდები; რომ დაბრუნდებით, ამაში ეჭვი არ მეპარება. მე ისევ ასეთი დაგიხ-
ვდებით; ანკი რად უნდა შევიცვალო, როცა ჩემი სარგო ბედნიერება ვპოვე?
ჩემს ორპირობას სასოწარკვეთილებაში აღარ მოვყავარ, შევურიგდი უკვე.
მყუდრო სავანედაც კი მიმაჩნია, მთელი სიცოცხლე ამაოდ რომ დავეძებდი.
შევცდი, როცა გითხარით, მთავარია, მსჯავრს გაექცე-მეთქი. მთავარია, თავს
ყველაფრის უფლება მისცე, თან დროდადრო მოჰყვე ღალადისს, ყოვლად
ულირსი კაცი ვარო. მე ახლა თავს ყველაფრის უფლებას ვაძლევ და ზურგსუკა-
ნიდან სიცილიც აღარ ჩამესმის. ცხოვრების ნირი არ შემიცვლია, კვლავ უზო-
მოდ მიყვარს ჩემი თავი და კვლავ სხვებს ვიმსახურებ. ოღონდ ცოდვების აღი-
არება ნებას მაძლევს უფრო თავისუფლად განვაგრძო ჩემი საქმე და ორმაგად
დავტკბე, რაკიღა ბუნებრივ მოთხოვნილებებსაც ვიკმაყოფილებ და მონანიე-
ბით გამოწვეულ სიტკბოებასაც განვიცდი.

მას შემდეგ, რაც გამოსავალი ვიპოვე, ქალებსაც დავდევ, ვტრაბახობ
კიდეც, მოწყენილობაც დამრევს ხოლმე ხელს, გულრძოობასაც ვიჩენ. ხან-
დახან ხურვებაც დამიგდებს და ესეც სიამესა მგვრის. როგორც იქნა ხელთ საუ-
კუნო მეფობა ვიგდე. ვპოვე მწვერვალი, რომელზედაც მარტო მე ვდგავარ და
შემიძლია ამ სიმაღლიდან სხვები გავასამართლო. ზოგჯერ, თუმცა იშვიათად,
როცა ღამე ლამაზია, შორეული სიცილი ჩამესმის ყურში და კვლავ ეჭვი მიპ-
ყრობს. მაგრამ გონს მალე მოვეგები ხოლმე, ადამიანთა მოდგმასა და მთელ სამ-
ყაროს ჩემს სიმახინჯესა ვდებ ბრალად და ისევ ისე მოვგულადდები.

მაშ, „მეხიკო-სიტიში“ თქვენს მოსვლას დაველოდები, თუნდაც დიდი ხნის
ლოდინი დამჭირდეს. გთხოვთ, გადამხადეთ საბანი, სუნთქვა მეკვრის. ხომ დაბ-
რუნდებით? მე ზოგი ჩემეული ხერხის საიდუმლეობასაც გაგაცნობთ, რადგან
მომეწონეთ. ნახავთ, არამზადები ხართ-მეთქი, მთელ ღამეს როგორ ვუქადაგებ
ბარში შეკრებილთ. ამაღამვე დავიწყებ. არ შემიძლია მოვისპო ეს სიამოვნება,
არ ძალმიძს უარი ვთქვა იმ წუთით დატკბობაზე, როცა ერთ-ერთი მათგანი ნას-
მურევს აღსარების თქმას დააპირებს და მკერდში მუშტების ბრაგუნს მოჰყვე-
ბა. მაშინ საოცრად ვმაღლდები, ჩემო ძვირფასო, ვმაღლდები და თავისუფლად
ვიწყებ სუნთქვას; მგონია, მაღალ მთაზე ვდგავარ და ძირს ხელისგულივით გა-
დაშლილ ველს დავყურებ. რა საამური გრძნობაა; თავი მამა-ღმერთი მგონია
და ხალხს შემცოდეობისა და გარყვნილების მოწმობებს ვურიგებ. მე ჩემს ცოდ-
ვილ ანგელოზთა დასს ზემოთ ვზი ტახტზე, ჰოლანდიის ცაში და ვუცქერ. ზღვა
ხალხი ნისლსა და წყალს როგორ აპობს, განკითხვის მოლოდინში როგორ მო-
იწევს ჩემკენ. ნელა მოიწევენ მაღლა და აი ერთმა კიდევაც მოაღწია ჩემამდე.
მის დაბნეულ სახეზე, ხელით სანახევროდ რომ დაუფარავს, ვკითხულობ, რომ
წინასწარ ამწუხრებს საკუთარი და მისიანების ხვედრი და სასოწარკვეთას მო-
უცავს, რაკი არ ძალუძს ამ ხვედრს გაექცეს. გულით მებრალება, მაგრამ ცოდ-

ვებს როდი შევუნდობ, მესმის მისი, მაგრამ არ ვაპატიებ; და რაც მთავარია, ვგრძნობ, რომ თაყვანსა მცემენ!

დიახ, ვწრიალებ, ანკი უძრავად როგორ ვიწვე? მინდა თქვენზე მაღლა ავიდე: ჩემი ფიქრები მამაღლებენ. ღამღამობით, ან უკეთ რომ ვთქვათ, სისხამ დილით, რადგან დაცემა გამთენიისას ხდება ხოლმე, სახლიდან გამოვდივარ და სწრაფი ნაბიჯებით დავყვები არხებს. ცრიატ ცაში ბუმბულთა წყება თანდათანობით თხელდება, მტრედები მაღლა ადიან, სახურავებზე ბროლნაყარი შუქი ციალებს და ჩემი ხელით შექმნილი სამყაროს ახალი დღე იბადება. დამრაკზე, ნესტიან ჰაერში პირველი ტრამვაის ზარი გაიწკრიალებს და ევროპის კიდეზე სიცოცხლის გამოღვიძებას გვამცნობს. ამ დროს მილიონობით ადამიანი — ჩემი ქვეშევრდომები — გაჭირვებით იღვიძებენ; პირში მწკლარტე გემო აქვთ და დგებიან, რათა უსიხარულო შრომის ჭაპანი ზიდონ. მაშინ გონებით ამ კონტინენტის თავზე დავფრინავ, კონტინენტისა, რომელიც მე მემორჩილება და არ კი უწყის, ამომავალი სინათლის აბსენტსა ვსვამ და ბოროტი სიტყვებით მთვრალი ბედნიერი ვარ. ბედნიერი ვარ-მეთქი, გეუბნებით და გიკრძალავთ, ჩემი უსაზომო ბედნიერება არ ირწმუნოთ. ო, მზეო, ზღვის სანაპიროვ, ქარმრავალო კუნძულებო და სიჭაბუკევ, რომლის მოგონებაც სასოწარკვეთაში გვაგდებს.

მაპატიეთ, რომ ისევ ვწვები. მგონი, მეტისმეტად ავღელდი. მაგრამ ტირილით მაინც არა ვტირი. ხანდახან ვიბნევით, რაც ცხადზე ცხადია, იმასაც ვერა ვხედავთ, მაშინაც კი, როცა ბედნიერი ცხოვრების საიდუმლოს ჩავწვდებით ხოლმე. ჩემგან ნაპოვნი გამოსავალი მთლად უნაკლო ვერაა, მაგრამ როცა საკუთარი ცხოვრება არ მოგვწონს, როცა ვიცით, რომ მისი შეცვლა გვმართებს, არჩევანი არა გვაქვს ხოლმე. ასე არ არის? რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ გარდავიქმნათ? ვერაფერსაც ვერ მოვიმოქმედებთ. არარად უნდა იქცე, ერთხელ მაინც ვინმეს გულისთვის თავი დაივიწყო, მაგრამ როგორ? ძალიან მკაცრადაც ნუ განმსჯით. მე იმ მოხუც მათხოვარს ვგავარ, ოდესღაც კაფეში რომ შემხვდა და ხელს აღარ მიშვებდა: „ცუდი კაცი არა ვარ, ბატონო; ამ ზომამდე იმიტომ მივედი, რომ თვალის ჩინი დამეკარგაო“. დიახ, თვალის ჩინი გვაქვს დაკარგული, დილის სინათლე და წმიდა უცოდველობა, თავს შეცოდებას ადვილად რომ მიუტევებს ხოლმე.

შეხეთ, თოვს! უნდა გავიდე გარეთ! მინდა ვიხილო ღამეულ სითეთრეში ჩაძინებული ამსტერდამი, წყვდიადით მოცული არხები, დათოვლილ ხეებქვეშ მდორედ მდინარი წყალი, უკაცური ქუჩები, ჩემი ნაბიჯების ყრუ ხმას ვუგდო ყური და ვნახო ის წუთიერი სისუფთავე, რომელიც ხვალ ისევ ჭუჭყმა უნდა შეცვალოს. შეხეთ ამ უზარმაზარ ფანტელებს, ფანჯრის მინებს რომ აწყდებიან. მტრედები არიან უთუოდ. მათი ჭირიმე! ბოლოს და ბოლოს, ძირს დაშვებაც ისურვეს! წყალსა და სახურავებს ბუმბულის სქელი ფენით ფარავენ, ყველა ფანჯარასთან თრთიან. რა შემოსევაა! იმედი ვიქონიოთ, რომ კარგი ამბის მახარობლები არიან. ყველა გადარჩება, მარტო რჩეულნი კი არა; სიმდიდრეცა და შრომის ტვირთიც თანაბრად განაწილდება და თქვენ ჩემი გულისათვის ყოველლამ შიშველ იატაკზე დაწვებით. ძმურად გავიყოფთ ჭირსა და ლხინს! მოდით, აღიარეთ, რომ განცვიფრებული დარჩებით ზეციდან ჩემს წასაყვანად ეტლი რომ დაეშვას, ანდა თოვლს უეცრად ცეცხლი რომ გაუჩნდეს. სასწაულებისა არა გჯერათ? არც მე. მაგრამ ქუჩაში მაინც უნდა გავიდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი, ნუ წუხხართ, მშვიდად ვიქნები. ძალიან ნუ ენდობით ჩემს მღელვარებას, ნურც ჩემს ნაბოდებს. ორთავ გამიზნულია. აი ახლა, როცა თქვენს თავზე დამიწყებთ საუბარს, მივხვდები, ჩემმა მგზნებარე აღსარებამ მიზანს თუ მიაღწია. მე მაინც ვიმედოვნებ, რომ ჩემი თანამოსაუბრე ოდესმე პოლიციელი აღმოჩნდება და „მოუსყიდველი მსაჯულების“ მოპარვისათვის დამაპატიმრებს. სხვა დანარჩენისათვის კი დაპატიმრებას ვერავინ გამიბედავს, არა? მაგრამ ქურდობა კანონით უნდა დაისაჯოს, მე კი ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ თანამზრახველად ჩამთვალონ. სურათს ვმალავ და თან ყველას ვუჩვენებ. თქვენ თუ დამიჭერთ, კარგი დასაწყისი იქნება. შეიძლება დანარჩენიც მხედველობაში მიიღონ და ბოლოს თავიც მომკვეთონ. ასე გამიქრება სიკვდილის შიში და გადავრჩები. სასეიროდ თავშეყრილ ხალხს ჩემს ახლადმოჭრილ თავს დაანახვებთ, რომ მასში თავიანთი თავი შეიცნონ და მეც კვლავ ავმაღლდები მათ ზემოთ, როგორც სანიმუშო კაცი. ყველაფერი დასრულდება, უჩუმრად დავასრულებ ცრუ წინასწარმეტყველის კარიერას, წინასწარმეტყველისა, უდაბნოში რომ ღაღადებს და უდაბნოს მაინც არ ეშვება.

მაგრამ ცხადია, თქვენ პოლიციელი არა ხართ, თორემ ძალზე უბრალოდ იქნებოდა საქმე. რა ბრძანეთ?.. ოჰო! გამოგიტყდებით და კიდევაც ვფიქრობდი ამაზე. მაშასადამე, ტყუილად როდი შემეთვისეთ. მაშ, თქვენ პარიზში ვექილის საუცხოო ხელობას მისდევთ? გუმანით ვგრძნობდი, რომ ჩვენ ერთი მოდგმისანი ვიყავით. განა ყველანი ერთნაირები არა ვართ, განა მუდამ ერთსა და იმავე კითხვებს ვუტრიალებთ, თუმცა პასუხი წინდაწინ ვიცით. მაშ, მომიყევით, ძალიანა გთხოვთ. რა შეგემთხვათ იმ დღეს სენის სანაპიროზე და როგორ შეძელით საფრთხეში ჩასოდეს ჩაგეგდოთ თავი? თქვით ის სიტყვები, რომლებიც აგერ უკვე წლების მანძილზე ჩამესმის ყურში ღამღამობით და რომელთაც ახლა თქვენი ბაგეებით წარმოვთქვამ: „ქალიშვილო, შენს გახარებას, ერთხელ კიდევ გადავარდი წყალში, რომ კვლავ მომეცეს შესაძლებლობა შენც გიხსნა და ჩემი თავიც გადავრჩინო!“ კიდევო? რა სიგიჟეა! წარმოიდგინეთ, სიტყვაზე დაგვიჭირონ; მაშინ ხომ დანაპირების შესრულებაც მოგვიხდება! ბრრ!... წყალი ცივია! მაგრამ ფიქრი ნუ გაქვთ. უკვე გვიანაა. მუდამ ასე გვიან იქნება ხოლმე საბედნიეროდ!

□